კვირის პალიტრა

ეზო

N17 (255) 28/IV.-4/V.2005. ფასი 60 თ.

1168
2005

თემა — გათელილი ლირსება ანუ

სამი მწარე ამბავი ქართული სინამდვილიდან...

1. ვიმედოვნებს ვენირული კინორეჟისორი...

2. ქმის სახლში აღსრულებული სიმართლე...

3. აკვიატებული სიზმარი ქანდაკებით...

„რამდენჯერაც გადაცემას დამიხშრავენ, იმდენჯერ ვეცდები, ყველაფერი თავიდან დავიწყო...“

ნამდვილი ამბავი — საბედისწერო ბანანი



ეიფელი

№ 42

და აი, მაშინ ნამდვილი სახნავი მოხდა! თავზე უცებ ცრემლი მოადგა, ჩემკენ გამოქანა და ჩამეხუტა...

დამატყვევებელ ცნობილ ფურნალისტს სამე დღეებს შეყვარებულზე ფიქრი ემსგებოდა

ბედი კაცისა თვითმფრინავში დაბადებული — „იგალითი დედა მყოლია...“

ბოდარაძე კაცობაძემ ამერიკის მოქალაქეობაზე უარი თქვა

ახალი ნომერი 3 მაისიდან

ლიტერატურული პოლიფონია

ეკვე ¡138! გვერდი

- ერეკლე სხვიტორია
  ვანო და ნიკო
- ალექსანდრ ჭყონია
  ობლიგაცია
- [illegible] ხვედელიძე
  [illegible]ს გზა
- [illegible]ეზია
  მასასა ჩიტოშვილი
- ეკა მაკარაძე
  ეთერ თალაქვაძე
- [illegible]ტრეება
- რევაზ გოთუა
- გასმირდ გასლოა მასალი
  წინასწარ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა
- ჩაფარ ყოფილი
  თერთმეტი წუთი
  ნობელიანტები
- ოთხიდ ბარიტაშვილი

№ 5 (8), მაისი, 2005

თქვენ ხელ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ
№17 (255)
28 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ - 4 ᲛᲐᲘᲡᲘ 2005
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲗᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲮᲛᲐᲚᲘ ᲐᲕᲚᲔᲡᲝᲗ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲝ“ ᲐᲜᲣ ᲧᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲝᲑᲐ ᲩᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲡᲢᲘᲥᲘᲐ
ᲐᲑᲝᲑᲝᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲜᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ 5
ᲙᲝᲚᲔᲒᲐ
„ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ ᲓᲐᲛᲘᲮᲣᲠᲐᲕᲔᲜ, ᲘᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲕᲔᲪᲓᲔᲑᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝ...“ 6
ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ
ᲠᲐ „ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ“ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲐᲥᲕᲗ „ᲐᲮᲚᲔᲑᲡ“ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ 9
ᲝᲤᲡᲐᲘᲢᲘ
ᲐᲜᲒᲝᲠ ᲐᲑᲠᲐᲚᲐᲕᲐ: „ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲓᲘᲗ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲑᲜᲐ“ 11
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
- „ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲕᲐᲚ, ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲮᲔᲓᲐᲕ...“ 12
- „ᲛᲔᲡᲐᲛᲔ, — ᲩᲐᲘᲙᲔᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲭᲔᲠᲘ“ 15

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ
ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ... ᲓᲐ ᲣᲮᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲥᲐᲚᲡ ᲭᲑᲐᲕᲡ 16
ᲗᲐᲛᲐᲓᲐ
ᲓᲕᲘᲜᲝ, ᲓᲣᲓᲣᲙᲘ, ᲥᲐᲚᲔᲑᲘ... — ᲑᲘᲝ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲤᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ 18
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„ᲣᲔᲪᲠᲐᲓ, ᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲐᲙᲝᲪᲐ — ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲔᲗᲝ, — ᲛᲘᲗᲮᲠᲐ...“ 20
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲨᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 22
ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ
ᲝᲠᲯᲔᲠ ᲓᲐᲝᲑᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲙᲝᲢᲔᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ — ᲣᲐᲡᲐᲙᲝ ᲙᲐᲪᲘ ᲕᲐᲠ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲔᲬᲧᲝᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡᲝ 24
ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 25
ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ
ᲜᲐᲢᲐ ᲛᲐᲩᲐᲚᲐᲫᲘᲡ „ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ“: 60 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ, 113 ᲮᲔᲚᲥᲕᲔᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲐᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ... 26

ᲤᲔᲮᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲗᲔᲚᲘᲚᲘ ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲐ



1999 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲛᲐᲠᲢᲡ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲔ ᲨᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲔᲑᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲛᲝᲕᲐᲚᲝ, — ᲣᲗᲮᲠᲐ ᲛᲔᲣᲚᲚᲔᲡ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲣᲗᲨᲘ ᲙᲘ, ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ, ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲗ ᲛᲝᲘᲙᲚᲐ ᲗᲐᲕᲘ — ᲙᲧᲕᲘᲐ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲚᲐ...

28

„ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ ᲓᲐᲛᲘᲮᲣᲠᲐᲕᲔᲜ, ᲘᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲕᲔᲪᲓᲔᲑᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝ...“

„ᲛᲔ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲒᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲘᲫᲔᲜᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ. ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲗᲘᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲡᲢᲣᲓᲘᲐᲨᲘ... ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲔᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲓᲐᲕᲣᲠᲔᲙᲐᲕ: ᲛᲐᲗ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲕᲗᲐᲕᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲛᲘᲕᲘᲚᲔ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓ ᲙᲘ, ᲐᲚᲐᲠ ᲕᲗᲮᲝᲕ.“

6

ᲨᲔᲛᲔᲖᲐᲠᲐᲕᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ, 24 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲘᲕᲘᲙᲝ ᲐᲑᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ...

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲛ ᲛᲣᲮᲐᲜᲐᲗᲣᲠᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗ ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ, ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲭᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚ ᲡᲘᲡᲐᲡᲯᲘᲙᲔᲖᲔ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ...

12

ᲛᲡᲔ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲩᲐᲘᲜᲘᲙᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲓᲔ ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲔᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲡᲘ

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ, ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲗᲝᲑ, ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲨᲝᲣᲡ ᲕᲣᲧᲣᲠᲔᲑ, ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲗ ᲕᲙᲕᲓᲔᲑᲘ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲛᲘᲕᲐᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲗᲐᲜ ᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ — ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲗᲐᲜ ᲕᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲓᲔ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲢᲧᲕᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ...

56

თემა
გათელილი ღირსება – სამი ამბავი ქართული სინამდვილიდან 28
ნამდვილი ამბავი
საბედისწერო ბანანი 31
საკითხავი ქალებისთვის
- ბოსტნეული, ხილი და... ხასიათი 32
- როგორ მოვუაროთ არმას 33

ჯანმრთელობა
- მოვერიოთ უძილობას 34
- როგორ მოვუაროთ ფრჩხილებს 35

დღესასწაული
როგორ აღესრულება საადგომო ლიტანიობა 36
შთამომავლობა
შიო მღვიმელის უსახლკარო შვილი სამუზეუმოდ სარდაფზე ოცნებობს 37
მინდორზე და მინდორს მიღმა
ბიორგი ნემსაძეს ოროსნობა არ სურს – საფეხბურთო კარიერა და... ქართველთა თავგადასავალი ნიგერიაში 39
რომანი
მიხეილ იაშვილი. მაქცია (გაგრძელება) 42
ვარსკვლავი
მინა სუვარი – ამერიკული სილამაზის ეტალონი 46
ბომონდი 47
ავტო 49
ბედი კაცისა
თვითმფრინავში დაბადებული – „მე იტალიელი დედა მყოლია...“ 50
მოდა
პირველი ჯინსშოუ საქართველოში 54
გამოფენა
„ერთხელ, ერთ მშვენიერ დღეს“... 55
ეკრანი
ესე ამბავი ჩაინიკასი და მოძალადე ლეჩხუმელი ბოგოსი, რომელმაც საქმრო წიხლებით ჩატენა მანქანაში 56
სახე
თამუნა ლეკვეიშვილი: „სახლში მხიარული საერთოდ არა ვარ...“ 58
ასტროლოგია 59
ჰოროსკოპი
კვირის (28 აპრილი – 4 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
როგორი საქმიანი პერსპექტივა გელით? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ორჯერ დაოგლეგული ვახუშტი კოტეტიშვილი



„უცებ ცრემლები მოერია და ტირილი დაიწყო. გოგიამ ჰკითხა – რა გატირებს, დედი? უშრომელად დაირტყი პროფესორი შვილი, სხვა რაღა გინდაო? – იცი, რას ვტირი, შვილო? მე ბებერი ვარ, სადაცაა მოვკვდები და ეს ვახუშტი რომ ისევ ობლად დარჩებაო!..“

24

მინა სუვარი – ამერიკული სილამაზის ეტალონი

22 წლის მინა, ყველასაგან მალულად გათხოვდა. მისი რჩეული, ცოლთან გაყრილი, მასზე 16 წლით უფროსი კინოოპერატორი აღმოჩნდა. როდესაც ჟურნალისტებმა ჰკითხეს – ასაკობრივი სხვაობის გამო, ურთიერთობისას პრობლემები ხომ არ შეგექმნებათო? – 22 წლის პატარძალმა უპასუხა...

46

თვითმფრინავში დაბადებული – „მე იტალიელი დედა მყოლია...“

„მოხდა ისე, რომ აქედან გაქცევა გამიადვილდა. ალბათ, ეს ჩემი ბედისწერაც იყო. მართლაც, საოცარი ფაქტია – საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში გავიქეცი და ისევ უკან დავბრუნდი, თანაც – საკუთარი ნებით...“

50

მაქცია

მიხეილ იაშვილი

და აი, მაშინ ნამდვილი სასწაული მოხდა! თვალზე უცებ ცრემლი მოადგა, ჩემკენ გამოექანა და ჩამეხუტა...

– რომ იცოდე, ზურა, რა ბედნიერი ვარ... ამდენი თვე ველოდი, როდის გადმოდგამდი ნაბიჯს... შე მშიშარა, შენა... იცი, როგორ მომწონდა შენი სიურპრიზები?!.. თავიდანვე მივხვდი, შენი ოინები რომ იყო...

42

„ხმალი ავლესით, ქართველებო“ ანუ ჯარისკაცობა ჩაწყობილი

ამბობენ, შვილი ოჯახის სარკეა, ჯარი კი — სახელმწიფოსიო. ეს, მე-16 საუკუნის შემდეგ გამომცხვარი სიბრძნეა, რაც ვენეციელებმა სარკე გამოიგონეს, თორემ მანამდე ასე ამბობდნენ: შვილი ოჯახის წყლიანი ტაშტია, ჯარი კი — სახელმწიფოსიო.

არ შეიძლება, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რადგან ქვეყანა მართლაც ისეთია, როგორიც ჯარი ჰყავს. იყო დრო, როცა ქართულ ჯარში, ძმები კალმახიძეებისა არ იყოს, ორ ჯარისკაცზე ერთი წყვილი ჩექმა მოდიოდა; კვებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: სანამ ტყის კენკრა, წაბლი და ზღმარტლი შემოვიდოდა, „სუპის“ ქვაბში მოცურავე ერთი თავი კარტოფილით „წყალბურთს“ თამაშობდნენ ჯარისკაცები. მოკლედ, ისეთი მდგომარეობა იყო, რომ იტყვიან: პოლკოვნიკი მაიორს არ აიყვანდა ხელში... ამიტომ, ოჯახში ბიჭი რომ დაიბადებოდა, მამამისს თოფის გასროლის კი არა, სადღეგრძელოს ხმამაღლა თქმისაც კი ეშინოდა, მეზობელმა არ გაიგოს და კომისარიატში არ ჩამიშვასო...

მაგრამ ის დრო წარსულს ჩაჰბარდა და ჯარი

ჯარს დაემსგავსა, სახელმწიფო — სახელმწიფოს: მივდექ-მოვდექით, ვინ არ შევაწუხეთ, იქით ამერიკას მივაწვდინეთ ხმა, აქეთ — ევროპას და წამოვიდა დახმარება, მაგრამ რა წამოვიდა! ჩაგვაცვეს, გვაჭამეს, ხელში იარაღი მოგვცეს და დამიზნებაც გვასწავლეს. მერე, ვინ ტანკი გვიფეშქაშა, ვინ — თვითმფრინავი და კატარღა და ახლა, ქართული ჯარი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მიუშვა, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე კი არა, ავსტრალიასაც შემოიერთებს, — ჩვენი წინაპრების სანადირო ადგილ-მამულები იყოო...

ჰოდა, თუ ჯერ კიდევ გუშინ, ჯარში წასვლა სამარცხვინოდ ითვლებოდა და ჯიბესქელი მამები ათასებს ხარჯავდნენ, შვილები ხეიბრებად რომ გაეფორმებინათ, ახლა ერთმანეთს ასწრებენ კომისარიატებში, არა ჩემი შვილი გაიწვიეთ და არა — ჩემიო...

მაგრამ განა ყველას ხვდა წილად ბედნიერება ქართულ ჯარში სამსახურისა?! რა „ჰქმნან“ იმ დეპუტატებმა და ჩინოვნიკებმა, რომლებიც ბედმა ისე დაჩაგრა, რომ როცა მათზე ცოტათი უმცროსი ახალგაზრდები სამხედრო ნაწილებში „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით ტკბებიან, ისინი პარლამენტის დარბაზში უნდა ისხდნენ და ვიღაცის ლაყაფს კენჭი უყარონ.

ამიტომ გახდა საჭირო სარეზერვო ბატალიონების შექმნა, რომელშიც ჩაწერა ყველა მსურველს შეუძლია: დეპუტატსაც და გლეხსაც, მაგრამ აქაც პრივილეგია დეპუტატის მხარესაა, რადგან გლეხს ისედაც ათასი საქმე აქვს, რაც ქვეყანას გამოადგება, დეპუტატები კი ერთი თვით მაინც დასაქმდებიან და იმ ენერგიას, რაც პარლამენტში ფუჭი ჩხუბისთვის უნდა დაეხარჯათ, სამშობლოს მოახმარენ...

თუმცა, იდეალური არაფერია და ამ მოვლენასაც აღმოაჩნდა ერთი უარყოფითი მხარე: დემოკრატიულ ქვეყანას თუ ვაშენებთ, ამის უპირველესი პირობა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაა და მარტო სარეზერვო ერთთვიან სამსახურში კი არა, რეგულარულ ჯარშიც უნდა გავიწვიოთ გოგონები. და ამის მაგალითსაც მშვენიერი სქესის წარმომადგენელი დეპუტატები მისცემენ დანარჩენებს: მაგალითად, მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენელ ქალბატონს — მუდამ გამორთულ მიკროფონთან რომ დგას და დღევანდელი მომღერლებივით, „პლუსავოი“ ფონოგრამით გაჰკივის, ძირს ეს მთავრობაო — ამდენი ნერვების ცვეთას, არ ურჩევნია, ჯარში იყოს?! სამიზნეზე მიახატავს გადამტერებულ თავდაცვის მინისტრს და სნაიპერობის უბადლო ნიჭს გამოავლენს. მას სხვებიც მიჰბაძავენ და ჯარი უფრო ძლიერი და ლამაზი გახდება. მერე დაგვიდგეს წინ ნებისმიერი მტერი...

P.S. წვევამდელთა რიგი კომისარიატში:

— ნუ მიდიხართ ურიგოდ, ჩვენ ხალხი არ ვართ?!

— მე ურიგოდ მეკუთვნის.

— რატომ ვითომ?!

— იმიტომ, რომ ფეხმძიმედ ვარ.

— ფეხმძიმობის შენ არაფერი გეტყობა და ეგრე, „წუხანდელები“ ჩვენც კი ვართ, ბატონო...

პროვოკატორი

ნაბა თუ არა მოსკოვი ახალ ესკალაციაზე?

— რუსული ბაზების გაყვანის საკითხი გადაწყვეტილია. მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ დათმობის სანაცვლოდ, რუსეთი კონფლიქტის ზონებში სიტუაციის გამწვავებას ეცდება. რა პროგნოზი შეგიძლიათ გააკეთოთ ამასთან დაკავშირებით?

სოსო ცინცაძე, *პოლიტოლოგი:*

— მოხარული ვარ, რომ „მოდუსვივენდის“ — ანუ კონსენსუსის მიღწევა მაინც მოხერხდა. დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში, თუნდაც, საკუთარი იმიჯის გადასარჩენად, რუსეთი ამ საკითხზე სკანდალს არ დაუშვებდა. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-სთან რუსეთის ურთიერთობა და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. ლავროვისა და ზურაბიშვილის შეხვედრის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოსკოვი აფხაზეთში სამხედრო ძალებს უფრო გაზრდის. არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული პროვოკაციები კონფლიქტის ზონებში იგეგმებოდეს. მაგრამ ეს იქნება ეპიზოდური ხასიათის გამწვავება. დღეს თავად რუსეთი, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ თავი დავანებოთ, ყველაზე მეტადაა დარწმუნებული იმაში, რომ კონფლიქტის ზონებში სიტუაციის ესკალაციით, მსოფლიო პოლიტიკაში დაწყებულ ახალ პროცესებს ველარ შეაჩერებს. ბაზების გაყვანა იმ კომპლექსური მუშაობის მთავარი ნაწილია, რომლის საბოლოო მიზანიც, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენაა. მოსკოვში ამას მშვენივრად აცნობიერებენ. ■

„წილობანას“ დრო დამთავრებულია?

— თქვენი აზრით, მსხვილ გადამხდელებთან შს მინისტრის ოფიციალური შეხვედრის შემდეგ, ბიზნესმენები მაღალჩინოსანი პოლიციელების რეკეტისგან დაზღვეულნი იქნებიან?

ვანო მერაბიშვილი, *შს მინისტრი:*

— ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ბიზნესმენებსა და ხელისუფლებას შორის მაღალი ნდობის ხარისხი არსებობდეს. 25 აპრილს ორგანიზებული შეხვედრა, სწორედ ამის მიღწევას ისახავდა მიზნად. უბრალოდ მინდოდა, მათთვის გამეზიარებინა ჩემი პოზიცია და მომესმინა ბიზნესმენთა მხრიდან კრიტიკული შენიშვნები. ეს იყო პირველი შეხვედრა და შესაბამისად, საუბარიც მოკრძალებული ფორმით წარიმართა. იმედი მაქვს, შემდგომში, ბიზნესმენები უფრო გახსნილები იქნებიან და უფრო კონკრეტულ შეკითხვებს დასვამენ. უნდა გაირკვეს — ხომ არ ხდება პოლიციელების მხრიდან მეწარმეებთან წილში ჩაჯდომა, ფულის გამოძალვა და კრიმინალების მხრიდან ბიზნესმენების შეწუხება. ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ ვინმემ ხელი შეუშალოს მეწარმეების მუშაობას. საქართველოში „წილობანას“ დრო დამთავრებულია. ვინც ეს ვერ გაიგო, კანონის წინაშე მოუწევს პასუხისგება. თუმცა, მხოლოდ შს სამინისტრო, საზოგადოებისა და პრესის აქტიური ჩარევის გარეშე, ასეთი ტიპის ყველა დანაშაულს ვერ აღმოაჩენს. თუ საქართველოში ადგილობრივი მეწარმე რეკეტისა და გამომძალველისგან ვერ დავიცავით, მაშინ, უცხოელი ინვესტორი, ჩვენს ქვეყანაში ფეხსაც არ დადგამს. დანაშაულის აღკვეთას კი, პოლიციასთან თანამშრომლობა სჭირდება. ■

როგორ დაელაპარაკება ოპოზიცია ბუშს...

— არასაპარლამენტო ოპოზიცია ჯორჯ ბუშთან შეხვედრას ითხოვს. სხვა ქვეყნებში ამის პრეცედენტი თუ ყოფილა ან რამდენად დაინტერესდება აშშ-ის პრეზიდენტი არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრით?

მიხეილ ნანეიშვილი, *ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია:*

— საქართველოს ხელისუფლებამ ბუშის ვიზიტი საკუთარ პიარ-კამპანიად გადააქცია. ამ ფონზე, ბუნებრივია, ოპოზიციის სურვილი, შეხვდეს აშშ-ის პრეზიდენტს და რეალური ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. მართალია, ოპოზიციის უკმაყოფილების გამო ჯორჯ ბუში ხელისუფლებას ღია კრიტიკით არ შეაწუხებს, მაგრამ მათ შენიშვნებს უყურადღებოდ არ დატოვებს. არასაპარლამენტო პოლიტიკური ძალები დღეს საკმაოდ სერიოზულად გამოიყურებიან. მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც ადრე ხელისუფლებაში იყვნენ და დღევანდელ პარლამენტარებთან შედარებით, გაცილებით მეტი გამოცდილება აქვთ... მათი შენიშვნები ნამდვილად ყურადსაღებია. რაც შეეხება პრეცედენტს, აშშ ჩვენს ქვეყანას მეგობრულ რჩევებს აძლევს და სავსებით ბუნებრივია, რომ ოპოზიციამ მოინდომოს ბუშთან შეხვედრა, რათა მას თავისი შეხედულებები გააცნოს. ეს ვიზიტი, ჩვენი ხელისუფლებისადმი თეთრი სახლის დაინტერესებას კი არა, საქართველოსადმი ვაშინგტონის ინტერესებზე მიანიშნებს, ამიტომ ვიზიტმა ხელისუფლების პიარ-აქციის ფორმატით არ უნდა ჩაიაროს. თუ როგორ დაელაპარაკება ოპოზიცია ბუშს და კონკრეტულად, როგორი იქნება აშშ-ის პრეზიდენტის რეაგირება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს შეხვედრა უნდა შედგეს. ■

უნივერსიტეტში შეიარაღებული ახალგაზრდები დადიან...

— როგორც ამბობენ, უნივერსიტეტში სტუდენტების გარკვეული ნაწილი შეირაღებული დადის. დაფიქსირებულია დერეფანში ახალგაზრდების მიერ ერთმანეთის დანით დაჭრის ფაქტიც. რას აკეთებს რექტორატი ამის აღსაკვეთად?

რუსუდან ლორთქიფანიძე, *უნივერსიტეტის რექტორი:*

— უნივერსიტეტში საბოლოო წესრიგი დამყარებული ნამდვილად არ არის. ეს პრობლემა იყო ჩემს მოსვლამდე და ჯერჯერობით არ გადაჭრილა. ქართველების საერთო სენია, წესრიგის მიმართ გულგრილობა. მე

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სტუდენტები მკაცრ ჩარჩოებში მოვაქციოთ და დიქტატორული რეჟიმი დავამყაროთ, მაგრამ უსაფრთხოების გარანტიების დაცვა აუცილებელია. ახალგაზრდებს შორის შელაპარაკება და კამათი ყოველთვის იქნება. მუშტებით ჩხუბი საქართველოში ერთგვარ ტრადიციადაც კი ითვლებოდა. მაგრამ როცა ვიღაცას დანა აქვს, ეს სხვების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. ჩვენ მთავრობას წერილით მივმართეთ, საუწყებო დაცვის აყვანა გვინდოდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. მანამდე კი უსაფრთხოების დაცვას ვცდილობთ იმ ძალებით, რომელიც უნივერსიტეტს ჰყავს. ჩვენი დაცვა უფლებამოსილების ფარგლებში შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს. მაგრამ როგორც ცნობილია, მათ იარაღის ტარების უფლება არ აქვთ, შიშველი ხელით კი შეიარაღებული ადამიანისთვის წინააღმდეგობის გაწევა ფაქტობრივად, შეუძლებელია. ეს საკითხი მართლაც, აქტუალურია. სტუდენტს უნივერსიტეტის დერეფანში დაჭრის საფრთხე არ უნდა ემუქრებოდეს. ■

დაიწყო „ნაციონალების“ გადაბირება...

— გავრცელებული ინფორმაციით, დათო ბერძენიშვილი ბათუმის მერის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. პარლამენტში კი, რესპუბლიკელები „ნაციონალების“ გადაბირებაზე მუშაობენ...

ლევან ბერძენიშვილი, *პარლამენტის წევრი:*

— ვერ წარმომიდგენია, ვინ უნდა დაიკავოს ბათუმში მერის თანამდებობა, თუ არა რესპუბლიკური პარტიის წევრმა. ობიექტური არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, ჩვენი გამარჯვება გარდაუვალია. თუ ბათუმის მერს ექნება სრული უფლებამოსილება, მაშინ დავით ბერძენიშვილმა შეიძლება იყაროს კენჭი. პირადად მე, მირჩევნია, მერობის კანდიდატად პარტიის სხვა წევრი დასახელდეს. დათო ბერძენიშვილი კი პარლამენტში დარჩეს, რომ რესპუბლიკელებს საკანონმდებლო ორგანოში სერიოზული წარმომადგენლობა გვყავდეს. რაც შეეხება „ნაციონალების“ სხვებთან „მიერთების“ პროცესს, ნამდვილად დაწყებულია. ცოტა ხნის წინ, თერჯოლაში რამდენიმე ასეული „ნაციონალი“ „მივიერთეთ“. მალე ეს პროცესი პარლამენტში გადმოინაცვლებს. სახელისუფლებო პარტია იმ რიცხობრივი შემადგენლობით, რაც დღეს არსებობს, დიდხანს რომ ვერ გაძლებს, ფაქტია. შიდადაპირისპირება და უკმაყოფილების მუხტი ძლიერდება. თუ ვინმე საკუთარი ნებით დატოვებს ნაციონალურ მოძრაობას და მისთვის რესპუბლიკელების ხედვა და პროგრამა აღმოჩნდება უფრო მისაღები, შემოგვიერთდნენ. პარლამენტში დღეს მრავლად არის ისეთი ადამიანი, რომელსაც სიამოვნებით მივიღებდით ჩვენს პარტიაში. გარკვეულ ნაწილს ასეთი სურვილი აქვს, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კი, დროა საჭირო. ■

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

აბობოქრებული წყალი და დაბნეული მოსახლეობა

თოვლის ინტენსიური დნობისა და გადაუღებელი წვიმების გამო ადიდებულმა მდინარეებმა სვანეთის, რაჭის, იმერეთის, სამეგრელოსა და მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიები დატბორა, ადამიანები პირუტყვის, ნათესებისა და საცხოვრებელი სახლების გარეშე დარჩნენ. წვიმა გადაღებას არ აპირებს, სტიქია კი აღმოსავლეთისკენ მოიწევს. წყალდიდობა უკვე დედაქალაქსაც დაემუქრა. რა ამოცანებს ისახავს ამ სიტუაციაში ხელისუფლება?

ხათუნა მაღრაძე

ზურაბ ნოღაიდელი, *პრემიერ-მინისტრი:*

— პირველ რიგში, სახიფათო ადგილებიდან მოსახლეობის გამოყვანა უნდა გაგრძელდეს. არ უნდა დავუშვათ, რომ სტიქიამ ადამიანების სიცოცხლეს შეუქმნას საფრთხე. სიტუაცია ძალზე მძიმეა, მაგრამ პრეზიდენტის უშუალო მითითებით ყველაფერი კეთდება, რათა მოსახლეობას პირველადი დახმარება აღმოვუჩინოთ. მობილიზებულია სამხედრო ტექნიკა, 20-მდე ვერტმფრენი და მუნიციპალური ავტოტრანსპორტი, რომელიც სტიქიით დაზარალებულ რაიონებს მოემსახურება. პროცესში ჩავრთეთ რეზერვისტები, რომლებიც ოპერატიულად და ეფექტურად მუშაობენ.

— სად უნდა გადაიყვანოთ ის ადამიანები, რომლებიც უსახლკაროდ დარჩნენ?

— პირველ ეტაპზე, პრეზიდენტის განკარგულებით, გაიშლება კარვები, რომ უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს წვიმაში, ღია ცის ქვეშ არ მოუწიოთ ღამის გათენებამ. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან საკვები პროდუქტითაც. საჭირო თანხებს ბიუჯეტიდან გამოვყოფთ.

— ზარალის ანაზღაურებაზე ჯერ საუბარი ნაადრევია, თუმცა, უკვე გაჟღერდა ინფორმაცია, რომ დაზარალებულებმა დანაკლისის ანაზღაურებაზე თავადვე უნდა იზრუნონ...

— ბუნებრივია, თითოეულ ადამიანს, რომელსაც წყალმა ოჯახიდან ნივთები წაართვა ან საცხოვრებელი ბინა მსუბუქად დაუზიანა, ჩვენ ზარალს ვერ ავუნაზღაურებთ. ნებისმიერ ქვეყანაში სტიქიური უბედურების დროს, სახელმწიფო მატერიალურ კომპენსაციას აძლევს იმ ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს და ღია ცის ქვეშ, ყოველგვარი სახსარის გარეშე არიან დარჩენილები. სხვა სახის დახმარებისთვის სოციალური პროგრამები შეიქმნება, საიდანაც დაზარალებული მოსახლეობა კომპენსაციას მიიღებს. მაგრამ მანამდე, წყალდიდობამ უნდა ჩაიაროს...

სტიქიის შეჩერებას მეტეოროლოგები მაისის დასაწყისამდე ვერ გვპირდებიან. მანამდე კი, დედაქალაქში, განსაკუთრებით მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე წყლის დონე სახიფათო ნიშნულს უახლოვდება. ქალაქის პრემიერი ჩატარებულ სამუშაოებზე საუბრობს და წყალდიდობის შემთხვევაში, მოსახლეობას მხარში ამოდგომას ჰპირდება.

თეიმურ ქურხული, *ქალაქის პრემიერი:*

— ჩვენ მეტეოროლოგიური სამსახურიდან მარტის ბოლო რიცხვებში მივიღეთ ინფორმაცია მოსალოდნელი წყალდიდობების შესახებ. ჩატარდა გასამაგრებელი სამუშაოები, მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა. მაგრამ სტიქია უსიამოვნო სიურპრიზებს არ გამორიცხავს. საერთოდ, იშვიათად ხდება, რომ მტკვარი და არაგვი ერთდროულად ადიდდეს, ახლა სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ამიტომ სიტუაცია განსაკუთრებით მძიმეა. მტკვრის დონე თანდათან მატულობს. მობილიზებულია საგანგებო სიტუაციათა სამსახური, საპატრულო პოლიცია, სამედიცინო დახმარების ცენტრი. მოსახლეობას ვურჩევთ, განსაკუთრებით ღამის საათებში, არ იმოძრაოს მტკვრის სანაპიროს მიმართულებით. განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ ელიავას ქუჩის, ვორონცოვის, ორთაჭალისა და ისნის მოსახლეობას: ეს ის უბნებია, რომლებიც კალაპოტიდან მდინარის გადმოსვლის შემთხვევაში, შეიძლება დაზარალდეს.

— შარშან მომხდარი წყალდიდობის დროს, საქალაქო სამსახურები სრულიად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ მოსახლეობის დასაცავად. ეს დაბნეულობა დღესაც შეინიშნება...

— 2004 წელს, სრულიად განსხვავებულ შემთხვევასთან გვქონდა საქმე. წვიმამ დატბორა ქუჩები, კოლექტორებმა ვეღარ იმუშავა და მოსახლეობა დაზარალდა. ამ პრობლემის მოგვარება რთული არ არის, კალაპოტიდან გადმოსულ წყალს კი ვერაფრით შეაჩერებ. ჯერჯერობით, სწორად ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების წყალობით, ჟინვალჰესში წყლის დონე საკმაოდ დაბალია, რაც იმედს გვაძლევს, რომ თბილისი წყალდიდობას თავს დააღწევს. მაგრამ თუ გადაუღებელმა წვიმამ სტიქიის პირისპირ დაგვაყენა, ჩვენც მოსახლეობის გვერდით ვიქნებით...

■

„რამდენჯერაც გადაცემას დამიხურავენ, იმდენჯერ ვეცდები, ყველაფერი თავიდან დავიწყო...“

საქართველოში ტელეჟურნალისტები ისეთი დიდი პოპულარობით სარგებლობენ, რომ მათზე უამრავ ჭორს თხზავენ. ამას წინათ მითხრეს, ინგა გრიგოლია გათხოვდაო. სასწრაფოდ გადავამოწმე ეს ინფორმაცია და რა თქმა უნდა, ჭორი აღმოჩნდა... ინგამ ბევრი ფიქრის, განსჯისა და აქეთ-იქით ხეტიალის შემდეგ, მორიგი ნავსაყუდელი ტელეკომპანია „იმედში“ იპოვა. მან ჩვეულებას არ უღალატა და ახალი ტელეპროექტებით, ამბიციური სახელწოდებებით — „პირველები“ და „რეაქცია“ — წარუდგა მაყურებელს. მას ინტერვიუსთვის გადაცემის ჩაწერამდე ტელესტუდიაში ვესტუმრე.

ნათია ქივიძე

— ინგა, თავდაპირველად შენს საქმიანობაზე გვიამბე. რაიმე ცვლილება ხომ არ არის მოსალოდნელი შენს გადაცემებში — „პირველები“ და „რეაქცია“? ან კიდევ ერთ ახალ პროექტზე ხომ არ ფიქრობ?

— ჯერ არა, რადგან ერთი წელიც არ გასულა, რაც ეს გადაცემები ეთერში გადის. მათში მთელ ენერგიას, ძალღონეს, სულსა და გულს ვატან. ამ გადაცემებში კი, ძალიან მალე, საინტერესო სიახლეები იქნება, რომლებზეც წინასწარ საუბარი არ მინდა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ძალიან საინტერესო იქნება. პროექტის შეცვლას ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან ძალზე ახალგაზრდა პროექტია, უბრალოდ, გარკვეულ დეტალებზე მაქვს ლაპარაკი. ერთი-ორი წელი, პირადად მე, ახალ პროექტზე არ ვიფიქრებ, თუმცა, როგორც წესი, ჩემი ნება-სურვილის მიხედვით არ იწყება და არ მთავრდება ჩემი პროექტები, ყველა მათგანი თავის დროზე, ტელევიზიების ხელმძღვანელობამ დახურა. ეს ჩემი სურვილი არ ყოფილა. ასე რომ, მე

არაფერს ვგეგმავ და გადაცემებსაც მგონი, ჯერჯერობით, საფრთხე არ ემუქრება.

— საერთოდ, შენი გადაცემები ყოველთვის პოპულარულია. თუ ელოდი, რომ ეს ორივე გადაცემაც ასეთივე წარმატებული იქნებოდა?

— ძალზე ბევრს ვმუშაობ იმისთვის, რომ გადაცემები ყურებადი იყოს. ჩემზე ბევრჯერ უთქვამთ — ამბიციურიაო. საერთოდ, ასე არ არის, მაგრამ იმის ამბიცია ნამდვილად მაქვს, რომ ხალხი მიყურებდეს. ჩემთვის ეს ყველაზე მთავარია, რადგან მართლა ძალიან ბევრს ვმუშაობ. არ ვიცი, დაიჯერებთ თუ არა, მაგრამ პარასკეობით, „რეაქციის" ეთერიდან ისეთი დაცლილი გამოვდივარ, რომ შაბათს მთელი დღე ტელეფონი გამორთული მაქვს და ვისვენებ. რა ენერგიასაც ადრე, ყოველდღიურად ვხარჯავდი, ახლა კვირაში ერთხელ, მთელი საათ-ნახევრის განმავლობაში ფეხზე დამდგარი ვხარჯავ. ეს გაცილებით რთული ყოფილა. ძალზე ბევრ ადამიანთან მიწევს საუბარი, თან დროშიც, წამებში უნდა ჩავჯდე. მაგალითად, წინა პარასკევს, როცა ბიზნესმენები მყავდნენ სტუმრად, მართლა ისეთი დაღლილი გამოვედი სტუდიიდან, რომ ჩემს მეგობრებს — რომლებიც ორი საათის განმავლობაში მელოდნენ „ტუსოვკაზე" წასასვლელად — როცა დამირეკეს, ვუთხარი — თავი დამანებეთ, ვერ წამოვალ, ძალზე დაღლილი ვარ-მეთქი. აი, ამდენი შრომა იხარჯება თითოეულ გადაცემაში და საწყენი იქნებოდა, ეს გადაცემები ყურებადი რომ არ იყოს.

— გამოდის, რომ „იმედს" კარგად მოერგე და იქიდან წასვლას ჯერჯერობით არ აპირებ...

— არ ვიცი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ არც ერთი ტელევიზიიდან ჩემი ნებით არ წავსულვარ. „პირველ არხზე" დაიხურა ჩემი გადაცემა და რაღა უნდა მეკეთებინა?! ამ დროს, ჩემი მეგობრები აყალიბებდნენ დამოუკიდებელ არხს. როცა სახელმწიფო ტელევიზიაში ვმუშაობდი, თავისუფლებას დანატრებული ვიყავი. ამიტომ წავედი იმ თავისუფალ არხზე, სადაც უკეთესი პირობები, უკეთესი გადაცემა და უკეთესი ანაზღაურება მექნებოდა. ერთწლიანი მუშაობის შემდეგ, იქაც დაიხურა ჩემი გადაცემა. შემეძლო იმ არხზე დარჩენა, მაგრამ — გაურკვეველი პერსპექტივით. ამიტომ კვლავ „პირველი არხისკენ" გავიხედე, რადგან რევოლუცია ახალი მომხდარი იყო და იქ საზოგადოებრივი არხი იქმნებოდა. იქ გადავედი. მაგრამ მითხრეს — არაპოლიტიკური გადაცემა უნდა გააკეთოო, — მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ვიყავით მოლაპარაკებული, თუ რა უნდა გამეკეთებინა... მეტი არხი აღარ იყო და სადღაც ხომ უნდა მემუშავა! მე არა ვარ დეპრესიული ადამიანი, აქტიური ვარ. რამდენჯერაც გადაცემას დამიხურავენ, იმდენჯერ მექნება მცდელობა, რომ ყველაფერი თავიდან დავიწყო... ასე მოვედი „იმედში". აქ ჯერჯერობით, გადაცემის დახურვის საშიშროება არ არსებობს, მშვენივრად ვთანამშრომლობთ ერთმანეთთან. საერთოდ, მე ნებისმიერ ტელევიზიას ვერგები, რადგან არც ერთი მათგანი არ გამომიყენებია კომფორტისთვის. თუ არ ვცდები, დღევანდელ დღეს, ამ ტელევიზიაში ძალზე დიდი თავისუფლების ხარისხი მაქვს. აქ „გემრიელად" ვმუშაობ. ისე კი, არასოდეს გავჩერდები — ერთ გადაცემას თუ დამიხურავენ, მეორეს გავაკეთებ. თუ ტელევიზიაში ვერ ვიმუშავებ, გაზეთში ან ჟურნალში წავალ. ჟურნალისტიკიდან წასვლას კი, არსად ვაპირებ. არანორმალურად მიყვარს ჩემი საქმე. ეს ჩემთვის ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი და წყალი. ვერ ვიტან ყურებჩამოყრილ ადამიანებს. 34 წლის ვარ. ეს ის ასაკია, როცა ჩემი ცხოვრების ყველაზე აქტიურ ფაზაში ვიმყოფები. შესაბამისად, ვაპირებ, რომ ბოლომდე დავიხარჯო.

— ძირითადად, რა მიზეზით გიხურავდნენ ხოლმე გადაცემას?

— „პირველ არხზე", შევარდნაძის დროს დაიხურა ჩემი გადაცემა. გასაგებია, რომ მთავრობის წევრებს ჩემი გადაცემები არ უყვარდათ. ამისთვის ერთადერთი გადაცემის გახსენებაც კი საკმარისია — იმისა, როცა შევარდნაძემ დამირეკა პირდაპირ ეთერში და მორიდებულად დამტუქსა. ასეთი რამ მანამდე, საქართველოს ისტორიაში არ მომხდარა. ბუნებრივია, რომ ეს გადაცემა „ლოგიკური შედეგით" დასრულდა. მეორე გადაცემა რევოლუციის შემდეგ დაიხურა, რაც გამართლებულიც იყო, რადგან რევოლუციაგამოვლილ ქვეყანას ყველაფერი ახალი სჭირდებოდა... ჯერჯერობით, არც ერთი ტელევიზიის ხელმძღვანელს არ უთქვამს — არაპროდუქტიული ჟურნალისტი ხარო, — და ამის გამო არ დაუხურავთ ჩემი არც ერთი გადაცემა.

— ამას წინათ, დათო გოგიჩაიშვილმა „ღამის შოუს" ერთ-ერთ გამოშვებაში იხუმრა — გრიგოლიას გადაცემებს სახელწოდებები აქვს სხვადასხვა, თორემ, ყველა ერთი და იგივეაო...

— ერთი და იგივე ნამდვილად არ არის. „პირველები" არის ინტერვიუ ერთი-ერთზე, სადაც რესპონდენტს ბოლომდე ვწურავ. „რეაქცია" კი — დიალოგი, კამათი და პოლემიკაა. აბსოლუტურად განსხვავებული პოზიციების ადამიანები სხედან. მათთან მე არ ვოპონენტობ. დათომ ალბათ, ვერ განასხვავა ერთმანეთისგან პოლემიკა და ინტერვიუ, ან გადაცემა არ უნახავს კარგად... ჩვენ ახლო მეგობრები ვართ, მაგრამ ამას აბსოლუტურად სერიოზულად გეუბნები.

— როგორც ვიცი, ხუმრობა კარგად გესმის და კარგადაც ერგები მსგავსი სახის გადაცემებს. არასოდეს გიფიქრია, რომ პოლიტიკის გარდა, სახუმარო პროგრამის წამყვანა გეცადა?

— არა, არ გამომივა. ძალზე ვერთობი სხვების ხუმრობაზე, მაგრამ მე თვითონ ძალზე უნიჭოდ ვხუმრობ. საერთოდ, იუმორის ნიჭი არა მაქვს, მხოლოდ სხვების ხუმრობა მესმის კარგად. მაგალითად, ვიღაცამ ანეკდოტი რომ მოჰყვეს, შეიძლება, ყველა სიცილით გასკდეს, მე კი, იგივე ანეკდოტი რომ მოვყვე, ყველა ტრაგიკული სახით იჯდება და იფიქრებს — რაებს როშავს ეს ქალიო!.. ამიტომ, ასეთი გადაცემა არ გამომივა, უნიჭობას კი ვერ ვიტან.

— ახლანდელი გადაცემებიდან შენს რესპონდენტებთან როგორი ურთიერთობა გიყალიბდება ხოლმე?

— კარგი. „პირველებში" რომ მოდი-

ან, იციან, რომ ბოლომდე უნდა გამოვწურო... ამას წინათ, ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომლის ვინაობასაც არ დავასახელებ, ისიც კი მითხრა – ახლა ძალიან ნუ დამღეჭავო... მე ვუპასუხე – გამორიცხულია; ეს გადაცემაა და ყველაფერი უნდა გკითხო-მეთქი. მასთან ახლო ურთიერთობა მაქვს, მაგრამ იმ შემთხვევაში, ის ჩემი რესპონდენტი იყო. მე გადაცემებიდან მტერი არასოდეს შემიძენია. ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. არიან ადამიანები, რომლებიც თანამშრომლობის სურვილს არ გამოთქვამენ და არ მოდიან სტუდიაში, მაგრამ ეს ჩემთვის პრობლემა არ არის. თუ არ მოვა, კარგად იყოს, რადგან ამ ბოლო დროს, ერთ რამეს მივხვდი: ყველა ადამიანის პოპულარობას ჩვენ, ჟურნალისტები განვსაზღვრავთ. ასე რომ, რესპონდენტს არასოდეს ვეხვეწები. არსებობენ ისეთი რესპონდენტები, რომლებსაც არასოდეს დავურეკავ: მათ ორჯერ უკვე შევთავაზე გადაცემაში მოსვლა და უარი მივიღე, მესამედ კი, აღარ ვთხოვ. ამით მე არაფერი მაკლდება, რადგან ძალიან ბევრი რესპონდენტია საქართველოში...

მას დიდ პატივს ვცემ, მიუხედავად იმისა, რომ აგრესიულია და ცოტა, უფრო სწორად — მაგრად ბილწსიტყვაობს

— კედელზე რომ ფოტოკოლაჟი გაქვს, კახა ბენდუქიძის ორი სურათია, თანაც — ცენტრში. რატომ გამოარჩიე სხვებისგან?

— ეგრე თუ ვიმსჯელებთ, ირაკლი ოქრუაშვილისაც ორი ფოტო მაქვს... სხვადასხვა გაზეთიდან ამოვჭერი. ძალიან მომწონს კახა ბენდუქიძე. ბრწყინვალე რესპონდენტია და ისედაც, ძალზე ნიჭიერია. მას დიდ პატივს ვცემ, მიუხედავად იმისა, რომ აგრესიულია და ცოტა, უფრო სწორად – მაგრად ბილწსიტყვაობს; შოკური თერაპიაც კი ჩაგვიტარა აქ თავისი გამოჩენით, თავიდან... ჩემთვისაც უთქვამს რაღაც უხეშად, მაგრამ კახა ბენდუქიძისგან პირადად მე, შეურაცხყოფილი არასოდეს დავრჩენილვარ. ჩემთვის არ შეუგინებია. ნებისმიერ კითხვაზე მცემს პასუხს. ისიც კი უთქვამს – რა სულელური კითხვა დამისვიო!.. ძალზე მაგარი და ჭკვიანი კაცია. ასეთი ჭკვიანი ბევრი უნდა იყოს ხელისუფლებაში.

— თავისუფალი დრო თუ გრჩება და რას აკეთებ ამ დროს?

— მაქვს თავისუფალი დრო, მაგრამ ადრინდელისგან განსხვავებით, არც ერთ „ტუსოვკაზე" აღარ დავდივარ. მხოლოდ ორი დღის წინ, სრულიად შემთხვევით, დათო გომართელის საღამოზე ვიყავი. თავისუფალი დრო როცა მაქვს, ოჯახში ვარ და ვკითხულობ ან მეგობრებთან ერთად ვარ. ისე, ყველაზე ხშირად, შაბათობით ვარ სახლში. მაგრამ სტუმრებით ჩემს თავს დიდად არ ვანებივრებ, რადგან პატარა ბინა მაქვს და სამ კაცზე მეტი რომ არის, უკვე ყაყანია და მძიმე პარასკევის შემდეგ, შაბათს ჩემს სახლში რომ კიდევ ხმაურია, ვგიჟდები. თანაც, ისეთი ბედი მაქვს, რომ ჩემი მეგობრებიც პოლიტიკაზე იწყებენ საუბარს. აი, ამ რამდენიმე დღის წინაც იყო ასეთი შემთხვევა და ვიყვირე – ახლა გაჩერდით, თორემ გავგიჟდები, არ დამიდგეს აქ „რეაქცია"-მეთქი?!.

— პატარა ბინა რატომ გაქვს? ცნობილია, რომ ახალი და დიდი ბინა შეიძინე...

— კი, ასეა. წელიწად-ნახევრის წინ გამოვიტანე ბანკიდან კრედიტი და ავიშენე ბინა, რომელიც ჯერჯერობით, გასარემონტებელია. კრედიტის დაფარვას ოქტომბერში დავამთავრებ და ალბათ, მერე გადავალ საკუთარ ბინაში. ახლა კი, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ დედაჩემთან ახლოს.

— რაც შეეხება შენს ქალიშვილს, მარიამს: ხომ არ აპირებს, რომ დედის გზას გაჰყვეს?

— არა. ამის სურვილი ადრე გაუჩნდა, მაგრამ მე ჩავუკალი: არ მინდა თქვან, ინგას შვილი რომ არის, ამიტომ გახდა ცნობილიო. თანაც მგონი, ჟურნალისტობის ნიჭი არა აქვს. ახლა 15 წლის არის და ჯერ არ გადაუწყვეტია, სად განაგრძობს სწავლას. ალბათ, მალე ჩამოვყალიბდებით მის მომავალთან დაკავშირებით, თუმცა, რაიმე განსაკუთრებულს არ ვაპირებთ... მაგრამ არც ის იქნება ტრაგედია, თუ ჟურნალისტობას გადაწყვეტს.

— გარეგნულ იმიჯსა და ჩაცმულობაზე მინდა გკითხო: ვარცხნილობაც შეგიცვლია...

— ტრაგედია დამემართა: ზამთრის ტანსაცმელი კარადიდან გადმოვალაგე და შევინახე და ახლა საოცრად მცივა... უფრო ხშირად, კლასიკურად მაცვია, თუმცა ერთი პერიოდი, სულ ჯინსის შარვლითა და ბოტასებით დავდიოდი. იმ დღეს, მომენატრა კიდეც და ჩავიცვი ჯინსი. საქმე ის არის, რომ ძალზე ხშირად მიხდება საქმიან შეხვედრაში მონაწილეობა, ამიტომ იძულებული ვარ, სულ კლასიკურად მეცვას. შეიძლება გავიზარდე და აღარ მიხდება ეს ტინეიჯერული სტილი?.. მე და მარიამს ფეხის ზომაც კი ერთი გვაქვს, ამიტომ ყოველთვის განსხვავებულ ტანსაცმელს ვყიდულობთ და ერთმანეთში ვცვლით ხოლმე. ოღონდ, მითანხმებს ხოლმე – თუ არ გჭირდება, ჩავიცვამო. ისე, მე და მარიამი თანდათან, უფრო და უფრო ვემსგავსებით ერთმანეთს. რაც თმა გავიმუქე, განსაკუთრებით დავემსგავსეთ ერთმანეთს და რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა...

— შენს პირად ცხოვრებაში ხომ არ არის რაიმე სიახლე? როგორც ვიცი, უსიყვარულოდ გიჭირს ხოლმე ცხოვრება...

— არა, სამწუხაროდ, პირად ცხოვრებაში ახალი აბსოლუტურად არაფერია.

— ჭორებზე რა რეაქცია გაქვს?

— ნული. ძალზე ბევრს ჭორაობენ ჩემზე. თავიდან ეს ყველაფერი მაღიზიანებდა, ვგიჟდებოდი, ჩემზე რაიმე ჭორს რომ გავიგებდი. ახლა კი აბსოლუტურად ურეაქციოდ ვხვდები ნებისმიერ ჭორს. იმდენი სისულელე გამიგონია ჩემს თავზე, რომ ანეკდოტივით ვყვები ხოლმე მეგობრებთან, შევეგუე ამ ყველაფერს. კონკრეტულად არ დავასახელებ, მაგრამ ერთ-ერთმა ჭორმა კი არ გამაღიზიანა – გამაოგნა, იმდენად დიდი სისულელე იყო. ჭორებს სერიოზულად რომ მივუდგე, შეიძლება გავგიჟდე, რადგან რეალურს არაფერს ამბობენ. ■

რა „უბედურება ტრიალებს ხელისუფლებაში“ და როგორი შანსები აქვთ „ახლებს“ არჩევნებში

ის მართალია, „ახლებშია“, მაგრამ პოლიტიკაში უკვე „ძველია“. პარადოქსია, მაგრამ „გაუსვრელის“ იმიჯს მყარად ინარჩუნებს. ვითომ კეთილისმსურველებისგან ხშირად გაუგონია — რა დებილი ხარ, მდგომარეობას არ იყენებ, შენს ადგილას რომ ვიყოთო... მაგრამ რა უყოს ცხოვრების წესს, რომელიც აირჩია და რისი გამოისობითაც „მემარჯვენეთა“ უმრავლესობისაგან განსხვავებით, ბევრი ფული არა აქვს...

ნანა ფიცხელაური

— ბოლო დროს, „ახლები“ ერთობ რადიკალურ განცხადებებს აკეთებთ. რას მივაწეროთ თქვენი გააქტიურება?

— ჩვენ ყველა საკითხზე გვქონდა განსხვავებული პოზიცია, რომლის დაფიქსირების შესაძლებლობაც ხან უფრო სრულად გვეძლეოდა, ხან — შეზღუდულად, ხან კი — საერთოდ არ გვქონდა. ყოველ შემთხვევაში, ვიბრძოდით იმისთვის, რომ საზოგადოებას განსხვავებული აზრი გაეგონა. გარკვეული პერიოდი, ხელისუფლებას ვაცალეთ, ვინმეს ჩვენი შეხედულებები თვითმიზნურ დაპირისპირებად რომ არ მოსჩვენებოდა... რევოლუცია მართლაც, ბევრ რყევას იწვევს, ამიტომაც ველოდით, თუ როგორ გაართმევდა ხელისუფლება თავს აღებულ

Nestlé

საქართველოს პერინატოლოგთა და ნეონატოლოგთა ასოციაცია 1998 წლიდან არსებობს და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში ნეონატოლოგიის (ახალშობილთა მედიცინის) განვითარებას ემსახურება. 20 აპრილს კი, შვეიცარიული კომპანია „ნესტლესა“ და სახელმწიფო უწყებების (საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი) მხარდაჭერით ასოციაციამ თბილისში, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, პირველი საერთაშორისო ნუტრიციოლოგიური სემინარი მოაწყო, რომელიც საქართველოში ბავშვთა კვების საკითხებს მიეძღვნა.

ია დავითაია, *საქართველოს პერინატოლოგთა და ნეონატოლოგთა პროფესიული ასოციაციის პრეზიდენტი:*

— პედიატრიაში ყველაზე დიდი პრობლემა, ახალშობილობის ასაკია, ამიტომ ჩვენმა ასოციაციამ მიზნად დაისახა, რომ ექიმების მაღალი პროფესიონალური მომზადების ხარჯზე, განსაკუთრებული მეთვალყურეობა დავაწესოთ დედებზე ორსულობის დროს და ყველა ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა. უდიდესი შვეიცარიული კომპანია „ნესტლე“, რომელიც უკვე არსებობის 140 წელს ითვლის, სისტემატურად ზრუნავს ექიმების განათლების დონის ამაღლებასა და განვითარებაზე. სწორედ ამ კომპანიის დახმარებით მოხერხდა საქართველოში პირველი ასეთი მასშტაბური საერთაშორისო ნუტრიციოლოგიური სემინარის ჩატარება, რისთვისაც კომპანიას დიდ მადლობას მოვახსენებთ. სემინარს ესწრებოდნენ ექიმები საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან. სპეციალურად კონფერენციისათვის მოწვეულ იქნენ შვეიცარიელი ექსპერტები „ნესტლეს“ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს უახლესი მიღწევები და სამეცნიერო კვლევების შედეგები ბავშვთა კვების სფეროში. მოგეხსენებათ, რომ ძუძუთი კვებას ალტერნატივა არ გააჩნია. დედის რძე აუცილებელი ატრიბუტია ბავშვის ჯანსაღი განვითარებისათვის. მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც დედას არ შეუძლია, შვილი ბუნებრივი საკვებით უზრუნველყოს. ასეთ ვითარებაში, ექიმი ვალდებულია, ფლობდეს სრულფასოვან ინფორმაციას ხარისხიანი საკვების შესახებ. „ნესტლეს“ პროდუქცია მაქსიმალურადაა მიახლოებული დედის რძესთან. ამასთან ერთად, კომპანიას აქვს პროდუქციის მრავალფეროვანი ასორტიმენტი, რომელიც დამატებითი საკვების სახით აუცილებელია, მიეცეს ყველა ბავშვს 4-6 თვის ასაკიდან: იქნება ეს ხილის, ბოსტნეულის თუ ბურღულეულის ფაფა, ნატურალური წვენები, ხილ-ბოსტნეულისა და ხორცის პიურეები თუ სხვა. აქვე შემიძლია გითხრათ, რომ კომპანია „ნესტლე“ აწარმოებს საკვებს, რომელიც შეიძლება მიეცეს სხვადასხვა პათოლოგიით დაავადებულ ბავშვებს. ერთი სიტყვით, ეს არის კომპანია, რომელიც აქცენტს ხარისხზე აკეთებს.

ასოციაცია მომავალშიც გეგმავს პროფესიული სემინარებისა და კონფერენციების მოწყობას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მედიცინის სფეროს განვითარებას საქართველოში და საერთაშორისო პროფესიული გამოცდილების გაზიარებას.

R

პასუხისმგებლობას, გვაინტერესებდა – მათთვის მხოლოდ ძალაუფლების ხელში აღება იყო მთავარი თუ ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებების მოხდენა სურდათ. სამწუხაროდ, გამართლდა ის, რასაც რევოლუციამდე, მის ლიდერებზე ვფიქრობდით. როგორც ჩანს, ქართველები მაქსიმალისტები ვართ და საზოგადოებამ ჩათვალა, რომ მისი იმედების რეალიზაციას, რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლება შეძლებდა. სამწუხაროდ, ძალზე სწრაფად მოხდა იმედების მსხვრევა, ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ვვარაუდობდით. დღეს მათგან, ვინც ოპოზიციად მიიჩნევს თავს, დათვური სამსახური იქნება, რომ ხმამაღლა არ ილაპარაკოს იმ უბედურებაზე, რომელიც ჩვენი ხელისუფლების წრეში ტრიალებს და რაც ამის გამო სჭირს ქვეყანას.

— „ახლების“ მთავარი სამიზნე, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილია.

– ოქრუაშვილს პირადად არ ვიცნობ, მის პერსონაზეც ნაკლები წარმოდგენა მაქვს: ის იუსტიციის მინისტრის მოადგილეც იყო და საკრებულოს წევრიც, მაგრამ მაშინ მაინცდამაინც არ ჩანდა. კულუარებიდან ვიცოდით, რომ ყველაზე სანდო ფინანსურ საქმიანობას სააკაშვილი მას ანდობდა – ე.ი. ყოველთვის, მისი ნდობით აღჭურვილი პირი იყო. ახალ ხელისუფლებაში თუკი რაიმე საკვანძო თანამდებობა არსებობდა, ოქრუაშვილმა ყველა შემოიარა. როდესაც გენერალური პროკურორი იყო, ადამიანის უფლებების დაცვაზე ლაპარაკიც არ იყო. გახსოვთ, „ლიმონკების“, იარაღისა და წამლის ჩადებით როგორ ხდებოდა ადამიანთა აყვანა... მან იმთავითვე გამოამჟღავნა თავი, როგორც დესპოტური მმართველობისკენ მიდრეკილმა ადამიანმა, ვისთვისაც ადამიანური უფლებები ფაქტობრივად, არაფერს ნიშნავს. ეჭვმიტანილ ადამიანებს იჭერდნენ და მათ, ოფიციალური გადასახადის გარდა, ათჯერ მეტ ფულს ახდევინებდნენ, ამ თანხებს გაურკვეველ ფონდებში რიცხავდნენ, რომლის შესახებაც სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ... თავდაცვის დაფინანსებისთვის ბარამიძე 120 მილიონს ითხოვდა – მას უარი უთხრეს. ოქრუაშვილს თავდაცვის უწყების დასაფინანსებლად ოფიციალურად ბიუჯეტში 300 მილიონი აქვს. ამის გარდა, 300 მილიონზე ბევრად მეტია არმიის განვითარების ფონდში, სადაც, ვის შეაქვს ფული და ვინ რას ხარჯავს, არავინ იცის. შესაძლოა, საზოგადოებამ ზედმიწევნით არ იცოდეს, თუ რა კონკრეტული ტყვია-წამალი და იარაღი რა დანიშნულებისთვის იყიდება, მაგრამ რა ტენდერები, რა შესყიდვები ტარდება, რომელ ქვეყანასთან შეთანხმების შედეგად ხდება საბრძოლო მასალის შესყიდვა, – ამის თაობაზე საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოფიციალური სტრუქტურების მიერ იარაღით უკანონო ვაჭრობასთან გვექნება საქმე, რაც მთელ მსოფლიოში, ნარკობიზნესთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაულია. ამას წინათ, ჩეხეთის საპარლამენტო დელეგაცია იყო ჩამოსული საქართველოში. სხვათა შორის, იქაური პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ჩვენდა გასაოცრად, ოპოზიციონერი აღმოჩნდა. მათ აგვიხსნეს, რომ სამხედრო სფერო ყველაზე დიდი ხიფათის შემცველია და თუ პარლამენტისა და მთელი საზოგადოებისაგან დიდი კონტროლი და წნეხი არ იქნა, ბევრ სიმახინჯეს შეიძლება გადავეყაროთ, რომელიც ქვეყანას დიდ უბედურებად შემოუტრიალდებაო. აქ კი გვეუბნებიან – ჩუმად, არც კი გაბედო კითხვის დასმაო. თუ დახურული, საბჭოური ან ზოგიერთი აფრიკული ტიპის სახელმწიფო გვინდა, გვქონდეს, მაშინ თავს ნუ მოვიწონებთ იმით, რომ ევროინტეგრაციისკენ მივდივართ.

— თქვენ ოქრუაშვილს კონტრაბანდასთან დაკავშირებითაც შეეხეთ. თუ გაქვთ ხელთ ოფიციალური მტკიცებულებები?

– რა თქმა უნდა. როდესაც კონტრაბანდაზე ვლაპარაკობდით და პარლამენტში ცხინვალის თაობაზე დებატები შედგა, მაშინ ხელისუფლებამ მწვავედ მიიღო ჩვენი მოთხოვნა. რა არ დაგვაბრალეს, ლამის კოკოითის მოკავშირეობაში დაგვდეს ბრალი. ისინი ამბობდნენ – ერგნეთი დავხურეთ და კონტრაბანდა აღვკვეთეთო. ჩვენ კი ვუთხარით, რომ კონტრაბანდა მხოლოდ რიგითი ადამიანებისთვის აღიკვეთა, დანარჩენი – მსხვილი კონტრაბანდული ხაზები ისევ მუშაობენ... არადა, ადგილობრივ სტრუქტურებთან შეუთანხმებლად იქ ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება... მერე იყო ცნობილი სატელეფონო მოსმენები, სკანდალი კონტრაბანდის გაცილება-გამოცილებასთან დაკავშირებით, რასაც სამხარეო მმართველობის მთელი შემადგენლობა გადაჰყვა. ჩვენ რასაც ვამბობდით, ყველაფერი მოგვიანებით დადასტურდა. ჩვენ ქარელის ნათესავების მაღაზიების მისამართებიც კი დავასახელეთ, ჟურნალისტებმა ჩვენ მიერ მითითებულ მისამართებზე კონტრაბანდული საქონელი აღმოაჩინეს და თურმე, ქარელი იდეალური ხელმძღვანელია, კარგად უძღვება საქმეს და მუშაობა უნდა გააგრძელოს... ე.ი. რასთან გვაქვს საქმე? უნდა ვთქვათ, რომ ის ან საერთოდ ვერ აკონტროლებს ვერაფერს და თუ ვერ აკონტროლებს, როგორღა გაჩნდა ამ ტერიტორიაზე მისი ნათესავების მაღაზიები?.. მთელი იქაური სახელისუფლებო ვერტიკალი კონტრაბანდულ ქსელშია ჩაბმული და ირაკლი ოქრუაშვილის გარეშე ქარელი რომ არაფერს წარმოადგენს და მისი მფარველობის გარეშე ამ თანამდებობაზე რომ არ მოიყვანდნენ, ცხადზე უცხადესია...

— რა შანსები აქვთ „მემარჯვენეებს“ და თქვენს ლიდერ მეწარმეს მომავალ არჩევნებში?

– მე და დათო გამყრელიძეს ერთმანეთი ძალიან გვეძვირფასება, ვინაიდან ბევრი ბრძოლა გადაგვიტანია ერთად და ისიც ვიცით, რომ ამ ქვეყანაში მემარჯვენეობა საკმაოდ ძნელად მკვიდრდება. ჩვენი პოლიტიკური ძალა არც პოპულიზმით გამოირჩევა, რომ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, რაღაც კონიუნქტურას აჰყვეს და საზოგადოებას რისი გაგონებაც სურს, აუცილებლად ის ილაპარაკოს. იმავე რევოლუციის პერიოდში, იოლი იქნებოდა, ამათ გვერდით დავმდგარიყავით და მერე განზე გავსულიყავით, მაგრამ ჩვენ საკმაოდ რთული პოზიცია ავირჩიეთ. ამის გამო, ბევრი დაუმსახურებელი ლანძღვა-გინებაც მივიღეთ, მაგრამ პოლიტიკოსის უპირველეს მოვალეობად ის მიმაჩნია, რომ რამენაირად ქვეყანას მოსალოდნელი ხიფათი აარიდოს თავიდან. სამწუხაროდ, ჩვენ სხვა ძალა არ გაგვაჩნდა საამისოდ. როგორც ჩანს, ეს იყო ფატალური რამ, რომ ჩვენს ქვეყანას ამგვარი ხელისუფლება მიეღო... რაც შეეხება პერსპექტივას – რეალისტები ვართ... დათო გამყრელიძე ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, სერიოზული და კეთილშობილი ადამიანია. მეგობარზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ ბოლომდე დათოს გვერდით ვიქნები, იმიტომ, რომ მასში დავინახე ის ღირსება, რაც პოლიტიკაში ყოფნის მთავარ პირობად მიმაჩნია. საზოგადოებისთვისაც, იმედია, ეს ღირებულებები მალე გახდება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პოპულიზმი... იმედი მაქვს, ადგილობრივ არჩევნებში წარმატებას მივაღწევთ. ვფიქრობ, რომ დღეს, ოპოზიციის ყველაზე დაწინაურებული პოლიტიკური ძალა ვართ და უკან დახევას ან არჩეული გზიდან გადახვევას ნამდვილად არ ვაპირებთ.

■

ანზორ აბრალავა: ჩვენ ვაფრთხილებდით... მაგრამ ქართველობა დაიბნა...

პოლიტიკური ცხოვრებისთვის უცხო როდია, პოპულარულ სახეთა რიგის ცვალებადობა. ტელეეკრანებსა და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ლამის ყოველდღე მყოფი ფიგურები მოულოდნელად, ჩრდილში ექცევიან ხოლმე და თავს მოგვანატრებენ კიდეც. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკვეთრი ცვლილებები ხდება, როგორც ეს საქართველოში 2003 წლის ნოემბერში მოხდა.

მათ შორის, ვინც მუდამ აქტიურობითა და საკუთარი პოზიციის დაუფარავი გამოხატვით გამოირჩეოდა და ხშირადაც გამოდიოდა აუდიტორიის წინაშე, ბატონი ანზორ აბრალავა გახლავთ, რომელიც კარგა ხანია, არ გამოჩენილა საზოგადოების წინაშე...

ბელა მალვამვილი

— ბატონო ანზორ, თქვენ საქართველოს პარლამენტის წევრი „აღორძინების“ ბლოკიდან გახდით. ეს მაშინ, როცა „XXI საუკუნის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი იყავით და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ერთგული დამცველი და მიმდევარიც ბრძანდებოდით. როგორ და რატომ მოხდა ასე?

— 1996-97 წლებში, ჩვეულებრივი შეხვედრები შედგა, აწ განსვენებულ ვახტანგ ბოჭორიშვილსა და ასლან აბაშიძეს შორის. ამ შეხვედრებზე მათ ჩამოუყალიბდათ ერთიანი ბლოკის შექმნის იდეა. ჩვენ ვიცოდით, რომ წვრილ პარტიათა გაერთიანება საქართველოს კარგს არაფერს მოუტანდა, საჭირო იყო მსხვილი გაერთიანება. გაერთიანების ჩამოყალიბება თვითმიზანი არ ყოფილა — ჩვენ კარგად ვხედავდით, რომ ის სასიკეთო რაღაცები, რომლებიც ხდებოდა აჭარაში, არ ხდებოდა დანარჩენ საქართველოში. ბევრი კი ერიდება ამ თემაზე საუბარს, მაგრამ მე არც რწმენა შემიცვლია, არც თანამებრძოლები...

— ეი. თქვენ ძალიან კარგად განეწყვეთ პირადად ასლან აბაშიძისა და მისი პოლიტიკისადმი?

— რასაკვირველია. რადგან ერთი თვალის გადავლებითაც აშკარად ჩანდა, თუ როგორი აღმავლობა სუფევდა აჭარაში — კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერებისა თუ საერთო აღმშენებლობის საქმეში. არადა, დანარჩენ საქართველოში სრული სტაგნაცია იყო, არა მარტო ჩემ მიერ ჩამოთვლილ, არამედ — ყველა დარგში. ამიტომაც, ჩვენ, ბატონი ასლანის შემოთავაზება — რომ მასთან ერთად მიგვეღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში, — სიამოვნებით მივიღეთ.

— კონკრეტულად, რით მოგხიბლათ პირადად ასლან აბაშიძემ, როგორც პოლიტიკურმა ლიდერმა?

— იდეალური ამქვეყნად არაფერია. მაგრამ ასლან აბაშიძემ ურთულეს სიტუაციაში მოახერხა ქვეყნის — ანუ თავისი კუთხის მართვა. ეს ყველაფერი ახლა სრულიად სხვაგვარად სურთ, ხალხს მოაჩვენონ. უნდათ, გააუფასურონ ბატონი ასლანის ღვაწლი და უნდათ დაგვანახვონ, რომ აჭარა გაათავისუფლეს. ვისგან გაათავისუფლეს აჭარა?.. სიმართლე თუ გინდათ, აჭარა კი არ გაათავისუფლეს — აჭარა გაყიდეს!..

— მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ასლან აბაშიძე რუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი ბრძანდებოდა და დღენიადაგ თვალი იქითკენ ჰქონდა მიპყრობილი...

— რაში გამოიხატებოდა ასლან აბაშიძის რუსული ორიენტაცია?

— თუნდაც იმაში, რომ მისთვის მძიმე ჟამს, არა სხვა ქვეყანას, არამედ მაინცდამაინც რუსეთს მიაშურა...

— მე ამას სულ სხვაგვარად ავხსნი: აქ პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი კი არ იყო — ეს გახლდათ პოლიტიკური პრაგმატიზმის გამოვლინება: პატარა საქართველო ვერ დაუპირისპირდება ვერც ამერიკის შეერთებულ შტატებს და ვერც რუსეთს. და საერთოდ, დაპირისპირება არ არის ჩვენი პოლიტიკა... ასლან აბაშიძე იყო ქართული ორიენტაციის პოლიტიკოსი. მითხარით, რით არ იყო იგი ქართული ორიენტაციის?.. აი, თითქმის ერთი წელია, რაც ასლან აბაშიძე აქ აღარ არის. მითხარით — რატომ ვერ გაიყვანეს აქამდე აჭარიდან რუსული ჯარები?.. ესენი ვითომ დასავლეთისკენ იხრებიან და პრაქტიკულად, ყველაფერი რუსეთს მიჰყიდეს. რატომ მიჰყიდეს რუსებს მთელი გაზიფიკაციის სისტემა?.. რატომ ჩამოვიდა დილის 4 საათზე, 2003 წლის 23 ნოემბერს იგორ ივანოვი და რატომ ეახლა ააკაშვილს?.. ააკაშვილიცა და მისი გუნდიც რუსეთის მიერ არიან ხელდასხმული. აჭარიდან რუსეთის ჯარის გაყვანა არ იყო აბაშიძის პრეროგატივა, ეს იყო საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივა. თუნდაც ის ფაქტი, რომ რუსეთის ჯარს თითი თითზე არ დაუკარებია ასლან აბაშიძის დასაცავად, განა არ მეტყველებს იმაზე, თუ ვის დაუჭირა მხარი რუსეთმა? რუსეთი ამ შემთხვევაში, ისე მოექცა ასლან აბაშიძეს, როგორც ერეკლე მეორეს — გენერალი ტოტლებენი. რუსეთი კარგად ხედავდა, რომ ასლან აბაშიძე ქართულ საქმეს აკეთებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთს რომ არ ნდომებოდა, აჭარაში ვერ შეიდოდნენ ეს ვითომ რევოლუციონერები... ჩვენ შედეგებით უნდა ვიმსჯელოთ და არა მოარული ხმებით. ფაქტი ერთია: ასლან აბაშიძე ზვიადის ხელისუფლების უკანასკნელი წარმომადგენელი იყო აჭარაში. სწორედ ეს ვერ მოინელეს. არაერთგზის ყოფილა ასლან აბაშიძის ლიკვიდაციის მცდელობა... იცოდეთ, ასლანს შეეძლო, ომი დაეწყო და ეს ომი ჩოლოქთან არ დამთავრდებოდა. მაგრამ ეს იქნებოდა უდიდესი ნგრევის პერიოდი, ამიტომაც მან უდიდესი, გონივრული ნაბიჯი გადადგა და გაერიდა აქაურობას... აი, მე გისვამთ კითხვას: რა გააკეთა ასლან აბაშიძემ ისეთი, რაზედაც არ ფიქრობდა

ზვიად გამსახურდია?.. ზვიადის ოცნება იყო, ქართული სულის, ქართული ადათ-წესების, ქართული ღირსებისა და წარმოების აღორძინება და ასლან აბაშიძე ამ ყველაფერს იქმოდა აჭარაში. ის არ დაჰპირისპირებია ზვიად გამსახურდიას...

— მე ვიცი ასეთი ფაქტი: როდესაც ერევნიდან ზაურ ბედიას თვითმფრინავი აფრინდა და არავინ იცოდა, თუ საით აიღებდა კურსს ეს თვითმფრინავი, ასლან აბაშიძემ ბრძანა, არ მიეღოთ ზვიადის თვითმფრინავი ბათუმის აეროპორტში და თუ ამის მცდელობა მაინც იქნებოდა, ჩამოეგდოთ იგი. ხომ არ ვცდები?

— ნამდვილად ცდებით, რადგან ამგვარი არაფერი მსმენია, პირველად მესმის... სამწუხაროდ, მთელი საქართველო ჭორებსაა აყოლილი და ხანდახან, საკუთარ თავზეც კი გამიგონია გაუგონარი ჭორი.

— თუ გაქვთ პასუხი კითხვაზე: რატომ არ შეიფარა ასლან აბაშიძემ ზვიად გამსახურდია?

— საქმე ასე მარტივად არ იყო: ზვიადს როცა ასე სდევნიდნენ, საქართველოს ტერიტორია მისთვის უსაფრთხო ვერ იქნებოდა. ასლან აბაშიძემ კარგად იცოდა იმ ძალების აგრესიულობის ხარისხი, რომელთაც ზვიადის ხელისუფლების დამხობა განიზრახეს. მოვლენის ასე შეფასება — თითქოს ასლან აბაშიძეს შეეძლო და არ ისურვა, ზვიადის ხელისუფლების ან პირადად მისი დაცვა, არასწორია.

— მაშინ ის მაინც მითხარით, გროზნოში ზვიადის ყოფნისას თუ ჩასულა მასთან აჭარის ლიდერი?

— ამის შესახებ არაფერი ვიცი...

— დავუბრუნდეთ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას. აშკარაა, რომ მოქმედ ხელისუფლებას არ წყალობთ. საინტერესოა, რას უწინასწარმეტყველებთ მას?

— ამ ხელისუფლებას ძალიან ცუდი პერსპექტივა აქვს. ჩვენ ვაფრთხილებდით ხალხს და ამის დასტურია აუარება ჩანაწერი, რომელიც ალბათ, ტელევიზიების ფონდებში ინახება. მაგრამ ქართველობა დაიბნა. ჩვენ ვეუბნებოდით — თქვენ მიიღებთ ახალ შევარდნაძეს, უფრო უარესს — ახალგაზრდა შევარდნაძეს, რომელიც ბევრად უარესი იქნება ძველზე, რადგან ახალგაზრდაა და ბევრად ენერგიულია, — მაგრამ არ დაგვიჯერეს და აი, შედეგიც. ამიტომ, ეს ხელისუფლება თუ თავად არ წავა, ხალხი გარეკავს მას...

■

„სასამართლოზე ვერ მივალ, ჩემი შვილის მკვლელს ვერ შევხედავ“...

შემზარავი მკვლელობა თბილისში

— 24 წლის ახალგაზრდას დანით 5 ჭრილობა მიაყენეს

მოკლული გივიკო აბაიშვილი

რამდენიმე თვის წინ, თბილისში, ნახალოვკაში შემზარავი მკვლელობა მოხდა. ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, 24 წლის გივიკო აბაიშვილი დასისხლიანებული და მომაკვდავი ქუჩაში იპოვეს. მოკლულის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ის მისივე უბნელმა ახალგაზრდებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს და დანით უმოწყალოდ აჩეხეს. სწორედ ასეთ სადიზმზე მეტყველებდა მოკლულის სხეულზე ექსპერტების მიერ დაფიქსირებული 5 შემავალი ჭრილობა, რომელთაგან ერთ-ერთი პირდაპირ გულში იყო მიყენებული. მოსახლეობა დღემდე ამ მუხანათური მკვლელობის არაერთ ვერსიაზე ლაპარაკობს, უბანში გავრცელებული ეჭვები დაუჯერებელ და წარმოუდგენელ სასასტიკეზე მიუთითებს.

მეგი ცანავა

გამოძიება ამ საქმეზე უკვე მეექვსე თვეა, მიმდინარეობს, მაგრამ დანაშაულის მოტივი ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. პროკურატურა მომხდარ მკვლელობაში ჯერჯერობით, მხოლოდ ერთ ადამიანს სდებს ბრალს, თუმცა დაზარალებულის ოჯახის წევრები მის არაერთ თანამონაწილეზე ლაპარაკობენ...

მკვლელობა 2004 წლის 24 ნოემბერს საღამოს, დაახლოებით 8-ის ნახევრისთვის, სტურუას ქუჩაზე მოხდა. გივიკო აბაიშვილი თავის მეგობრებთან ერთად დილიდან ქეიფობდა. როგორც დაზარალებულის — მოკლულის დედის, ქეთინო აბაიშვილის ნაამბობიდან ირკვევა, ახალგაზრდები იმ დღეს, რამდენიმე მეგობარს შინ ესტუმრნენ, თითქმის ყველგან შესვეს სადღეგრძელოები, მათ შორის — ნეფარიძეების ოჯახშიც. ამ ოჯახში გივიკო აბაიშვილის მეზობელი, მასზე რამდენიმე წლით უმცროსი დაჩი ნეფარიძე ცხოვრობდა. მეგობრებმა — ბექა ბახტაძემ და ზვიად სხირტლაძემ ქუჩაში მდებარე ერთ-ერთ სავაჭრო ჯიხურთან შეჩერებულ, ნასვამ გივიკოს დაჩისთან წასვლა შესთავაზეს. ხელკავი გამოსდეს და ნეფარიძეების სახლში შეიყვანეს. ოჯახში, როგორც ირკვევა, სუფრა გაშალა. დაახლოებით ნახევარ საათში, გივიკო აბაიშვილი იმ სახლიდან გავიდა, ქუჩა გადაჭრა და მაშინ, როცა შინისკენ მიმავალმა, მოპირდაპირე ტროტუარზე გადასვლა დააპირა, მოულოდნელად მოცელილივით დაეცა ასფალტზე... დავარდნილი გივიკო ქუჩაში შემთხვევით გამვლელმა უცნობმა ახალგაზრდამ შენიშნა. იფიქრა, ალბათ, ნასვამია და სიარულის თავი აღარ აქვს ან მოულოდნელად ცუდად გახდაო და მაშინვე მისკენ გაემართა საშველად. იმის გამო, რომ გივიკო მანქანების სავალ გზაზე იწვა, უცნობი ტროტუარზე მის გადაყვანას შეეცადა. გადაყვანა კიდეც და როდესაც მკლავები გაითავისუფლა და ხელებზე დაიხედა, ნახა, რომ ისინი მთლად გასისხლიანებოდა. უცნობი მიხვდა, რომ ახალგაზრდა ბიჭი მძიმედ დაეჭრათ. „მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. როცა მივუახლოვდი და ვკითხე — ძმაო, რა გჭირს, რა დაგემართა-მეთქი? — არ მიპასუხა, ერთი შემომხედა და მეტი არაფერი. როცა შევნიშნე, რომ ხელები სისხლიანი მქონდა, ყვირილი დავიწყე — ბიჭია დაჭრილი, ხალხო, მიშველეთ, მოკვდება-მეთქი!.. ყვირილზე მართლაც, მოგროვდა ხალხი და „სასწრაფო დახმარებას“ გამოუძახეს“. — ასე მოუთხრო მომხდარის შესახებ უცნობმა ახალგაზრდამ სამართალდამცავებს. მის ვინაობას (ისევე, როგორც სხვა მოწმეების სახელებს და გვარებს), გამოძიების დასრულებამდე, შეგნებულად არ ვაფიქსირებთ. ამ მოწმის თქმით, იმ დროს, ქუჩაში მას

საეჭვო არავინ შეუნიშნავს, თუმცა, დაზარალებული აღნიშნავს, რომ მკვლელობის ერთ-ერთი თანამონაწილე წაქცეულ გივიკო აბაიშვილთან მივიდა, პულსი გაუსინჯა და თქვა – უკვე მკვდარიაო, – უცნობს კი მიუბრუნდა და უთხრა – რა გაყვირებსო?.. დაზარალებული ამბობს, რომ ყოველივე ამის შესახებ ზემოთ ხსენებული მოწმის ნაამბობიდან იცის. ,,იმ დროისთვის, როცა ქუჩაში ხალხი მოგროვდა, სავარაუდოდ, დამნაშავეები უკვე გაქცეულები და მიმალულები იყვნენ", – *აცხადებს დაზარალებული. გივიკო აბაიშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა აღნიშნეს, მისი სიკვდილის უშუალო მიზეზი, გულმკერდის არეში მიყენებული ჭრილობა გახლდათ. დანარჩენი ოთხი ჭრილობა მოკლულის სხეულის სხვადასხვა ადგილზე დააფიქსირეს, მათგან ორი – ზურგში, რომელთა შედეგადაც დაზიანებული იყო ფილტვი და თირკმელი. ამ ეტაპზე, არსებული ჩვენებები ცხადყოფს, რომ აბაიშვილი ნეფარიძეების სახლში დაჭრეს, თუმცა თავდაპირველად, განსხვავებული ვერსიები ვრცელდებოდა. ამბობდნენ, თითქოს, გივიკო აბაიშვილი სულ სხვა ადგილზე დაჭრეს სასიკვდილოდ და ამის შემდეგ, უგონო მდგომარეობაში მყოფი, მის საცხოვრებელ ქუჩაზე დააგდეს და მიატოვეს. ზოგი იმასაც ამბობდა, თითქოს მძიმედ დაჭრილი, თავად დამნაშავეებმა და ნეფარიძეების ოჯახის წევრებმა გამოიყვანეს სახლიდან და კვალის დაფარვის მიზნით, ოდნავ მოშორებით მდებარე ქუჩაზე დააწვინეს, ისეთი შთაბეჭდილების შესაქმნელად, თითქოს მათი ოჯახიდან გასულმა, მთვრალმა აბაიშვილმა სულ სხვა პიროვნებებთან იჩხუბა და ამ დროს დაიჭრა... ამ ვერსიას დღეს, თავად დაზარალებული უარყოფს. მომხდარის შესახებ მოკლულის დედა –* ***ქეთინო აბაიშვილი*** *გვიამბობს:*

,,ეს უბედურება გიორგობის მეორე დღეს დაგვატყდა თავს. წინადღეს – 23 ნოემბერს, ჩემი შვილი მეგობრებთან ერთად ქეიფობდა. ძმაკაცებმა ერთად აღნიშნეს ეს დღესასწაული და გივიკოც შინ ძალიან კარგ გუნებაზე დაბრუნდა. მისთვის არანაირი გაღიზიანება ან აფორიაქება არ შეგვინიშნავს, პირიქით, ეტყობოდა, რომ მთელი დღე კარგ განწყობილებაზე იყო. საერთოდ, ბუნებით მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი გახლდათ. უაღრესად კეთილშობილი და პატიოსანი იყო. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი შვილი იყო, ამ სიტყვებს ყველა მისი მეგობარი თუ ნაცნობი დაგიდასტურებთ. უბანში გივიკოს ყველა დადებითად ახასიათებდა და ამით მეც ყოველთვის ამაყი და მშვიდი ვიყავი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რამ გივიკოს დაემართებოდა. სამეგობრო წრეც ძალიან კარგი ჰქონდა. შორს იყვნენ ხულიგნობისგან, ქურდობისგან, ნარკოტიკებისგან... ასეთი რამ ჩემს შვილს არასდროს აინტერესებდა, პირიქით, ახალგაზრდების ასეთი საქციელი აღიზიანებდა და თუკი უბანში მსგავს ქმედებაში ვინმეს შეამჩნევდა, ყოველთვის საყვედურობდა და ჭკუას არიგებდა მას. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა უბნის ახალგაზრდებს დასახმარებლად მიუმართავთ გივიკოსთვის. შესჩივლებდნენ, რომ უსამართლოდ მოექცნენ ან დაუმსახურებლად და უმიზეზოდ სცემეს და ჩემი შვილიც მაშინვე მათ დასახმარებლად და მომხდარის გასარკვევად მიდიოდა. ძალიან გულისხმიერი იყო და სხვის პრობლემას გულგრილად ვერასდროს უყურებდა. თავად მას კი, აი, როგორ მოექცნენ! ვერ გამიგია, რით დაიმსახურა ჩემმა შვილმა ასეთი სასტიკი სასჯელი, რისთვის მომიკლეს? სხვისთვის მისხლისოდენა ცუდი არასოდეს გაუკეთებია, არაფერი დაუშავებია. ასე უმოწყალოდ, სასიკვდილოდ როგორ გაწირეს?!.

24 ნოემბერს, გივიკო შინიდან დაახლოებით პირველი საათისთვის გავიდა. რადგან გიორგობის მეორე დღე იყო, მეგობრებთან ერთად ქეიფი გააგრძელა. როგორც ვიცი, მეგობრის, ვახო მაჭარაშვილის ოჯახში დალია. საღამო ხანს, იქიდან ოჯახის წევრებს გამოუცილებიათ და გივიკო შინისკენ მარტო წამოსულა. ქუჩაში ჯიხურთან შეყოვნებულა. იქ გამოუვლიათ ბექა ბახტაძესა და ზვიად სხირტლაძეს და სწორედ მათ შეუყვანიათ ჩემი შვილი დაჩი ნეფარიძესთან. მინდა აღვნიშნო, რომ დაჩისთან გივიკო არასდროს მეგობრობდა. ნეფარიძე, ისევე, როგორც ბახტაძე და სხირტლაძე, ჩემს შვილზე უმცროსები იყვნენ – 19-20 წლის ახალგაზრდები არიან. ამას გარდა, გივიკოს არც მათი ცხოვრების წესი მოსწონდა, განსაკუთრებით – დაჩი ნეფარიძის, რომელიც მოსახლეობის და სამართალდამცავების მიერ არაერთხელ გახლდათ სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში შემჩნეული. მაგალითად, ცნობილია, რომ ნეფარიძე და სხირტლაძე ერთ-ერთი ქურდობის საქმეში იყვნენ გარეულები, თუმცა მაშინ ციხეს ასცდნენ, რადგან, როგორც ამბობენ, დანაშაული მათმა ერთმა მეგობარმა – გვარად მაღრაძემ აიღო საკუთარ თავზე. ყოველივე ამის გამო, გივიკო არც დაჩი ნეფარიძესთან და არც მის მეგობრებთან არ ახლობლობდა, თუმცა, როგორც ვიცი, არც კონფლიქტი ჰქონია მათთან ოდესმე. ნეფარიძეების ოჯახში არაერთხელ გახლდათ ჩემი შვილი ნამყოფი, მაგრამ ამის მიზეზი, დაჩი არასდროს ყოფილა. გივიკო და დაჩის და კლასელები იყვნენ, ამას გარდა, ჩემს შვილს მათ მამასთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ამის გამო, არაერთხელ ყოფილა სტუმრად მათ სახლში. თუმცა, 24 ნოემბერს ნეფარიძეების ოჯახში საქეიფოდ, არა მგონია, გივიკო თავისი ნებით წასულიყო. ვეჭვობ, რომ ბახტაძემ და სხირტლაძემ იმ სახლში ის გამიზნულად შეიყვანეს. ამაზე ბევრი ფაქტი მეტყველებს. ნეფარიძეებთან სუფრა მარანში ყოფილა გაშლილი. სახლში იმ დროს, დაჩის დედაც გახლდათ თურმე. სავარაუდოდ, ბახტაძის, სხირტლაძის, ნეფარიძისა და ჩემი შვილის გარდა, იქ კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა – ნეფარიძის ძმაკაცებიც უნდა ყოფილიყვნენ: როგორც მითხრეს, მაღრაძე, გაგლოშვილი, ჩიღვინიძე, ლებანიძე და ჭიაბერი. თუმცა, რატომღაც დღესდღეობით, მხოლოდ ნეფარიძის, ბახტაძისა და სხირტლაძის გვარები იკვეთება. სამწუხაროდ, ზემოთ ხსენებული პირებით ჯერჯერობით არც გამოძიება ინტერესდება, არადა, საფუძვლიანი ეჭვი არსებობს იმისა, რომ დანაშაულთან მათაც აქვთ კავშირი. ამბობენ, რომ სუფრასთან ახალგაზრდებს შელაპარაკება მოუხდათ, რა დროსაც გივიკომ დაჩის შეაგინა. სწორედ ამით განაწყენებულმა დაჩი ნეფარიძემ მას ჩხუბი დაუწყო და დანით დაჭრა ჩემი შვილი. ეს ვერსია ნაკლებად სარწმუნოდ მიმაჩნია, რადგან ნეფარიძეების სახლიდან ხმამაღალი ყვირილი, გინება ან რაიმე შეძახილი, რომელიც ჩხუბზე მიუთითებდა, არავის გაუგონია. ასე ჩუმად ჩხუბი როგორ მოხდა?.. თანაც, გამოდის, ნეფარიძე სანადირო დანით ჩემს შვილს სხეულის სხვადასხვა ადგილზე სასიკვდილო ჭრილობებს აყენებდა, დანარჩენები კი, ამ ყველაფერს რეაქციის გარეშე უყურებდნენ?.. აღსანიშნავია ისიც, რომ გივიკო, დაჩი ნეფარიძეზე გაცილებით ძლიერი გახლდათ ფიზიკურად, ისინი აღნაგობით ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან და მხოლოდ დაჩი ვერაფრით მოერეოდა ჩემს შვილს, თუნდაც – ნასვამს. სხვათა შორის, გამოძიებით დადგინდა ისიც, რომ ნეფარიძე იმ დროს, სრულიად ფხიზელი გახლდათ. ყოველივე აქედან გამომდინარე, ცხადია, მკვლელობაში იქ მყოფმა პირებმაც მიიღეს მონაწილეობა. მით უმეტეს, რომ ექსპერტები სავარაუდოდ, ორ ან სამ დანაზე ლაპარაკობდნენ. გამოძიების მერე კი, ეს საკითხი დღემდე ბუნდოვანი რჩება. არც ის არის გარკვეული, ზუსტად რა ვითარებაში მოხდა მკვლელობა, ან რამდენი კაცი ურტყამდა დანას ჩემს შვილს, ან როგორ გაითავისუფლა გივიკომ მათგან თავი, რადგან არსებობს მოწმე, რომელ-

მაც დაინახა, თუ როგორ გავიდა ჩემი შვილი ნეფარიძეების სახლიდან, გაიარა გარკვეული მანძილი და მხოლოდ ამის შემდეგ დავარდა მიწაზე უგონოდ. ეს კითხვები დღემდე უპასუხოდ რჩება, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება უკვე რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს. თავდაპირველად, სრული განუკითხაობა იყო. მთავარი ეჭვმიტანილი – დაჩი ნეფარიძე ოთხი თვის განმავლობაში იმალებოდა თბილისში, თავისი ნათესავის ოჯახში. მთელი ამ ხნის მანძილზე ვერ მოახერხეს სამართალდამცავებმა მისი დაკავება. თუმცა ვფიქრობ, რომ განგებ იკავებდნენ თავს. მკვლელი თბილისში იყო და არ შეიძლება, ამის შესახებ არ სცოდნოდათ ან ასე გასჭირვებოდათ მისი პოვნა. შედეგი იმან გამოიღო, რომ ბოლომდე ვიბრძოლეთ და ფარ-ხმალი არ დავყარეთ. ბოლოს და ბოლოს, დააკავეს ნეფარიძე ფონიჭალაში, დილის 5 საათზე. როგორც მითხრეს, პროკურატურამ სხირტლაძეზეც გამოაცხადა ძებნა, მაგრამ ის დღემდე იმალება. რაც შეეხება ბახტაძეს, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. ბახტაძემ გამოძიებას ჩვენება მისცა და განაცხადა – ჩხუბს არ შევსწრებივარ, რადგან, საპირფარეშოში გავედი და როცა იქიდან დავბრუნდი, დავინახე, თუ როგორ ურტყამდა დაჩი, გივიკოს დანასო. შესაძლოა, უშუალოდ მკვლელობაში მას მართლაც არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დანაშაულის მოტივის შესახებ მან მეტი იცის. დაუჯერებელია, მხოლოდ გინების გამო მომხდარიყო ასეთი სასტიკი მკვლელობა. საგულისხმოა ისიც, რომ შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას, ნეფარიძეების მარანში სუფრა ალაგებული, დაღვრილი სისხლი კი – მოწმენდილი დახვდა. ფაქტია, დანაშაულის კვალის წაშლას შეეცადნენ, მნიშვნელოვანი მტკიცებულებებიც გააქრეს და ამაში უშუალო მონაწილეობა მიიღო დაჩი ნეფარიძის დედამ. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ მან გაცილებით მეტი იცის მომხდარის შესახებ. საეჭვოა ისიც, რომ იმ პერიოდში, ნეფარიძეების სახლში მდგმურები ცხოვრობდნენ. მკვლელობის მეორე დღეს კი, მათ იქაურობა დატოვეს და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდნენ. ცხადია, ეს ნეფარიძეების თხოვნით გააკეთეს, ალბათ იმიტომ, რომ რაღაც დაინახეს. მოგვიანებით, ისინი სამართალდამცავებმა დაჰკითხეს. გვითხრეს კიდეც – ეს საქმე ორმა ქალმა გახსნაო. ვფიქრობ, ისინი სწორედ ის მდგმურები იყვნენ. თუმცა, ამდენი დაკითხვისა და ჩვენების მიუხედავად, ჩემთვის დღემდე გაუგებარია ამ უბედურების მიზეზი და სწორედ ამის გარკვევას მოვითხოვ გამოძიებისგან".

დაკავებულ დაჩი ნეფარიძეს პროკურატურამ ბრალი 108-ე – განზრახ მკვლელობის მუხლით წაუყენა. ნეფარიძემ თავი დამნაშავედ არ ცნო და სამართალდამცავებს განუცხადა, რომ დეტალურ ჩვენებას მომხდართან დაკავშირებით მხოლოდ სასამართლოს მისცემს. სასამართლო პროცესზე გამოცხადებას კი, მოკლულის დედა არ აპირებს. „სასამართლოში ვერ მივალ, ჩემი შვილის მკვლელს ვერ შევხედავ", – *გვითხრა მან საუბრისას.*

თემურ გოქსაძე, *ბრალდებულის ადვოკატი:*

„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თავს დამნაშავედ არ ცნობს. კატეგორიულად უარყოფს პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებას და დუმილის უფლებას იყენებს. არც იმ ინფორმაციას ვადასტურებ, თითქოს ის ოთხი თვის განმავლობაში იმალებოდა. დაჩი ნეფარიძემ არ იცოდა, თუ ის პოლიციის მიერ იძებნებოდა. სწორედ აქედან გამომდინარე, მე მისი დაკავების საკითხსაც სადავოდ ვხდი. რაც შეეხება დაზარალებული მხარის ვერსიას მკვლელობასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნო, რომ სიმართლეს არ შეესაბამება. არც ბახტაძე და არც სხირტლაძე, დაჩი ნეფარიძეს დანაშაულში ხელს არ ადებენ. ბახტაძე თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ხელის მოქნევა დაინახა, მაგრამ უშუალოდ ვინ მოიქნია, ვერ დაინახა, რადგან ბნელოდა. რაც შეეხება სხირტლაძეს, მის მიმართ პროკურატურას არც სისხლის სამართლის საქმე აღუძრავს და არც ძებნა გამოუცხადებია მასზე. ან რატომ უნდა იძებნებოდეს? ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს. სხირტლაძე, ისევე, როგორც ბახტაძე, უბრალოდ, შემთხვევის თვითმხილველია და ის გამოძიების მიერ დაიკითხა კიდეც. სწორედ სხირტლაძემ მისცა დეტალური ჩვენება სამართალდამცავებს იმის შესახებ, რაც ნეფარიძეების ოჯახში მოხდა. მან აღწერა, თუ რაოდენ თავშეუკავებულად მოიქცა აწ გარდაცვლილი, ოჯახში გაშლილ სუფრასთან. კერძოდ, ყველას გასაგონად, ხმამაღლა აღნიშნა – ეს რა სუფრა გაქვთო! – და შემდეგ, დაჩი ნეფარიძის, დედისა და დის მისამართით გინება დაიწყო. სხიტლაძე ჩვენებაში იმ შეურაცხმყოფელ სიტყვებსაც აფიქსირებს. ამ ჩვენებიდან ნათლად ჩანს, რომ გარდაცვლილის მხრიდან, ადგილი ჰქონდა არა მარტო სიტყვიერ, არამედ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც. საქმეში არსებული მოწმეთა ჩვენებები ცხადყოფს, რომ მან დაჩი ნეფარიძის მამაკაცური ღირსება შელახა და ყოველივე ამან გამოიწვია ჩხუბი. აღსანიშნავია ისიც, რომ საქმის მასალების მიხედვით, პირველი, სწორედ აბაიშვილი გაიწია დანით ხელში ნეფარიძისკენ. დანა იმ დღეს, მას თან ჰქონდა და სწორედ აბაიშვილის დანაა ამოღებული შემთხვევის ადგილიდან. ექსპერტიზის დასკვნას ჯერ არ გავცნობივართ, მაგრამ სავარაუდოდ, ჭრილობები აწ გარდაცვლილს სხეულზე მისივე დანით აქვს მიყენებული. ყოველივე აქედან გამომდინარე, დაჩი ნეფარიძის მხრიდან განზრახ მკვლელობის ჩადენა გამოირიცხება, სხვა მოწმეების ჩვენებებიდან და საქმის მასალებიდან ჩანს, რომ საქმე გვაქვს აუცილებელ მოგერიებასთან".

ბრალდებულის ადვოკატმა დანაშაულში სხვა პირების თანამონაწილეობის შესახებ ვერსიაც კატეგორიულად უარყო. „საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ნეფარიძეების ოჯახში იმ დროს, ბახტაძე, სხირტლაძე, აბაიშვილი და თავად ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ. ბახტაძესა და სხირტლაძეს დანაშაულში მონაწილეობა არ მიუღიათ, სხვა ახალგაზრდების გვარები კი საქმეში არ ფიგურირებს."

მოკლულის დედა – ქეთინო აბაიშვილი კატეგორიულად უარყოფს შემთხვევის ადგილიდან მისი შვილის კუთვნილი დანის ამოღების ფაქტს. „არ არსებობს მოწმე, რომელიც ადასტურებდეს იმ ფაქტს, რომ ის დანა გივიკოსი იყო. ბრალდებულის მხარე ყველაფერს იგონებს ახლა იმისათვის, რომ როგორმე პასუხისმგებლობა აიცილოს თავიდან. ჩემს შვილს დანა არასდროს უტარებია და მით უმეტეს იმ დღეს, ნამდვილად ვიცი, რომ მას ჯიბეში არანაირი იარაღი არ ჰქონდა. ადვოკატს ღმერთის უნდა ეშინოდეს მაშინ, როცა ამას ამბობს და დამნაშავეს იცავს".

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურაშია აღძრული. ოფიციალური მონაცემებით, დაჩი ნეფარიძე ადრე ნასამართლევი არ გახლდათ. ბრალდებულის მხარე კატეგორიულად უარყოფს მის კრიმინალურ წარსულს. გამომძიებელი, სანდრო ფოცხვერაშვილი ამ ეტაპზე, კომენტარისგან თავს იკავებს. როგორც ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, მიმდინარეობს გამოძიება და ამდენად, დეტალების დაფიქსირება მიზანშეწონილად არ მიაჩნია. რაც შეეხება ბრალდებულის მხარეს, როგორც ადვოკატის პოზიციიდან იკვეთება, ის იბრძოლებს იმისთვის, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს, განზრახ მკვლელობის ბრალდება მოუხსნან. ის, თუ რამდენად ლოგიკურია, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ადამიანისთვის 5 მძიმე ჭრილობის მიყენება, ამას ალბათ, სასამართლო გაარკვევს.

■

„ვაიმეო, – ჩაიკეცა და მივხვდი, რომ დავჭერი“

მკვლელობაში ბრალდებული რაიონულმა სასამართლომ გაამართლა, პალატამ კი საქმე ძიებას დაუბრუნა

მეგი ცანავა

გორის რაიონულმა სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდებული დ. ერემაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. პროკურატურა განსასჯელს უახლოესი მეგობრის განზრახ მკვლელობაში სდებდა ბრალს და აღნიშნავდა, რომ დანაშაული მან შურისძიების მოტივით ჩაიდინა. აღსანიშნავია, რომ ერემაძე დანაშაულის ჩადენის დროს არასრულწლოვანი გახლდათ. საქმის მასალების განხილვის შემდეგ, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსასჯელმა მკვლელობა წინასწარი განზრახვით კი არა, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა. შესაბამისად, წარდგენილ ბრალდებაში ერემაძე გაამართლეს და ის პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. ამ განაჩენმა პროკურატურისა და დაზარალებული მხარის აღშფოთება გამოიწვია. უკმაყოფილო მხარემ საჩივრით ჯერ თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატას, შემდეგ კი უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას მიმართა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, დანაშული შემდეგ ვითარებაში მოხდა: 2001 წლის 17 მარტს, საღამოს, დაახლოებით 9 საათისთვის, გორში, დ. აღმაშენებლისა და ქეთევან წამებულის ქუჩების გადაკვეთაზე, არასრულწლოვანი ერემაძე და მისი მეგობარი – სრულწლოვანი გ. ჯოხაძე ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და ეხუმრებოდნენ. როგორც გაირკვა, ისინი ხუმრობით ერთმანეთს უცენზურო სიტყვებით მიმართავდნენ. ასეთი ხუმრობა კი საბედისწერო აღმოჩნდა. ყოველივე ამან მათ შორის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია, რაც ჯერ ურთიერთშელაპარაკებაში, შემდეგ კი ჩხუბსა და ჭიდაობაში გადაიზარდა. პროკურატურის ინფორმაციით, ჩხუბის დროს ერემაძემ და ჯოხაძემ დანები გამოიყენეს და ერთმანეთს სხეულზე დაზიანებები მიაყენეს. კერძოდ, ერემაძემ ჯოხაძეს „ბაბოჩკა“ დანით, ორი ჭრილობა – ბეჭის არეში და ორიც ნიკაპზე მიაყენა. ჯოხაძემ კი მას საფეთქელსა და ბარძაყის არეში მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანებები.

ამ ჩხუბს, საქმის მასალების მიხედვით, მათი მეგობარი – არასრულწლოვანი გ. ყველაშვილი შეესწრო. მან მოჩხუბრები გააშველა, მაგრამ სამწუხაროდ, ერემაძისა და ჯოხაძის უთანხმოება ამით არ დასრულებულა. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ჯოხაძის მიერ მიყენებული დაზიანებებით განაწყენებულმა და გაღიზიანებულმა ერემაძემ შურისძიება გადაწყვიტა და მეგობრის მოკვლა განიზრახა. თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ის ჯოხაძესთან მივიდა და ე.წ. „ბაბოჩკა“ დანით გულმკერდის არეში დაჭრა იგი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. ის ქვევიდან ზევით დარტყმის შედეგად იყო მიყენებული, შედეგად დაზიანებული გახლდათ გულის მარცხენა პარკუჭი, რამაც მწვავე სისხლნაკლებობა გამოიწვია.

პროკურატურის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ერემაძე დარწმუნდა, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა, დანაშაულის იარაღი – დანა შემთხვევის ადგილთან ახლოს მცხოვრები – ქოქოშვილის საცხოვრებელ ბინაში გადამალა, თავად კი მიიმალა.

სამართალდამცავების მიერ დაკავებულმა ერემაძემ განზრახ მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ ცნო და განაცხადა, რომ დანაშაული მან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა. ჯერ კიდევ ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, მან აღნიშნა:

„ჩვენ დავიწყეთ ერთმანეთში ხუმრობით საუბარი, რა დროსაც ცუდი სიტყვებით მივმართავდით ერთიმეორეს – ზუსტად რა სიტყვებს ვამბობდით, არ მახსოვს. ისე, ერთმანეთისთვის არ შეგვიგინებია. ჩვენი ხუმრობა თანდათან სერიოზულ საუბარში გადაიზარდა, ჭიდაობა და ჩხუბი დავიწყეთ, მაგრამ ერთმანეთისთვის ხელი არ გაგვირტყამს. არ წავქცეულვართ. ამ ჭიდაობა-ჩხუბში უცებ თავში, მარცხენა მხარეს, შუბლში რაღაც მაგარი საგანი მომხვდა და მეტკინა. თუ რა საგანი იყო, ვერ შევამჩნიე. იგი ჯოხაძემ დამარტყა, თუმცა მე დარტყმის მომენტი არ დამინახავს, რადგან ბნელოდა. სხვა კი ჩვენ გვერდით იქ არავინ იყო. აქვე, ადვოკატის კითხვაზე გიპასუხებთ, რომ სისხლი წამომვიდა თუ არა, მაშინვე არ შემომჩნევია. ამ დროს მე ჯიბეში მქონდა ე.წ. „ბაბოჩკა“ დანა, რომელიც ამოვიღე, გავხსენი და ჯოხაძისკენ გავიქნიე. მოხვდა თუ არა დანა, ვერ ვიგრძენი. ჯოხაძემ ყვირილი დაიწყო – ვაიმეო, და თან ჩაიკეცა. მივხვდი, რომ დავჭერი!..“

ანალოგიური ჩვენება მისცა ერემაძემ სამართალდამცავებს ბრალდებულის სახით დაკითხვისას. როგორც ჩანს, რაიონულმა სასამართლომ მთლიანად გაიზიარა ერემაძის სიტყვები. გამამართლებელი განაჩენი არც თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ შეცვალა. თუმცა, სულ სხვა რამ მოხდა უზენაეს სასამართლოში გამართულ სხდომაზე. დაზარალებული მხარე საკასაციო საჩივრით განაჩენის გაუქმებასა და საქმის ხელახალ სასამართლო განხილვას მოითხოვდა. მხარის განცხადებით, რაიონულმა, ისევე როგორც საოლქო სასამართლომ, არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მასალებს და უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. განაჩენს უკანონოს უწოდებდა პროკურატურაც. პროკურატურის წარმომადგენლის მტკიცებით, ჯოხაძე ერემაძეს თავს არ დასხმია და აქედან გამომდინარე, ის ვერ იქნებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. დაზარალებულის მხარე კი აღნიშნავდა, რომ საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ სხდომაზე დანაშაულის უშუალო მოწმე არ დაჰკითხა და ისე, ყოვლად დაუსაბუთებლად დატოვა ძალაში გამამართლებელი განაჩენი.

საკასაციო პალატამ კი ერთ მნიშვნელოვან გარემოებას გაუსვა ხაზი. როგორც გაირკვა, ერემაძემ ბრალდებულის სახით დაკითხვის შემდეგ, გარკვეულწილად შეცვალა ჩვენებები. პალატის მოსამართლეების თქმით, სასამართლოს დეტალურად უნდა გამოეკვლია ჩვენებებში დაფიქსირებული წინააღმდეგობები და ასევე, გამოძიებისას მოპოვებული ყველა მტკიცებულება. მოსამართლეებმა აღნიშნეს ისიც, რომ რაიონულმა და საოლქო სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ერთი გარემოება: აუცილებელი მოგერიების დროს, ერთი მხრივ, ხორციელდება თავდასხმა, ხოლო მეორე მხრივ – თავდაცვა. საქმის მასალების მიხედვით კი, ჯოხაძესა და ერემაძეს შორის ყოველთვის კარგი ურთიერთობა იყო და არავითარი საფუძველი არ არსებობდა იმისა, რომ ჯოხაძე მეგობარს თავს დასხმოდა. პალატის აზრით, დანაშაულის დეტალები სრულყოფილად გამოკვლეული არ იყო და სწორედ ამ მოტივით, საქმე კვლავ საოლქო სასამართლოს, თუმცა, სხვა შემადგენლობას დაუბრუნა. ■

მოჭიდავე, კარატისტი, ძიუდოისტი ელა გიგილაშვილი საკმაოდ მაღალი, თხელი ტანის გოგონაა, რომელსაც ცეკვა უფრო მოუხდებოდა, ვიდრე სპორტი, მაგრამ ფინანსების უქონლობამ მხოლოდ იმის შესაძლებლობა მისცა — სპორტში მოეძებნა თავისი ადგილი. ერთი შეხედვით ნაზ არსებაში, საოცარი ძალა იმალება. მასში, ხშირად კაცური „ზამაშკები“ იჩენს თავს. იგი არ ენდობა სუსტი სქესის წარმომადგენლებს. სამაგიეროდ, უამრავი ძმაკაცი ჰყავს. „სიყვარული არ გამომიცდია. ალბათ, იგი 40-45 წლის ასაკში მეწვევა. მანამდე კი, ამისათვის არ მცალია“, — განაცხადა ელამ, რომელსაც სითბო და სიყვარული შვილმა ასწავლა.

ქალი, რომელიც ყოველთვის იბრძვის...

და უხარია, რომ იშვიათად, მაგრამ

მაინც ქალს ჰგავს

ლიკა ქაჯაია

— ბავშვობაში, როცა სხვები თოჯინებით თამაშობდნენ, მე ფეხბურთს, ჩოგბურთს, ავტომატს ვანიჭებდი უპირატესობას. ძალიან მომწონდა ჩხუბი, ბრძოლა. საოცრად ცელქი ვიყავი. ყველანაირი ნიჭი მქონდა — მუსიკის, ცეკვის, სწავლის. ჩემს ოჯახს ფინანსები რომ ჰქონოდა, უმაღლეს სასწავლებელს დავამთავრები და პარალელურად ვიცეკვებდი კიდეც, მაგრამ რას იზამ — სპორტს გავყევი და კარატისტი გავხდი.

— კარატეს რომელ სახეობას მისდევდი?

— კარატე-დოს და ჯიუ-ჯიცუს. ერთი პერიოდი — როცა გავთხოვდი, სპორტს თავი დავანებე. მაგრამ მერე მეუღლეს გავეყარე და ვარჯიშიც განვაგრძე.

— როგორც ვიცი, კარატეში მილწევები გაქვთ, მაგრამ ჭიდაობა არჩიეთ...

— საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი ვარ კარატეში. სპორტის ამ სახეობაში, დაფინანსება არ იყო და ამიტომ ნაკლები პერსპექტივა ჩანდა. 2002 წელს, როცა კარატეში ბოლო ტურნირი მოვიგე, მოჭიდავეები გავიცანი, რომლებმაც თავიანთი მწვრთნელი — კობა ლოჩოშვილი გამაცნეს და მითხრეს: საქართველოში ერთადერთი მოჭიდავე გოგონა იქნები, პერსპექტივაც მეტი გექნებაო. სიმართლე გითხრათ, თავიდან ჭიდაობას ვერ ვიტანდი, მაგრამ მერე შემიყვარდა. ისე შემიყვარდა, რომ სადაც კი მოჭიდავეს მოვიხელთებ, ვეჭიდავები ხოლმე *(იცინის)*... რა თქმა უნდა, ვიხუმრე. სინამდვილეში კი, ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა ერთი დიდი ოჯახი: შევიძინე მეგობრები, ძმაკაცები.

— როგორ ფიქრობთ — ჭიდაობაში წარმატებას მიაღწევთ?

— ვფიქრობ — კი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მეტოქე ქალი არ მყავს, შეჯიბრებებზე ვერ გავდივარ. როგორც ჩემმა მწვრთნელმა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, გია გალდავამ მითხრა, ქალთა ჭიდაობა საქართველოში ჯერჯერობით არ არის ისე განვითარებული. იგი არაკანონიერად იარსებებს მანამ, სანამ 80 ქალი მაინც არ შეიკრიბება. მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოყალიბდება ქალთა ჭიდაობის ფედერაცია ან ნაკრები. მე ჯერ არ მინახავს ჩემი სტილის გოგო, მაგრამ თუ ასეთი 80 გოგო შეიკრიბება, წარმოიდგინეთ, რა მოხდება *(იცინის)*!..

— და მანამ, სანამ ეს ნაკრები ჩამოყალიბდება, ძიუდოში ცდილობთ საკუთარი ადგილის დამკვიდრებას?

— დიახ და თქვენ წარმოიდგინეთ, იქ უფრო მეტი პერსპექტივა ჩანს. ძიუდოისტი გოგონები გვყავს, მაგრამ ჩემი ასაკის არავინაა, ჯერ ბავშვები არიან, სხვათა შორის, საქართველოს ჩემპიონატისთვის ვემზადები, მაგრამ ტრავმა მაქვს მიღებული ბეჭზე და მკურნალობას თუ მოვასწრებ, აუცილებლად გავალ რინგზე, თუ არა და...

— შანსები გაქვთ?

— საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა თუ მივიღე, დარწმუნებული ვარ, ნაკრებშიც მოვხვდები და შემდეგ, ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატზეც წავალ.

— თუ ჭიდაობაში მეტოქე ქალი არ გყავთ, ვისთან ერთად ვარჯიშობთ ხოლმე?

— ბიჭებთან. არ მრცხვენია ამისი, არანირი კომპლექსი არა მაქვს. კარატეშიც ბიჭებთან ერთად მიწევდა ვარჯიში. მართალია, ეს ორი სახეობა ერთმანეთისგან განსხვავდება, სხვადასხვაგვარი ილეთია, მაგრამ არასდროს ვწუწუნებ და არ ვითხოვ — იქ არ დამარტყათ, ამ ადგილას ხელი არ მომკიდოთ-მეთქი. რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ *(იცინის)*?.. სიმართლე გითხრათ, ის უფრო არ მომწონს, „მიტყდება“, როცა თვითონ ბიჭებს ერიდებათ ჩემთან ვარჯიშის. თუმცა, დღესდღეობით ბევრი მათგანი ჭიდაობის დროს, ქალად ვერ აღმიქვამს.

— საკმაოდ უცნაური ქალი ხართ. მშობლები როგორ ეგეუბოდნენ თქვენს არჩევანს?

— თავიდან, კარატეში ვარჯიში რომ დავიწყე, არ მოსწონდათ, მაგრამ, როცა წარმატებას მივაღწიე, მერე ჩემით ამაყობდნენ კიდეც.

— და-ძმა გყავთ?

— სამი ძმა მყავს. უფროსს მოკრივეობა უნდოდა, უმცროსს — ფეხბურთელობა, შუათანასაც სურდა, სპორტს გაჰყოლოდა, მაგრამ იზარმაცეს და დღეს მამაჩემი ჩემზე ამბობს ხოლმე — აი, ვინ არის ჩემი ვაჟკაციო!

— თქვით, რომ ოჯახის შექმნის გამო, ერთი პერიოდი, ვარჯიში მიატოვეთ...

— 18 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. გათხოვილ ქალს კი, მოგეხსენებათ, კარატეში სავარჯიშოდ წასვლა ეკრძალება. ის, ვისზეც გავთხოვდი, არ მიყვარდა. საერთოდ, სიყვარული არასდროს განმიცდია...

გოგო იმას გაგიკეთებს, რასაც კაცი არასოდეს იკადრებს

— მაშინ რატომ გაჰყევით ცოლად?

— მომიტაცა. ქალიშვილობის ინსტიტუტის გამო, იძულებული ვიყავი, მასთან დავრჩენილიყავი. 4 თვეში გავეყარე. ამ დროს, ფეხმძიმედ ვიყავი, ღვთის საჩუქარზე უარი არ მითქვამს და ამას არც ვნანობ — დღეს შესანიშნავი გოგონა მყავს. მჯერა, რომ ის უფრო მეტად მასახელებს, ვიდრე მე ვასახელებ ჩემს მშობლებს.

— როგორ ფიქრობთ — ისიც თქვენს გზას გაჰყვება?

— არა მგონია. ჩემს შვილს, უფრო გოგოს „ზამშკები“ აქვს, ვიდრე მე: თოჯინები, გამოპრანჭვა, ლამაზი ტანსაცმელი უყვარს. ხომ ხედავთ, ჩემგან რადიკალურად განსხვავდება.

— სიყვარულის გჯერათ?

— ჯერჯერობით არ მჯერა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ 40-45 წლის ასაკში მეწვევა სიყვარული...

— ელა, სულ ძმაკაცებს ახსენებთ, დაქალი არ გყავთ?

— არა, ქალებს არ ვენდობი. ვეთანხმები იმ აზრს, რომელსაც მამაკაცი ქალის ხსენებისას ამბობს: ქალს ნუ ენდობი, დგლუპავსო... დაქალი მყავდა, რომელსაც ხელისგულზე ვატარებდი. იცით, რა მიქნა? ფული მომპარა. გოგო იმას გაგიკეთებს, რასაც კაცი არასოდეს იკადრებს.

— ახლა ის მითხარით, ქალის საქმიანობა როგორ მოგწონთ?

— დედა ვარ, შვილი მყავს. ოჯახში საქმიანობა არ მიჭირს. ყველანაირად მარჯვე გოგო ვარ — კერძების გაკეთება, გარეცხვა, გაუთოება, სახლის დალაგება ძალიან მიყვარს. ჩემმა შვილმა, სიყვარული და სითბო მასწავლა. მანამდე კი, „ბოროტი“ ვიყავი, მაგრამ — არა პირდაპირი გაგებით: სხვას არაფერს დავუშავებდი — უბრალოდ, არ ვიცოდი, რა არის მოფერება, სიყვარული.

— ეი. ცივი ადამიანი იყავით?

— დიახ. თუმცა, რასაც მე ვაკეთებ — ვწვალობ, ვშრომობ, — მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს შვილს კარგი მომავალი ჰქონდეს. არ მინდა, ცხოვრებაში დაიჩაგროს.

— როგორი ბიჭები მოგწონთ?

— თანამედროვე. ვგულისხმობ გამგებ, ოუმორის მქონე, გულღია, ფიზიკურად ჯანსაღ, ლამაზ, დაკუნთულ და მაღალ მამაკაცს...

— ეი. დაბლები არ გამოგეხმაურონ, არა?..

— *(იცინის)* მაღალი ვარ და დაბალი მამაკაცი მომიხდება?! თუმცა, საქართველოში ძნელია ისეთი მამაკაცის პოვნა, რომელიც გამიგებს და სპორტს არ მიმატოვებინებს.

— იმისთვის, რომ ვილაცის გული მოინადიროთ, სარკეში იხედებით ხოლმე?

— კბები არ მიყვარს. თუმცა, 18 წლამდე, სანამ გავთხოვდებოდი, ძალიან მომწონდა. სარკეში როცა ვიხედები, ჩემს თავს ვეუბნები — რა ლამაზი ვარ, რა მაჭიდავებსმეთქი?!.

— მაკიაჟს არ იკეთებთ ხოლმე?

— გაჩნია, სად მივდივარ. თუ სპორტულ ფორმაში ვარ, ჩემი „მაკიაჟი“ — „კეპკაა“. თუ არც სპორტულად და არც კლასიკურად მაცვია, მსუბუქად ვიღებები; ხოლო, როცა კლასიკურ ფორმაში ვარ, მაკიაჟსაც ვიკეთებ და თმასაც ვივარცხნი, რათა მოჭიდავის სახე არ მქონდეს.

— თქვენთან ურთიერთობა საშიშია?..

— არა. გაიგეთ, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ვინც გამაბრაზებს, საკუთარ თავს ავნებს. ცემას კი არ დავუწყებ — სიტყვიერად ავუხსნი. თუ მამაკაცმა იკადრა და ხელი გამარტყა, მეც არ დავიხევ უკან. მაგრამ არ მესმის — კაცმა როგორ უნდა სცემოს ქალი! მეცინება, ქალის ძალაზე რომ ლაპარაკობენ.

— მატერიალურად ოჯახს ეხმარებით?

— უმეტესწილად კი. ბავშვობაში ვფიქრობდი — ყველაზე მდიდარი ადამიანი ვარ, 3 ძმა მყავს და რა გამიჭირდებამეთქი?! მაგრამ ცხოვრება სიურპრიზებს გვიმზადებს...

— სხვა პროფესია თუ გაქვთ?

— ბავშვობაში ცეკვაზე დავდიოდი, მაგრამ გამომაგდეს — სულ ბიჭურებს ვცეკვავდი. შარშანწინ უნივერსიტეტში ჩავბარე — უცხო ენებზე, მაგრამ 1 თვეში წამოვედი იქიდან გრამატიკის სწავლის ნერვები არ მქონდა, თორემ სასაუბრო დონეზე ბევრი ენა ვიცი. ადამიანებთან ურთიერთობამ, იმისმა ინტერესმა, თუ რას ლაპარაკობენ ჩემზე, ენები მასწავლა.

— ელა, სიგარეტს არ ეწევით?

— ერთი პერიოდი, ვმუშაობდი და მაშინ ვეწეოდი.

— სად მუშაობდით?

— რა მნიშვნელობა აქვს?! ისეთ ადგილას, რომ მოწევა დავიწყე.

— მაინც სად შეიძლება მოწევის დაწყება?

— მაშინ, მიმტანად ვმუშაობდი. იქ ნერვების მოშლის საბაბი არ გაკლდება და მეც ვეწეოდი. მაგრამ როცა ვარჯიში დავიწყე, ორივეს ერთად — ბარსაც და სიგარეტსაც თავი დავანებე... მიხარია, ხანდახან გოგოს რომ ვგავარ და ქალად აღმიქვამენ...

■

დიპლომატიური აკადემია

ბაკალავრიატი, მაგისტრატურა:

საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო სამართალი

მისამართი: ალ. ყაზბეგის №34

39 81 72; 39 04 94; 23 23 38

www.diplomaticacademy.ge

მუშაობს სკოლა-ლიცეუმიც

ღვინო, დუდუკი, ქალები...

გიო ხუციშვილის სუფრული გამოცდილება

ქვეყანას პრეზიდენტი ჰყავს, დიდ სპორტულ შეჯიბრებს — მსაჯი, დაწესებულებას — დირექტორი, სუფრას კი — თამადა, რომელზეც ზუსტად იმდენია დამოკიდებული, რამდენიც ზემოთ ჩამოთვლილ თანამდებობის პირებს აკისრიათ. მომღერალ გიო ხუციშვილის აზრით, ამ მისიის ღირსეულად შესასრულებლად დიდი გამოცდილება და მჭევრმეტყველებაა საჭირო.

ლიკა ქაჯაია

— პირველად როდის ვითამადე, არ მახსოვს, მაგრამ 14-15 წლის ვიყავი, როცა მამაჩემის მეგობრებმა ხაშის საჭმელად წამიყვანეს. სწორედ მაშინ დავლიე პირველად არაყი. სხვანაირი, უცნაური გრძნობა დამეუფლა — კარგ ხასიათზე დავდექი. სახლში როგორ მივედი, არ მახსოვს. ცუდად გავხდი. ვერც ვდგებოდი, ვერც ვწვებოდი — ჩემ გარშემო ყველაფერი ტრიალებდა...

— და ამის შემდეგ, დალევა მაინც გაბედეთ, არა?

— არა, მერე წყალბურთს ვთამაშობდი — საქართველოს ნაკრებში. სპორტს მივდევდი, ამიტომ სასმელს არ ვეკარებოდი. მაგრამ შემდეგ, თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე და თითქმის ყოველდღე ვქეიფობდი.

— რას ნიშნავს, იყო თამადა?

— მე ბევრი თამადა მინახავს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ქართული სუფრული ტრადიცია მართლაც რომ მთელი აკადემიაა, რომელიც დღესდღეობით, ახალგაზრდებში იმდენად აღარ ფასობს. თამადას უნდა ჰქონდეს ერთგვარი ნიჭი, ინტელექტი იმისა, რომ სუფრა წაიყვანოს, ქეიფის დროს მტრები შეარიგოს, ადამიანებს შორის კარგი ურთიერთობა დამყაროს...

— გინდათ თქვათ, რომ ახალგაზრდებს ქეიფის არსი არ ესმის?

— მათ ჰგონიათ, რომ ქეიფი ღრეობაა. ამიტომაც, იკარგება თამადობის ინსტიტუტი, იშლება სუფრული ტრადიციები... ჩემი აზრით, ამას ისინი აკრიტიკებენ, ვისაც არ აქვს იუმორის გრძნობა, სილამაზის აღქმის უნარი, სიმღერის ნიჭი, მჭევრმეტყველება... კარგი დროს ტარება, ყანწების ტრიალს სულაც არ ნიშნავს. ეს უკანასკნელი მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ თამადა უვარგისია და იგი მხოლოდ სმაზეა ორიენტირებული. ასეთ სუფრაზე მეც ვერ ვჩერდები.

— თქვენ თვითონ როგორი თამადა ხართ?

— ტირანი სულაც არა ვარ. დიდ ყურადღებას არ ვაქცევ იმას, თუ ვინ რამდენი დალია. მე ლოიალური თამადა ვარ. როცა ვნახავ, რომ სიმღერა გახურდა, ნამდვილი ქეიფი დაიწყო — მის გაჩერებას არ ვცდილობ. ამიტომ შეიძლება, სუფრა ისე დამთავრდეს, რომ მხოლოდ 3 ჭიქა ღვინო დალიონ. თუმცა, ამასაც შესაბამისი საზოგადოება სჭირდება.

— თანამეინახეებს რის მიხედვით ირჩევთ?

— თანამეინახეებს არასდროს ვეძებ... ჩემს მეგობრებთან ერთად ხახვზე და შემწვარ კვერცხზეც კი მიქეფია და ამ დროს, ერთმანეთისათვის დღესასწაული მოგვიწყვია. ქეიფს ვეძახი კარგ სიმღერას. ამ დროს, ლექსიც კი იწერება... ჩვენ ძალიან გვიყვარს მოგონებების სადღეგრძელო და ვცდილობთ, ის დღეც იმდენად გავილამაზოთ, რომ მოგონებად ღირდეს, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო — თუ სუფრასთან მხოლოდ მამაკაცები ვსხედვართ, მალე ვთვრებით და ვიშლებით.

— რა არის ამის მიზეზი?

— როცა სუსტი სქესის ერთი წარმომადგენელი მაინც გვყავს, სუფრა სხვანაირად მიდის. ამ დროს, ყველა კაცი ასე თუ ისე „იპრანჭება“ (თუ ასე არ არის, ის კაცად არ მიმაჩნია). შეიძლება, ხმამაღლა არ თქვას, მაგრამ რაღაც ჟესტით, ქცევით ცდილობს ქალის ყურადღების მიქცევას. მანდილოსანი, სუფრას სულ სხვა ეშხს მატებს. მით უმეტეს მაშინ, როცა სიმღერაშიც აგყვება. ამ დროს, ღვინოც რაღაც სხვანაირად გეკიდება.

— რამდენკაციან სუფრაზე გითამადიათ?

— ვერ გეტყვით, რადგან ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ.

— მაშინ რას აქცევთ ყურადღებას?

— თამადისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია კარგი ღვინო. ეს ღვთიური სითხე, ქართულ სუფრას ყველა სხვა სასმელზე მეტად უხდება.

— რამდენ ლიტრ ღვინოს სვამთ?

— არ დამითვლია. ისე, ძალიან დიდი ხნის წინ — ახალგაზრდობაში, ბევრს ვსვამდი და ამან შედეგიც გამოიღო.

— რა შედეგს გულისხმობთ?

— ცოტ-ცოტა ყველაფერი მაწუხებს — ნაღველი, ღვიძლი...

— და ეს ყველაფერი ღვინის ბრალია?

— არა, მაშინ არაყს, კონიაკს, ვისკის ვსვამდი. თავი ცუდად რომ ვიგრძენი, ღვინოზე მერე გადავედი... დიდი დოზით, ალბათ ისიც მავნეა ჯანმრთელობისთვის, მაგრამ 2 ბოთლი ღვინო არაფერს გიზამს. კარგია, თუ სადილის დროს 1 ჭიქა მშრალ, წითელ ღვინოს დალევ.

— შავი ღვინით გიქეიფიათ?

— კი, მაგრამ მშრალი ღვინით — „საფერავი“, „მუკუზანი“, ხოლო ნახევრად ტკბილი შავი ღვინოები — „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“ — ცოტა არ იყოს, მძიმე დასალევია. ასეთ ღვინოებს რუსეთში სვამენ, მშრალს კი — უცხოელები ეტანებიან.

— ტრადიციული თუ არატრადიციული სასმისებით ღვინის სმაზე რა აზრის ბრძანდებით?

— ჩემს ახალგაზრდობაში, განსხვავებული სასმისები მოდაშიც კი იყო, მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები, ვხედავ, რომ ეს სიგიჟეა — ლამპის შუშა, ყანწი, ბოთლი, ლოყაზე ჭიქის გატარება და ისე სმა. *კრამიტითაც კი დამლევია (ამ დროს, კრამიტი ტუჩებთან გაქვს მიტანილი. მეორე სუფრის წევრი კი, დოქიდან ღვინოს კრამიტს ასხამს. — ავტ.).*

— სადღეგრელოების თქმისას, ტრადიციას არ არღვევთ? რომელია სადღეგრძელო, რომლითაც ქეიფს იწყებთ და ამთავრებთ?

— თამადობას უფლის დიდებით ვიწყებ...

— მაგრამ როგორც ვიცი, ამ სადღეგრძელოს ბოლოს ამბობენ ხოლმე, სუფრას კი მშვიდობის სადღეგრძელოთი იწყებენ, ასე არ არის?

— მშვიდობის სადღეგრძელოსაც ვამბობ, მაგრამ პირველი ჭიქით უფალს ვახსენებ ხოლმე... ბოლოს კი, ჩემს და — „დაშლაარმოშლის“ სადღეგრძელოს ვსვამთ.

— თქვენი საყვარელი სადღეგრძელო რომელია?

ქართული სუფრით ზუკაც დაინტერესდა... გენი თავისას შვრება!..

— სიყვარულის სადღეგრძელო, რომელიც მხოლოდ ქალ-ვაჟის სიყვარულს ეხება.

— როგორი სიმთვრალე გაქვთ?

— თუ კარგ ღვინოს სვამ, სიმთვრალეც შესაბამისი გეჭნება. ამ დროს, აგრესია ნაკლებია — სიყვარული გინდა, ქალს სხვანაირად უყურებ,,ეპრანჭები",ვიტარას იღებ და კარგ ხასიათზე ხარ. ამისათვის კი აუცილებელია, ერთი ბოთლი თეთრი ღვინო. თანაც, დილით თავი არ გეტკინება... ადრე, გადასარევი სიმთვრალე მქონდა, მაგრამ აფხაზეთის და ცხინვალის ომის შემდეგ (*სადაც წელიწად-ნახევრის განმავლობაში იბრძოდა. — ავტ.*), ნერვები გამიფუჭდა. ცუდი განწყობა ქნის ცუდ სიმთვრალეს. ახლა ვგრძნობ, რომ ნელ-ნელა დავწყნარდი...

— როგორი „პახმელია" გაქვთ?

— საოცრად ცუდი. ამ დროს შეიძლება, თავი მოვიკლა, ისე ცუდად ვარ. თუმცა, ახლა ვცდილობ, არ დავლიო ისეთი სასმელი, რომელიც ასეთ „პახმელიას" მიმზადებს.

— „პახმელიიდან" რით გამოდიხართ — ხაშით, ლუდით, წვინანით?..

— ხაში, არაყი.. კარგია ასევე ნიორი, ბულიონი, ცოტა კონიაკი. ლუდი კი — მაძინებს. ნაბახუსევიდან გამოსასვლელად ყველაზე კარგი წამალია იმ სასმლის დალევა, რომელიც წინადღეს დალიე, მაგრამ — კი, მიკვირს, ჭკუაზე საერთოდ როგორ არიან. არაჯანსაღად თრობა, ხარისხის გაუთვალისწინებლობა საშიშია. ვისკის ბოთლი რომ შეუკვეთო, მარტო ის ღირს 3 ლარი. გაურკვეველია — რა ასხია შიგ?.. ჩემს შვილებს სულ იმას ვეუბნები, რომ ასეთი სასმელები ახლოსაც არ გაიკარონ... სხვათა შორის, ქართული სუფრით ზუკაც დაინტერესდა. პირველ მაისს დაბადების დღე აქვს და მთხოვა: აღარ მინდა დაბადების დღის გადახდა სასავში ცენტრში, რესტორანში გადამიხადე, სულ 10 ბიჭი მეყოლება, 2 ბოთლი წითელი და 2 ბოთლი თეთრი ღვინო მომიტანე, ქართული ტრადიციის მიხედვით უნდა ვიქეიფოთო... გენი თავისას შვრება!..

— სიმთვრალეში ჩადენილ საქციელზე არასდროს გაგიცინებიათ?

— სიმთვრალეში იმდენი რამ ჩამიდენია, ის იმდენ რამეს გაგაკეთებინებს, რომ ყველაფერზე ვერ გაიცინებ... მაგრამ მქონდა შემთხვევა — ისე დავთვერი, მანქანით სადღაც გავქანდი და მეორე დღეს, ბათუმში გამეღვიძა. არაფერი არ მახსოვდა. კიდევ კარგი, უხარისხო ვისკი თუ არაყი რომ არ დამილევია, თორემ, ბათუმში კი არა, შეიძლება ციმბირში ამომეყო თავი.

— ფხიზელ მდგომარეობაში მყოფს, მთვრალი ჯაჭი არასდროს მოგამიანისთვის.

— საბაჟოდან წამოსვლის შემდეგ მელვინეობის ფირმაში დაიწყეთ მუშაობა. მოგვიყევით თქვენი ახალი სამსახურის შესახებ.

— ჩვენს ფირმას წინანდალში აქვს ღვინის ქარხანა. ჩვენ მიერ ჩამოსხმული ღვინის ხარისხი ვინმემ რომ დაიწუნოს, ამას ისე განვიცდი, როგორც იმას, რომ ზუკამ ველარ იმღეროს. 18 სახეობის სამარკო ღვინოს ვუშვებთ.

— ეი. იპოვეთ სამსახური, სადაც თავს კომფორტულად გრძნობთ, რადგან ეს ფირმა ღვინოსთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ოფისი იმ შენობაში აქვს, სადაც რადიოკომპანიები — „ფორტუნა" და „უცნობი" არიან განთავსებული: აქეთ ღვინო, იქით მუსიკა. სხვა რალაა საჭირო?!

— ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ მუშაობა არსად არის ადვილი. თუ მუშაობ, პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდე... სხვათა შორის, სამსახურში ნასვამი არასოდეს მივსულვარ. თუ შესვენების დროს, სადილობისას ერთ ჭიქას დავლევ, სამსახურში კვით ვბრუნდები, რომ სუნი არ მქონდეს, თორემ, მეც ვიცი, რომ ღვინო და მუსიკა კარგია...

სიახლე!

სახსრების ტკივილი გაწუხებთ?

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ტერმინი – **ქონდროპროტექტორი** – შემოიჭრა ტრადიციული თუ ალტერნატიული მედიცინის სფეროში, მაგრამ თავისი მნიშვნელობითა და მოქმედების უნიკალურობით მან უკვე შეძლო წამყვანი ადგილის დაკავება ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიაში. დღეს იშვიათია საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისათვის განკუთვნილი წარმატებული პრეპარატი, რომლის ბაზისსაც არ წარმოადგენს **გლუკოზამინის ან/და ქონდროიტინის კომპლექსი.** და ეს ბუნებრივიცაა, რადგან წლების მანძილზე ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიისათვის საჭირო პრეპარატებს უამრავი უკუჩვენება და გვერდითი მოვლენა გააჩნდათ, რითაც მათი გამოყენების შესაძლებლობა იზღუდებოდა. ამასთანავე, ეს პრეპარატები ახდენდნენ არა სახსრების ფუნქციისა და სტრუქტურის საფუძვლიან აღდგენას, არამედ უზრუნველყოფდნენ ტკივილის მხოლოდ მოცემულ მომენტში მოხსნას და იძლეოდნენ დროებით დადებით ეფექტს. ამიტომ, იქმნებოდა საჭიროება ახალი სამკურნალო მიდგომების შემუშავებისა. სწორედ ასეთ ალტერნატიულ საშუალებად გვევლინება **გლუკოზამინის ან/და ქონდროიტინის** შემცველი პრეპარატები, **ე.წ. ქონდროპროტექტორები**, რომლებსაც გააჩნიათ აღდგენითი თერაპიული ეფექტი. დღეს უკვე სპეციალისტებს შორის არანაირ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ნივთიერებები განაპირობებენ ხრტილისა და სინოვიალური სითხის რეგენარაციას და ამასთან, სახსრებს აუცილებელი „საშენი მასალითა" და საკვები ნივთიერებების მიწოდებით უზრუნველყოფენ. დამტკიცებულია, რომ პაციენტთა 70%-ს, ვინც რეგულარულად იღებს **გლუკოზამინისა და ქონდროიტინის** ნაერთებს, დადებითი შედეგები აქვთ.

„მეგაპოლის კლასიკი" გახლავთ ის კომპანია, რომელმაც პირველი ქონდროპროტექტორი, „ინოლტრა" განავრცო საქართველოს ბაზარზე. დღეს ეს კომპანია კიდევ ერთ რევოლუციურ ბიო-პრეპარატს, **„გლუკოზამინის და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ"-ით** გვთავაზობს, რომელმაც თავისი ეფექტურობით ძალზე სწრაფად დაიმკვიდრა თავი ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიაში. **„გლუკოზამინის და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ"-ით:**

- **უზრუნველყოფს ხრტილის რეგენერაციას და ამცირებს ანთებით პროცესს;**
- **ხელს უწყობს სინოვიალური სითხის გამომუშავებასა და შეკავებას ხრტილში;**
- **ახასიათებს არასტეროიდული და სტეროიდული პრეპარატების მსგავსი ტკივილგამაყუჩებელი და ანტიანთებითი მოქმედება;**
- **მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძვლისა და შემაერთებელი ქსოვილის აღდგენის პროცესში; ამცირებს სახსრის ცვეთას;**
- **არასასურველი ფერმენტების ბლოკირების გზით იცავს სინოვიალურ გარსს დაზიანებისაგან.**



„გლუკოზამინისა და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ"-ით
შეუნარჩუნებს თქვენს სახსრებს ჯანმრთელობას.

ნუ შეგაწუხებთ სახსრები.
იცხოვრეთ ტკივილის გარეშე!

თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 14 (მრგვალ ბაღთან), ტელ: 94 33 92, 98 96 95, 22 05 32
10:00 – 18:00 სთ. (შაბათ-კვირის ჩათვლით)

პრეპარატები ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ "სამგორი-ფარმა"-ს საფთიაქო ქსელში.

მამაკაცური ოინები

ვიდრე უშუალოდ დღევანდელ თემაზე გადავალთ, „გზის“ №5-ში დაბეჭდილ მესიჯს უნდა დავუბრუნდე. „ვეძებ მეგობარს, რომელიც 2 წლის წინ გავიცანი „მარშრუტკაში“, — წერდა მაშინ ჩვენი ერთ-ერთი მკითხველი. — მას ლაშა ჰქვია, ხაშურელია. ქუთაისში „გეპეიში“ სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე. მე ზესტაფონში მივდიოდი ბებიასთან, ის კი — ხაშურში. ტელეფონის ნომერი მთხოვა და არ ჩავთვალე საჭიროდ, რომ მიმეცა. ახლაც ვერ გამიგია, რატომ მოვიქეცი ასე... ლაშა, თუ „გზას“ კითხულობ, აუცილებლად გაგახსენდები ამ მესიჯით. მარის დაუკავშირდი და ჩემს ნომერს მოგცემს. მაგდა“. ლაშა მართლაც, ჩვენი მკითხველი აღმოჩნდა. დამიკავშირდა და... მეორე დღეს, მაგდასგან ასეთი გზავნილი მივიღე: „მარი, მოგესალმები. არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. ძალიან, ძალიან დიდი მადლობა, რომ ჩემი მესიჯი გამოაქვეყნე... მეგობარს ვეძებდი. ჩემი გზავნილი წაუკითხავს და გუშინ დამირეკა. გმადლობ, რომ არსებობთ. ძალიან მიყვარხართ“. აი, რა სარგებლობა მოაქვს „გზავნილებს“!..

თუმცა, ზოგჯერ სხვაგვარადაც ხდება. ერთი რესპონდენტი, რომელიც მამაკაცურ ოინზე გვიამბობს, სწორედ „გზავნილებს“ უკავშირებს თავის ცხოვრებაში მომხდარ არასასურველ ცვლილებას და ცოტათი ბრალსაც კი გვდებს.

მარი ხაფარიძე

„...მივახალე — შენი ცოლი და ჩემი საქმრო ერთად არიან-მეთქი“

„მე თამარი ვარ, 27 წლის და თქვენი რუბრიკის მუდმივი მკითხველი გახლავართ. ძალზე გაწონასწორებული და სერიოზული გოგო ვიყავი ბავშვობიდან. როცა ჩემი მეგობრები ბიჭებთან პაემნებზე დადიოდნენ, მე — გაკვეთილების მომზადებაში ვათენებდი და ვაღამებდი. სტუდენტობის დროსაც არავინ შემყვარებია. მაგრამ როდესაც მუშაობა დავიწყე, იქ გავიცანი ერთი ბიჭი, რომელმაც ჩემი გული ძალზე იოლად დაიპყრო. ვერ ვუბედავდი გრძნობის გამხელას და ვიტანჯებოდი. ერთ მშვენიერ, თუმცა წვიმიან დღეს, თვითონ გამომიტყდა სიყვარულში. ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. ამის შემდეგ დაიწყო რომანტიკული შეხვედრები, სიყვარულზე საუბრები და საერთო მომავალზე ფიქრი... ერთხელ, მის მანქანაში, საკმაოდ ვულგარული, ჩემთვის უცნობი გოგო შევნიშნე. ისე ჩამიქროლეს, მახოს არც შევუნიშნივარ. მოგვიანებით, ეჭვიანობის სცენა მოვუწყვე ჩემს გულის ვარდს. ისე იმართლა თავი, რომ დამაჯერა, თითქოს მამა აბრამის ბატკანი იყო; მეც გული დავიმშვიდე. გავიდა ხანი. ერთ დღეს, მახო სადღაც დაიკარგა. მობილური გამორთული ჰქონდა, მთელი კვირის განმავლობაში არ გამოჩენილა. მისი ოჯახის წევრებს ამის გამო შეშფოთება არ გამოუთქვამთ. ამის გამო ვეჭვობდი, რომ მათ, მახოს ადგილსამყოფელი იცოდნენ და მიმალავდნენ. დავტრიალდი და მისი მეგობრები ძალზე ფრთხილად გამოვკითხე. რაღაც-რაღაცები დავადგინე. კერძოდ ის, რომ არსებობდა ვიღაც ვიკა, რომელიც მისი საყვარელი ყოფილა. ჰოდა, ახლა სწორედ მასთან ერთად, რამდენიმე დღით, სადღაც გადაკარგულა. ვიკას კოორდინატებიც დავადგინე. აღმოჩნდა, რომ ქმარ-შვილი ჰყოლია. ქმარი პოლიციელი იყო. არც ვაცია, არც ვაცხელე, მის ქმართან მივედი და მივახალე — შენი ცოლი და ჩემი საქმრო ერთად არიან წასული და ნებივრობენ, ჩვენ კი აქ ბაიყუშებივით ვსხედვართ და პირი დაგვიფჩენია-მეთქი!.. ჯერ უნდოდ შემომხედა. მერე რაღაცები ენიშნა. დატრიალდა, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა და მათი ადგილსამყოფელი დაადგინა. იცოცხლე, სულ კინწისკვრით გამოყარა ბორჯომის დასასვენებელი სახლიდან!.. მე მახოს სკანდალი მოვუწყვე, გავებუტე და გამოვუცხადე — ჩემი ცხოვრებიდან სამუდამოდ დაიკარგე-მეთქი! მეხვეწა და მემუდარა, ნუ გამწირავო, მაგრამ არაფრად ჩავაგდე. მას კი სწორედ მამაკაცური ოინისთვის მიუმართავს: იცოდა, რომ „გზავნილებს“ მუდმივად ვკითხულობდი და მესიჯი გამოუგზავნია თქვენთან. საბოდიშო ტექსტთან ერთად, ცოლად გაყოლას მთხოვდა... ეს რომ წავიკითხე, გული ამიჩუყდა. დავურეკე და ტირილ-ტირილით შევურიგდი. პირობა მომცა, რომ სხვა ქალს აღარ გაეკარებოდა. დაქორწინდით. ჯერ ერთი წელია, რაც ერთად ვცხოვრობთ და პირობა უკვე ბევრჯერ დაარღვია. შევცდი, არ უნდა დამეჯერებინა მისი მესიჯისთვის. ხომ ვიცოდი, რა მექალთანე და ოხერი ვინმეც იყო!.. ასე შემაცდინა „გზავნილებმა“. მაგრამ მაინც მიყვარს ჩემი მახო. სადაც არ უნდა წავიდეს, ბოლო გაჩერება მაინც ჩემთან ექნება“.

„ეცრად, ვნებიანად მაკოცა და — საძინებელში შევიდეთო, — მითხრა...“

„არაფერი გამეგება პისტოლეტებისა და დანების, ამიტომ ჩემი გმირები ყოველთვის შხამით კვდებიან“, — წერდა აგატა კრისტი. როგორც ჩანს, შემდეგი მესიჯის გმირი, დეტექტივების მოყვარულია და აგატა კრისტის შემოქმედებასაც კარგად იცნობს.

ვნახოთ, რა ოინი მოუწყო მან საყვარელ ქალს. მესიჯის ავტორი 32 წლის ნატო გახლავთ.

„თუნდაც ციანიდი და დარიშხანი ერთად დალიოს...“

„22 წლის რომ ვიყავი, ერთ ბიჭს შეკუყვარდი. ის ჩემი მეზობელი იყო. რას არ აკეთებდა იმისათვის, რომ ჩემი ყურადღება მიეპყრო: ხან ლიფტს გაჭედავდა, როცა მე შიგ ვიყავი და მერე მხსნელად მომევლინებოდა, ხან ჩემს აივანზე ზემოდან თოკით დაეშვებოდა, ხან ლანდივით ამედევნებოდა და გასაქანს არ მაძლევდა. მე კი, სხვა მომწონდა და მას ყურადღებას არ ვაქცევდი. ერთხელ ვეჩხუბე – თავი დამანებე, კუდში ნუ დამდევ, სხვა მიყვარს და ის ბიჭი შენზე ეჭვიანობს-მეთქი. მაინც ვერ მოვიშორე თავიდან. მერე ჩემს შეყვარებულს ვთხოვე, ჩამომშორე-მეთქი. ის უბანში ძმაკაცებთან ერთად მოვიდა და „რაზბორკა“ მოუწყო... ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე. შინ მარტო ვიყავი, როდესაც კარზე კაკუნი მომესმა. ლაშა იყო – ჩემი მეზობელი და თაყვანისმცემელი. ხელში, გამჭვირვალე სითხით სავსე ჭიქა ეჭირა. ჯიქურ შემოაბიჯა ოთახში, ტრაგიკული გამომეტყველება მიიღო და მკითხა – ეი. არ გიყვარვარო? – არა-მეთქი. – მაშ, ჩემი საშველი არ არისო? – ისევ გავუქნიე თავი უარის ნიშნად. – მაშინ იცოდე, რომ შენი გულისთვის თავს ვიკლავო! – თქვა და ჭიქა ბოლომდე გამოცალა; ცოტა ხნის შემდეგ ჩაიკეცა... კივილი ავტეხე და სამზარეულოში გავიქეცი წყლის მოსატანად, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. უკან მობრუნებულს, ლაშა მთლად გალურჯებული დამხვდა. ჩემს კივილზე მეზობლები მოგროვდნენ. ლაშას დედაც გულგახეთქილი მოვარდა. „სასწრაფო“ გამოიძახეს და საავადმყოფოში გააქანეს. დედამისის წყევლა-კრულვა კარგა ხანს მედგა ყურებში. მე რა შუაში ვიყავი?.. ლაშა შინ იმავე ღამეს დააბრუნეს. მეორე დღეს, დედამისი მომადგა და მთხოვა – შვილს ნუ დამიღუპავ, ცოლად გაჰყევიო. ჩემს ოჯახს ლაშა ისედაც მოსწონდა და ბევრი ტირილისა და ვიშვიშის შემდეგ დამითანხმეს. ჩემი სიყვარული უნდა გამეწირა, რომ ლაშას სიცოცხლე მეხსნა. დავქორწინდით. მერე გაირკვა, რომ ლაშას, საწამლავი კი არა, ჩვეულებრივი წყალი დაულევია, სახის გასალურჯებლად კი, ჯიბეში წინასწარ ლილა ჩაუყრია და მე რომ სამზარეულოში ვიყავი შესული, მაშინ წაუსვამს... ეს რომ გავიგე, ჩვენი ქორწინებიდან 4 თვე იყო გასული. ავდექი და მისი ოჯახიდან წამოვედი. ნამდვილად ვერ ვაპატიებდი ასეთ საქციელს. ახლაც მომტირის და მევედრება, დავუბრუნდე, მაგრამ მეორედ ასეთ შეცდომას აღარ დავუშვებ, თუნდაც, კალიუმის ციანიდი და დარიშხანი ერთად დალიოს“.

გერმანელებს ასეთი საქორწინო ტრადიცია აქვთ: სტუმრები ჭურჭელს ამსხვრევენ, სიძე-პატარძალი კი – ნამსხვრევებს გვის. ეს იმის საწინდარია, რომ ოჯახში მომავალში აღარაფერი გატყდება. ჯვრისწერის შემდეგ კი, სიძის მეჯვარე პატარძალს „იპარავს“ და ლუდის ბარში მიჰყავს. სიძე და მყრიონი მთელ ქალაქში დაეძებენ პატარძალს. როცა მიაგნებენ, სიძე ვალდებულია, მათ მიერ გაწეული ხარჯი დაფაროს... ჩემს მომდევნო რესპონდენტს ეს წეს-ჩვეულება „ვადმოუქართულებია“ და „ვარემიქსებულ“ ვარიანტს გვიზიარებს.

სასიძოს ნაბუშარი და რესტორანში გაქცეული პატარძალი

„როგორც იქნა, დადგა ის ნანატრი დღეც, როცა მე და რეზოს ჯვარი უნდა დაგვეწერა. ამ დღეს მთელი 6 წელი ველოდი. საგანგებოდ შერჩეულ საპატარძლო კაბაში გამოწყობილი, გულისფანცქალით ველოდი სასიძოს მოსვლას. როგორც იქნა, გამოჩნდა. ჩემი სახლიდან ჯერ ეკლესიაში წავედით, მერე – მის ოჯახში. სტუმრები, დედამთილ-მამამთილი და მული თვალებში შემომციცინებდნენ, ყველა გვადღეგრძელებდა... ამ დროს, ბინაში ვიღაც შავთმიანი ლამაზმანი შემოგოგმანდა. თან ასე, 2-3 წლის ბავშვი ახლდა. ჩემს ქმარს ღიმილი სახეზე შეეყინა. ამ გოგომ ხმამაღლა გამოაცხადა – შვილს სრული უფლება აქვს, მამის ქორწილს დაესწროს და დედინაცვალი გაიცნოსო... თვალთ დამიბნელდა. ჯერ სახეზე ხელები ავიფარე დი ტირილი დავიწყე. გავბრაზდი, რომ ჩემმა ქმარმა ეს ქალი გარეთ არ გააგდო, წამოვავლე თეფშს ხელი და კედელზე მივანარცხე. ჭიქაც ზედ მივაყოლე. მარტო ცარიელი თეფშები კი არა, საჭმელ-სასმლიანად ვისროდი აქეთ-იქით ყველაფერს. შე უნამუსოვ, ამდენი წელია, გიცნობ და როდის მოახერხე ამ ბავშვის „გაკეთება“ ან მე როგორ გამომაპარე-მეთქი! – ვყვიროდი. ჩემი ქმარი ჩემს დაშოშმინებას ცდილობდა, დედამთილი კი, კედლებიდან ფხალისა თუ ნამცხვრის ნარჩენებს წმენდდა. ატყდა წივილ-კივილი და ვაი-ვიში... მე კი იქიდან გავიქეცი. ქმრის მეჯვარე გამომეკიდა, დაწყნარდიო, მეძახდა. ტაქსი გავაჩერე. ისიც ჩამიხტა მანქანაში. მძღოლს ერთ-ერთი რესტორნის სახელი ვუთხარი (სადაც მე და ჩემი მეუღლე შეყვარებულობის პერიოდში დღესასწაულს აღვნიშნავდით ხოლმე). საქორწინო კაბით მივადექი რესტორანს. სახე სულ საღებავით მქონდა მოთხუპნილი, ცრემლი კი ღვარად მდიოდა... კუპეში შევედით. ყველი, პური და არაყი მოგვიტანეთ-მეთქი! – გავეცი ბრძანება. „ზალპით“ დავლიე ერთი ბოთლი არაყი. გიორგი მეხვეწებოდა – გაჩერდი, დაწყნარდი, ყველაფერი მოგვარდებაო, – მაგრამ მე მაინც ჩემსას განვაგრძობდი... მეორე ბოთლი შევუკვეთე. ამ დროს, გიორგი კუპედან გავიდა. ტელეფონით ჩემი ქმრისთვის დაურეკავს და ჩვენი ადგილსამყოფელი შეუტყობინებია. მალე რეზოც მოვიდა. ამ დროს, უკვე ხმამაღლა ვიცინოდი და გიორგის ვეუბნებოდი – სასმელი მაგარი რამე ყოფილა, დარდი გადამავიწყა-მეთქი... ჩემმა ქმარმა „ჩორნი ხოდებით“ გამომაპარა რესტორნიდან და ერთ-ერთ სასტუმროში მიმიყვანა. აბა, ასე გაუბედურებულს სად გამომაჩენდა?!. მერე შევრიგდით. მაგრამ დღესაც გულზე ეკლად მესობა მისი ნაშიერი. აი, ასეთი ოინი მომიწყო ჩემმა ქმარმა ქორწილის დღეს“.

მაჭანკლობა უძველესი დროიდან გავრცელებული საქმიანობაა. ახლა მაშვლის ფუნქციას მობილური ტელეფონი და ინტერნეტიც კარგად ასრულებს, მაგრამ მოხალისე ხანუმები მაინც აქტიურობენ. რა შედეგი მოაქვს მათ მონდომებას, ამას მომდევნო რესპონდენტის მესიჯიდან შეიტყობთ.

„იქნებ, თქვენი ბედია?!.“

„იტალიურ ეზოში ვცხოვრობ. ხომ მოგეხსენებათ, რომ ასეთ სახლში ყველა ერთმანეთს იცნობს და გულშემატკივრობს. გასათხოვარი გოგოც ბლომად იყო იმ ეზოში. ერთი „ვასასი“ გვყავდა მეზობლად. თვითონ გაუთხოვარი, სხვების ბედს ჩარხავდა ხოლმე. ყველას შესახებ ყველაფერი იცოდა და არც რჩევა-დარიგებას იშურებდა მეზობლებისთვის. ჩვენი სახლის წინ მაღაზია იყო. იქვე, კედელთან კი, ასე, ორმოციოდე წლის კაცი მწვანილს, მზესუმზირასა და საღეჭ რეზინს ყიდდა ხოლმე. ეს ჩვენი „ვასასი“ მისი ოჯახური მდგომარეობით დაინტერესებულა და რომ გაუგია, უცოლოაო, უთქვამს – ერთი კარგი გოგო მყავს შენთვის შეგულებული და გაგაცნობო. – არა, – უთქვამს იმ კაცს, – მერიდებაო. – ნუ გეშინია, ყველაფერს ისე მოვაწყობ, რომ ის გოგო სულ ვერ მიხვდება, შენთან რისთვის მოვა, მე ვეტყვი, ვითომ ჩემი ვალი გაქვს, ერთი ლარი და ამ ერთი ლარისთვის გამოვგზავნიო... ბოლოს, კიდევ ერთხელ გააფრთხილა – იცოდე, ვინც მოვა და გეტყვის, თამრო დეიდას ვალი, ერთი ლარი გამატანეო, სწორედ ის გოგო შეათვალიერე კარგად და თუ მოგეწონება, მერე მე ვიციო... ერთხელ დილით, თამრო ჩემთან სტუმრად მობრძანდა. ყველაფერი გამომკითხა – რატომ მოვიდა ჩემი ქმარი ღამის 2 საათზე, ფხიზელი იყო თუ მთვრალი, ფული მოიტანა თუ არა?.. ცნობისმოყვარ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის *ფეხის წიგნაკიდან:*

1. ღვთისმშობელს სვანურად ლამარია ჰქვია.

2. ნატახტაშდუდი უღელტეხილია ეგრისის ქედზე.

3. „შტო ახრანიაეშ, ტო ი იმეეშ!“ – ამბობენ რუსები.

4. ნატო მეტონიძე „მზიურის“ მესამე თაობაში მღეროდა.

5. ნანა ლეჟავა უკრაინაში ოქროს კალმით დაჯილდოეს.

6. ადვოკატებს ძველ რუსეთში „პრავოზასტუპნიკებს“ ეძახდნენ.

7. ზურაბ წერეთელს არასდროს, არც ერთი ნახატი არ გაუყიდია.

8. ერთი ლიტრი ჰაერი მტვრის ნახევარ მილიონ ნამცეცს შეიცავს.

9. „გრანტებით გადარჩენილი ქვეყანა ჯერ არ მინახავს“, – ამბობს თინა ხიდაშელი.

10. ამერიკული დოლარი გაყალბებისგან ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაუცველი ვალუტაა.

11. მომღერალმა ფეოდორ შალიაპინმა პროფესიონალური სასცენო მოღვაწეობა თბილისში დაიწყო.

12. მეცნიერებას, რომელიც გამოქვაბულებსა და მღვიმეებს შეისწავლის, სპელეოლოგია ეწოდება.

13. ცნობილ მომთვინიერებელ იური კუკლაჩოვს თავის კატების თეატრში 120 კატა, 5 ძაღლი და 2 ცხენი ჰყავს.

14. ბასკები ამერიკაში ნევადასა და აიდაჰოში სახლობენ. ამ შტატებში დღესაც გაიგონებთ ბასკურ ლაპარაკს.

15. შავი ჭირის გამომწვევი მიკრობი (Pasteurella pestis), 1894 წელს, ფრანგმა მეცნიერმა ა. იერსენმა და იაპონელმა მეცნიერმა ს. კიტაზატომ აღმოაჩინეს.

16. იაპონიაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 82 წელიწადია. მსოფლიო მასშტაბით ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

17. პატარაობისას, ალექსანდრე ყაზბეგი ძალზე განებივრებული ბავშვი იყო. იგი ყუთიდან იღებდა ვერცხლის მონეტებს და აივნიდან გლეხებს უყრიდა.

18. მწყობრი ნაბიჯისთვის ჟღერადობის მისაცემად, რუსი ჯარისკაცების სააღლუმო ჩექმებს ძირებზე რკინის ლანჩები აქვს დაკრული.

19. როდესაც ფრენსის ფორდ კოპოლამ „ნათლიის“ მესამე ნაწილის გადაღება გადაწყვიტა, ალ პაჩინომ ჰონო-

ეობა რომ დაიკმაყოფილა, მერე მითხრა – ჩვენს ლუიზას საქმრო შევურჩიეო, – და დაწვრილებით მომიყვა ყოველივე. მერე აივანზე გადადგა და ტკბილი ხმით დაიძახა – ლუიზა, გენაცვალე, მაღაზიასთან რომ ერთი კაცი მწვანილს ყიდის, იმას ჩემი ვალი აქვს, მიდი და გამოართვი, მე ფეხზე ჩაცმა მეზარებაო... „ვასასის“ ნაუბარი ჩემმა ქმარმა მოისმინა. მერე გასათხოვარ გოგონებს დაურეკა და ყველა სათითაოდ გაგზავნა მემწვანილესთან, თამროს ვალის გამოსართმევად... ის კაცი თურმე გაოცებული უყურებდა – ეს ერთიმეორეზე უკეთესი გოგოები რომ მიდიოდნენ, ერთი ლარის გამოსართმევად. ბოლოს, მათ შორის საუკეთესოსთვის დაუდგამს თვალი და უთქვამს – ერთი ლარი კი არა, ცოლად გამომყევი, ნამეტნავად მომეწონეო. ნინო გაგიჟებული მოვიდა – ეს როგორ მაკადრა ამხელა კაცმა? შვილად ვერგებიო!.. ბოლოს, ჩემი ქმრის ოინზე გულიანად ვიცინეთ. ის კაცი კი, დღესაც უცოლოა. ასე რომ, თუ ვინმეს გული აგიფანცქალდათ, მიდით და უთხარით – თამრო დეიდას ერთი ლარი გამატანე-თქო, იქნებ, სწორედ თქვენი ბედია?..“

ახლა კი, გერმანიიდან გამოგზავნილ წერილს გავეცნოთ:

„...არ მინდა, ეს ადამიანი დავკარგო“

„გამარჯობა, მარი. მე თამთა ვარ, გერმანიიდან. ხომ გახსოვს, გუშინ მობილურზე მესიჯი რომ გამოგიგზავნე... ვიდრე გერმანიაში წამოვიდოდი, სულ ვკითხულობდი შენს „გზავნილებს“ და ძალზე მომწონდა, თუმცა არასოდეს გამომიგზავნია მესიჯი. ახლა ჩემი საწუხარის შესახებ: არც კი ვიცი, რით დავიწყო. ვეძებ ერთ ძალზე ახლობელ ადამიანს. სხვა გზა აღარ დამრჩენია, შენ უნდა მოგმართო. ერთმანეთი მობილური ტელეფონით გავიცანით. ორივეს ერთნაირი მობილურის ნომრები გვქონდა და მხოლოდ ბოლო ციფრი იყო სხვადასხვა. 2003 წელს, დროდადრო ვუგზავნიდით ერთმანეთს მესიჯს, მაგრამ პირადად არ შევხვედრივართ. 2004 წლის თებერვალში შევხვდით. ამის შემდეგ, მის მიმართ განსხვავებული გრძნობა დამეუფლა, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდი, რა დამერქმია ამ გრძნობისთვის. მეგობრობა? სიყვარული? ლტოლვა? თუ ყველაფერი ერთად?.. თავიდან, ჩემს შებმას ცდილობდა. რომ მიხვდა, არაფერი გამოუვიდოდა, სიყვარულზე ალაპარაკდა. მეუბნებოდა – მეგობრობაზე მეტს ვგრძნობ შენ მიმართო. თუმცა, ჩვენს ურთიერთობას ვერც სიყვარულს დაარქმევდი და ვერც მეგობრობას. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ საოცრად გვიზიდავდა ერთმანეთი. ძალზე ბევრ რამეს მატყუებდა, თავის გვარსაც კი მიმალავდა... მერე მითხრა – ცოლი მოვიყვანეო. ბედნიერება რომ ვუსურვე, მერე მითხრა – ტყუილია, გამოგცადე – შენი რეაქცია მაინტერესებდაო... მერე თავისი გვარიც მითხრა. მაგრამ ახლაც არ ვიცი, სიმართლეა თუ არა... მერე გაიგო, რომ გერმანიაში, ჩემს დასთან ვაპირებდი წასვლას და მისი ტელეფონის ნომერი მთხოვა, მაგრამ არ მივეცი. ახლა ძალზე ვნანობ. ჩვენ საერთო ნაცნობებიც კი არ გვყავს. არ მინდა, ეს ადამიანი დავკარგო. უკვე 8 თვეა, გერმანიაში ვარ და მას ვეძებ, მაგრამ მობილურის ნომერი გამოუცვლია. არ ვიცი, გამოიღებს თუ არა შედეგს ჩემი წერილის გამოქვეყნება, მაგრამ მაინც ვცდი. ვასიკო დათაშვილო, ძალიან გთხოვ, გამომეხმაურე. მარისთან ვტოვებ საკონტაქტო ტელეფონის ნომერსა და Email-ს. მოუთმენლად ველი გამოხმაურებას. თამთა“.

დაბოლოს, ტრადიციისამებრ, მოკლე მესიჯებს გადავხედოთ.

„მოღალატე მამაკაცები მიფრთხილდნენ!“

„ჩემს „სასტავში“ 4 გოგო და 5 ბიჭი ვართ. ამ ბიჭებიდან ერთ-ერთი მომწონს. საკმაოდ მოხდენილი და ლამაზი გოგო ვარ. კარგად ვსწავლობ და ბევრ ბიჭსაც მოვწონვარ. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ერთხელ, მთელი „სასტავი“ ჩემთან დავპატიჟე და ღამით დარჩენაც შევთავაზე. უარი არ უთქვამთ. ღამით, როცა ყველამ დაიძინა, მე და ერთი ბიჭი დავრჩით (ოღონდ, არა ის, რომელიც მე მომწონდა). უეცრად მომიბრუნდა, ვნებიანად მაკოცა და – საძინებელში შევიდეთო, – მითხრა... ისეთი ღრიალი ავტეხე, რომ ყველა ჩემი მეგობარი გავაღვიძე. ჩემმა რჩეულმა, შეურაცხმყოფელს ისეთი დღე აყარა, რომ მისი ცოდვით ქვაც კი ატირდებოდა. ამ ამბავმა ჩემი სიმპათია მის მიმართ ისე გაზარდა, რომ დაუფიქრებლად დავთანხმდი ცოლად გაყოლაზე. როგორც შემდეგ გაირკვა, ყველაფერი დადგმული ყოფილა... ცოტა კი მეწყინა, მაგრამ მალე შევურიგდი. აი, ასეთი ოინი მომიწყო შეყვარებულმა“.

„დაბადების დღეზე, ჩემი შეყვარებული არ დავპატიჟე. ის კი, კლუნის ტანისამოსში გამოწყობილი, პარიკითა და გრიმით მოხატული მომადგა და გამოაცხადა – დაბადების დღის ცენტრიდან ვარ, თქვენმა ახლობელმა დამიქირავაო. მართლა ვერ ვიცანი!.. კარგად მოვილხინეთ. ზეიმის ბოლოს კი, მესიჯი გამომიგზავნა – მართლა ვერ მიცანი თუ ასე კარგად თამაშობო?.. აი, ასეთი ოინებიც იციან კაცებმა. ხათო“.

„გამარჯობა. ჟურნალი „გზა“ ყოველ ხუთშაბათს რომ არ ვიყიდო, ცოლი შინ არ შემიშვებს. „გზავნილების“ ერთგული

მკითხველია. მე კი, ჩემი მხრივ, მინდა გითხრათ, რომ ყველა ის მამაკაცი მეზიზღება, ვინც ქალის გულისთვის თავს დაიმცირებს. დღეს ბედნიერი ვარ, რომ იმ წუმპიდან ამოვედი, რასაც ქეთი დ-ძე ჰქვია. ახლა ლამაზი ოჯახი მაქვს, მაგრამ იმ უაზროდ დაკარგულ დროსა და ნერვებს საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ. არსებობენ ქალები, რომლებთანაც მამაკაცური ოინები არ ჭრის".

„როცა კაცი ცოლს ღალატობს, ქალები ამას მამაკაცურ ოინს უწოდებთ. სინამდვილეში, იცით, რა ხდება?.. კაცს ცოლი ყველაზე მეტად უყვარს, მაგრამ მას სხვა ქალები იმისთვის სჭირდება, რომ ამაში უფრო მეტად დარწმუნდეს. მართალია, მე ცოლი არ მყავს, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ასეა. „საშლელი".

„მშვენიერების, საოცრების თუ გსურს დანახვა, შენ შენი თავი ჩემი თვალით უნდა განახვა! ზვი, ძალიან მიყვარხარ".

„მე ვარ ჯაბა. თქვენი საშუალებით, მინდა ნიკა ქავთარაძის შოუს ერთ-ერთ გოგონას შევეხმიანო. სალომე შ-ძე, ძალიან მიყვარხარ. შემეხმიანე, არ ინანებ".

„არ ვიცი, ამას ოინი ჰქვია თუ რა, მაგრამ ორჯერ ნაცოლარმა ბიჭმა თავი ისე შემაყვარა, ლამისაა გავგიჟდე. მიუხედავად იმისა, რომ სულ მალე მისი მესამე ცოლი გავხდები, მაინც ძალიან ბედნიერი ვარ. ზურა, მიყვარხარ. ნუცა".

„არ არსებობს ისეთი მამაკაცური ოინი, რომელიც ჯერ ვერ ამომიცვნია. „პიატნიცა მეცამეტე".

„წელიწადზე მეტია, ერთი გოგო მიყვარს. როდესაც მუშაობა დავიწყე, ის უკვე იქ მუშაობდა. ძალზე შემიყვარდა. მეტსახელად შავტუხა დავარქვი. შავი ტუშით ნახატი ხარ და ამიტომ-მეთქი, — ვუთხარი. მას ჩემთვის პირობა არ მოუცია და ჩემთან ურთიერთობაზე ყოველთვის უარს ამბობდა, მაგრამ მისი თვალები სულ სხვა რამეს მეუბნებოდნენ. იმ სამსახურში სულ 35 დღე ვიმუშავე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ლექსებს ვწერდი, ის კი სხვებს აკითხებდა. ვენდობოდი, ბევრ რამეზე ვესაუბრებოდი, ის კი სიტყვასიტყვით ყველაფერს უკაკლავდა სხვებს... მოკლედ, ის გოგო სხვას გაეკიდა, მანქანისა და ფულის გამო. უკვე 10 თვეა, თვალითაც არ მინახავს, მაგრამ ეს უტიფარი და გულქვა გოგო მაინც ვერ დავივიწყე. მ.გ."

„ვისაც ძალიან ვუყვარდი და მთელ სიცოცხლეს მერჩივნა, სწორედ მან ვერ მაპატია ერთი უმნიშვნელო შეცდომა და მეტიც ქნა — თავის ძმაკაცზე დამაქორწინა... ვიცი, ვერასოდეს აპატიებს თავს ამ საქციელს. მინდა, იცოდეს გიორგიმ, რომ გამაუბედურა. გიო, იცოდე, რომ წარსულს ვერც შენ დაივიწყებ და ეს იქნება შენი სასჯელი. შენი დიდი სიყვარული".

„მამაკაცები იმის ღირსნი არიან, რომ ოინები იქით მოვუწყო. უნდა გადავრიოთ და გავაგიჟოთ. ფერია".

„მამაკაცები არცთუ ისე ეშმაკები არიან, როგორც თავი მოაქვთ. ქალები უფრო მაგრები ვართ. ჭკვიანი ქალი ყოველთვის მოახერხებს კაცის მოხიბვლას. მამაკაცები კი, ეჰ..."

„მამაკაცური ოინები არ ვიცი, მაგრამ ერთი ბიჭი კი ვერა და ვერ შევაბი. თუმცა, სხვებს მარიონეტებივით ვათამაშებ. ანი".

„მე სვანების ახლობელი ვარ და „მოწოდებით" ვარ სვანი. ამიტომ გთხოვთ, დამიბეჭდოთ მესიჯი. ერთხელ, ვაკელ გოგოს ვუთხარი — სვანებმა თავიანთი სისხლი გადამისხეს-მეთქი, — და იცით, რა მიპასუხა? — რა, ავად იყავიო?.. ისე, კაცებზე მაგარ ოინებს ჩვენ ვჩითავთ, რადგან უფრო ეშმაკები და ჭკვიანები ვართ. მე მაქვს უნარი, ხმა შევიცვალო და ნებისმიერი ტემბრით ვილაპარაკო. ჩემს მეგობარ გოგონებს ვურეკავ ხოლმე და მამაკაცის ხმით სიყვარულს ვუხსნი. ერთი გაჩვენათ, მეორე დღეს როგორი აღტაცებით მიყვებიან ხოლმე ამ ამბავს. მე კი ჩუმ-ჩუმად მეცინება. ერთხელ, ერთ ბიჭს დავურეკე, მისი ცოლის დაქალის (რომელიც ჩემი დაქალიცაა) თხოვნით და კაცის ხმით, ჟარგონით ველაპარაკე, ერთ „კეთილ" გოგოზე ვუთხარი — თავი დაანებე, თორემ, შავ დღეში ჩაგაგდებ-მეთქი. შეხვედრა დამითქვა და 5 წუთში, ჩვენი კორპუსის წინ მისი „ბეემვე" მოვიდა. ვიღაც ტიპები „გადმოლაგდნენ" მანქანიდან და კარგა ხანს მელოდებოდნენ. მე და ჩემი დაქალები კი, ფანჯრიდან ვუყურებდით და სიცილით ვიხოცებოდით. აბა, როგორია, ცოლის ღალატი?.. ერთხელ, დაქალის შეყვარებულის ტურფამ დაგვირეკა ღამის 2 საათზე და საშინელი სიტყვებით მოგვმართა. გადავურეკე და კაცის ხმით ისე ვაგინე, რომ გოგონები გაოცებული მიყურებდნენ — ასეთი სიტყვები საიდან იცით? ის კახპა ხომ გაისუსა!.. მაგრამ მეორე დღეს, ჩემს დაქალს შეყვარებულმა პასუხი მოსთხოვა — ღამის 2 საათზე კაცთან ერთად რატომ იყავიო?.. მაგრამ ამ სიტუაციიდანაც გამოვძვერით. ასე რომ, ვინც მე მაწყენინებს... ვაი, ვაი... ისეთ ოინს მოვუწყობ! განსაკუთრებით მოღალატე კაცები მიფრთხილდნენ!"

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სამსახურებრივი რომანი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გეშშვიდობებით მომდევნო ხუთშაბათამდე.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

რარის სახით 7 მილიონი დოლარი მოითხოვა. ამით აღშფოთებული კოპოლა დაემუქრა, სცენარს გადავაკეთებ და ფილმს მაიკლ კორლეონეს დასაფლავებით დავიწყებო. ალ პაჩინო იძულებული გახდა, დაეთმო და 5 მილიონზე დათანხმდა.



20. ზიგმუნდ ფროიდს მოხუცებულობაში ყბა-სახის სიმსივნე განუვითარდა. 16 წლის განმავლობაში, მას 33 ოპერაცია გაუკეთეს. ყბის ნაწილი საერთოდ მოჰკვეთეს, რის გამოც, პროთეზს ატარებდა. ამ პროთეზის გამო, იგი მონსტრს დაემსგავსა და ასეც ეძახდნენ.

21. „ინგლისური პრესა დაცინვით წერდა — ახალი იარაღი, რომელზეც გერმანია ლაპარაკობს, თავდაცვის სამინისტროს ნაცვლად, პროპაგანდის სამინისტროში არის შექმნილიო. ჩვენ დაცინვაზე არ გვიპასუხია, რადგან მოულოდნელ დარტყმას ვამზადებდით. მოულოდნელობაც ხომ საკმაოდ ეფექტური იარაღია", — ამბობდა იოზეფ გებელსი, „ფაუ 2"-ის ტიპის რაკეტებით ლონდონის დაბომბვის შემდეგ.

22. ამერიკული დამკრძალავი ბიურო — „ნეკროპოლისი" უძვირფასეს კუბოებს ამზადებს. მათი პროდუქციის ფასი 15-20 ათას დოლარს აღწევს. „ნეკროპოლისის" მთავარ ბაზარს რუსეთი წარმოადგენს. „ახალი რუსები" ამ ფირმას ყოველთვიურად, 800-მდე კუბოს უკვეთენ.

23. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პარიზში გერმანელებთან ურთიერთობაში შემჩნეულ ქალებს საჯაროდ პარსავდნენ თავებს. ამის გამო კოკო შანელი პარიზიდან გაიქცა, რადგან ომის დროს, გერმანელი ოფიცრის საყვარელი იყო.

24. „ბედი მაინც არა მწყალობს, არც დარში და არც ავდარში, ბუშის წვიმა მოდიოდა, კოკოითი მომხვდა თავში", — მღეროდა საკუთარ შოუში გუდასტვირის აკომპანემენტით ნიკა ქავთარაძე.

25. კონსტანტინეპოლის დამაქცევარმა, თურქეთის სულთანმა მუჰამედ მეორემ ერთ მონას თავი მხოლოდ იმისთვის მოსჭრა, რომ მისი კისრის კუნთების მოძრაობა ეჩვენებინა იტალიელი მხატვრის, ჯენტილო ბელიოლინისთვის, რომელიც სულთნის პორტრეტს ხატავდა.

დახ,,ყველა გასათხოვარ გოგოს, ასაკის მიუხედავად, ერთი და იგივე სენი სჭირს – წინასწარ უნდა იცოდეს, ვინ იქნება მისი ბედი. როდესაც მის ცხოვრებაში ახალი თაყვანისმცემელი გამოჩნდება, იბადება კითხვა – ნუთუ, ეს არის? ახლა ჩემზე მოგითხრობთ. კარგა ხანს ვიარე გაუთხოვარმა. 25 წლამდე სულაც არ ვნერვიულობდი. თუ ვინმე მკითხავდა – გოგო, ისევ გასათხოვარი ხარო? – სარკეში ჩავიხედავდი, საკუთარ თავს სიამაყით შევავლებდი თვალს და ვუპასუხებდი – მთავარია, მე მოვინდომო, თორემ, ჩემნაირი გოგოს ქმრობაზე უარს ვინ იტყვის-მეთქი?!.. თურმე, არც ასეთი იოლი ყოფილა გათხოვება. თაყვანისმცემელი ბევრი მყავდა, მაგრამ ხელი ჩემთვის არავის უთხოვია... რაც უფრო მემატებოდა ასაკი, უფრო და უფრო ვნერვიულობდი. არ ვტოვებდი არც ერთ წვეულებას და ხელიდან არ ვუშვებდი შანსს, ვინმე კარგი ბიჭი დამეთრია, მაგრამ შენც არ მომიკვდე. თბილისიდან ლანჩხუთშიც კი გავემგზავრე ბიჭის გასაცნობად, მაგრამ უშედეგოდ. მერე ვიღაცამ ჩამაწვეთა – ვინმემ ჯადო ხომ არ გაგიკეთა, რატომ ვერ თხოვდებიო? ჰოდა, ამის შემდეგ შემიჩნდა ეშმაკი – დავიწყე კარგი მკითხავის ძებნა. ამ ძებნა-ძებნაში მარო დეიდას მივაგენი. შელოცვილი გაქვსო, – მითხრა, – შენს სახელზე ბოქლომი უყიდია ერთ წითელთმიან ქალს, ჩაუკეტავს და ბოქლომი ცალკე გადაუგდია, გასაღები – ცალკეო. თან ამ დროს, თურმე, ასეთ სიტყვებს ამბობენ – ვიდრე ეს გასაღები თავის კლიტეს არ მოერგება, მანამდე ესა და ეს (სახელსა და გვარს ამბობს) ბედს ვერ ეღირსოსო... აუჰ, – გადავირიე, – ახლა რა მეშველება-მეთქი? – ერთი ბოქლომი იყიდე, 60 სანთელი და ჯადოს მოგიხსნიო, – დამაიმედა მარო დეიდამ. ასეც მოვიქეცი. რაღაც ჭრელი თოკი მომაბა წელზე, ზედ ბოქლომი დამიმაგრა და დამარიგა – ყოველ დილით თითო სანთელი აანთეო. თან ამ დროს, ის ლოცვა უნდა წამეკითხა, რომელიც თვითონ დაწერა და დასძინა, – ამ 60 დღის განმავლობაში, თუ ვინმემ ცოლობა გთხოვა, უარი უთხარი, ზუსტად მე-60 დღეს გამოჩნდება შენი ბედიო... ყოველ დილით ვკითხულობდი ლოცვას და მართლაც მთელი გულით შევთხოვდი უფალს – გამაბედნიერე-მეთქი! ერთი თვის შემდეგ, ძველმა ნაცნობმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. წინათ ეს კაცი სიგიჟემდე მიყვარდა, თუმცა თვითონ ამის შესახებ არაფერი იცოდა. შევხვდი. მითხრა – შენზე კარგ გოგოს ვერსად ვიპოვი, ცოლად გამომყევიო. ერთი სული მქონდა, ,,ჰო'' მეთქვა, მაგრამ მარო დეიდას სიტყვები გამახსენდა და ვთხოვე – ერთი თვის შემდეგ, ამა და ამ რიცხვში დამირეკე, პასუხს მაშინ გეტყვი-მეთქი. ძლივს გავიდა ის ერთი თვე. დილით მაროსთან მივედი, ბოქლომი შემხსნა, ქამარი დაწვა, ლოცვა წაიკითხა და მითხრა – აჰა, შენ ორი მაგნიტი; შენი სასურველი მამაკაცი შინ მიიწვიე, შესასვლელი კარის ზღურბლზე, აქეთ-იქით ეს ორი მაგნიტი დადე, ის რომ მათ შუა გაივლის, ამის შემდეგ, მაგნიტები ვინმემ უნდა შეატყუპოს და ღამით თავქვეშ დაგიდოსო. ჩემმა კავალერმა დათქმულ დღეს მართლაც დარეკა. შინ დავპატიჟე. დედაჩემს ყველაფერი მოვუყევი და ერთი სართულით მაღლა, კიბის ბაქანზე, დავმალე მის მოსვლამდე, რომ მაგნიტები შეეტყუპებინა. დათოს, რამდენიმე წუთით ადრე, მეზობელ სადარბაზოში მცხოვრებმა სანდრომ დაასწრო მოსვლა: მამაჩემთან ჰქონდა საქმე. მაგრამ დედაჩემს უფიქრია, რომ დათო მოვიდა და მაგნიტები შეატყუპა... ბევრი რომ არ გავაგრძელო, 3 თვის შემდეგ, სანდროს გავყევი ცოლად. სად არ ვეძებდი ბედს და აგერ, ყურის ძირში არ ვიპოვე?!.

რას იზამ, ალბათ ჩემი ბედი მართლაც, სანდრო იყო, თუმცა უკმაყოფილო სულაც არ ვარ. ის კარგი ქმარი და კარგი მამაა''.

ჩვენი შემდეგი რესპონდენტის ნაამბობმა გამახსენა ქართული ანდაზა – ბედი მომეცი და სანეხვეზე გადამაგდეო... თუმცა, თვითონ სიტყვასიტყვით ასე არ ამბობს, მაგრამ მისი მესიჯის ბოლო სიტყვებს რომ წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ ამ აზრს აბსოლუტურად იზიარებს.

,,...ახლა კი, დედოფალივით ვცხოვრობ''

,,დიდი ხანია, ,,გზავნილებს'' ვკითხულობ. ხშირად მინდოდა, მესიჯიც გამომეგზავნა, მაგრამ თავს ვიკავებდი: არ მინდოდა, ჩემი ცხოვრების დეტალები საქვეყნოდ გამომემზეურებინა, მაგრამ ამჯერად, თემა ისე კარგად მოარგე ჩემს ცხოვრებას, რომ გადავწყვიტე, გიამბოთ, თუ როგორ ვეწიე ბედს. ქართველი ვარ, მაგრამ დავიბადე და გავიზარდე უკრაინაში. ჩემი მშობლები იქ ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 22 წლის ასაკამდე, საქართველოში სულ სამჯერ გახლდით ნამყოფი, ქართულად უაქცენტოდ ვლაპარაკობ, რადგან ოჯახში მხოლოდ ამ ენაზე ვესაუბრებით ერთმანეთს. აქაური და იქაური ცხოვრების წესი ძალზე განსხვავებულია. იქ ახალგაზრდებს მცირეწლოვანი ასაკიდან უფრო მეტი თავისუფლება აქვთ. მამაჩემი მკაცრი იყო, მაგრამ დედა მმფარველობდა და ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რაც მინდოდა. პირველად, მამაკაცის ,,ვემო'' 15 წლის ასაკში გავიგე. ამის შემდეგ 5-6 პარტნიორი გამოვიცვალე. სამეჯლისო ცეკვებს ვეუფლებოდი, ხშირად მიწევდა გასტროლებსა და კონკურსებზე სიარული სხვადასხვა ქვეყანაში და ცხოვრების ასეთი წესი ჩემთვის მოთხოვნილებად გადაიქცა. 18 წლის ვიყავი, როდესაც მამა გარდაიცვალა. 2 თვის შემდეგ, დედამ გათხოვება გადაწყვიტა. დიდი წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ მას ჩემი აზრისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია და მაინც თავისი გაიტანა. მე საცხოვრებლად ცალკე გადავედი. შემდეგ, როცა დედაჩემი მეორე ქმარს გაეყარა და მესამედ გათხოვება გადაწყვიტა, პროტესტის ნიშნად, საერთოდ დავტოვე უკრაინა და თბილისში ჩამოვედი. აქ მამაჩემის მშობლების მიერ დატოვებული ერთოთახიანი ბინა მეგულებოდა. ვიფიქრე – სამსახურსაც ვიშოვი-მეთქი და სამუდამოდ გადმოვბარგდი საქართველოში. იმდენი ფული კი მქონდა, რომ 3-4 თვეს ვიმყოფინებდი. დავიწყე სამსახურის ძებნა, მაგრამ არც ისე იოლი აღმოჩნდა. მერე ერთ-ერთ გაზეთში ვნახე განცხადება, რომ მოცეკვავე გოგონები სჭირდებოდათ. მივაკითხე. აღმოჩნდა, რომ ეს იყო სტრიპტიზ-ბარი. სხვა გზა არ მქონდა და გადავწყვიტე, ნორმალური სამსახურის მოძებნამდე, იქ მემუშავა. თავიდან კი გამიჭირდა გახდა, მაგრამ მერე მივეჩვიე. საკმაოდ ბევრ ფულს ვშოულობდი. უკრაინულმა ჰავამ ალბათ თავისი კვალი დატოვა და ყველა ფიქრობდა, რომ ქართველი არ ვიყავი. ამიტომ უფრო მეტი ფული მხვდებოდა, ვიდრე სხვა გოგონებს. ღამეში 700-800 ლარიც კი გამიკეთებია. გაგონილი მქონდა, რომ ქართველი მამაკაცები ხისტები და უხეშები არიან. ამიტომ მათთან საქმეს არ ვიჭერდი. კლიენტს პაემანზე არასოდეს ვთანხმდებოდი. ბარის ხშირი სტუმარი იყო ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ჩაცმულობაზეც ეტყობოდა, რომ დიდი ფულის პატრონი იყო და გულუხვადაც მასაჩუქრებდა ხოლმე. რამდენჯერ სცადა, პაემანი დაენიშნა, მაგრამ უარს ვეუბნებოდი. მერე, ფულთან ერთად, თავისი ტელეფონის ნომერიც ჩამიცურა ,,ტრუსიკში'', მაგრამ არც მიფიქრია დარეკვა. ერთ დღეს, შინ ვიყავი და სამსახურში წასასვლელად ვემზადებოდი, როცა ჩემს კარზე ორმა მამაკაცმა დააკაკუნა. მითხრეს – ბადრის დავალებით მოვედით, მასთან უნდა წამოგყვეო... ჩვენი დაახლოების დეტალებზე დროს არ დავკარგავ, მოკლედ გეტყვით – საბოლოოდ, მისი ცოლი გავხდი. ბარში აღარ ვმუშაობ და ჩემი წარსულის გახსენებაც აღარ მინდა. თან ვფიქრობ – ეს წარსული რომ არ ყოფილიყო, ვერც ბადრის გავიცნობდი...

აი, ასეა – წუმპეში ვიყავი, ახლა კი

დედოფალივით ვცხოვრობ. ეს სწორედ ბედის ამბავია – ჩემს ბედნიერებაში წვლილი არ მიმიძღვის... მარი, სახელები შეცვლილია, ალბათ მიხვდები, რატომ მოვიქეცი ასე. გენდობი და ამიტომ ვფიქრობ, რომ საიდუმლოსაც და ჩემს ტელეფონის ნომერსაც არავის გაუმხელ...“

შესაძლოა, სიყვარული რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებულ ქალაქში იპოვო, მაგრამ ამ გრძნობას მანძილი ვერაფერს დააკლებს... თუმცა, მაინც არსებობს ერთი „მაგრამ“...

„მას ეს სიტყვა არ უყვარს...“

„თეა მქვია, ვარ 34 წლის და ვცხოვრობ თბილისში. მეუღლესთან 8 წელი ვიცხოვრე. შემდეგ ექიმებმა დაადგინეს, რომ შვილი არასოდეს გვეყოლებოდა და ამაში დამნაშავე მე ვიყავი. ეს თავზარდამცემი იყო ჩემთვის. ვგრძნობდი, რომ საყვარელ ქმარსაც დავკარგავდი. თუმცა ის ყოველთვის მამშვიდებდა – ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვსო, – მისი საქციელით ვხვდებოდი, რომ ჩვენ შორის უხილავი კედელი აღიმართა... ბოლოს მე თვითონ შევთავაზე – დავშორდეთ, ჯობია, ისეთ ქალზე დაქორწინდე, რომელიც შვილს გაგიჩენს-მეთქი. არ გაუპროტესტებია... შემდეგ გავიგე, რომ ამ დროს მისი საყვარელი 6 თვის ფეხმძიმე ყოფილა და გავიყარეთ თუ არა, ერთ კვირაში ცოლად მოიყვანა. ძალზე ვინერვიულე, მაგრამ ბოლოს, ბედს შევურიგდი.

გავიდა რამდენიმე წელი. გადავწყვიტე ბინის გაყიდვა და ერთ დღეს, მაკლერმა ახალგაზრდა – ასე, ორმოციოდე წლის მამაკაცი მომიყვანა. ბოლოს მკითხა – რატომ ყიდი ბინასო? – ვალები დამიგროვდა, შედარებით ნაკლებ ფართს ვიყიდი, ვალს გავისტუმრებ და ცოტა ხანს თავსაც გავიტან-მეთქი. საღამოს ის კლიენტი კვლავ მომადგა. მკითხა – ვალი რამდენი გაქვსო? – 200 დოლარი-მეთქი. გაიღიმა. მაგ ვალს მე გაგისტუმრებ, ყველანაირად გვერდით დაგიდგები, ოღონდ, ჩემი ერთგული იყავიო... შინიდან გავაგდე. არ მეშვებოდა. სულ ვეჩხუბებოდი. მერე ბინა გავყიდე და სხვაგან გადავედი საცხოვრებლად, მაგრამ იქაც მომაგნო. იმდენი ქნა, რომ თავი შემაყვარა... ის ფოთელია. უკვე 3 წელია, საყვარლები ვართ (თუმცა მას ეს სიტყვა არ უყვარს). თვეში 2-3-ჯერ ჩამოდის ჩემთან. იქ ოჯახი ჰყავს და ამბობს, რომ შვილებს ვერ მიატოვებს, მაგრამ არც უჩემოდ შეუძლია ყოფნა. როცა ფოთიდან ჩემკენ მოიჩქარის, გზიდან უამრავჯერ მირეკავს ხოლმე – ამდენი და ამდენი კილომეტრი მაშორებს შენგანო, – მეუბნება... მოკლედ, ძალზე ბედნიერი ვარ, ჩემი სიყვარული რომ ვიპოვე, მაგრამ...“

ადამიანი ტანისამოსს სეზონის შესაფერისად ირჩევს. ზაფხულში შედარებით შილიფად ჩაცმული დავდივართ, ზამთარში – ყელიანი სვიტერით. ამაში გასაკვირი არაფერია. გაოცება შესაძლოა იმან გამოიწვიოს, პაპანაქება სიცხეში თბილად ჩაცმულ ადამიანს რომ შევხვდებით. თუ კარგად გამოიძიებთ, შესაძლოა, არასასიამოვნო ქმედებაში ამხილოთ „მცივანა“ საქმრო“.

ბათუმელი „დედლები“ და გადადებული ქორწილი

„ჩემი ნაამბობი შესაძლოა, დღევანდელ თემას არ შეესაბამებოდეს, მაგრამ ქორწინებას კი ნამდვილად ეხება. ეს დიდი ხნის ამბავია. მეცნიერი კაცი გახლავართ და ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს ვკითხულობ. საკმაოდ გვიან, 34 წლის ასაკში გადავწყვიტე ოჯახის შექმნა. როგორც იქნა, დავთქვით დღე, როცა პატარძლის დასანიშნად ჩემს ნათესავებთან ერთად უნდა მივსულიყავი. შაბათი გახლდათ, სასწავლო წლის დასასრული იყო. სტუდენტები გამოცდებისთვის ემზადებოდნენ და ლექციას არც ერთი მათგანი არ აკლდებოდა. წინადღეს, ლექციაზე ვარ, რაღაც საკითხს ვხსნი, ამ დროს იღება კარი და სხვა ჯგუფის სტუდენტი მეუბნება, დეკანი გეძახისო. ლექციიდან ლექტორის გაყვანის უფლება არავის აქვს, მაგრამ რადგან დამიძახა, ვიფიქრე, სასწრაფო საქმე აქვს-მეთქი და ვეახლე. ხვალ რას აკეთებო? – მკითხა. – ქალის დასანიშნად მივდივარ-მეთქი. – აუჰ, რა დროს ეგ არის, ბიჭო, ხვალ ბათუმიდან, კოდის დედლებივით გოგოები ჩამოდიან სტუმრად, ისინი გვყავს პატივსაცემი, რა დროს ცოლის მოყვანააო?! – რამეს მოვიფიქრებმეთქი, – ვუთხარი და ლექციაზე დავბრუნდი. ორ წყალს შუა ვიყავი ჩავარდნილი, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ჩემი საცოლის ოჯახს უამრავი სტუმარი ჰყავდა დაპატიჟებული. ჩემი მხრიდანაც, ასე, 10-15 კაცი უნდა წამოსულიყო და როგორ გინდა, ასეთი ღონისძიება ჩაშალო?!. ის დალოცვილი კიდევ, არ მომეშვა – წამოდი და წამოდიო. მეც ბათუმელი ლამაზმანებისკენ მიწევდა გული. ცოლის მოყვანას ყოველთვის მოვასწრებ, ქალი შებმულია, სად გამექცევა-მეთქი?! – ვფიქრობდი. ჰოდა, იმ საღამოს ოჯახში მოვიტყუე – 2 დღით მივლინებაში მიშვებენ და ქალის დანიშვნა ორშაბათამდე უნდა გადავდოთ-მეთქი. გადაირივნენ – ორშაბათს ცოლის მოყვანა ვის გაუგონიაო?!. მაინც ჩემი გავიტანე. დილით დეკანმა მანქანით გამომიარა და ოჯახის წევრები დარწმუნდნენ, რომ არ ვიტყუებოდი. მოკლედ, 2 დღე, მშვენიერი დრო ვატარეთ. იმ ჩემი ცოდვით სავსე ქალმა კისერზე ისეთი ნიშანი დამატყო, რომ სირცხვილით თავი არ გამომეყოფოდა. რა უნდა მექნა? ორშაბათს გამოვიპრანჭე და პაპანაქებაში თეთრი, ყელიანი „როლინგსტონი“ ჩავიცვი. მაშინ მოდაში იყო, მაგრამ სიცხეში?!. ჩემმა ძმამ რომ დამინახა, თვალმოჭუტულმა მკითხა – ამ სიცხეში რა თბილად ჩაგიცვამს, გცივაო? – არა, ძალზე მიხდება და მინდა, ქალის ნათესავებს თავი მოვაწონო-მეთქი, – ვუპასუხე. ყველა გაკვირვებული მიყურებდა, ასე თბილად რომ მეცვა. თან შუბლიდან ოფლი ღვარად მომდიოდა. მაგრამ სხვა რა გზა მქონდა – ვაჟკაცურად უნდა გამეძლო... თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, რომ პატარძალი იმ დღესვე შინ უნდა წამომეყვანა, მაგრამ გავჯიქდი – არა და არა-მეთქი, – ძალით ხომ არ გამომატანდნენ!.. მთელი ორი კვირა გავიდა, სანამ იმ კოცნის კვალი გაქრებოდა. მერე კი დავოჯახდი და დღემდე ბედნიერად ვცხოვრობთ. გივი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„იცოდე, განანებ!..“

„აბა, ბედი რომ მქონოდა, ასეთ ჯიუტ და „შპილკა“ ადამიანს არ გადავეყრებოდი. მასთან არაფერი ჭრის. ისე, თავის შეცოდება მაგრად გეხერხება, გიო. „ფერია“.

„ის“ 18 სექტემბერს გავიცანი ჩემს ეზოში. თვალებით ისე შემჭამა, რომ 22-ში მივხვდი, რომ მიყვარდა. 26 სექტემბრიდან დღემდე, „ნე ვიჟუს“ ვურტყამთ ერთმანეთს. როცა გაიგო, რომ შემბა, თავის დაფასება დაიწყო, მაგრამ არ გამოუვიდა. თავის დაფასება ჩემზე კარგად ვინ იცის?!. მართალია, მასზე ვგიჟდები, მაგრამ სანამ არ შემეხვეწება, „გამარჯობასაც“ აღარ ვეტყვი. ხშირად მებადება კითხვა – რა უნდოდა, თავისი ფეხით რომ მოვიდა?“

„მე ის ტელეფონით გავიცანი. 2 წელი მხოლოდ ასე ვურთიერთობდით. შეხვედრას მთხოვდა, მაგრამ არ შევხვდი. გამინაწყენდა, – მახვეწნინებ? იცოდე, განანებო! – დამემუქრა. ახლა ცოლი მოიყვანა... ილია, მინდა გითხრა, რომ უკვე ძალიან ვნანობ. ძალიან მენატრები. ადგილი ვეღარ მიპოვია, მაგრამ შენ ახლა ცოლიანი კაცი ხარ. ასეა, გვაქვს – არ ვაფასებთ, დავკარგავთ – ვეძებთ. ი.ნ.“

„ეგ ფრაზა სწორედ ჩემზეა ზედგამოჭრილი – საქართველოს ყველა კუთხეში „პაკლონიკი“ გყავს, ალბათ კოლექციას აგროვებო, – დამცინოდნენ ხოლმე მეგობრები. მე კი ერთი აჭარელი ბიჭი ისე შემიყვარდა, რომ გულიდან ვეღარ ამოვიგდე. დღე მასზე ფიქრით იწყება და მთავრდება. არადა, ყველაფერი მე თვი

ნატა მაჩარაძის „ეხსენარი“: 60 მილიონი დარი, 113 ხელქვეითი და შეუკოვარი ხასიათი...

კულტურისა და განათლების საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელთა გათავისუფლებაც და დანიშვნაც სკანდალური აღმოჩნდა. ჯერ იყო და ოქტაშვილსა და ჩაჩავას სახელმწიფო თანხების არამიზნობრივად ხარჯვისთვის ფინანსურ პოლიციაში დაატარებდნენ. შემდეგ ეს ორი სამსახური გააერთიანეს და მის ხელმძღვანელად ახალგაზრდა ქალბატონი დანიშნეს, რომელმაც ამ სამსახურის „ქისას“ მჭიდროდ მოუკრა პირი და კულტურული ბომონდის გულისწყრომაც კი გამოიწვია...

დღეს უკვე გაერთიანებული, კულტურისა და განათლების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის — ნატა მაჩალაძისთვის, საქმიანი ქალის ეტალონი თურმე, კონდოლიზა რაისი ყოფილა. უფრო დაწვრილებით კი მისი საქმიანი ბიოგრაფიის შესახებ ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ემა ტუხიაშვილი

— შეიძლება ითქვას, რომ ორი პროფესია მაქვს: ჯერ დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, მოგვიანებით კი სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკის სპეციალობას დავეუფლე. ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, როდესაც დავიწყე ბავშვების მომზადება ინგლისურ ენაში და საკუთარი შრომით მოპოვებული პირველი შემოსავალი — 15 დოლარი ოჯახს მოვახმარე. ცოტა მოგვიანებით, მუშაობა დავიწყე სტაჟიორად საგარეო საქმეთა სამინისტროში, იქიდან კი, ბრიტანეთის საბჭოში გადავედი.

— იმთავითვე გქონდათ გადაწყვეტილი, რომ პრიორიტეტს, საქმიანობას მიანიჭებდით და არა ოჯახს?

— მე ვფიქრობ, რომ ნებისმიერმა ადამიანმა უნდა მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება რაღაც საქმის კეთებით, თუმცა მიმაჩნია, რომ ოჯახი და კარიერა ერთმანეთს აბსოლუტურად არ ეწინააღმდეგება. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რაღაცას ვაკეთებდე და მაინტერესებდეს ეს საქმე. ამავდროულად, ეს შესაძლოა, იყოს ნებისმიერი სფერო, რადგან ინტერესთა სფერო საკმაოდ სწრაფად შეიძლება შეიცვალო — იქიდან გამომდინარე, თუ თავად როგორ ვითარდები, როგორც პიროვნება.

— მაგრამ შეუძლებელია, ერთდროულად ყველაფერი გაინტერესებდეს, ასე არ არის?

— რა თქმა უნდა, ნებისმიერი საქმე გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა, მე ერთი ასეთი თვისება მახასიათებს: როდესაც რაღაცას ვაკეთებ, ბოლომდე უნდა ჩავუღრმავდე და შესაძლოა, თავგანწირვაც კი გამოვიჩინო საქმის კეთებისას.

— ეი. ზოგჯერ თავგანწირვაცაა საჭირო, ხომ?.. კიდევ რა თვისებები სჭირდება ქალს, საქმიანობაში წარმატების მისაღწევად?

— ერთი მხრივ, ქალი სუსტი არსებაა, ამიტომ შესაძლოა, გაუჭირდეს კიდეც, დიდ ასპარეზზე გამოსვლა. მეორე მხრივ კი, ქალს იმდენი კარგი თვისება აქვს — მაგალითად, სათნოება, — რომ არ გაუჭირდება, სრული ჰარმონია დაამყაროს თავის გარშემო, სამსახურში.

— თქვენს ახალგაზრდულ ასაკს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელი თანამდებობა საკმაოდ დიდი ნახტომია, წარმატებისკენ მიმავალ გზაზე. საინტერესოა, მზად თუ იყავით ხელმძღვანელი პოსტისთვის?

— კონკრეტულ შემოთავაზებამდე ცოტა უფრო ადრე, მითხრეს რომ ამ თანამდებობაზე მეფიქრა. მაგრამ როცა ყველაფერი კარგად გავიაზრე, აღმოჩნდა, რომ ამისთვის მზად არ ვიყავი. თუმცა, მისწრაფება იმისკენ, რომ ყველგან, ყოველთვის და ყველაფერი საუკეთესოდ ვაკეთო, სირთულეების დაძლევაში ძალიან დამეხმარა. შემდეგ, ცოტა ხანში, კულტურისა და განათლების სამსახურების გაერთიანება მოხდა, ფიქრისთვის დრო აღარ მრჩებოდა და ამ თანამდებობაზე აღმოვჩნდი... იმასაც გეტყვით, რომ საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში მომიხდა ამ თანამდებობის დაკავება. ალბათ გახსოვთ, რომ ორივე სამსახურის უფროსს იმ დროს, სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ამასთან ერთად, კულტურის და განათლების სამსახურები საერთოდ, სკანდალებით იყო ცნობილი. თანამშრომლების გარკვეულმა ნაწილმა ჩემი დანიშვნა საკუთარი თავისთვის საფრთხედ აღიქვა; ფიქრობდნენ, რომ ამ პოსტზე ჩემს მოსვლას რაღაც ცუდი უნდა მოჰყოლოდა. მსჯელობის ობიექტად ჩემი ასაკიც გამხდარა, იმასაც ამბობდნენ — ვიღაც გოგო მოვიდაო... უნდა ვაღიარო, რომ სამსახურში ჩემი წარდგენის შემდეგ, ცოტა შევშინდი კიდეც, მაგრამ ზედმეტი ფიქრის დროც არ იყო... უმალ ჩავები ამ რუტინულ საქმიანობაში. კიდევ ერთი პრობლემა ჩემთვის ის იყო, რომ ამ სამსახურში აბსოლუტურად მარტო მოვედი — არადა, როგორც წესი, ასეთ საქმეს 2-3 ადამიანისგან შემდგარი გუნდი ჰკიდებს ხელს.

— ამჟამად რამდენი ადამიანია თქვენს დაქვემდებარებაში და ხომ არ გიჭირთ მათი მართვა?

— ჩვენ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, ამიტომ მართვა ინიციატივის გაღვიძებას უნდა ემსახურებოდეს... ჩვენს სამსახურში 113 ადამიანი მუშაობს და ყოველი მათგანი აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული მიმდინარე პროცესებში. ისიც უნდა ვაღიარო, რომ ბევრისთვის მსგავსი მიდგომა მიუღებელია და პირდაპირ მეუბნებიან: თუ არ დამავალებ, როგორ გავაკეთოო?!. მიმაჩნია, რომ ყველაფერი ჩვენს ხელშია და თუ მოვინდომებთ, შეუძლებელი არაფერია.

— რა თანხას შეადგენს თქვენი სამსახურის წლიური ბიუჯეტი და აქამდე თუ გქონიათ ასეთი თანხის განკარგვის გამოცდილება?

— ჩვენი სამსახურის ბიუჯეტი 60

მილიონი ლარია. რა თქმა უნდა, აქამდე, ამხელა თანხის განკარგვის შესაძლებლობა არ მქონია. მაქსიმალური თანხა, რომლის განაწილებასთანაც არასამთავრობო ორგანიზაციაში მქონდა საქმე, 1 მილიონ ლარს შეადგენდა. თანხის მიზნობრივად განკარგვისას, მთავარია, სწორად აწყობილი სისტემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის ოდენობას მნიშვნელობა არა აქვს. თუ გინდა, რომ ერთი კონკრეტული საქმე გააკეთო, თანხა მაქსიმალურად ამ საქმეს უნდა მოახმარო. ამასთანავე, პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, ინფორმაცია კი – საჯარო. ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და კულტურულ დაწესებულებებში. წელს მნიშვნელოვანი თანხა დაიხარჯა სკოლებში გათბობის სისტემის მოსაწყობად. აქამდე კი, მართალია, ამ მიზნებისთვის ჩვენი სამსახურის ბიუჯეტიდანაც გაედინებოდა თანხები, ცალკე მშობელიც იხდიდა გარკვეულ თანხას, მაგრამ რეალურად, გათბობის სისტემა აბსოლუტურად გაუმართავი იყო.

— წელს საკმაოდ მწვავედ იდგა, სკოლებში სასადილოებისა და ბუფეტების პრობლემა. მათ კეთილმოსაწყობად თუ არის გათვალისწინებული თანხები ქალაქის ბიუჯეტში?

– ამ ეტაპზე ვერ გეტყვით, რომ აღნიშნული მიზნისთვის ბიუჯეტიდან გვაქვს გამოყოფილი რაიმე თანხა. მაგრამ გაისად უკვე გვექნება შესაძლებლობა, აუცილებელი სამუშაოები შევასრულოთ. წელს ვქმნით სამ სანიმუშო სკოლას. ეს ნიშნავს, რომ სკოლა იქნება აღჭურვილი კარგი ინვენტარით, იქ მოეწყობა საუკეთესო კაბინეტები და ა.შ. უკვე ვიცით, რომ ასეთი სკოლების რაოდენობა მომავალში, მნიშვნელოვნად გაიზრდება.

— როგორც კი ამ თანამდებობაზე დაინიშნეთ, რამდენიმე კულტურულ ღონისძიებას დაფინანსება შეუწყდა. ეს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღეთ?

– პირველ რიგში უნდა გითხრათ, რომ გადაწყვეტილება რომელიმე კონკრეტული ღონისძიებისთვის დაფინანსების შეწყვეტის თაობაზე მე არ მიმიღია. ამ სამსახურში ჩემი მოსვლის დრო, ბიუჯეტის დამტკიცებას დაემთხვა და მახსოვს – როცა შემომიტანეს რამდენიმე პროექტი, რომელშიც 3-4 მილიონი ლარით დაფინანსების მოთხოვნა იყო დაფიქსირებული, აღმოჩნდა, რომ ამ პროექტების დასამტკიცებლად მხოლოდ ჩემი გადაწყვეტილება იყო საჭირო, რაც ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ამიტომ, კონკურსის გარეშე, ერთი თეთრიც კი არ გავა ჩვენი ბიუჯეტიდან.

— კონფლიქტი, რომელიც ფესტივალ „საჩუქრის“ გამო თქვენსა და ქეთი დოლიძეს შორის წარმოიშვა...

– ...ამ შემთხვევას კონფლიქტს ვერ დავარქმევ, რადგან მისთვის პირადად, შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. მესმის, რომ იმ ადამიანებს, ვინც მიჩვეული იყვნენ, უპრობლემოდ ბიუჯეტიდან თანხის მიღებას, ჩემი მოსვლით გარკვეული დისკომფორტი შეექმნათ. უნდა შევეგუოთ მართებულ სისტემას. არ შეიძლება, ვიღაცას კარი შეუნგრიო და ძალით წაართვა ფული.

ლიზის აღზრდაში დედა და ბებია მეხმარებიან. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ ჩემს შვილთან საურთიერთოდ ცოტა დრო მრჩება

— თქვენი ასაკის გამო, საქმიანი ურთიერთობისას პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ?

– ამას პრობლემას ვერ დავარქმევ. მაგრამ გამიკვირდა, როდესაც საქმიანი შეხვედრისას, ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა განაცხადა: წაიყვანეთ აქედან ეს ლაწირაკიო!.. ჩემი გაკვირვება კი იმან გამოიწვია, რომ თუ ეს ადამიანი ასე მიმართავს სამსახურის უფროსს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ მიმართვის რა ფორმებს იყენებს მოსწავლეებთან ურთიერთობისას...

— ალბათ, კომპლიმენტსაც ხშირად გეუბნებიან, არა?

– ყველაზე მეტად მსიამოვნებს, როდესაც მეუბნებიან, რომ საქმიანობაში მაკაცური მიდგომით გამოვირჩევი...

— რა ნივთები გჭირდებათ თქვენი ყოველდღიური საქმიანობისთვის?

– როდესაც ამ სამსახურში მოვედი, კომპიუტერების სიუხვე მომხვდა თვალში, მაგრამ არც ერთი არ იყო ჩართული ინტერნეტში... ახლა ეს პრობლემაც მოვაგვარეთ, რაც ძალიან აიოლებს საქმის კეთებას. მაგალითად, როდესაც თეატრების დაფინანსების სქემაზე ვმუშაობდით, ინტერნეტის საშუალებით შევძელით, მსოფლიოში არსებულ ყველა მოდელს გავცნობოდით.

— შვილის აღზრდაში ვინ გეხმარებათ და საინტერესოა, საოჯახო საქმის კეთება თუ გეხერხებათ?

– ლიზის აღზრდაში დედა და ბებია მეხმარებიან. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ ჩემს შვილთან საურთიერთოდ ცოტა დრო მრჩება. თვითონ კი კმაყოფილია ჩემი წარმატებით და როდესაც ჩემ გარშემო ვითარება იძაბება, ჩემზე მეტად ის განიცდის... საოჯახო საქმიდან კი, ყველაზე მეტად, კერძების მომზადება მიზიდავს – ალბათ იმიტომ, რომ შემოქმედებით მიდგომას საჭიროებს...

— სამსახურში რაიმე კურიოზი ხომ არ გადაგხდენიათ თავს?

– კურიოზად ეს ამბავი მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან შემიძლია შევაფასო, თორემ, მაშინ, მომხდარმა საკმაოდ შემაშფოთა... ამ თანამდებობაზე სულ რამდენიმე დღის დანიშნული ვიყავი, როდესაც ჩემს კაბინეტში შემოიჭრა ქალბატონი დიქტოფონით ხელში და მთელი ხმით გაჰყვიროდა: მცემს, მცემსო!.. შემოვარდა ჩემი მდივანი, რომელიც ჟესტებით ჩემ წინაშე თავის გამართლებას ცდილობდა დაუპატიჟებელი სტუმრის გამო... როგორღაც გავიყვანეთ ის ქალბატონი კაბინეტიდან. აღმოჩნდა, რომ იყო თავისუფალი ჟურნალისტი, რომელიც ინტერვიუს საბაბით, საკუთარი წიგნის დაფინანსების მიღწევას ცდილობდა... სხვათა შორის, შემდეგ მან დაწერა განცხადება, სადაც ჩამოთვლილი ჰქონდა უწმაწური სიტყვები, რომლებსაც თითქოს მის მიმართ ვიყენებდი და აღწერილი იყო, როგორ ვცემ ადამიანებს ჩემს კაბინეტში... თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი მოქცევის გამო, საკრებულოს სხდომაზეც კი გამომიცხადეს საყვედური... ■

ფიქრები გათელილი ღირსება



1999 წლის 5 მარტს, ახალგაზრდა კინორეჟისორი ილია ჩაჩანიძე შინიდან ისე გავიდა, რომ ოჯახის წევრებს არც დამშვიდობებია. ახლავე მოვალო, — უთხრა მეუღლეს. რამდენიმე წუთში კი, სახლთან ახლოს, სააკაძის მოედანზე საკუთარ მანქანაში იარაღით მოიკლა თავი — ტყვია გულში დაისალა... თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, მან ყველა თავისი დაუმთავრებელი ნამუშევარი — კინოფირი და ნაწერები — გაანადგურა. მანქანაში დატოვა ორი წერილი: ერთი — ოჯახისადმი მიწერილი, რომელშიც პატიებას ითხოვდა, მეორე კი — ღია წერილი სახელმწიფოს მაშინდელი მეთაურის — ედუარდ შევარდნაძისადმი, რომელშიც თავის გადაწყვეტილებას ხსნიდა. აი, ამ წერილის ტექსტი:

ნინო ჯავახიშვილი

„ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

ბატონო ედუარდ!

ამ წერილს გწერთ კინორეჟისორი ილია ჩაჩანიძე. ძალიან მოკლედ მინდა, გაგანდოთ ჩემი გულისწუხილი და წინასწარ გთხოვთ, რომ მომიტევოთ ეს სითამამე.

მე ვარ ერთი იმ ადამიანთაგანი, ვინც ხმა მოგეცით თქვენ, ვინაიდან გულწრფელად მწამდა, რომ ეს ჩვენს ერს წაადგებოდა და არა მარტო რაღაც გარკვეულ მომენტში.

მე ჩემი ლუკმაპური, ღვთის წყალობით, გამაჩნია, მაგრამ როგორც ყველა ჭეშმარიტ მოქალაქეს, ძალიან მინდოდა, შემეტანა ჩემი წვლილი ჩემი ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში. ვფიქრობდი, რომ ამას ჩემი პროფესიით ცოტათი მაინც შევძლებდი, რათა მართალი ვყოფილიყავი თუნდაც ჩემი თავის წინაშე. სამწუხაროდ, ამის საშუალება არ მომეცა ისევე, როგორც სხვა ბევრს, ჩემნაირად. თუმცა კიდევ შემორჩა ჩვენ გვერდით ღვთისნიერი ხალხი, ვინც დღესაც დახმარების ხელს უწვდის ხელოვანს, რათა მან თავისი შრომით გააგებინოს ხალხს თავისი სათქმელი.

მე არ დავასახელებ – უბრალოდ, მინდა, მადლობა გადავუხადო და აქვე ბოდიშიც მოვუხადო ერთ ასეთ პიროვნებას (მას იცნობს ბატონი რეზო ჩხეიძე), რამეთუ მე თითქმის ბოლომდე მიყვანილი საქმე ჩემი ხელით გავანადგურე, რადგან ჩემთვის აზრი დაკარგა ჩემმა სამუშაომ. დღევანდელობის შემხედვარეს, მგონია და დარწმუნებულიც ვარ, რომ ჩემი საქმე აღარავის სჭირდება. სამწუხაროდ, ჩემნაირი ბევრია და არა მარტო ჩემს პროფესიაში.

მე მინდა, ჩემს მთავარ სათქმელზე გადავიდე.

ბატონო ედუარდ! ყოვლად მიუღებელია, რამდენიმე ათეული თუ ასეული ადამიანის კეთილდღეობა ერს ისეთი სიმძიმით დააწვეს, რომ ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი სასწორზე დადგეს.

შევიბრალოთ ქართველი ბავშვები, უნდა დავინახოთ ის რეალური სურათი, რაც მივიღეთ დღეს ჩვენ. ალბათ არასოდეს ყოფილა ქართული ნიჭის ასე მასობრივად გადინება საქართველოდან, როგორც ახლა. ნუთუ აშკარად არ ჩანს, როგორ კვდება ქართველი კაცის მეომარი სული, მისი სიამაყის გრძნობა?

არ შეიძლება, ქართველ კაცს შეუქმნა ისეთი პირობები, რომ დილით სახლიდან გამოსული, საღამოს სახლში ცოლ-შვილს სისტემატურად ხელცარიელი მიუბრუნდეს. მას თავისი თავის იმედი და რწმენა დაეკარგება, ლაჩარი გახდება, სისუფთავეს ვეღარ დაინახავს, თუ მარტო კუჭის თვალებით ივლის ამ ქვეყნად. ეს საშიშროება უკვე დგას ჩვენ წინაშე და მასობრივ ხასიათს იღებს.

ვერ გამოვრიცხავ, რომ მალე მთელი ქვეყანა ბაზრად გვექცევა და ისეთ ბინძურ ბაზრად, სადაც ყველაზე იაფი, ნამუსი იქნება. ეს ყველაფერი იმის ნიშანია, რომ ერი დეგრადირების გზაზეა. მე აქ არ მომყავს უამრავი სხვა მაგალითი დღევანდელობისა. კარგად მესმის ისიც, რომ საქართველოს უამრავი გაჭირვების ხანა გადაუტანია და გამოსულა მდგომარეობიდან. ამის იმედი დღესაც არ მტოვებს.

იქნებ უმჯობესია, უფრო ღირსეულ ადამიანს დაუთმოთ ქვეყნის მართვა. ვინ არის ღირსეული, ღმერთმა იცის. პირადად მე, გარშემო სუფთას ვერაფერს ვხედავ. ხალხის თვალწინ სულ ერთი და იგივე სახეები ტრიალებენ, რაც გარკვეულ უიმედობას ბადებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ღირსეულები არ არიან. არიან, ოღონდ, არ ჩანან და ვალდებულები არიან, მალე გამოჩნდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გული დიდი კატასტროფის მოახლოებას მიგრძნობს. პრეზიდენტს არ აქვს უფლება, არ დაინახოს ან ვერ დაინახოს ის, რაც ქვეყანაში ხდება.

ღმერთმა ქნას, რომ მე ვცდებოდე და თქვენი თაოსნობით ჩემს ქვეყანას მალე ბედნიერი დილა გაუთენდეს.

მე კი გული მიკვდება, რომ ჯანღონით სავსე კაცი ვერ გავრკვეულვარ, რაში გამოვადგე ჩემს სამშობლოს. უმოქმედობა კი სულიერად საშინლად მტანჯავს. შეიძლება ვცდები, მაგრამ მაპატიოს ყველა ჩემმა უცნობმა და ნაცნობმა, მაპატიოს ჩემმა ბრწყინვალე ცოლ-შვილმა – იქნებ, პატარა, მსხვერპლად შესაწირ ბატკნად მაინც გამოვდგე ჩემი ხალხისთვის. იქნებ, მართლა მოხდეს სასწაული...

ნეტავ, ამიხდეს ეს ნატვრა.

ღმერთო, დაიფარე საქართველო, გადაგვირჩინე ჩვენი შვილები!“

ღრმად მოხუცებული ადამიანიც კი, ყოფნა-არყოფნის საკითხს იმისდა მიხედვით წყვეტს, თუ რამდენად საჭიროა ის გარშემო მყოფთათვის, თუნდაც –

ერთი ადამიანისთვის; თუ პასუხი უარყოფითია, ამქვეყნად აღარაფერი დარჩენია... ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი რომ დაინახავს, ვერავისთვის მოაქვს სარგებლობა, – განა ამაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს?! ახლობლების, მეგობრების, საზოგადოების წინაშე შეურაცხყოფილად, ღირსებააყრილად იგრძნობს თავს და ცხოვრების გაგრძელებასაც უაზრობად ჩათვლის... ასეთ კაცზე იტყვიან ხოლმე – ცხოვრებამ გაწირაო, რაშიც სოციალური ხასიათის საბედისწერო გარემოებები იგულისხმება. მაგრამ ღირსება – პიროვნებისთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ცნება – ზოგჯერ, უახლოესი ადამიანების მიერ ითელება ფეხქვეშ... ორი მომდევნო ამბავი სწორედ მსგავს ტრაგედიებს ასახავს.

ხათუნა, *30 წლის:*

– 18 წლის ვიყავი, როდესაც ნოდარი გავიცანი. უფრო სწორად, დედამისმა გაგვაცნო ერთმანეთი. ჩვენი ოჯახი ცნობილი იყო რაიონში. თაყვანისმცემლები სკოლიდანვე არ მაკლდა, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ერთი ჩვეულებრივი გოგონა ვიყავი, შეუხედავი უფრო მეთქმოდა (თვითონაც ხომ ხედავთ)... საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არასდროს მქონია. შეძლებული მშობლები მყავდა, ორივეს დიდი თანამდებობა ეკავა და მაჭანკლები ამიტომაც მეხვეოდნენ თავს. ფუფუნების მიუხედავად, თავმდაბლობითა და წყნარი ხასიათით გამოვირჩეოდი, ყველას ძალიან ვუყვარდი... უნივერსიტეტში ფილოლოგიურზე ვსწავლობდი. ნოდარის ოჯახსაც შორიდან ვიცნობდი. ერთ დღეს, უნივერსიტეტიდან სახლში მიმავალს, ნოდარი და დედამისი ვითომ შემთხვევით შემხვდნენ. ის ქალი გამომელაპარაკა და ნოდარიც გამაცნო. დღემდე მახსოვს, თუ როგორი დაბნეული იყო, რა უხერხულად გრძნობდა თავს, თვალსაც ვერ მისწორებდა... ნოდარი პირველი შეხვედრისთანავე მომეწონა. მალე დავმეგობრდით და დავქორწინდით კიდეც. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ნოდარის ოჯახის წევრები კარგად მექცეოდნენ. მაგრამ რაც დრო გადიოდა, დედამთილისა და მაზლის მხრიდან უდიდეს სიძულვილს და აგრესიას ვგრძნობდი. ვერ ვხვდებოდი, რატომ, რა შეიცვალა. ნოდარი უფრო და უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა. როცა მიზეზით დავინტერესდი, – გეჩვენებაო, – დამამშვიდა. ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ მივხვდებოდი, რაში იყო საქმე, ერთხელ, შემთხვევით რომ არ მომეკრა ყური კამათისთვის. დედა და ძმა მაგიდაზე მუშტებს უბრახუნებდნენ და უყვიროდნენ – ეგ უშნო იმიტომ შემოვიყვანეთ ჩვენს ოჯახში, რომ მზითევი მოეტანა და სიდედრ-სიმამრის ხარჯზე გეცხოვრა, ახლა კი, ორივენი ჩვენი შესანახები გახდით, უთხარი შენს ქალბატონს, მშობლებს მზითევზე დაელაპარაკოსო!.. ნოდარი ფერდაკარგული იდგა... ბოლოს, ძლივს ამოღერღა – მე მიყვარს ხათუნა და რასაც მაიძულებთ, იმას ვერ გავაკეთებო... ამის თქმა იყო და ძმამ მუშტი გაარტყა სახეში – ეგ რამ შეგაყვარაო?!. გვიან შემამჩნიეს, ოთახში შესული. ჩემს დანახვაზე, ნოდარი შეცბა და ოთახიდან ხმის ამოუღებლად გავიდა. მეც არაფერი მითქვამს ან კი, რაღა იყო სათქმელი?.. ძალიან გავნერვიულდი, მაგრამ ვხედავდი, რომ თვითონ ნოდარი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს და მის დამშვიდებას ვცდილობდი. ბოლოს, განერვიულებულს, ჩამეძინა, რაც დღემდე ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის, ნეტავ, სულ არ მომეხუჭა თვალი!.. დილით, ნოდარი საწოლში აღარ დამხვდა. რა ადრე ამდგარა-მეთქი! – გამიკვირდა. რატომღაც გულმა ცუდი მიგძნო. ავდექი და სახლში ნოდარი რომ ვერ აღმოვაჩინე, შეშფოთებულმა, დედამთილ-მამამთილი გავაღვიძე. ჩემი მაზლი ჩვენთან ახლოს, ცალკე სახლში ცხოვრობდა და ხშირად რჩებოდა მშობლებთან. ასე იყო იმ საღამოსაც... ნოდარი ვერსად რომ ვერ ვიპოვეთ, შევშინდით. ბოლოს, ჩემმა მაზლმა იფიქრა – ჩემთან სახლში ხომ არ გადავიდა, მაინც ვნახავო, – და წავიდა. რამდენიმე წუთში, საშინელი ღრიალის ხმა გავიგონეთ: ნოდარს ძმის სახლში, მის ოთახში ჩამოეხრჩო თავი; მის მიერ დატოვებულ წერილში ეწერა, რომ ამით სამაგიერო გადაუხადა ძმას, რომელმაც ცოლის თვალწინ დაამცირა. სწორედ ამიტომ წავიდა მის სახლში და მაინცდამაინც იქ ჩამოიხრჩო თავი. ასე დასაჯა ძმაც და დედაც, მე კი, 5 თვის ფეხმძიმე დამტოვა... ამის შემდეგ, რა

თქმა უნდა, მშობლების სახლში გადავედი საცხოვრებლად... ბიჭი მეყოლა. ახლა ის 9 წლისაა და ძალიან ჰგავს მამამისს ხასიათით – მასავით მშვიდი, ძალზე ამაყი და მგრძნობიარეა. ერთადერთი, რითიც ჩემი დედამთილი და მაზლი დავსაჯე, ის არის, რომ ბავშვს თვალით არ ვაჩვენებ არც ერთს. მეხვეწებიან, ხან ვისი პირით მითვლიან და ხან – ვისით, ბავშვის ნახვის უფლება მაინც მოგვეციო, მაგრამ იმის შემდეგ, რაც გამიკეთეს, მათი დანახვაც კი აღარ მინდა...

ნუგზარი, *45 წლის:*

– მე და მარინას სკოლიდან გვიყვარდა ერთმანეთი. მარინა სკოლაში კი არა, მთელ ქალაქში გამოირჩეოდა თავისი სილამაზითა და კარგი აღზრდით. რაზე აღარ ვოცნებობდით... ჯერ სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარებას ვაპირებდით და მერე – დაქორწინებას. დედისერთა ვიყავი და ვეუბნებოდი – ბევრი შვილი უნდა ვიყოლიოთ-მეთქი... სკოლა რომ დავამთავრეთ, გამოსაშვები საღამოდან მარინას სახლში გაცილება, რა თქმა უნდა, მე ვიკისრე. არ მინდა იმ საღამოს გახსენება, ტკივილს მიღვივებს. უბრალოდ გეტყვით, რომ ერთად ვიყავით... ეს არ იყო ახალგაზრდობით დაშვებული შეცდომა – ეს იყო სიყვარულის გააზრებული, შეგნებული გამოხატულება... მშობლებს ვუთხარი, რომ დაქორწინებას ვაპირებდი. ჩემდა გასაოცრად, შემეწინააღმდეგნენ: ცოლის მოყვანის დრო ჯერ არ გაქვს და არც იფიქრო, ჩვენი ნებართვის გარეშე დაქორწინება, სახლში არ შემოგიშვებთო. იძულებული გავხდი, მეთქვა, რომ მარინა ფეხმძიმედ იყო... ახლა ვხვდები, რომ ჯობდა, არ გამემხილა ეს ამბავი და ისე მეცადა მათი დაყოლიება. დედაჩემი გაგიჟდა – აქა-იქ ნათრევ ქალს ქვეყნის სამასხარაოდ ოჯახში როგორ შემოვიყვანო!.. ამასობაში, მარინას მშობლებმაც შეიტყვეს სიმართლე. მამამ და ძმებმა ლამის სიკვდილის პირამდე მიიყვანეს ცემით და დაემუქრნენ – სახლში არ შემოგიშვებთ, პრობლემას თუ არ მოაგვარებთო. სასოწარკვეთილმა თავი მოიწამლა... ეს ყველაფერი დედამისისგან შევიტყვე. მარინა თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩამოვიყვანეთ, ჩვენ ორნი ვპატრონობდით – მამას და ძმებს არც კი მოუკითხავთ. ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. მაგრამ ექიმები გვაიმედებდნენ, გადარჩებაო. გადავწყვიტე, საავადმყოფოში სიმბოლურად

ტესტი ერუდიციაზე

1. „ბიბლიური“ კალენდრის მიხედვით, კვირაში 7 დღე იყო, რომაულის მიხედვით — 9. რამდენი დღე იყო კვირაში, ბერძნული კალენდრის მიხედვით?

ა) ხუთი;
ბ) ათი;
გ) ცამეტი.

2. ვინ არის საქართველოს ყველაზე ასაკოვანი პარლამენტარი?

ა) ზურაბ ტყემალაძე;
ბ) ელენე თევდორაძე;
გ) ელდარ შენგელაია.

3. ჩამოთვლილთაგან რომელ ქვეყანაშია მიწა ისეთი ძვირი, რომ მოსახლეობა სასაფლაოზე ადგილებს ვერ ყიდულობს და ხანგრძლივი დროით იჯარით იღებს?

ა) ჰონკონგში;
ბ) ინდოეთში;
გ) კუბაში.

4. რა ჰქვია შემთხვევას, როცა მოკრივეს გახეთქილი წარბის გამო ორთაბრძოლის გაგრძელება არ შეუძლია და გამარჯვებულად მის მეტოქეს აღიარებენ?

ა) ტექნიკური ნოკდაუნი;
ბ) მოკლე ბრძოლა;
გ) ტექნიკური ნოკაუტი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დავქორწინებულიყავით და როგორც კი გამოწერდნენ, ნაქირავებ ბინაში გვეცხოვრა. მეგობრები მეხმარებოდნენ ბინის მოძებნაში. იმის შემდეგ, რაც მოხდა, სახლში მაინც აღარ დავბრუნდებოდი. შაბათს, მეგობრებთან ერთად საავადმყოფოში რომ მივედი, მარინა ცოცხალი აღარ დამხვდა... დღესაც ყურებში მიდგას დედამისის განწირული კივილი. უკან წამოვიღე, საავადმყოფოში მიტანილი, ულამაზესი საქორწინო კაბა, რომელიც მინდოდა, მარინასთვის წინასწარ მეჩვენებინა... ის კაბა საფლავში ჩასატანებლად ვეღარ გავიმეტე და დღესაც სახლში ვინახავ... რადგან მამამ და ძმებმა გაჭირვების დროს ხელი ჰკრეს, მიცვალებულის იქ გადასვენების უფლება არავის მივეცი და მარინა აქ, თბილისში დავასაფლავე. მიჭირდა იმასთან შეგუება, რაც მოხდა — მარინაც დავკარგე და შვილიც... მრცხვენოდა საკუთარი უნიათობისა და უსუსურობის. საკუთარ თავს ვერ ვპატიობდი, დროულად რომ ვერ მივიღე გადაწყვეტილება, მარინას ხელი არ მოვკიდე და მშობლები ფაქტის წინაშე არ დავაყენე... დანაშაულის გრძნობა დღითი დღე მიმძაფრდებოდა, თავში ერთი და იგივე აზრები მიტრიალებდა, ზოგჯერ მეშინოდა, ჭკუიდან არ გადავმცდარიყავი... ტყუილად არ იტყვიან ხოლმე — თვითმკვლელს ეშმაკი ჰყავს დაპატრონებულიო: თავის მოკვლის სურვილი მართლაც, ეშმაკივით შემომიჩნდა და აღარ მასვენებდა არც დღე და არც ღამე... გულჩათხრობილი გავხდი, მეგობრებსაც ვერ ვუმხელდი იმას, თუ რა მჭირდა. თავის მოკვლა ერთადერთ გამოსავლად მეჩვენებოდა... ერთ დღეს, იმ ოთახში, სადაც მე და მარინას უნდა გვეცხოვრა, მეგობრებმა ვენებგადაჭრილი მნახეს. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, სულზე მომისწრეს... ადამიანი ნელ-ნელა ყველაფერს ეგუება და მეც შევეგუე დარდსა და ტკივილს. თუ ამას შეგუება ჰქვია... ჩემს მეგობარ სკულპტორს, მარინას ქანდაკების გაკეთება ვთხოვე. შემდეგ ეს სკულპტურა ჩემს ოთახში დავდგი და დღე-დაღამ, პარანოიკივით ვყარაულობდი... მერე კი, თითქოს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა... მოგვიანებით, სამედიცინო დავამთავრე და ჩემი პროფესიით ვმუშაობ — გინეკოლოგი ვარ. არაერთი ქალისთვის მიმინიჭებია შვილის დაბადებით გამოწვეული სიხარული და ყოველთვის მგონია, რომ ამით თითქოს გარკვეულ ვალს ვიხდი მარინას წინაშე... ჩემი მშობლები ახლაც მარტონი ცხოვრობენ. დედა დღემდე პატიებას ელის ჩემგან და მთხოვს — ოღონდ, უშვილძიროდ ნუ გადაეგები, ოღონდ, ცოლი მოიყვანე და გინდა, ორლარიანი ბოზი იყოს, ხმასაც არ ამოვიღებო... პატიება ვერ შევძელი. ისე მოკვდებით, ჩემს ცოლსა და შვილს ვერ ეღირსებით-მეთქი, — ვუთხარი მშობლებს, მარინას სიკვდილის შემდეგ და ეს დაპირება შევასრულე კიდეც. განა, მხოლოდ მათ ჯიბრზე მოვიქეცი ასე — უბრალოდ, არ შემიძლია სხვა ქალის სიყვარული. ალბათ, მამაკაცთა იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელთაც სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ უყვარდებათ... და კიდევ, ის მინდა გითხრათ, რომ იმ ოთახში, სადაც მარინას ქანდაკება მიდგას, უკვე წლებია, აღარ შევსულვარ და ამ ხნის მანძილზე, ყოველღამე ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავ: მარინას სკულპტურას ახალგაზრდა კაცი იცავს...

ლია ჭილაშვილი, *ფსიქოლოგი:*

— თუ ადამიანს ღირსების გრძნობა არა აქვს, მისი პიროვნებად ჩამოყალიბების საკითხი ეჭვქვეშ დგება. რა არის ღირსება?.. საკუთარი თავის რწმენა, სიამაყე, თავმოყვარეობა. ის მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანის შესაძლებლობების რეალიზაციაზე. როცა ადამიანი ამას ვერ ახერხებს, ის ვეღარ გრძნობს თავს სრულყოფილ პიროვნებად, ღირსებაშელახულია. ცხადია, ამ მდგომარეობასაც სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვაგვარად უმკლავდება: ზოგს წარუმატებლობა, ბრძოლისთვის დამატებით სტიმულს აძლევს. მაგრამ ბევრს ის თრგუნავს, გულჩათხრობილს ხდის, აიძულებს, საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტოს. ღირსების შელახვას განსაკუთრებით მწვავედ მამაკაცები განიცდიან. ხდება ისე, რომ კაცს სერიოზული პრობლემები აქვს ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას, რის გამოც ის შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, მაგრამ სამსახურში აღიარებული და ავტორიტეტის მქონეა. ერთი მხრივ, ეს გარკვეული კომპენსაციაა, თუმცა, ამავე დროს, ასეთი განსხვავებული მდგომარეობა ოჯახსა და სამსახურში, თრგუნავს ადამიანს. მაგრამ გაცილებით უარესია, როცა სახლშიც და სამსახურშიც მამაკაცი ღირსებააყრილია. ასეთ შემთხვევაში, სუსტი ფსიქიკის მქონე ადამიანი შესაძლოა, უკიდურეს ზღვარს მიუახლოვდეს და ამ ქვეყნიდან წასვლის გადაწყვეტილებაც კი მიიღოს.

■

საბელისწერი ბანანი

ინგა ჯაყელი

ეს ამბავი „მოვიპარე“: მთხრობელს ქურდივით ჩავუსაფრდი და მისი ნაამბობი დიქტოფონით – ჩავიწერე...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მონატრებულმა თანაკლასელებმა შეკრება გადავწყვიტეთ და როგორც იქნა, ძველით ახალ წელს მოვახერხეთ უმრავლესობის მოძებნა.

დაოჯახებული გოგო-ბიჭები, რა თქმა უნდა, თავიანთი მეორე ნახევრებით მოვიდნენ. მათ შორის იყო ნანაც, რომელიც სკოლის დამთავრებისთანავე, 10 წლით უფროს, ჩვენს თანასკოლელზე გათხოვდა და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ განათლებული და გონიერი იყო, არც ინსტიტუტისკენ გახედვა ღირსებია და არც სამსახურში გასვლის ნება მისცა ქმარმა. 5 წელიწადში ოთხი ბავშვი გააჩენინა და რომ იტყვიან, თავის მოსაფხანი დროც აღარ ჰქონდა. ხშირად მსმენია სიძე-ბატონზე: გადასარევი მეოჯახეა, ცოლ-შვილს მარწყვს არ აკლებს იანვარში, მაგრამ რად გინდა – „უბედური“ ეჭვიანია, ცოლს ნაბიჯს არ ადგმევინებს სახლიდანო. ერთი უცნაური თვისებაც ჰქონია. კვირაში ორჯერ საკუთარი ხელით აკეთებდა თურმე „უბორკას“. მამაკაცისთვის ეს ჩვევა თუ თვისება პათოლოგიად მიმაჩნდა და სულ ვამბობდი, რომ ვანოს ეჭვიანობას რაღაც ისეთი საფუძველი უნდა ჰქონოდა, რომელსაც საგულდაგულოდ მალავდა. ჰოდა, სწორედ ჩემი მიხვედრილობის დამტკიცების სურვილმა მაკადრებინა უკადრებელი, როცა „შპიონი“ ასინეთას მსგავსად ჩავუსაფრდი კაცებს, საუბრისას...

როცა მოძალებული შიმშილის გრძნობა ჩავიხშეთ და პირველი სადღეგრძელოებიც დაილია, ენად გაკრეფილი თამადის მოსმენის აღარც სურვილი შეგვრჩა ქალებს და აღარც ნებისყოფა. ჰოდა, ახმაურდა სუფრა.

ჩემ წინ ნანა იჯდა, მის გვერდით – თმაში ჭაღარამოძალებული მეუღლე ვანო, რომელიც დაძაბული ჩაშტერებოდა ხილით სავსე ვაზას და დროდადრო ისეთი ზიზღი გაუკრთებოდა მზერაში, ლამის მეც დავიელმე თვალები ხილის თვალიერებით, რომ გამეგო – მატლი ხომ არ შენიშნა-მეთქი. მსგავსი ვერაფერი შევამჩნიე და ის იყო, დავმშვიდდი, რომ ვანოს უეცარმა შეყვირებამ „იქუხა“: „ხელი არ ახლო!“ ნანას ჰაერში გაუშეშდა ბანანისკენ წაღებული მარჯვენა... რომ მიხვდა, ყურადღება მიიქცია, ვანომ დაიმორცხვა და გაწითლებულმა მოგვიბოდიშა: ბანანს ვერ ვიტან და თუ ღმერთი გწამთ, ეს ვაზა ცოტა მოშორებით დადგითო... მერე სიგარეტს მოუკიდა და აივანზე გავიდა, უკან ჩემი ორი კლასელი გაჰყვა, რომლებთანაც განსაკუთრებით ახლობლობდა და სწორედ მაშინ იყო, ცნობისმოყვარეობით გაგიჟებული, რომ ფარდაში გავეხვიე და კაცების ჭორაობას მივუგდე ყური...

თავიდან ვანო ერიდებოდა ბანანის სიძულვილის მიზეზზე ლაპარაკს, მაგრამ არა და არ მოეშვნენ ბიჭები და მანაც დიდი ხნის დაგროვილი ბოღმის შეკავება ვეღარ შეძლო:

– ეუჰ, თქვენ ახლა იმფერ რაცხას მახსენებთ, თელი ცხოვრება რომ ვცთილოფ დავიწყებას და უფრო და უფრო კი მახსენდება. მე ხომ ვიტანჯები და ახლობლებიც დავტანჯე და დავაფრთხე ჩემი უცნაური საქციელით... სკოლა დავამთავრე, ისე ვიყავი სიყვარულის სურვილით გადარეული, მაშინათვე ვეძებდი ქალს და... ვიპოვე კიდევაც, იურიდიულზე გადავწყვიტე სტავლა და მაშვინ ისე კი არ იყო, ახლა რომ ყველა „პადვალშია“ ინსტიტუტი – მარტვა თბილისში იყო იურიდიული. ჰოდა, ქე წამიყვანა მამაჩემმა თბილისში იმ იმედით – „უპატრონოთ“ იქინე რას მეეწყობა? დავათვალიერებინებ დედაქალაქს და ქე ჩამევიყვან უკანო, – მარა მოხთა სასწაული და ჩავაბარე. გეიხარა მამაჩემმა, გეიმართა წელში, ეიღო ურიის ვალი და რადგან ნათესავები არ გვყავდა, მიქირავა ბინა. მართალია, ძველი სახლი ქონდა ჩემს „ხაზეიკას“, მარა კარქათ ცხოვრობდენ, თან თბილისის ცენტრში. ერთი გოგო ყავდა, ჩემზე 3 წლით უმფროსი, ისიც სტუდენტი, ძაან მოკრძალებული და ზრდილობიანი. ვაგლახათ ვერავინ გოუბედავდა რამეს და ქე შემიძვრა გულში მის სიყვარულზე მეტად, მისი ქონების ინტერესი... გევიკითხე უბანში და გევიგე, რომე განატაცები ყოფილა, მარა არ გოუჩერდა თურმე მოძალადეს და წამოყვა მშობლებს. განატაცები კია, მარა არც მაშინ მიუცია იმ კაცზე „ზედმეტის ნება“ და ახლა ხომ თვალს არ გეიყოლებს ზედმეტად ვინმესასო, – მითხრეს... მოკლეთ, კაი ხანს ვებრძოლე თავს და გრძნობებს და მაჯობა ქონების და გათბილისელების სურვილმა. გოვუმჟღავნე იმ ჩემი ცოდვით სავსეს გულისნადები და თავიდან კი გეიკვირვა, მარა მერე დედამისმაც „გეიგიჟა თავი“: ამისთანა პატიოსან ბიჭს ვერსათ ვიშოვით პატრონათო! და დევითანხმე ორივე... გედევიხადეთ პატარა ქორწილი და ქე ჩამევიყვანე ქუთეისში. ხომ განატაცები იყო, მარა მაინც მეგონა, ქალიშვილი იქნებოდა. გაგიგონია?! შევასკტი გულს, მარა ვერ გოვუმხილე მამაჩემს ჩემი უბედურობა... არადა, საყვედურიც არ გამბედია იმ შობელძაღლმა: რავა, არ იცოდი, განატაცები რომ ვიყავი და იმხელა კაცს ვერ გოვუმკლავდებოდიო?! კაი, რაცხა იყო, ევიტანე და გედევიტანე, მარა ვარესი წინ მელოდა თურმე... ერთი-ორჯერ ჩემი ცოლის გლახა წრიალმა გამაღვიძა და რომ ვკითხე – რა ჭირი გეტაკა-თქვა? – დეიძინე, რა შენი

საქმეაო!.. მითხრა. მერე შევამჩნიე, რაცხას მალავდა „ტუმბოჩკაში“ და ქე დავეჭვდი. რომ გევიგულე გარეთ, გამოვაღე კარი და უკანა მხარეს, კუთხეში მიმალული ბანანი ვნახე. აი, შე მსუნაგო, ამას მიმალავდი-თქვა?! — გემეღიმა: ცოტა პუტკუნა იყო და ვუშლიდი ბევრ ჭამას, ჰოდა, ვიფიქრე, ღამღამობით არ ასვენებს შიმშილი და ჩუმათ ჭამს-თქვა... ევიღე და დოვუპირე გაფცქვნა — მეც ქე მიყვარდა ის დასაწვავი... გაგონილა?! — ხელოვნური აღმოჩნდა და ... ამასხა სისხლმა ტვინში, გამახსენდა საცხა წაკითხული — „გლახა ქალები“ რომ „ხელმრუდობენ“ ამფერი „სათამაშოებით“... გევიქეცი სიდედრის ოთახში და არც ის დამხვთა სახლში. ეჭვით გადარეულმა გადმოვატრიალე მისი „ტუმბოჩკაც“ და აგერ არ ვნახე ორი ცალი, სხვადახვა ზომის და სისქის?! კინაღამ დავახრჩვე ორივე, მარა აქეთ შემომიტიენ. ჩემმა ცოლმა — რაიაო, აპა, ის გერჩია, კაცთან მეღალატაო?!.. — აქეთ მომამადლა თავი... დავლეწე ყოლიფერი და წამევედი. იმ წუთში ვერავინ დამარწმუნებდა, რომე ისევ ვიფიქრებდი ქალის შერთვას, მარა არ მემეშვენ მშობლები და ის იყო, ნანა რომ მევიტაცე, მართლა ჩემ თვალწინ გაზრდილი ბაღანე, ხომ ვიცი — ფიქრშიც არ გეივლებს ღალატს, მარა — შიშს დიდი თვალები აქვსო — მართალი ყოფილა. ჰოდა, წამემივლის კვირაში ორჯერ მაინც შიშნაჭამი ეჭვი და ვატრიალებ „შკაფებს“ და „ტუმბოჩკებს“... თუ გეიგოთ ერთ დღეს, ვანოიამ ცოლ-შვილი დახოცაო, — იცოდეთ ბანანი მექნება სახლში ნანახი! — დაამთავრა თხრობა ვანომ და მერე, დიდხანს ამაოდ ეხვეწებოდა „აჭიხვინებულ“ ბიჭებს — კაი ახლა, გეყოფათ ჩემს უბედურობაზე სიცილიო!..

ფეხის წვერებზე შემდგარი გამოვიპარე ფარდიდან და შევეცადე, სახეზე არ დამტყობოდა გაოგნება...

■

ბოსტნეული, ხილი და... ხასიათი

ბოსტნეულს, ხილსა და ადამიანის ხასიათს შორის კავშირი, ჯერ კიდევ ძველ დროში შენიშნეს. ამ კავშირის არსებობას თანამედროვე ფსიქოლოგებიც ადასტურებენ. ჩვენ მიერ შემოთავაზებული თავისებური ტესტი, თქვენი პარტნიორის საფუძვლიან გაცნობაში დაგეხმარებათ; მაშ ასე, თუ თქვენ ან თქვენს პარტნიორს გიყვართ:

ვაშლი

ქალი — შესანიშნავი მეუღლე და დედაა;

მამაკაცი — ძალიან ფრთხილია, სასიყვარულო საქმეებში რისკი არ უყვარს. ამიტომ სიყვარულს მხოლოდ მაშინ უხსნის ქალს, როცა წარმატებაში დარწმუნებულია;

ფორთოხალი

ქალი — ჩუმი და წინდახედული, ცხოვრებასთან აბსოლუტურად შეუთანხმებელია;

მამაკაცი — საიმედო ადამიანია. მას, შეიძლება, ყველაფერში ენდოთ.

მსხალი

ქალი — ოცნებობს ძლიერ, სანდო მამაკაცზე, რომელსაც მომავალში დაეყრდნობა;

მამაკაცი — გონიერი ადამიანია, მაგრამ აღფრთოვანების და აღტაცების უნარი არ შესწევს.

ბანანი

ქალი — ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად საკუთარი თავის მსხვერპლად გაღება ემარჯვება;

მამაკაცი — მასზეა ნათქვამი: მწიფე თავთავი თავს დაბლა ხრისო.

მარწყვი

ქალი — როგორც „12 სკამის“ ცნობილი გმირი ოსტაპ ბენდერი ამბობდა: „მგზნებარე ქალი — პოეტის ოცნებაა“;

მამაკაცი — ჩხუბისთავია. არაფრისგან დიდი აურზაურის ატეხა შეუძლია.

სტაფილო

ქალი — გაფრენილ რაშს შეაჩერებს და ცეცხლმოკიდებულ სახლში შევაო, — ასე ამბობენ მასზე, მამაცობისა და გამბედაობის გამო;

მამაკაცი — ჩუმი და დამთმობი, მბრძანებლობის მოყვარული ქალისთვის ნამდვილი მონაპოვარია.

ბოლოკი

ქალი — ანჩხლი და ენამოსწრებულია;

მამაკაცი — თავად მომხიბვლელობაა.

ნიორი

ქალი — ძალზე ბუნებრივი და უშუალოა;

მამაკაცი — უყვარს და შეუძლია ლამაზად ცხოვრება.

სალათის ფურცელი

ქალი — სიცოცხლის მოყვარული, ყოველთვის ახალი იდეების მატარებელია;

მამაკაცი — შრომისმოყვარე, მრავალმხრივი ინტერესისა და შესაძლებლობის მქონეა.

პომიდორი

ქალი — ტიპური „ვაუცინარი ხელმწიფეა“;

მამაკაცი — კეთილმოსურნე, დამყოლია, ხშირად „განტევების ვაცის“ როლში გვევლინება.

ყურძენი

ქალი — მგრძნობიარე, ემოციური ადამიანია;

მამაკაცი — ეგზალტირებული და ექსცენტრიკულია.

■

| ხერხემლის ბოლო ძვალი | | |

როგორ მოვუაროთ არმას

არმა — ეს ის მწვანე დეკორატიული მცენარეა, რომელიც საოცრად ალამაზებს საცხოვრებელ გარემოს. ამიტომ ბევრი ცდილობს, მოიძიოს ინფორმაცია მისი მოვლის შესახებ. თუ როდის სჭირდება არმას მორწყვა და გადარგვა, დამატებითი ვიტამინებით კვება, როგორ გადავარჩინოთ, თუ მისი სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა — ამ საკითხებზე რჩევებს დეკორატიული მებაღეობის ცენტრის დირექტორი ლალი ულენტი გვაძლევს.

სოფო ჭონიშვილი

— არმა ტროპიკული ბალახოვანი მცენარეა. ჩვენს პირობებში კი, ის ოთახის ბინადარია, რადგან გარე, ბუნებრივი პირობები არ უწყობს ხელს ველურად გასაზრდელად. მიუხედავად ამისა, ის ოთახშიც საკმაოდ დიდი ზომის იზრდება. არმა მძლავრი ფესვთა სისტემით გამოირჩევა. ის ე.წ. არაიდული ოჯახის წარმომადგენელია. ამ ოჯახის მცენარეებს ერთმანეთის მსგავსი ყვავილები ახასიათებთ. მისი ყვავილობისათვის აუცილებელი პირობა, ჰაერის მაღალი ტენიანობაა. იშვიათად თუ შეხვდებით ადამიანს, რომელიც იტყვის, რომ არმა ოთახის პირობებში აყვავებულა. მისი ყვავილობა ძირითადად სათბურის პირობებში ხდება. ის ყვავილობს ზაფხულში, აქვს ძალზე ლამაზი, ღია ფერის ყვავილები.

— როგორ უნდა გავამრავლოთ არმა?

— როცა არმა ყვავილობის პერიოდს დაასრულებს, ნაყოფს იძლევა. მისი ნაყოფი საკმაოდ მსხვილი და წითელი შეფერილობისაა. როცა ნაყოფი მწიფდება, სკდება და თესლები აქეთ-იქით გადაიბნევა. მისი გამრავლება ამ თესლების საშუალებითაც შეიძლება. მაგრამ ამონაყარით გამრავლება უფრო მიზანშეწონილია, რადგან ამ დროს სწრაფად ხდება მცენარის ზრდა.

— როგორი სიხშირით სჭირდება მორწყვა?

— მოსარწყავად ბევრი წყალი არ სჭირდება. ძალიან უყვარს, როცა ზაფხულში ფოთლებზე წყალს მოვასხურებთ. მუდმივად ტენიანი ნიადაგი უნდა ჰქონდეს, ოღონდ, არავითარ შემთხვევაში, სველი არ უნდა იყოს. ქოთნიდან უნდა ხდებოდეს ჭარბი წყლის გამოსვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფესვთა სისტემის ლპობის პროცესი დაიწყება.

— ზამთარში თუ სჭირდება მორწყვა?

— გააჩნია ოთახის ტემპერატურას: თუ სითბოა, მაშინ შედარებით მცირე რაოდენობით წყალი სჭირდება, ვიდრე ზაფხულში, ხოლო თუ ოთახში სიგრილეა, მაშინ წყალი თითქმის არ სჭირდება — სიცივეში ზედმეტი წყალი მას აფუჭებს.

— როგორ შეიძლება დავეხმაროთ არმას, როცა ფოთლები უყვითლდება?

— როცა ფოთოლი უკვე გაყვითლებულია, მას აღარაფერი ეშველება. ამიტომ ის ფოთოლი უნდა მოვაჭრათ. ფოთლის გაყვითლება იმის ნიშანია, რომ მცენარეს რაღაც უჭირს. მიზეზი შეიძლება იყოს პირდაპირი მზის სხივი, რომელიც არმას არ უყვარს ან ნიადაგის ჭარბი ტენიანობა.

— რაიმე დამატებითი ვიტამინების მიღებას თუ საჭიროებს არმა?

— გაზაფხულზე, როგორც ყველა მცენარეს, მასაც სჭირდება ვიტამინები — ანუ დამატებითი კვება. გაზაფხულზე მისთვის აუცილებლია მაკროელემენტების — პირველ რიგში, აზოტისა და მცირე რაოდენობით, ფოსფორისა და კალიუმის მიღება. ასევე არსებობს სპეციალური საკვები მწვანე დეკორატიული მცენარეებისათვის, რომელიც იყიდება.

— გადარგვა თუ ესაჭიროება?

— როცა მცენარე იზრდება, თავისთავად მოითხოვს ქოთნის შეცვლას. ამ დროს ხდება მისი გადარგვა: ვიღებთ პატარა ქოთნიდან, თავისივე მიწით და ვრგავთ რაც შეიძლება დიდი ზომის ქოთანში. ვამატებთ ზემოდან ახალ ნოყიერ ნიადაგს. იმ შემთხვევაში კი, როცა არმა უკვე დიდი ზომის ჭურჭელშია, მას ზემოდან ვამატებთ ახალ მიწას. გადარგვა საჭირო აღარ არის.

— დაახლოებით რამდენი გრადუსი ტემპერატურა სჭირდება?

— მას შეუძლია აიტანოს 8 გრადუსი ტემპერატურაც კი. ოღონდ, ასეთ დაბალ ტემპერატურაზე წყალი აღარ უნდა დავასხუროთ. საერთოდ კი, სითბოს მოყვარული მცენარეა. მიუხედავად ამისა, არ უყვარს პირდაპირი მზის სხივები. ოთახში ნათელი ადგილი უნდა შევურჩიოთ, რადგან სიბნელე არ უყვარს. ■





მოვერიოთ უძილობას

რუბრიკას უძღვება ექიმი

თამარ მამაცაშვილი

ძილის ხანგრძლივობა თითოეული ადამიანისათვის ინდივიდუალურია. ერთნი 3-4-საათიანი ძილის შემდეგაც მხნედ გამიყურებიან, მეორენი კი 10 საათის განმავლობაში გამოძინების შემდეგაც ვერ გრძნობენ თავს კარგად. ასაკის მატებასთან ერთად, ძილზე მოთხოვნილება თანდათანობით მცირდება. ძილი ხანმოკლე, ზედაპირული, მოუსვენარი ხდება. ასე რომ, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი ეძინა ადამიანს; მთავარია, როგორ ხასიათზე გაიღვიძა.

ადამიანები, რომლებსაც უძილობა აწუხებთ, აღნიშნავენ, რომ უჭირთ ჩაძინება, ადრე ეღვიძებათ, ძილში კი კოშმარულ სიზმრებს ხედავენ. ღამე მათთვის აუტანელი ხდება, ამიტომ იწყებენ საძილე და დამამშვიდებელი საშუალებების სმას – ოღონდაც ერთი საათით მაინც ჩაეძინოთ.

საძილე საშუალება მრავალგვარია, მაგრამ ყველა როდია უსაფრთხო ჩვენი ორგანიზმისთვის. ზოგიერთი პრეპარატი-

სადმი მიჩვევა საკმაოდ სწრაფად ვითარდება და საჭირო ხდება დოზის გაზრდა ან უფრო ძლიერმოქმედი წამლით მისი შეცვლა.

არ შეიძლება საძილე საშუალებად გამოყენებულ იქნას ალკოჰოლი – ეს ალკოჰოლიზმის განვითარებამდე მიგიყვანთ. დაუშვებელია საძილე საშუალებებისა და ალკოჰოლის ერთდროულად მიღება, რადგან შესაძლოა, ორგანიზმის მძიმე მოშხამვა განვითარდეს.

ძილი პირობითი რეფლექსია და საჭიროა მისი სტიმულირება, რომ არ „ჩაქრეს“. დასაძინებლად დაწოლა ერთსა და იმავე დროსაა აუცილებელი. თითოეული ადამიანი ამ დროს თავად განსაზღვრავს. საძინებელი იზოლირებული და წყნარი უნდა იყოს, კარგად ნიავდებოდეს და მასში არ უნდა იდგეს ზედმეტი ავეჯი.

ძილის დარღვევის დარეგულირება შესაძლებელია ე.წ. „საძილე“ ბალიშით, რომელსაც ავსებენ დაფშვნილი მცენარეების (თავშავას, ჭინჭრის, სვიის, არყის ფოთლების) ნარევით და დაწოლისას თავთან იდებენ. მცენარეების მიერ გამოცემული არომატი ხელს უწყობს მშვიდი ძილის განვითარებას. კარგია ძილის წინ წყნარი მუსიკის მოსმენა და სასიამოვნო ლიტერატურის კითხვა, აგრეთვე აბაზანები სხვადასხვა მცენარის (სალბის, გვირილის, კვიპაროსის, ურცის) ეთერზეთებით. აბაზანისთვის ეთერზეთის სულ 3-4 წვეთია საჭირო. ზეთი შეგიძლიათ დააწვეთოთ ხელსახოცზეც და საძინებელში საწოლთან ახლოს დაიდოთ – იგი დაგიმშვიდებთ ნერვებს და ღრმა ძილს მოგგვრით. ■

ვინ უყვართ კოღოებს



ბრიტანელმა მეცნიერებმა გაარკვიეს, რატომ ურჩევნიათ ხოლმე კოღოებს ერთი ადამიანი მეორეს. აღმოჩნდა, რომ ბევრი ჩვენგანი გამოსცემს მწერებისათვის მიმზიდველ სუნს, იშვიათ ბედნიერთა ორგანიზმი კი, რომელსაც კოღო არ ეკარება, ამ სუნის დამთრგუნველ ფერმენტებს წარმოქმნის. მკვლევარებმა შეძლეს ამ ნივთიერების ზოგიერთი კომპონენტის განსაზღვრა – ისინი მიმზიდველ სუნს ჩვეულებრივ ჰაერის დონეზე ამცირებენ.

აღმოჩენა გამოყენებული იქნება კოღოების საწინააღმდეგო უნიკალური საშუალების შესაქმნელად. მეცნიერები ფიქრობენ, რომ მას სხვა თანამედროვე ანალოგიური საშუალებებისგან განსხვავებით, სუნი არ ექნება. ■

როგორ ავიცილოთ თავიდან გაკოტრება

გაკოტრების ყველაზე ხშირი მიზეზი გაქურდვა ან კაზინოში წაგება კი არა, მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობა, უფრო სწორად, მის მკურნალობაზე გაწეული დანახარჯებია. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერები. კალიფორნიის, პენსილვანიის, ილინოისის, ტენესისა და ტეხასის 1770-მდე გაკოტრებული მცხოვრების გამოკითხვის შედეგად მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ შემთხვევათა 46,2%-ში გაკოტრების ძირითადი მიზეზი, სამედიცინო მომსახურებასა და წამლებზე დახარჯული დიდძალი თანხები იყო. ■

წამალს + გრეიპფრუტის წვენი

გრეიპფრუტის წვენი ზოგიერთ წამალთან კომბინაციაში საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. ამერიკელი მეცნიერები აღწერენ იმ პაციენტთა სიკვდილის შემთხვევებს, რომლებიც 2 თვის განმავლობაში ერთდროულად სვამდნენ სისხლში ქოლესტერინის დონის დამაქვეითებელ მედიკამენტებსა და გრეიპფრუტის წვენს – 2-3 ჭიქამდე დღეში. სიკვდილის მიზეზი წვენის ინგრედიენტებისა და წამლების კონკურენცია აღმოჩნდა ღვიძლის ერთსა და იმავე ფერმენტებზე.

სულ „შავ სიაში“ 50-ზე მეტი მედიკამენტი შევიდა, მათ შორისაა ისეთი გავრცელებული პრეპარატები, როგორიცაა ანტიბიოტიკი ერითრომიცინი, ანტიკოგულანტი ვარფარინი, ორალური კონტრაცეპტივები, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატი ტამოქსიფენი, ვიაგრა, მისი ანალოგები და ბევრი სხვა. მეცნიერები ურჩევენ პაციენტებს, დააზუსტონ თავიანთ მკურნალ ექიმებთან გამოწერილი პრეპარატების შეთავსებადობა ბევრი ადამიანისთვის საყვარელ სასმელთან. ■

როგორ მოვუაროთ ფრჩხილებს

ფრჩხილების გარეგნული ფორმის შეცვლის ყველაზე ხშირი მიზეზი არასწორი კვებაა. თუ გსურთ, რომ თქვენი ფრჩხილები მკრივი და ლამაზი იყოს, შეეცადეთ, სრულფასოვნად იკვებოთ — რაციონში შეიტანოთ საჭირო ვიტამინები და მინერალები, მაგრამ კვების გამოსწორების შედეგად ორგანიზმში განვითარებული დადებითი ცვლილებები ფრჩხილებზე მხოლოდ 3-5 თვის შემდეგ აისახება, როცა მთლიანი კალაპოტი ახალი ფრჩხილით ამოივსება.

A ვიტამინი ხელს უწყობს ფრჩხილის გამაგრებას და მის ზრდას. ამ ვიტამინს შეიცავს ყველი, კვერცხი, კარაქი, ქათმის ღვიძლი, სტაფილო, ისპანახი.

B ჯგუფის ვიტამინები ხელს უწყობს ცილის ათვისებას და ასტიმულირებს ფრჩხილის ზრდას. ისინი ბევრია მზესუმზირაში, კაკალში, ქათმის ღვიძლში, თეთრ სოკოსა და საფუარში.

C ვიტამინს შეიცავს ციტრუსები, ვაშლი, ქაცვი, მოცხარი, ისპანახი, ნიახური, ბულგარული წიწაკა.

ბიოტინი (H ვიტამინი) გვხვდება ქათმის, ღორისა და საქონლის ღვიძლში, საფუარში, სოკოში.

კალციუმი აუცილებელია ფრჩხილების სიმკვრივისათვის. იგი ყველაზე მეტი რაოდენობითაა რძესა და რძის პროდუქტებში, თევზში, ზღვის პროდუქტებში, ლეღვში, ნუშის ნაყოფში.

რკინა მეტად მნიშვნელოვანია ფრჩხილის სტრუქტურისა და ფორმისათვის. მას შეიცავს ისპანახი, ბარდეული, გარგარი, ჩირი, ღვიძლი, კვერცხის გული, მწვანე ხახვი, ალუჩა.

იოდი ჩვენს ორგანიზმში ხვდება იოდირებული მარილის, ზღვის თევზის, ისპანახის, რძის მიღებისას.

მაგნიუმს შეიცავს ბანანი, ცომეული, კარტოფილი და ქათმის ხორცი.

თუთია არის თევზში, რძეში, კიბორჩხალასა და ზოგიერთ ზღვის პროდუქტში.

გოგირდი აუცილებელია ფრჩხილის წარმოქმნისათვის, ამუხრუჭებს ანთებით პროცესებს. მას შეიცავს კომბოსტო, ხახვი, კიტრი.

ქირურგთა მოსაზრებანი

მყარი ფრჩხილები ძვლების სიმყარისა და კარგი ჯანმრთელობის ნიშანია. მეტისმეტად მკვრივი, ბრჭყალისმაგვარი ფრჩხილები კი ავადმყოფურად თავმოყვარე, მოუთმენელ, ძუნწ ადამიანებს აქვთ.

რბილი და თხელი ფრჩხილები არამყარი ძვლებისა და ავადმყოფობისაკენ მიდრეკილების მიმანიშნებელია. ასეთი ფრჩხილები არამყარი ბუნების ადამიანებს აქვთ.

მრგვალი ფრჩხილები, რომლებიც თავისი ფორმით ნახევარსფეროს გვაგონებს, ფილტვების პათოლოგიის ნიშანია. ეს დაკვირვება ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს ეკუთვნოდა.

თეთრი წერტილები და ლაქები ფრჩხილებზე ნევროზულობაზე, ანემიასა და სისხლის ცირკულაციის უკმარისობაზე მეტყველებს.

ქირურგები გვარწმუნებენ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მახასიათებელია ფრჩხილების სიგრძე.



ეს უნდა ვიცოდეთ

● თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცხიმო საკვებს მიიღებთ, ფრჩხილები გამოშრება, მტვრევადი გახდება, ბრწყინვალებას დაკარგავს და ზედაპირი ხორკლიანი გაუხდება. მსგავსი ავადმყოფური ცვლილებების პროფილაქტიკისათვის რეკომენდებულია რაციონში მწვანილზე დაყენებული ზეთის ჩართვა: წვრილად დაჭერით ქინძი, ნიახური და კამა. დაჭრილი მწვანილით პირამდე აავსეთ მინის ქილა და დაასხით ზეთი ისე, რომ მწვანილს ფარავდეს. დადგით ორი დღის განმავლობაში და შემდეგ მიიღეთ თითო ს/კ დილაობით, უზმოზე.

● არ ვარგა ხელის მეტისმეტად ხშირი ბანა სოდით, ჯაგრისით, საპნით — ამ დროს კანიდან და ფრჩხილებიდან ჩამორეცხება დამცავი ფენა და ისინი მგრძნობიარე ხდება ბაქტერიებისა და სოკოებისადმი. ფრჩხილების გასაწმენდად უმჯობესია სპეციალური, ლიმონისა და მჟაუნმჟავას, აგრეთვე გლიცერინის შემცველი ლოსიონები გამოიყენოთ.

● კანისა და ფრჩხილების მდგომარეობას აუმჯობესებს კონტრასტული აბაზანები — მტევნები უნდა ჩააწყოთ ხან ცხელ, ხან ცივ წყალში, რომელსაც ძმრის ან ლიმონის მჟავა ექნება დამატებული. პროცედურის დამთავრებისთანავე უნდა შეიზილოთ მკვებავი კრემი. სასარგებლოა აგრეთვე ზეთისა და ლიმონის აბაზანები.

● ზეთის აბაზანებს კვირაში ერთხელ იკეთებენ: მზესუმზირის ზეთი შეათბეთ 36-38 გრადუსამდე და ჩააწყვეთ თითები მასში 10-15 წუთის განმავლობაში. ლიმონის აბაზანებისათვის ნახევარი ლიმონი გაწურეთ და გამონაწურ ნარჩენებში ჩააწყვეთ თითის წვერები 10-15 წუთით. შემდეგ ფრჩხილებზე წაისვით ნებისმიერი მკვებავი კრემი, რომელსაც დამატებული ექნება 1-2 წვეთი A ვიტამინის კონცენტრატი. ასეთი პროცედურა სასურველია, კვირაში ორჯერ გაკეთდეს. ■

ქრისტე აღდგა! ნამდვილად აღდგა!

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელიც იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის მოსახსენიებლად და განსადიდებლადაა დაწესებული, მართლმადიდებლური სამყარო წლეულს 1 მაისს მიეგებება. აღდგომა ქრისტიანული ეკლესიის უძველესი დღესასწაულია, იგი ჯერ კიდევ მოციქულთა დროს დაწესდა და იდღესასწაულებოდა. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, სხვადასხვა ეკლესიაში სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ. ეს ხდებოდა ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევამდე. 325 წლის ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კი დადგინდა აღდგომის აღნიშვნის საერთო წესი, რომლის თანახმადაც უნდა ვიდღესასწაულოთ გაზაფხულის სავსემთვარეობის შემდგომ პირველ კვირას...

მორენა მერკვილაძე

რაში მდგომარეობს ქრისტეს აღდგომის არსი და მნიშვნელობა?

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომით, რომელიც საგულდაგულოდ დახშულ სამარხში მოხდა, აღესრულა პირველი ადამიანების მიერ ქმნილი ცოდვის შედეგად, ცოდვის მონობასა და მარადიული (სულიერი) სიკვდილის ტყვეობაში მყოფი კაცობრიობის გამოხსნა, რომლის შემდეგაც გაიხსნა სასუფევლის კარი და განახლებულ კაცობრიობას დაკარგულ სამოთხეში დაბრუნების, სასუფეველში დამკვიდრების საშუალება მიეცა: ამასთანავე ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა არის პირველსახე, წინასწარმაუწყებელი, მიცვალებულთა საყოველთაო აღდგომისა.

რა უნდა ვიცოდეთ სააღდგომო ლიტანიობასთან დაკავშირებით?

სააღდგომი ლიტანიობა — ეს არის წმინდა ეკლესიის სვლა მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის შესახვედრად. იგი თერთმეტ საათზე იწყება. ლიტანიობის დროს, ხდება ტაძრის გარშემო სამგზის შემოვლა — მაცხოვრის, საფლავში სამი დღით დაფვლის აღსანიშნავად. ლიტანიობას წინ უძღვის ლამპარი, მას მოჰყვება ჯვარი და დედა ღვთისმშობლის ხატი. შემდეგ, ორ წყებად, მიდიან სტიქაროსნები, მგალობლები, მედავითნეები და დიაკვნები, სანთლებითა და საცეცხლურებით. მათ მიჰყვებიან მღვდელმსახურნი, რომელთაგან მარვჯნივ მიმავალ მღვდელმსახურს უჭირავს „სახარება“, მარცხნივ მიმავალს კი — აღდგომის ხატი (თუ ტაძარში მხოლოდ ერთი მღვდელმსახურია, „სახარება“ და აღდგომის ხატი ერისკაცებს უჭირავთ, რადგან ტაძრის წინამძღვარს, ტრიკარი და ჯვარი უჭირავს ხელში).

ლიტანიობის დროს, განუწყვეტლივ რეკენ ზარს. მსვლელობა ტაძრის დასავლეთის კართან ჩერდება. წყდება ზარის რეკვა. ტაძრის წინამძღვარი დიაკვანს ართმევს საცეცხლურს და იწყებს საცეცხლურით კმევას. ამ დროს იგალობება: „ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“. ამის შემდეგ მღვდელმსახურნი გალობენ მუხლებს „ფსალმუნებიდან“. ყოველი მუხლის ბოლოს, მგალობლები წარმოთქვამენ აღდგომის ტროპარს. ბოლოს იგალობება აღდგომის ტროპარი, რომლის შემდეგაც იხსნება ეკლესიის კარი და ლიტანიობის მონაწილენი ქრისტეს აღდგომის სასიხარულო ცნობით შედიან ტაძარში. ცოტა ხნის შემდეგ იწყება სააღდგომო წირვა-ლოცვა, რომელიც დილამდე გრძელდება.

როდის უნდა შეიღებოს სააღდგომო კვერცხი?

სააღდგომო კვერცხი ქრისტეს აღდგომის სიმბოლოდ არის მიჩნეული. იგი ნიშანია აგრეთვე მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგომისა. ისევე, როგორც კვერცხის ნაჭუჭიდან გამოსული ბარტყი თავისუფლდება ნაჭუჭისგან და იწყებს ცხოვრებას მთელი სისავსით, ასევე ჩვენც, ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს გავთავისუფლდებით მიწიერი, ხრწნადი სხეულისგან და ახალი — უფრო ამაღლებული, მარადიული უკვდავი ცხოვრებით შევიმოსებით. სააღდგომო კვერცხის წითელი ფერი კი შეგვახსენებს, რომ კაცობრიობის გამოსყიდვა და ჩვენი ახალი, მარადიული ცხოვრება მოპოვებულია მაცხოვრის მიერ ჯვარზე დაღვრილი სისხლით. სააღდგომო კვერცხი, ეკლესიის ტრადიციით, უნდა შეიღებოს ვნების პარასკევს. კვერცხის შეღებვასთან ერთად პასქასაც ვაცხობთ, რომელიც სიმბოლურად გოლგოთას აღნიშნავს.

რატომ ვესალმებით აღდგომის დღეს ერთმანეთს სიტყვებით: „ქრისტე აღდგა!“ — „ჭეშმარიტად აღდგა“?

აღდგომის დღეს ამ სიტყვებით ურთიერთმისალმება მოციქულთა დროიდან მომდინარეობს: როდესაც მოციქულებს ესმათ ქრისტეს აღდგომის შესახებ, ერთმანეთს სწორედ ამ სიტყვებით მიმართავდნენ: „ქრისტე აღდგა!“ — „ჭეშმარიტად აღდგა!“ ამდენად, სააღდგომო ურთიერთმისალმებით, ვემსგავსებით ქრისტეს მოციქულებს და გამოვხატავთ უფლის აღდგომით განცდილ და გამოწვეულ სიხარულს.

რას ნიშნავს ჭონა?

აღდგომის წინადღეს, მეჭონეები (აღდგომის მახარებლები) ოჯახებში დადიოდნენ და საგანგებო სააღდგომო სიმღერის — ჭონას გალობით ახარებდნენ ხალხს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დადგომას. ამიტომაც უწოდებდნენ მათ აღდგომის მახარებლებს. მათი, ისევე, როგორც მეალილოეთა ხელცარიელი გაშვება ცუდის ნიშნად ითვლებოდა, ამიტომ მეჭონეებს წითელი კვერცხითა და სხვა სანოვაგით ასაჩუქრებდნენ. აღდგომის დღეს მეჭონეები ერთად იკრიბებოდნენ, შეგროვილი სანოვაგით ილხენდნენ და წითელი კვერცხების „შერკინებით“ ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას ულოცავდნენ. ამჟამად ეს ტრადიცია მივიწყებულია.

რა შეიძლება ვიცოდეთ ჭიაკოკონობასთან დაკავშირებით?

ჭიაკოკონას ეძახიან ვნების შვიდეულის ოთხშაბათ საღამოს საგანგებოდ გაჩაღებულ კოცონს. ძველად მას თივით ანთებდნენ. ცეცხლს ჯერ ოჯახის უფროსი, შემდეგ კი — დანარჩენი წევრები გადავლებოდნენ შეძახილით: „აჰარი, ურული, ურული, ურული კუდიანებსა“. მათ სწამდათ, რომ ის ადგილი, სადაც ჭიაკოკონა ენთო, ბოროტი სულებისგან იწმინდებოდა, თავად ცეცხლზე გადავლებულ ადამიანს კი, ბოროტი სული ვეღარ მიეკარებოდა. ამ წესს საქართველოში დღემდე ბევრი ადამიანი ასრულებს — ზოგი, როგორც ტრადიციას, ზოგს კი ღრმად სწამს, რომ ამ ქმედებით ბოროტ სულებს შეებრძოლება, მაგრამ სინამდვილეში, ამით უფრო უახლოვდება მათ, რადგან ეს არის წარმართული ჩვეულების გადმონაშთი, რომელიც მაზდეანური (ცეცხლთაყვანისმცემლობის) რიტუალებიდან იღებს სათავეს: ცეცხლთაყვანისმცემლებისთვის ცეცხლი ღვთაებას წარმოადგენდა, ადამიანი კი — ჩვეულებრივ ცოდვილს, რომელიც ღვთაებისთვის მისაღები რომ გამხდარიყო, ცეცხლით უნდა განწმენდილიყო, რაც ცეცხლზე გადაბიჯებით, გადახტომით აღესრულებოდა. ქრისტიანული ეკლესიისთვის მიუღებელია წარმართობიდან მომდინარე ჩვეულებების აღსრულება. „ჭიაკოკონობის“ მსგავს „ცეცხლში გატარებას“ პირდაპირ კრძალავს მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების 65-ე კანონი.

ასევე არაქრისტიანული ჩვეულებაა აღდგომის დღეს საფლავზე გასვლა და მიცვალებულთა სახელზე საკურთხის გაკეთება. ■



ლიკა ქაჯაია

შიო მღვიმელის უსაწყალო შვილი სამუზეუმოდ სარდაფზე ოცნებობს

ზოგის აზრით, სიცოცხლეში დაუფასებელი, სიკვდილის შემდეგ კი — დაფასებული ადამიანების ტრაგედია, მათივე საქმიანობიდან გამომდინარეობს. მწერალს, რომლის შთამომავალსაც ვესაუბრეთ, როგორც ჩანს, სიცოცხლეშივე მოუპოვებია აღიარება, მაგრამ მაშინაც და დღესაც, არ წყალობდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისა... „მინდა, პატარა სარდაფი მაინც მქონდეს, რომ მამაჩემის პატარა მუზეუმი მოვაწყო, მაგრამ...“ — მითხრა ცნობილი ქართველი მწერლის — შიო მღვიმელის ქალიშვილმა, ქეთევან ჟუჩუკაშვილმა და მწარე მრავალწერტილი დასვა.

— მამა, ქარელის რაიონის სოფელ ბრეთიდან გახლდათ, თუმცა, ამ სოფელში პატარა სახლიც კი არ ჰქონდა, ჩვენი ოჯახი თბილისში ე.წ. „ჟაქტის“ (სახელმწიფო) ბინაში ცხოვრობდა. დედა, რომელსაც პროფესია არ ჰქონდა, ხშირად კითხულობდა ლექსებს. ჯერ კიდევ მესამე კლასიდან იწერდა რუსული პოეზიის შედევრებს. საოცრად მორიდებული და თავაზიანი გახლდათ. სხვათა შორის, დედაჩემის ბებია, სომხის ქალი — გვარად ედიუფოვი გახლდათ. ზოგჯერ ხელმოჭერილი ვარ და ვამბობ — ეს სომხებისგან მომდევს-მეთქი *(იცინის)*.

— სად გაიცნეს ერთმანეთი თქვენმა მშობლებმა?

— თბილისში, ნიკო გოცირიძის ქუჩაზე, ერთ ეზოში ცხოვრობდნენ. ორი და მყავდა და ერთი ძმა. სამწუხაროდ, მხოლოდ მე შემოვრჩი ამ წუთისოფელს...

— რა შემოგრჩათ სოფელ ბრეთში?

— სოფელში არაფერი გვქონდა. საწყალი მამაჩემი, თბილისში ცხოვრობდა ისეთ ბინაში, სადაც კატისოდენა ვირთხები დარბოდნენ. მე თვითონ 10 წელია, რაც დაქირავებულ ბინაში ვცხოვრობ. ამ წლების მანძილზე, ისიც კი ვერ მოხერხდა, რომ ჩემთვის პატარა სარდაფი მაინც მოეცათ. იქაც შემოვიდოდა მზის სხივი. ამ სარდაფში მამაჩემის მუზეუმს მოვაწყობდი — ჯერ ჩრჩილისგან შეჭმულ ფარდაგს გავაკრავდი კედელზე და ზედ ჩარჩოებში ჩასმულ, ცნობილ მწერალთა და პოეტთა სურათებს დავკიდებდი. კედელთან მიდგმულ ტახტს გადავფენდი „დაბერებულ“, გაცვეთილ ხალიჩას. ტახტს გვერდით მივუდგამდი საწერ მაგიდას, რომელსაც სხვადასხვა დროს უსხდნენ: ნიკო გოცირიძე, ვალერიან გუნია, ვაჟა-ფშაველა, გიორგი ქუჩიშვილი, გალაკტიონი და სხვანი.

— კიდევ რა ნივთები შემოგრჩათ მამისგან, რომელიც თქვენთვის ყველაზე ძვირფასია?

— საანგარიშო „ჩოთქი“. თუმცა, რას ანგარიშობდა, არ ვიცი, რადგან დასათვლელი არაფერი გააჩნდა *(იცინის)*... სარკე შემომრჩა, სადაც მწერლები რედაქციაში წასვლამდე იხედებოდნენ. ლამპა, კომოდი... მე სხვებთან მაღალი კომოდი მინახავს, მამის კომოდი კი დაბალია — ოთხუჯრიანი. ორ უჯრას თვითონ ხმარობდა, დანარჩენს კი — ქალაქში ჩამოსული მისი მეგობრები, რომელთა შორის, ვაჟა-ფშაველაც გახლდათ...

— დაქირავებულ ბინაში ვცხოვრობო, — ბრძანეთ. ვინ გეხმარებათ ბინის ქირის გადახდაში?

— პენსია მაქვს — 28 ლარი და დახმარება — 2 ლარი. თუ შუქის ფულს გადავიხდი, მაშინ ჩემი შემოსავლით პურსაც კი ვერ ვიყიდი, მით უმეტეს — ბინის ქირის გადახდას ვერ მოვახერებ *(თვეში 100 დოლარი. — ავტ.)*. არავინ მეხმარება...

— როგორც ვიცი, წინა მთავრობა გეხმარებოდათ ბინის ქირის გადახდაში.

— არა. მაშინ ჩვენი მშობლიური ქარელიდან გამომიგზავნეს 3.555 დოლარი. ამ თანხით ბინა უნდა მეყიდა, მაგრამ ვერ ვიყიდე (ფული არ მეყო). ამ თანხით ბინის ქირას ვიხდიდი... მერე მწერალთა კავშირმა ექსპრეზიდენტ შევარდნაძეს სთხოვა დახმარება. მან 1.500 დოლარი გამომიგზავნა. ეს თანხა ერთი წელი და 2 თვე მეყო (ბინის ქირის გადასახდელად). მერე ვანო ზოდელავაც მეხმარებოდა, ბინას მპირდებოდა, მაგრამ მოხსნეს. ქალაქის ახალმა მერმაც, გარკვეული თვეების თანხა გადამიხდა.



შიო მღვიმელი

— მამასთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— მამა ჩვენს საქმეებში არ ერეოდა. შენიშვნების მოცემა არ უყვარდა. ბავშვობაში ისეთ ლექსებს ვწერდი, რომ ჩემები სიცილით იხოცებოდნენ, მაგრამ იმ ლექსებს მამა არ მისწორებდა.

— როგორი იყო სხვებთან ურთიერთობისას?

— შიო ცუდს არავისზე იტყოდა, არავის განიკითხავდა. ის ყველას, ყველაფერს მიუტევებდა. მე კი, ხანდახან გამოვთქვამ სხვების მიმართ საყვედურს... ორი ლექსი საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ბავშვებს შეჰყვარებოდათ, მაგრამ მასთან წლების განმავლობაში რომ გეცხოვრათ, მისგან ვერასდროს გაიგონებდით — მწერალი ვარო...

— რაში გამოიხატებოდა ბავშვების სიყვარული?

— ერთხელ მამა სკოლაში წამომყვა. მოსწავლეები შიოს გარს შემოეხვივნენ. აინტერესებდათ — როგორი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი ეცვა. უცებ აჩურჩულდნენ — ეს შიო მღვიმელი არ არის, მას ქუდი სხვანაირად ახურავსო. მეცინებოდა — როგორ შეიძლებოდა, ერთი და იგივე ქუდი, სხვადასხვანაირად დაეხურა?! ამაყად მივყებოდი გვერდით, ხელი მის ჯიბეში მედო: ეს ძალიან მიყვარდა, ამაზე მეტი სიამოვნება ცხოვრებაში არ მიმიღია... სახლიდან სკოლამდე, მამაჩემი ხშირ-ხშირად იხდიდა ქუდს, რადგან ყველა გამვლელს ასე ესალმებოდა. დღეს

შიო მღვიმელი მეუღლესთან ერთად

ასე აღარავინ იქცევა და მგონი, ამის გამო ქუდს საერთოდ აღარ იხურავენ...

— შიო ქუჩუკაშვილმა, ფსევდონიმად შიო მღვიმელი რატომ აირჩია?

— ეს ფსევდონიმი ნიკო ლომოურმა შეურჩია — ისეთივე წყნარი ხარ, როგორიც ბერი — შიო მღვიმელიო... იმის გამო, რომ ასეთი ჩუმი, უთქმელი იყო, სამსახურიდანაც დაითხოვეს... მამაჩემი, ნიკო აღნიაშვილის მეშვეობით, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულ წიგნის მაღაზიაში მოეწყო. შიო მარტო წიგნებს კი არ ყიდდა, არამედ საბუღალტრო საქმესაც უძღვებოდა; პროვინციაში დამკვეთთათვის წიგნების გაგზავნაც, წიგნების ანგარიშის შედგენაც მის კისერზე იყო, შესყიდული ნივთების დაბინავებასაც ის ივალებდა... მაგრამ საწყობიდან და მაღაზიიდან წიგნები იკარგებოდა. მამა დანაკლისს თავისი ხელფასით ავსებდა. ბოლოს ისე გაიზარდა ეს თანხა, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს. ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო, არ იკადრა ის, რომ პირდაპირ ეთქვა სათქმელი იმ ხალხისთვის, ვისთან ერთადაც მუშაობდა წლების მანძილზე... სამსახურიდან წამოვიდა და იმ დღეს, მისი ცოლ-შვილი ცარიელ სუფრას უჯდა — ფინჯნებში ადუღებული წყალი და საპურეზე მხოლოდ წინა დღის პური იდო. დედა თავის მოგონებებში წერს: ვალის დასაფარავად ქვაბებიც კი გავყიდეთ... ისე გავიდა 10 წელი, შიოს ფეხი არ დაუდგამს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კიბეზეო.

— თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ ვაჟა-ფშაველა. როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ვაჟას და შიო მღვიმელს?

— მეგობრობდნენ. ვაჟას ძმებიც ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ. ერთი ამბავი გამახსენდა: თბილისში ერთი დუქანი იყო, სადაც ძმები ხელაშვილები მუშაობდნენ. მათგან ერთი, ვაჟას მონათლული იყო, მეორე — მამაჩემის. ამ დუქანს ხშირად სტუმრობდნენ მწერლები, მხატვრები... შემდეგ, ხელაშვილებს ბოლშევიკებმა ყველაფერი წაართვეს.

— ვაჟა-ფშაველას გარდა, კიდევ ვისთან მეგობრობდა?

— როგორც მახსოვს, გალაკტიონ ტაბიძესთან და გიორგი ქუჩიშვილთან. დეკემბრის თუ ნოემბრის ერთ საღამოს, როცა სახლში მხოლოდ მე და მამა ვიყავით, სწორედ ისინი მოვიდნენ. მგონი, ცოტა გადაკრულშიც კი იყვნენ. მამამ ლობიო (ქოთნის), მწნილი, პური გამოუტანა მათ. სუფრას მიუსხდნენ და მთელი ღამე საქართველოს სილამაზეზე საუბრობდნენ. არ ახსოვდათ არც თავიანთი ლექსები, არც ის გაჭირვებული ცხოვრება, რომელსაც გაჭირვებით უმკლავდებოდნენ... გალაკტიონზე ხშირად წერენ: ამბობდა — კარგი პოეტი ვარო. ის ამას არ იტყოდა. საოცრად მორიდებულ ადამიანს, საკუთარი თავი სულაც არ მიაჩნდა დიდ პოეტად... ის მამის გარდაცვალების შემდეგაც მოდიოდა ჩვენს სახლში... ქუჩიშვილი რომ მოვიდოდა, შიო მშვენიერ გუნებაზე დგებოდა. გეგონებოდათ, ისეთი ამბავი მოიტანა, ბარგი უნდა შევკრათ და სასახლეში გადავიდეთო. მთელი ღამე იცინოდნენ.

— მამათქვენს ღვინის სმა უყვარდა?

— როგორ არა. მაგრამ ხდებოდა ისეც, რომ 6 თვის განმავლობაში ერთხელაც არ დალევდა. ვაჟა-ფშაველასთვის უნდოდა მიებაძა: ის საერთოდ არ სვამდა. საცოდავი, ავად რომ გახდა, სანდროს *(ვაჟა-ფშაველას ძმა. — ავტ.)* და მამას ღვინო გამოუტანა — წაიღეთ, ქეიფი თქვენ გიყვართო...

გიორგი ქუჩიშვილთან (მარჯვნივ) ერთად (1919-20 წ.წ.)

— ქალბატონო ქეთევან, ცნობილია, რომ თქვენი ნაწარმოებებიც საკმაოდ პოპულარულია...

— რა ვიცი... ჩემს პიესებს სცენაზე მხოლოდ იმიტომ დგამდნენ, რომ პატივს მცემდნენ...

— ცნობილია თქვენი ფუნაგორიაც, მიძღვნილი რობერტ სტურუასადმი...

— ბევრი ფუნაგორია მაქვს დაწერილი. როცა რობერტ სტურუამ შექსპირის „მეფე ლირი" დადგა, მე დავწერე: შექსპირი ინგლისიდან ჩამოდის და მადლობას ეუბნება რეჟისორს — ის, რაც მე კარგად ვერ დავწერე, შენ გამოასწორეო *(იცინის)*... შეიძლება ეწყინა, მაგრამ მისი წყენინება სულაც არ მიფიქრია.

— ცნობილია თქვენი წიგნი — „მამა მოდის ჩემთან. კოსტავას ქუჩა №60"...

— ნაქირავებ სახლში მარტო ვცხოვრობ. არ ვიცი, როგორ ვუძლებ ამდენ მარტოობას... წარსულის მოგონებებით ვცოცხლობ და ხანდახან, მართალა მგონია, რომ მამა ჩემთან მოდის ხოლმე... ერთხელ მოვიდა, მხრებზე თავისი ცივი ხელები დამადო. ვეუბნები: მამა, შენ ან ძალიან ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული, ან ძალიან უბედურზე-შეთქი (მაგრამ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული, პოეტი ვერ იქნებოდა...). მერე გავდივარ სამზარეულოში ვიღებ ნავთქურას, ვაჯანჯღარებ, იქ კი ერთი წვეთი ნავთიც აღარ არის... სამაგიეროდ, სადილზე მომიტანეს ლობიო და ჭარხალი. ჭარხალი მამის მოსვლამდე შევჭამე, ამიტომ, მას მხოლოდ ლობიო გამოვუტანე. შიო არ ელოდა ასეთ მშვენიერ ვახშამს... ვჭრი პურს და მამას ვეპატიჟები... ეს ყველაფერი თითქოს მართლა ხდება... ნაქირავებ ბინაში მარტო ყოფნა საშინელებაა. ვდარდობ და ვერ ვიძინებ. ხშირად ვხედავ დუქანს, რომლის წინ, ორი პატარა გოგონა დგას. ისინი ჩემი დები არიან. მათ ძალიან უნდათ მაქმანების ყიდვა, მაგრამ 1 კაპიკიც არა აქვთ. მამაჩემსაც სურს, გოგონები გაახაროს, მაგრამ თუ მაქმანებს იყიდის, მაშინ პურს ვეღარ იყიდიან... ცრემლები მომდის. იქნებ ჯობდა, ერთი კვირა ეშიმშილათ და შვილებისთვის მაქმანები ეყიდათ?..

■

გიორგი ნემსაძეს ოროსნობა არ სურს

საფეხბურთო კარიერა და... ქართველთა თავგადასავალი ნიგერიაში

მერაბ ჟორდანიამ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის დატოვების შესახებ განცხადება, წინასწარი დაკავების საკნიდან მას შემდეგ გააკეთა, რაც ბოლო რამდენიმე თვეში, იქ მეორედ მოხვდა. ფედერაციის აღმასკომმა ახალი პრეზიდენტის ასარჩევად, 11 ივნისს დანიშნა ყრილობა და სწორედ ამ დღეს გაირკვევა, თუ უახლოესი 2 წლის მანძილზე ქართულ ფეხბურთს ვინ უხელმძღვანელებს. აქვე გეტყვით, რომ აღნიშნული დროის გასვლის მერე, ჟორდანიას უფლებამოსილება ოფიციალურად შეუწყდება და კვლავ ახალი არჩევნები გაიმართება. დღესდღეობით კი, ფედერაციის თავკაცის სკამისთვის ბრძოლა უკვე დაწყებულია და მასში საქართველოს ნაკრების ექსკაპიტანი — გიორგი ნემსაძეც ჩაება.

გიორგი ლანჩავა

გიორგი ნემსაძეს ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული და შარშან, შოტლანდიური „დანდის“ დატოვების შემდეგ, ბოლო დრომდე, თბილისის „დინამოს“ კაპიტნობდა. ნემსაძემ აქტიურ ფეხბურთს სწორედ იმიტომ დაანება თავი, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიეღო. მის საარჩევნო შტაბს ერთ-ერთი კომპანიის დამფუძნებელი, ტარიელ ხეჩიკაშვილი უხელმძღვანელებს, ხოლო მის მხარდამჭერთა შორის, საფეხბურთო სამყაროსა და ხელოვნების არაერთი ცნობილი წამომადგენელია. სხვათა შორის, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ ღიად განაცხადა, რომ იგი ნემსაძის გუნდშია.

ამბიციური პროგრამა

— ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა პირველ რიგში, იმიტომ გადავწყვიტე, რომ კარიერის დამთავრების შემდეგ, იმავე სფეროში მინდოდა მოღვაწეობა, რომელსაც მთელი შეგნებული ცხოვრება შევალიე. მსურს, ვაკეთო საქმე, რომელიც ყველაზე უკეთ ვიცი, ოღონდ ამჯერად — უკვე ხელმძღვანელის რანგში. ფეხბურთში თუ არ დავრჩებოდი, მაშინ ნულიდან უნდა დამეწყო რომელიმე პროფესიის შესწავლა, რაც ნამდვილად არ მსურს. მიმაჩნია, რომ სჯობს, აქ ვიყო ოთხოსანი, ვიდრე სხვაგან, თუნდაც უფრო მაღალ პოსტზე — ოროსანი... ჩვენი გუნდის პროგრამა ძალიან ბევრ საკითხს მოიცავს, მაგრამ პრიორიტეტულად მაინც საქართველოს ჩემპიონატის დონის ამაღლება მიგვაჩნია, რადგან ამაზე პირდაპირპორციულადაა დამოკიდებული ეროვნული ნაკრების სათამაშო კლასის გაუმჯობესება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დღის წესრიგში დგება მინდვრების ხარისხის გაუმჯობესება, ბავშვთა ფეხბურთის განვითარება, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება და კიდევ სხვა მრავალი საკითხი, რომელზე საუბარიც შორს წაგვიყვანდა. გამარჯვების იმედი რომ არ მქონდეს, ალბათ, საკუთარ კანდიდატურას არც წამოვაყენებდი. ვფიქრობ, საფეხბურთო სამყარო მხარს დამიჭერს და დასახულ მიზანს მივაღწევ. ფედერაციის პრეზიდენტობის სხვა მსურველებს შესწევთ ძალა, რომ დიდი კონკურენცია გამიწიონ, მაგრამ ბრძოლას ბოლომდე ვაპირებ. საარჩევო მარათონი ცხადია, დაძაბული იქნება, მაგრამ რატომღაც მგონია, საბოლოო წარმატებას მე მივაღწევ. ჩვენი გუნდის კოზირების შესახებ ამჟამად ლაპარაკი არ მსურს, რადგან ყველაფერს თავისი დრო აქვს. თუმცა, არც იმას ვივიწყებ, რომ საკუთარი კოზირები მოწინააღმდეგეებსაც აქვთ. სახელმწიფოს ამ არჩევნებში შეუძლია, დიდი როლი ითამაშოს: ამა თუ იმ კანდიდატს სახელმწიფოს მხარდაჭერა მეტოქეებთან შედარებით, ბუნებრივია, უპირატესობას მიანიჭებს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს თანადგომა ერთჯერადი არ უნდა იყოს და ფედერაციასა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა არჩევნების მერეც აუცილებელია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ნებისმიერი ინვესტორისა თუ ბიზნესმენის ფეხბურთით დაინტერესების შემთხვევაშიც კი, სახელმწიფოს გარეშე სპორტის ამ სახეობას წინსვლა არ უწერია. ფეხბურთის ფედერაციას მარტო, ამ უამრავი პრობლემის მოგვარება გაუჭირდება. საქართველოში არსებობს რეგიონები, სადაც სტადიონები შესაკეთებელია, მინდვრის საფარი გამოსაცვლელია, რაც მთავრობის მოწადინების შემთხვევაში, მოგვარებადი პრობლემებია. უბრალოდ, ადგილობრივ ბიუჯეტებში ამისთვის თანხა უნდა გამოიყოს და რაიონული ხელმძღვანელებიც საჭიროა, დაავალდებულონ, რომ მათ ამგვარი საკითხები გადაწყვიტონ. ამით ქართული ფეხბურთი დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ. გარდა ამისა, ფედერაციის ხელმძღვანელობამ საჭიროა, სწორი მიმართულებით გაანაწილოს თანხები, რომლებიც მის ანგარიშზე გრანტებისა თუ სხვადასხვა პროგრამის დაფინანსების სახით შემოდის.

მამა — ყველაზე ერთგული გულშემატკივარი

— ფეხბურთელად რომ ჩამოვყალიბდი, მამაჩემმა, ვაჟა ნემსაძემ ამაში დიდი როლი ითამაშა. 6 წლის ასაკიდან მოყოლებული, იმ პერიოდამდე, სანამ სათამაშოდ საზღვარგარეთ წავიდოდი, ის თითქმის ყოველ ვარჯიშზე დამყვებოდა და მაშინაც კი, როცა უკვე ცოლი და 2 შვილი მყავდა, მაინც, როგორც პატარა ბავშვს, არ მაკლებდა ყურადღებას. კვირაში სამჯერ-ოთხჯერ თვითონაც მავარჯიშებდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა — წვიმა იყო, თოვლი თუ ქარი. ის და ჩემი ძმა ავტომანქანაში თბილად ისხდნენ და თბილისის ზღვაზე მორბენალს, უკან მომყვებოდნენ... ნაძალადევში ვარ დაბადებულ-გაზრდილი და მამას ხშირად, კიკვიძის ბაღში დავყავდი, სადაც ნახერხში მავარჯიშებდა. იქ ხან დავრბოდი, ხან ბურთს ვკენწლავდი და მის მოგონილ, სპეციალურ ვარჯიშებს ვაკეთებდი.

გარჩევები „კიკვიძეში“

— კონფლიქტური არ ვყოფილვარ, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც უმნიშვნელო მიზეზით, წონასწორობიდან გამოვსულვარ და მუშტი-კრივი დამიწყია. თუმცა, ეს ხშირად არ ხდებოდა. ჩხუბით, რა თქმა უნდა, ვჩხუბობდი. ბავშვობაში რამდენჯერ მომხდარა, რომ კლასი — კლასს, სკოლა — სკოლას დავერეოდით და შემდეგ, საქმის გარჩევა მიდიოდა კიკვიძის ბაღში ან სადმე სხვაგან...

სხვათა შორის, ერთხელ, საფეხბურთო მოედანზეც მომივიდა ჩხუბი. მაშინ „შევარდენში“ ვთამაშობდი. იმ დღეს, „მრეტებს“ ვხვდებოდით და ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა კონფლიქტი მატჩის მერეც გაგრძელდა. „მრეტების“ მხრიდან ამ კონფლიქტში კახა სიდამონიძე, გიორგი ქინქლაძე, გელა ქორიძე მონაწილეობდნენ... საბოლოოდ, ყველაფერი ნორმალურად დამთავრდა და ამ ხალხთან დღემდე ვძმაკაცობ.

შეყვარებული ადამიანი მოუთმენელია

— სპორტსკოლებს შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გავხდით და სპორტის სასახლეში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი გვაჯილდოებდა. ჩემი მომავალი მეუღლე ერთ-ერთ ანსამბლში ცეკვავდა, რომელიც დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ, კონცერტს ატარებდა და რუსიკოც მაშინ მომეწონა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იგი ჩემი ერთ-ერთი თანაგუნდელის კლასელი ყოფილა. მისი გაცნობა მინდოდა, მაგრამ თავიდან, ცოტა გამიჭირდა. ჩემი თანაგუნდელი ჩვენი გაცნობისგან თავს იკავებდა, რადგან ფიქრობდა, რომ მისი მხრიდან ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან გოგო ნაწყენი დარჩებოდა... საბოლოოდ, მე თვითონ ვიაქტიურე და საკმაო წარმატებითაც. რუსიკოს დიდუბეში, მის სახლთან დავხვდი და რაც მინდოდა, ავუხსენი. მამაჩემი ძველი ქართული ტრადიციების მიმდევარია და მეც ასე მზრდიდა. როდესაც გაიგო, რომ ერთმანეთი გვიყვარდა და როგორც გოგოთი, ასევე მისი ოჯახით კმაყოფილი დარჩა, არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. მაგრამ 9 აპრილს, ჩემი ნათესავი — ეკა ბეჟანიშვილი დაიღუპა და მამამ მთხოვა, წლისთავის გასვლამდე გადაგვედო დაქორწინება... ისე ვიყავი შეყვარებული, რომ ერთი წელი ვერ მოვითმინე და რუსიკოსთან ერთად ბათუმში გავიპარე. მამა თავიდან კი გაბრაზდა, მაგრამ იმავე დღეს ჩამოვიდა და ბათუმიდან თბილისში სულ ქეიფ-ქეიფით დავბრუნდით... ცოლი როდესაც მოვიყვანე, 17 წლის ვიყავი. 18-სას, უკვე ბიჭი შეგვეძინა, რომელსაც ვაჟა დავარქვით. მეორე შვილს თორნიკე ჰქვია, მესამეს — სოფიკო.

სხვა თვალით დანახული, მშობლის ამპლუა

— ბავშვი როდესაც გვეყოლა, თვითონაც პატარა ვიყავი. ახლა ბიჭები წამოიზარდნენ და უკვე ჩემსავით აზროვნებენ. ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ მეც მათთან ერთად ვიზრდებოდი. მართალია, 17 წლისას, ცოლის მოყვანა მინდოდა, მაგრამ ამ ასაკში ცხოვრებას სულ სხვა თვალით ვუყურებდი და ასეთი ნაბიჯის გადადგმისთვის მზად არ ვიყავი. მაგალითად, ახლა პატარა გოგო გვყავს და ვგრძნობ, რომ ნამდვილი მამა ვარ, რადგან ჩვენ შორის ასაკში დიდი სხვაობაა და ყველაფერს სხვაგვარად აღვიქვამ, ვიდრე 17 წლის ასაკში... საზღვარგარეთ ყოფნისას, შვილებს ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ საქართველოში ცხოვრება ძნელია. ვუხსნიდი, რომ თბილისში ჩასულებს, დიდი დაკვირვება მართებდათ, რადგან სამშობლოში მეტი სიყვარული და გულიანი ხალხი დახვდებოდათ. აქ დაბრუნებული, ჩემს ნათქვამს უფრო კარგად აანალიზებენ, ვინაიდან უკვე თვითონ აქვთ შეხება იმ ფასეულობებთან, რომელთა შესახებაც მათ უცხოეთში ვუყვებოდი.

„ლოთი არა ვარ, მაგრამ მთვრალი დავიარები“...

— ჩემზეა ნათქვამი — ლოთი არა ვარ, მაგრამ მთვრალი დავიარებიო. სმა არა, მაგრამ ქეიფი კი მიყვარს, მით უმეტეს, როდესაც კარგ სიტუაციაში ვხვდები. ღმერთმა დამიფაროს, რომ ყოველდღე დავლიო, რადგან ეს უკვე ავადმყოფობაა. დალევა განსაკუთრებით ხშირად მაშინ მიწევდა, როცა უცხოეთიდან ჩამოვდიოდი და ძმაკაცებს ვხვდებოდი. საქართველოში ყოველი დაბრუნება ჩემთვის მეორე დაბადება იყო. ზოგჯერ, მთვრალი ვყოფილვარ კი არა... რამდენჯერმე, ვიწრო წრეში მითამადია კიდეც, მაგრამ დიდ სუფრას არ გავძღოლივარ, რადგან ამას თავისი ცოდნა სჭირდება, თორემ, მეგობრებთან და საკუთარ ოჯახში თამადობის ბედნიერება მქონია.

გიორგი ნემსაძე და რობერტო ბაჯო ბოლონიაში მკურნალობისას

გიორგი ნემსაძე და შოთა არველაძე

ასეთია სპორტული ცხოვრება

— თბილისის „დინამოდან“ პირველად, გერმანულ „ჰომბურგში“ გადავედი. იმას ვერ გეტყვით, რომ გერმანიაში ნანახმა გამაოცა, რადგან მანამდეც ბევრჯერ ვყოფილვარ ამ ქვეყანაში. თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ, გერმანელთა „შიდასამზარეულოში“ უფრო კარგად გავერკვიე და მათ ადათ-წესებს გავეცანი. იქ ძალიან დიდი სკოლა გავიარე და პროფესიონალად ჩამოვყალიბდი. ოჯახის მიმართაც სხვა დამოკიდებულება გამიჩნდა. უფრო მეტი საფიქრალი მქონდა, რადგან მარტო ვიყავი და იქაურ ყოფას, საქართველოში ცხოვრებას ვადარებდი. ძირითადი, რაც გერმანელებს ახასიათებთ, ეს საკუთარი საქმისადმი სიყვარულია, რომელსაც ისინი არასოდეს ღალატობენ. ყველა ერს განსხვავებული მენტალიტეტი აქვს და გერმანიის შემდეგ თურქეთში რომ ჩავედი, ნათლად დავინახე, რომ რადიკალურად განსხვავებულ გარემოში აღმოვჩნდი. როგორც აზიურ ქვეყანას, თურქეთს საკუთარი ხიბლი აქვს და როცა „ტრაბზონსპორში“ ვთამაშობდი, იქაურებმა იმდენი სითბო გამომამჟღავნეს, რაც გერმანიაში ნამდვილად არ მიგრძნია. დასამალი არ არის, რომ ტრაპიზონში ქართველი ფეხბურთელები პოპულარულები ვიყავით. შვეიცარია ყველასაგან იმით განსხვავდება, რომ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, იქ ცხოვრების დონე ძალიან მაღალია. თუმცა, გერმანელებისგან და თურქებისგან განსხვავებით, შვეიცარიელებზე კარგს ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რადგან ძალიან რთული და ცივი ხალხია. მეზობელმა, რომელთანაც მეგობრობ, თუ დაინახა, რომ ქუჩაში ქაღალდი დააგდე, შეიძლება, პოლიციაში გიჩივლოს... ალბათ, ამის გამოა, შვეიცარია ლამაზი და სუფთა. მაგრამ ცხოვრებაში ურთიერთსიყვარული და ერთმანეთის მიმართ კარგი დამოკიდებულებაც ხომ მნიშვნელოვანია! ისინი კი ამგვარ რამეებს არ ცნობენ. მათთვის მთავარია, საკუთარი აქტიურობა საზოგადოე-

ბრივ საქმიანობაში გამოხატონ. შვეიცარიული „გრასჰოპერსის“ ხელმძღვანელობასთან გარკვეული პრობლემები როდესაც შემექმნა, ნახევარი წლით სათამაშოდ იტალიის სერია „ბ“-ს კლუბ „რევჯანაში“ წავედი, სადაც საქმეს ძალიან ცუდად უდგებოდნენ. კერძოდ, „რევჯანის“ პრეზიდენტმა სეზონის განმავლობაში 60-მდე ფეხბურთელი მოიყვანა და გაუშვა გუნდიდან. ამიტომ იყო, რომ „რევჯანა“ არასტაბილურად თამაშობდა და სერია „ც“-ში გავარდა...

რაც შეეხება იტალიელებს, ისინი ძალიან თბილი ხალხია და მენტალიტეტით ქართველებს ჰგვანან. მეგობრულები არიან, თუმცა, ერთი-ორმა მაინც შეიძლება, თავი მოგაჩვენოს, ვითომ უყვარხარ და შენ მიმართ კარგადაა განწყობილი, მაგრამ ამ დროს, სულ არ აინტერესებდეს, რა გიჭირს და რა გილხინს... დალევა შოტლანდიაში ვისწავლე. შოტლანდიელები, ყოველდღე თუ არა, ძალიან ხშირად გვეპატიჟებოდნენ რესტორანში ან პაბში, სადაც მშვენიერ დროს ვატარებდით. „დანდიში“ თამაშისას, პრესტიჟულ უბანში ვცხოვრობდი. იქ მცხოვრები ოჯახები ზაფხულის განმავლობაში, მორიგეობით ამზადებდნენ მოსაწვევ ბარათებს, რომელსაც უკანა მხარეზე ეწერა, რომ შაბათს უბანში ავტომანქანა არავის შემოეყვანა; ამ მოსაწვევებს ერთი კვირით ადრე არიგებდნენ, შემდეგ, ფულს შეკრებდნენ, კარვებს იქირავებდნენ, უბანში გაშლიდნენ და ყველას საკუთარი ოჯახიდან საჭმელ-სასმელი გამოგვქონდა, რასაც ცხადია, ქეიფი მოჰყვებოდა-ხოლმე. შაბათს, თამაშის მერე რომ მოვიდოდი, მეზობლები უკვე მთვრალები მხვდებოდნენ და მე მათ მოგვიანებით ვუერთდებოდი.

ნემსაძე და ხიზანიშვილი „დანდი“-ში თანაგუნდელებთან ერთად (მარჯვნიდან მარცხნივ)

თავმდაბალი და ჩუმი ვარსკვლავი

– შოტლანდიაში თამაშისას, მუხლის ხრტილის ოპერაცია გამიკეთეს და 8 თვის განმავლობაში, რეაბილიტაცია უნდა გამევლო. იმავე პერიოდში, ხიზანიშვილიც დაშავდა და ორივე, ბოლონიაში, ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო სარეაბილიტაციო ცენტრში ვმკურნალობდით, სადაც „დანდის“ მთავარმა მწვრთნელმა, იტალიელმა ივანო ბონეტიმ გაგვგზავნა. ჩვენთან ერთად რეაბილიტაციას გადიოდა რობერტო ბაჯოც, რომელიც, თუ მალე გამოჯანმრთელდებოდა, შესაძლოა, იტალიის ნაკრებთან ერთად 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც წასულიყო იაპონია-კორეაში. ორი კვირის მერე, ცნობილი იტალიელი მომღერალი ეროს რამაზოტიც შემოგვიერთდა, რომელმაც მომღერლებსა და მსახიობებს შორის გამართულ საქველმოქმედო მატჩზე დაიზიანა ფეხი. სხვათა შორის, ამ თამაშს ტელევიზიით უჩვენებდნენ და როცა რამაზოტი დაშავდა, ექიმებმა გვითხრეს: მალე ეგეც გვერდზე მოგიწვებათო... სარეაბილიტაციო ცენტრში მთელი დღის განმავლობაში დაკავებული ვიყავით, დასვენება მხოლოდ ერთი საათი გვქონდა. ამ დროის განმავლობაში, ოთხივე ვიკრიბებოდით, ფულს ვდებდით და რესტორანში ან პიცერიაში მივდიოდით ხოლმე. ბაჯო ძალიან თავმდაბალი პიროვნებაა. სუფრაზე შესაძლოა, მისი ხმა საერთოდ არ გაგეგონა და ჩვენ უფრო აქტიურად ვსაუბრობდით, ვიდრე ის. თუმცა, ეს იმით არ იყო გამოწვეული, რომ ბაჯო ზევიდან ამყად გვიყურებდა და თავის ტოლებად არ გვთვლიდა. პირიქით, როდესაც პირველად დაველაპარაკე, მივხვდი, რომ ძალზე თავმდაბალ ადამიანთან მქონდა საქმე.

რამაზოტი უფრო მყვირალა, ჯუჯღუნა იყო და მისთვის სიამაყის გამოვლინებაც არ იყო უცხო. რეაბილიტაციის კურსის დამთავრების მერე, ბაჯოსთან ურთიერთობა აღარ მქონია, რადგან დარეკვა მომერიდა. ხიზანიშვილი პირიქით – კვირაში ერთხელ ურეკავდა და მის ძმასთანაც მეგობრობდა.

„არსად აფრიკაში“

– სხვადასხვა კლუბისა თუ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ნიგერიაში ვოიაჟი არასოდეს დამავიწყდება. ამ აფრიკული სახელმწიფოს საფეხბურთო ნაკრებმა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა და ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრებოდა, საქართველოს ნაკრებთან ამხანაგური მატჩის გამართვა გადაწყვიტა. ნიგერიაში ფრანკფურტიდან გავფრინდით და ჰაერში იმდენი ხანი ვიყავით, რომ კინაღამ სკამის ფორმა მივიღეთ. ადგილზე ჩასულები, დაგვაბინავეს სასტუმროში, რომელიც ტარაკნებით, მწერებითა და ხვლიკებით იყო სავსე. ღამე ლამის მორიგეობით გვეძინა. დილით ვარჯიშზე რომ წავედით, საშინელ საცობში მოვხვდით და ჩვენს მეგზურს, მოტოციკლეტიან პოლიციელს ავტობუსისთვის გზის გაკვლევა, მანქანებზე წიხლების რტყმევით უხდებოდა. სავარჯიშოდ მისულებს დაგვხვდა მოედანი, რომლის საფარსაც ახალმოხნული მინდორი ჯობდა. თან, წვრთნის საყურებლად უამრავი ხალხი მოვიდა, რომელსაც ამდენი თეთრკანიანი ერთად ადრე არ ენახათ. რეზო არველაძეს თავზე ხელსაც კი ჰკიდებდნენ – ეს ჟღალთმიანი კაცი საიდან არისო?.. თამაშის დღეს, ისეთი სიცხე იყო, რომ სუნთქვა არ შეიძლებოდა. ანგარიში მატჩის დასაწყისშივე გავხსენით და სათადარიგო სკამიდან წამომხტარმა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ ისიც კი დაგვიძახა: „კატაი კალხოზნიკოვ!“. ის ამ ფრაზას მაშინ ამბობდა ხოლმე, როდესაც მეტოქეს აშკარად ვჯობნიდით და ასეთი გამონათქვამით მიგვანიშნებდა, რომ ბურთი მეტად გვეკონტროლებინა. თუმცა, კარგად მოგეხსენებათ, თამაში როგორც წარიმართა და საბოლოოდ, 1:5 დავმარცხდით. შეხვედრის მსვლელობისას, კურიოზული ამბავი მოხდა. როცა კუდინოვი დაშავდა, მისი მოედნიდან გაყვანა გახდა საჭირო. დიმას წასაყვანად საკაცე გამოიტანეს, მაგრამ საკაცეზე კახი ცხადაძე დაწვა, რომელიც სიცხისგან უკვე ცუდად იყო და შეცვლას ითხოვდა. კუდინოვი საერთოდ დაავიწყდათ და ადგილზე მწოლიარე დატოვეს... თამაშის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სტადიონზე საშხაპე არ ჰქონდათ და მასპინძლებმა დასაბანად პოლიეთილენის ბოთლებით წყალი მოგვიტანეს, თან გვითხრეს – თითო-თითო ბოთლი უნდა იმყოფინოთო... აეროპორტში მისულებმა აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი უკან გასამგზავრებელი ბილეთების ნაწილი გაყიდული იყო და ქართული დელეგაციიდან რამდენიმე ადამიანს ნიგერიაში დარჩენა მოუწევდა, სანამ გერმანიაში მომდევნო რეისი იქნებოდა. ერთი სული მქონდა, იქიდან გამომეღწია და ამიტომ, მგონი, პირველმა გავიარე რეგისტრაცია. ბარგი რომ ჩავაბარე და თვითმფრინავში ავედი, ბოლოს და ბოლოს, შვებით ამოვისუნთქე.

■



მიხეილ იაშვილი

(დასაწყისი „გზა“ №14-16)

ჟურნალისტი ზურა მჭედლიძე მოულოდნელად საპატიმროში აღმოჩნდება: პოლიციელები მის მანქანაში ჩადებულ „მაკაროვის“ პისტოლეტს იპოვიან და დააკავებენ. უსამართლობით აღშფოთებულს, წინასწარი დაკავების საკანში ზედამხედველებთან ჩხუბიც მოუვა და სასამართლოც აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიან წინასწარ პატიმრობას შეუფარდებს. ციხეში გადაყვანილი ზურა, შეყვარებულისგან ბარათს მიიღებს: ეკა აიმედებს — რედაქტორმა გამოცდილი ადვოკატი დაგიქირავა, ხოლო ჩვენი მეგობარი, ცოტა ხნის წინ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დანიშნული ოთარ ცაგარეიშვილი 2 დღეში დაბრუნდება ამერიკიდან და ამ საშინელ გაუგებრობასაც დაესმება წერტილი. საკანში ზურა გაიცნობს ე.წ. მაყურებელს — ვაჟას, მატსახელად ჟანგიანას და ორ საბურთალოელ „კაი ბიჭს“ — ზაზა ურუშაძესა და იასე არაბულს, რომლებიც არიგებენ, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ ციხის დაუნდობელ სამყაროში ხიფათს არ გადაეყაროს. მიუხედავად ამისა, ზურას მეორე დღესვე მოუვა ჩხუბი ორ ახალმოყვანილ პატიმართან, რომლებიც საკანში შესვლისთანავე ყველას დამორჩილებას ცდილობენ. ზაზა ურუშაძე მთელ ღამეს თავდასხმის მოლოდინში გაატარებს. მეორე დილით, მასთან ოთარ ცაგარეიშვილი მივა, რომელიც იმედს გაუცრუებს: პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების ნაცვლად, მხოლოდ ციხის საავადმყოფოში მის გადაყვანას მოახერხებს. „რეზბალნიცაზე“ ზურას, ლეგენდად ქცეულ კანონიერ ქურდთან, გოგი ჩხეიძესთან ერთად მოათავსებენ პალატაში...

პირველსავე შეხვედრისას, ადვოკატი შალვა საყვარელიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ზურას იზოლირებით აშკარად ვიღაც ბობოლა იყო დაინტერესებული. საუბრისას, ისინი იმ დასკვნამდე მიდიან, რომ მისი დაპატიმრება რაღაცნაირად დაკავშირებული იყო პანკისის ხეობის თემასთან, რომელზეც ზურა რამდენიმე თვის წინ მუშაობდა. ჟურნალისტი იხსენებს, რომ საბჭოთა ჯარში ჩეჩენ მუსას დაუმეგობრდა, რომელმაც წლების შემდეგ, მძიმედ დაჭრილმა, ინგუშეთიდან დაურეკა და სთხოვა, რომ ზურას, პანკისში ლტოლვილობაში მყოფი, მისი ოჯახი მოენახულებინა. შემდეგ მუსა თავადაც ჩამოვიდა საქართველოში და ზურას უთხრა, რომ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გადაჰყავდათ გატაცებული ადამიანები ხეობის გავლით... ადვოკატისთვის ამ ამბის მოყოლისას, ზურას ისიც გაახსენდება, რომ მისი დაკავების წინადღეს, კარის მეზობელმა უთხრა — შინ რომ არ იყავი, ვიღაც ოციოდე წლის ყმაწვილმა მოგაკითხა, რომელიც რუსულად ლაპარაკობდა და გული დასწყდა, რომ ვუთხარი — ზურა სახლში გვინ ბრუნდება ხოლმეო... შალვა გადაწყვეტს, პრესაში დეზინფორმაცია შეაგდოს — თითქოს ხელში რაღაც მაკომპრომეტირებელი დოკუმენტი ჩაიგდო: იქნებ, იმ ბობოლამ ჩვენთან დაკავშირება გადაწყვიტოს და გარიგება შემოგვთავაზოსო...

10.

ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ, საკანში განადგურებული დავბრუნდი. მაშინვე საწოლზე დავემხე და სასოწარკვეთილს, საღამომდე თავი არ ამიწევია.

ესღა მაკლდა! პოლიციელების მკვლელობა! ვინ გამწირა ასე? მართლა მუსასთან დაკავშირებით ხდება ეს თუ სხვა რაღაც მიზეზია? როდემდე უნდა ვეგდო ამ წყეულ ციხეში?.. კითხვა, იცოცხლე, უთვალავი მიტრიალებდა თავში. ეგ არის, პასუხი არ მქონდა არც ერთზე.

ჩემი თანასაკნელი სადღაც გასულიყო. ასე, 10 საათი იქნებოდა, რომ დაბრუნდა.

— ძმობილო, ავად ხომ არ ხარ?

— არა.

— ცუდი ამბავი მოგიტანეს?

— კი.

— შემიძლია დახმარება?

— არა.

— ხომ არ გვევახშმა? დღესაც დიდებული საჭმელი გამოგვიგზავნეს. ლოქოს ტოლმაა. გაგისინჯავს ოდესმე?

მთელი დღეა, პირში ლუკმა არ ჩამიდვია. იქნებ, საჭმელმა მაინც მომიყვანოს აზრზე... ლოქოს ტოლმა! გამისინჯავს კი არა, არც გამიგია. ზლაზვნით წამოვდექი...

მართლაც, გემრიელი რამ აღმოჩნდა ეს ტოლმა.

— მოგეწონა? — მეკითხება ბერიკაცი.

— ძალიან.

— მგონი, ცოტა უკეთაც უნდა იყო, არა?

— დიახ.

— გაიხარე... ისე, რა მაგის პასუხია და, ერთი წინადადება მაქვს შენთან.

— გისმენთ, ბატონო გოგი.

ჩხეიძე სკამზე უფრო მოხერხებულად მოეწყო, ხელები გულზე გადაიჯვარედინა, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და თვალი თვალში გამიყარა.

— აი, შენ ჟურნალისტი კაცი ხარ, თან — პოპულარული, თან — ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, კარგი წერა გეხერხება... წერისთვის საინტერესო თემებს რა გამოლევს და ამ მხრივ, ალბათ, მასალა არ გაკლია. მაგრამ მე რომ ინფორმაცია მაქვს და ამბები ვიცი, საქართველოში ბარე ორს არ ეცოდინება ისეთი და იმდენი... მაგრამ ფურცელი და კალმისტარი ჩემი საქმე არაა. მეორე მხრივ, ცოტა არ იყოს, გული მწყდება: წავალ საცაა საიქიოში და იმ ამბებსაც მიწაში ჩავიტან. არადა, ბევრი რამ ისე არ არის, როგორც ჰგონიათ... ერთი სიტყვით, თანამშრომლობას გთავა-

ზობ – მე გიყვები, შენ წერ... როცა აღარ ვიქნები, შეიძლება, დაბეჭდო კიდეც. სწორად გამიგე: გგულშემატკივრობ და ღმერთმა ქნას, აქაურობას დღესვე დააღწიო თავი, მაგრამ ვიცი ამათი ამბავი: შეიძლება, ცოტა ხანს კიდევ მოგიწიოს აქ ყოფნამ... თუ მალე გაგათავისუფლეს, მაგას რა სჯობია. ასეთ შემთხვევაში, თუ სურვილი გექნება, რა თქმა უნდა, კვირაში ერთხელ მესტუმრები და...

– ბატონო გოგი, დიდი სიამოვნებით, მაგრამ ისეთ დღეში ვარ, სიცოცხლე აღარ მინდა... – მივუგე გულწრფელად. მინდოდა ახლა, ქურდის ბიოგრაფობა?!.

– ჰო, მესმის, ამისთვის ნამდვილად არ გცხელა, მაგრამ მაინც იფიქრე. ეგებ, წერას გული გადააყოლო. შესაძლოა, უტოპია და სისულელეც კი იყოს, რასაც ვფიქრობ... Старость – не радость... თუმცა, მარიო პიუზომ თავისი „ნათლია“ ისე დაწერა, ცოცხალი განგსტერი თვალითაც არ ჰყავდა ნანახი, შენ კი...

უთუოდ უნდოდა, დაემატებინა – შენ კი ასეთი დონის მაფიოზთან გაქვს საქმეო... მაგრამ აღარაფერი უთქვამს.

– რომელი პიუზო მე ვარ, – გამეცინა.

ჩხეიძემ საუბრის თემა შეცვალა:

– შენს ამბავს რაც შეეხება, ზოგი რამ მიამბეს, ზოგიც ტელევიზორიდან და გაზეთებიდან შევიტყვე. თუ არ გსურს, ნუ ვილაპარაკებთ ამაზე, შენი ნებაა... სხვათა შორის, საინფორმაციო პროგრამის დროც მოსულა. ალბათ, შენზეც იტყვიან რამეს. ჩავრთოთ ტელევიზორი?

– დიახ, თუ შეიძლება.

მართლაც პოპულარული გავმხდარვარ, – გავიფიქრე ნაღვლიანად, როცა გადაცემა ჩემ შესახებ ინფორმაციით დაიწყო: „ახალი დეტალი ჟურნალისტ ზურაბ მჭედლიძის მოულოდნელ დაპატიმრებასთან დაკავშირებით: როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვაცნობეს, ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ მჭედლიძის ავტომანქანაში აღმოჩენილი პისტოლეტით ორი პოლიციელია მოკლული. ლაპარაკია გასული წლის ივნისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულზე. მაშინ სამართალდამცველებმა კაპიტან დავით კარანაძისა და ლეიტენანტ გიორგი ვარსიმაშვილის გვამები იპოვეს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა აკავშირებდა დაკავებულ ჟურნალისტს ამ პოლიციელებთან. გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს და იმედოვნებს, რომ ყოველივეს უახლოეს მომავალში აეხდება ფარდა“...

– არ არის საქმე კარგად... – ჩაილაპარაკა ჩხეიძემ.

11.



კიდევ რამდენიმე დღე გავიდა. ახალი – არაფერი. ჩემი თანასაკნელი არცთუ ისე კონტაქტური ადამიანი აღმოჩნდა. თავისთვის იყო, ხშირად სადღაც გადიოდა, მე კი ჩემს მდგომარეობასა და იმ წყეულ ბობოლაზე ფიქრის თავიც აღარ მქონდა. ან კი რა აზრი ექნებოდა ამას? საკუთარი თავი დავიჭირე – თანდათან, თითქოს ბედს ვურიგდებოდი, ინდიფერენტული გავხდი და წინააღმდეგობის გაწევის სურვილიც მიქრებოდა... იმასაც ვგრძნობდი, რომ ეს ჩემთვის შესაძლოა, დამღუპველიც გამხდარიყო, მაგრამ მაინც ვერაფერს ვახერხებდი. ბოლო დროს იმდენი რამ გადამხდა, სხვას მთელი ცხოვრება ეყოფოდა... გადავიწვი... მთელი დღეები გორაკებს მივშტერებოდი და ეკაზე ვფიქრობდი. მხოლოდ ამის ძალაღა შემრჩენოდა...

პირველად რედაქციაში შევხვდი. ჩვენი განყოფილების ოთახში ივჯდა და მთავარი რედაქტორის მოადგილეს, ნუცა ჯორბენაძეს ესაუბრებოდა.

მაშინვე გადავირეე და შემიყვარდა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ძალიან კი მომეწონა. გავიფიქრე კიდეც – ე, ბიჭო, მგონი, ძლივს ერთი ლამაზი ჟურნალისტი გვეღირსა-მეთქი... ბოდიში, კოლეგა-მანდილოსნებო...

ცოტა ხანში წავიდა და უმალ ჯორბენაძეს ვეცი. ჩვენი ახალი კორესპონდენტია, მუშაობას ხვალიდან შეუდგებაო!

დილით მართლაც, მოვიდა. მარჯვენა ხელზე დავაკვირდი – ბეჭედი არ ეკეთა, ე.ი. გაუთხოვარი იყო...

მაღალი, მოხდენილი, ოქროსფერი გაშლილი თმითა და ზურმუხტისფერი თვალებით ნამდვილ ანგელოზს ჰგავდა. არ მახსოვს, სადმე წამიკითხავს თუ უბრალოდ, ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო, მაგრამ მიმაჩნდა და ამჟამადაც იმავე აზრის ვარ, რომ სწორედ ასეთი გარეგნობა ჰქონდათ სილამაზით განთქმულ ძველ კოლხებს...

უკარებას შთაბეჭდილებას ტოვებდა. რამდენჯერმე ვცადე დაკონტაქტება, მაგრამ ყოველთვის მოკლედ და უხალისოდ მპასუხობდა და საუბრის გაბმას ვერაფრით ვახერხებდი.

ამასობაში, გავიხედე და, გაზეთში მომუშავე, მამრობითი სქესის თითქმის ყველა წარმომადგენელი ჩვენს ოთახში გადმობარგდა. ეკას გამო, ცხადია. ისევ ჯორბენაძეს მივაშურე – ნუციკო, შენი ჭირიმე, დამეხმარე-მეთქი. ნეტავ, არ მეთქვა: ერთ საათში, ამის შესახებ უკვე მთელი რედაქცია ჭორაობდა და ეგ კიდევ არაფერი – შაყირის საყოველთაო ობიექტად ვიქეცი, თან, არც იქვე მყოფ ეკას ერიდებოდნენ...

ერთი ის მამშვიდებდა, რომ ეკა ჩემს კონკურენტებთანაც ცივი და ლაკონიური იყო – „კი“, „არა“, „არ ვიცი“ – და მეტი არაფერი.

დრო გადიოდა, წინსვლა კი არა და არ ჩანდა. „გამარჯობა, ეკა!“ – „გაგიმარჯოს“. – „როგორ ხარ?“ – „არა მიშავს რა“. – „რას წერ?“ – „ისეთს არაფერს“... როგორ გინდა, ასეთთან რამე გააწყო? თანდათან, ჩვენი ბიჭებიც თავთავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ...

ახალი წელი ახლოვდებოდა და ასეთი შანსი ხელიდან არ უნდა გამეშვა.

31 დეკემბერს, მეგობრის ხელით ამანათი გავუგზავნე. მეგობარი ფოსტალიონის როლს თამაშობდა. შინ მიადგა, თავი გზავნილების რომელიღაც სააგენტოს თანამშრომლად გაასაღა, წინასწარ დაბეჭდილ ბლანკზე, სადაც რამდენიმე გამოგონილი გვარი და მისამართი იყო ჩამოწერილი, ხელი მოაწერინა და ხის ყუთი დიდი ამბით გადასცა – ინებეთ, ავსტრალიიდან გამოგიგზავნესო...

საჩუქრის შერჩევა-შეფუთვას ლამის მთელი კვირა მოვანდომე. გულის ფორმის, წითელი ხავერდის კოლოფში ოქროს ძეწკვი და მინანქრის ულამაზესი გული მოვათავსე. მერე ხის საამქროში წავედი, კოხტა ყუთი დავამზადებინე და ხისავე ბურბუშელით ავავსე. შუაგულში ის ხავერდის კოლოფი მოვაქციე. ყუთი, ნამდვილი ამანათის მსგავსად, ყავ-

ისფერი „სურგუჩითა“ და რაღაც ძველი ბეჭდით დავლუქე და იქვე, აკურატული, ბეჭდური ასოებით მისი გვარსახელი და მისამართი გამოვიყვანე. საიდან და ვისგან იყო, თავად ემარჩიელა...

ერთი კვირის თავზე, შობის ღამეს, მისი კორპუსის სახურავზე ავძვერი (ბოლო, მეცხრე სართულზე ცხოვრობდა) და ზუსტად თორმეტ საათზე, აივანზე თოკით წითელი ვარდების უზარმაზარი თაიგული ჩავუშვი... ჩემდა საბედნიეროდ, ოჯახის წევრებმა მაშინვე შეამჩნიეს საჩუქარი, სიცივისაგან გათოშილს, კარგად მესმოდა მათი მხიარული შეძახილები – თოვლის ბაბუამ ეს ნამდვილად ჩვენს ეკუნას გამოუგზავნაო!.. შინისაკენ უაღრესად კმაყოფილი გავეშურე...

კიდევ ცოტა ხანი და მისი სახლის წინ მდებარე ხუთსართულიანი სახლის ბრტყელ სახურავზე საღებავით ვეებერთელა გული გამოვსახე. ფანჯრიდან უთუოდ დაინახავდა...

ამ ხნის კაცი, ნამეტანი ბავშვურად ვიქცეოდი, მაგრამ ამაზე მაშინ არ მიფიქრია, როგორც გული მკარნახობდა, ისე ვიქცეოდი... უკვე, ასე ვთქვათ, ყურებამდე ვიყავი შეყვარებული...

ის, რა თქმა უნდა, ინკოგნიტო თაყვანისმცემელზე ფიქრობდა, მე კი არაფრით ვამჟღავნებდი თავს...

დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ სულაც არ იყო ფლეგმატური და არაკომუნიკაბელური ადამიანი. ნუცა ჯორბენაძემ ამიხსნა – ეს მისი პირველი სამსახურია, უცხო გარემოში მოხვედრილი, ბუნებრივია, ღელავდა, დაკომპლექსდა და ზოგმა უხასიათო, გოიმ ტიპად მიიჩნია, სინამდვილეში კი, ხომ ხედავ, რა დახვწილი, ლაღი და საინტერესო გოგოც არისო!.. ვხედავდი, რა თქმა უნდა, მაგრამ უბედურება ის იყო – რამდენადაც ეკა გალღვა და უფრო მისაწვდომი გახდა, იმდენად მე ჩავიკეტე და დავმუდოვდი...

ახლა ის ცდილობდა საუბრის წამოწყებას, მე კი, ჩემდა უნებურად, „ჰო“ და „არათი“ ვიფარგლებოდი. მოკლედ, სრული იდიოტივით ვიქცეოდი და ამის შედეგად, ყველას დაუმეგობრდა, ჩემ გარდა...

იმ, პატარა სიურპრიზების ავტორის თაობაზე კვლავ არაფერი იცოდა. არადა, ვინ იცის, იქნებ, ვინმე სხვას მიაწერს-მეთქი ყოველივეს? – ვფიქრობდი ჩემთვის, თუმცა, გამხელა რატომღაც მაინც არ მსურდა...

მერე ჩვენმა მთავარმა რედაქტორმა ბათუმში გამგზავრება და ასლან აბაშიძისგან ვრცელი ინტერვიუს აღება დაავალა. ინტერვიუ შემდეგი დღისთვის იყო დანიშნული. იმ საღამოს, მატარებლით უნდა წასულიყო, მარტო...

მთელი დღე ვწრიალებდი და ვერაფრით გადამეწყვიტა, გავყოლოდი თუ არა... ფანტასტიკური იქნებოდა, ორი დღე მის გვერდით ყოფნა, მაგრამ ამისთვის გამბედაობა არ აღმომაჩნდა. თან, თავად როგორ შეხედავდა ყოველივეს?.. ხომ შეიძლებოდა, თავხედობად ჩამთვლოდა!.. არა, სადგურამდე გაცილებით უნდა დავკმაყოფილებულიყავი...

გამბედაობა მოვიკრიბე და გვერდით ჩამოვუჯექი. კომპიუტერზე მუშაობა შეწყვიტა და გაკვირვებულმა შემომხედა: ალბათ, ჩემგან ასეთ სითამამეს არ ელოდა. კომპიუტერის ეკრანს მივაჩერდი, თითქოს იქ რაღაცამ ძლიერ დამაინტერესა... გაელიმა. ეჰ, რაც იქნება, იქნება-მეთქი და ხმა ამოვიღე:

– მართლა ბათუმში მიდიხარ?

– კი, ზურა, – ისევ მიღიმოდა. – ძალიან მიხარია, მაგრამ თან ვნერვიულობ...

– რა განერვიულებს? მატარებლით წახვალ და წამოხვალ. მაგარია ბათუმი... მაგრამ ცუდია, რომ ვერ იბანავებ – ჯერ ცივა... იქაც მოუთოვია... – ვიგრძენი, რომ სისულელეს ვროშავდი...

– გზა და ამინდი არ მადარდებს, ასლანთან ინტერვიუს ვგულისხმობდი. რედაქტორი მეუბნება, ჩვენთვის საინტერესო თემების ირგვლივ კითხვები ისე უნდა დაუსვა, რომ ვერ დაგიძვრესო. წარმოდგენა არ მაქვს, აბაშიძეს ეშმაკობაში როგორ უნდა ვაჯობო.

– ჰოო... რა ვიცი, აბა... მატარებელი რომელ საათზე გადის?

– ცხრის ოც წუთზე.

– შეიძლება, გაგაცილო? – ვაშა, გავბედე! მაგრამ მოულოდნელად მოწოლილ სირცხვილის გრძნობას სად დავმალოდი, აღარ ვიცოდი...

– რა თქმა უნდა! – მომეჩვენა, რომ გაუხარდა...

– ჰოო... მომეცი შენი ტელეფონის ნომერი, დაგირეკავ და გამოგივლი...

აუ, რა გულად კაცად მეჩვენა საკუთარი თავი! არადა, ამ სცენის შემსწრე, ნუციკო ჯორბენაძემ მოგვიანებით მითხრა:

– იცი, რა სასაცილო იყავი მაშინ? აი, იმ თმახუჭუჭა ბიჭს ჰგავდი, ფილმში – „სიყვარული ყველას უნდა“ – სოფელში ჩასულ მკერავ გოგონას გარშემო რომ უტრიალებს, მაგრამ ყეყეჩური ფრაზებისა და უაზროდ წრიალის გარდა რომ არაფერი გამოსდის...

არ მწყენია, რადგან ის ფილმი მშვენივრად მახსოვდა და ჩემს თავზე იმავე წარმოდგენისა გახლდით...

შვიდ საათზე შინ დავურეკე და მისამართი ვკითხე. ვითომ არ ვიცოდი და არც მისი სახლის სახურავზე ვმჯდარვარ...

მანქანით მივაკითხე, ვაგზალზე მივიყვანე და თავისი ადგილის პოვნაში დავეხმარე. მთელი ამ ხნის მანძილზე, სულ რამდენიმე, ზოგადი ფრაზის წარმოთქმის გარდა, ვერაფერი მოვახერხე...

– ზურა, საცაა, დავიძვრებით. ჯობს, ბაქანზე ჩახვიდე. ფანჯარასთან მოვალ და ისე ვილაპარაკოთ, თორემ, მერე აქედან გადახტომა მოგიწევს.

მინდოდა მეთქვა – შენი გულისთვის აქედან კი არა, მეცხრე სართულის სახურავიდანაც გადავხტებოდი-მეთქი, მაგრამ კრინტიც ვერ დავძარი და გარეთ გამოვედი.

– ალო, რა გჭირს? – ღია ფანჯარასთან იდგა და შეფიქრიანებული მიყურებდა. – ცუდად ხომ არ გახდი?

– ეკა, როდის ბრუნდები?

– ზეგ დილით. მატარებელი, თუ არ ვცდები, რვაზე ჩამოდის.

– შეიძლება, დაგხვდე?

– რა თქმა უნდა. ძალიან გამიხარდება!

მატარებელი დაიძრა.

– აბა, კეთილი მგზავრობა!

– ნახვამდის, ზურა!

გადაწყვეტილება წამში მივიღე. ბოლო ვაგონი ჯერ ბაქანსაც არ იყო გაცილებული, რომ მანქანაში ჩავხტი და გეზი აჭარისკენ ავიღე...

ჩემი დანჯღრეული „ნივა“ ძლივს მიგრიხინებდა. ასაკოვანი იყო უკვე, ნაავარიებიც და ძალიან უჭირდა... გასწი, ჩემო „ლურჯავ“, ჩემი ბედი ახლა მხოლოდ შენზეა დამოკიდებული!..

ერთადერთხელ შევჩერდი, სადღაც რიკოთს იქით. ავზი საწვავით შევავსე და გზა განვაგრძე. „ლურჯამ“ არ მიღალატა – მატარებელს ჩავუსწარი და სადგურში თაიგულის შეძენაც მოვასწარი...

– ზურა, შე-ენ?! – ეკას სახეზე განცვიფრება აღებეჭდა. – აქ როგორ მოხვდი?.. არ მჯერა... კი, მაგრამ...

და აი, მაშინ ნამდვილი სასწაული მოხდა! თვალზე უცებ ცრემლი მოადგა, ჩემკენ გამოექანა და ჩამეხუტა...

– რომ იცოდე, ზურა, რა ბედნიერი ვარ... ამდენი თვე ველოდი, როდის გადმოდგამდი ნაბიჯს... შე მშიშარა, შენა... იცი, როგორ მომწონდა შენი სიურპრიზები?!.. თავიდანვე მივხვდი, შენი ოინები რომ იყო...

12.

– ერთი ნაბიჯით წინ ვართ, – მაცნობა შალვა საყვარელიძემ. – ჩვენი ვერსია, პანკისის ხეობასა და გატაცე-

ბებთან დაკავშირებით, სიმართლესთან ძალიან ახლოს უნდა იყოს. მოკლულ პოლიციელებზე – კარანაძესა და ვარსიმაშვილზე – გარკვეული ცნობები შევკრიბე. გამომძიებლები ყოფილან და როგორ ფიქრობ, უკანასკნელ პერიოდში რა საქმეებზე მუშაობდნენ?

– ნუთუ, ადამიანთა გატაცებებზე?! – შევძახე აღელვებულმა.

– სწორედაც რომ!

– ანუ რა გამოდის...

– მოდი, ჯერ ბოლომდე მომისმინე, – გამაწყვეტინა ვექილმა. – საქმეში ერთი ჩვენი საერთო ნაცნობი ჟურნალისტი, ირაკლი ახვლედიანი ჩავრთე, რადგან გარკვეულ ადგილებში შენი ადვოკატის გამოჩენას შენივე მტრები უთუოდ შენიშნავდნენ და ხელს შემიშლიდნენ. ირაკლი კი პრესის წარმომადგენელია, უფლება აქვს, ყველგან ჩაყოს ცხვირი და ნებისმიერი თემა მოიძიოს. სწორედ მან შეიტყო, რომ პოლიციელები ძიების პროცესში ისეთ პრობლემებს გადააწყდნენ, რომ იძულებული გახდნენ, აუდიენცია უშუალოდ მინისტრისთვის ეთხოვათ. შსს-ს ცენტრალურ აპარატში არსებობს სპეციალური ჟურნალი, სადაც იმ თანამშრომლებსა და მოქალაქეებს აღნუსხავენ, რომლებიც მინისტრთან მიღებაზე ეწერებიან. ირაკლიმ როგორღაც მოახერხა შარშანდელი ჟურნალის დათვალიერება. კარანაძე და ვარსიმაშვილი მინისტრს 10 ივნისს, ხუთშაბათს უნდა შეხვედროდნენ, სამშაბათს კი ორივე დაიკარგა და მათი გვამები შაბათ საღამოს აღმოაჩინეს... ამ მკვლელობის საქმე, როგორც იცი, გაუხსნელია და საეჭვოა, უახლოეს მომავალში გაიხსნას. მიცვალებულთა თანამშრომლებთან საუბარმა შედეგი არ მოიტანა. ირაკლისთვის უთქვამთ – ბიჭები თითქოს, რაღაც კვალს ადგნენ, მაგრამ როგორ და რანაირად, არ ვიცითო... იქვე იმითაც ძალზე დაინტერესებულან, თუ რაში სჭირდებოდა ჟურნალისტს „ასეთი ძველი ამბების“ გახსენება. უბრალოდ, გამახსენდა და ვიკითხე, რაიმე ახალი თუ არისო, – უპასუხია ახვლედიანს... არც პოლიციელთა ოჯახის წევრებსა და მეგობრებს უთქვამთ საინტერესო რამ. წარმოდგენაც არა აქვთ, საიდან მოხვდნენ ისინი თბილისის ზღვაზე... ახლა კი, ჩვენს ვერსიას დავუბრუნდეთ: გამომძიებლები ბობოლას კვალზე გავიდნენ, მაგრამ ის ძალიან დიდი, გავლენიანი კაცია, უბრალო ოფიცრები მასთან ვერაფერს გააწყობენ, ამიტომ მინისტრთან შეხვედრა სურთ. ეს ინფორმაცია ბობოლასთვის ხდება ცნობილი და ისიც აკვლევინებს პოლიციელებს. გადის ერთი წელი და ამ კაცს ახლა უკვე შენ გადაუღობე გზა, უნებლიეთ – ისე, რომ თავადაც არაფერი იცოდი, მაგრამ – მაინც. ბობოლა არ გკლავს, რადგან რაღაცას ელის. სამაგიეროდ, მკვლელობის იარაღს გიგდებს, შენს თავს აჭერინებს, თუმცა ჯერჯერობით რატომღაც არ გეხმიანება... აქ ბევრი რამ შეიძლება, სადავო იყოს, ზოგი რამ – მცდარიც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჭეშმარიტებისგან არც ისე შორს ვიმყოფებით. ამ დღეებში, რამდენიმე გაზეთს ინტერვიუ მივეცი და ვითომ სასხვათაშორისოდ ვთქვი – რაღაც დოკუმენტი გვაქვს და შეიძლება, ამ საქმეში გამოგვადგეს-მეთქი... თუ ბობოლა მართლაც, არსებობს, ის ახლა ჩემთან კავშირზე უნდა გამოვიდეს, მერე კი ვნახოთ... ჰო, ერთიც – ეკა ყველაფრის საქმის კურსშია. მუსას ამბავმა ძლიერ დაინტერესა და მის საძებნელად პანკისში მიდის...

– ბატონო შალვა, უმორჩილესად გთხოვთ, გადააფიქრებინეთ! იქ შეიძლება, ცუდი რამ შეემთხვეს!

– უკვე ვცადე, მაგრამ როგორც შევიტყვე, ის ნამდვილად არ მიეკუთვნება ადამიანთა იმ კატეგორიას, შეყვარებულის ბედის გამო საფრთხეს რომ ერიდებიან...



13.

– გამომძიებლები მოვიდნენ, – საკანში თავი შემოყო ვახომ.

– ჩემთან? – გაიკვირვა ჩხეიძემ.

– არა, ჟურნალისტთან... ქვევით ელოდებიან.

პროკურატურიდან იყვნენ. უფრო ახალგაზრდა, ვალერად გამეცნო, მეორემ – ბადრი მქვიაო. კრიმინალისტების ძველი ხრიკია, დეტექტივებიდან ვიცი – „კეთილი“ და „ბოროტი“ გამომძიებლები... თუ „კეთილს“ დაყვავებით არაფერი გამოსდის, საქმეში „ბოროტი“ ერთვება და მუქარით ცდილობს, დაკავებულს ძიებისთვის სასურველი აღიარებითი ჩვენება ჩამოართვას. ძალიან ხშირად, პატიმარი ერთ-ერთს ირჩევს და გულსაც უხსნის... ამათ კი, კრიმინალისტიკაც და დეტექტივებიც ფეხებზე ეკიდათ, არც სურვილი ჰქონდათ როლების თამაშის – ორივე ბოროტი იყო. როჟების კერვა დამიწყეს ძველი ბიჭებივით...

– ძმაკაც, მოდი, რა, ახლა გატრაკება და ზღაპრების მოყოლა არ დაგვიწყო. არიფი ბიჭები არ გეგონოთ, ათასი შენნაირისთვის ამოგვიცლია ჩვენება. მოჰყევი, როგორც იყო, თორემ ბალანდის ჭამაში ამოგხდება სული! – ეს ვალერია...

– ბიჭო, არ გესმის? აზრზე მოდი, რა! თანამშრომლების დაბრედვა შეგრჩება?! ცვეტში უნდა იბაზრო და შეიძლება, ცოცხალი გადარჩე, არა და, აქედან შენს ტრუპს გაიტანენ! – ეს კი ბადრია...

– ადვოკატის გარეშე არაფერს გეტყვით, – ვცდილობ, მშვიდად ვიყო, მაგრამ არ ვიცი, რამდენ ხანს გავძლებ, ნამეტანი უსიამოვნო ტიპები არიან. თან, შალვა საყვარელიძემ გამაფრთხილა, უჩემოდ სიტყვაც არ დაძრაო...

– დაგერხევა, ჯიგარო! ადვოკატი შორსაა, ჩვენ კი აქვე ვართ და მიგინაყავთ მაგ ცხვირს... ხურდა ბიჭები არ გეგონოთ!

– მე ჩემი გითხარით უკვე.

ერთმანეთს გადახედეს. ბადრიმ საქაღალდიდან სუფთა ფურცელი და კალმისტარი ამოიღო და წინ დამიწყო.

– კარობე, ჩვენებას არ იძლევი, არა?.. კაი, მაშინ მანდ დაწერე ეგ და ხელიც მოაწერე.

– რა უნდა დავწერო?

– დაწერე, რომ არ გვცემ პასუხს, მაგრამ, ბოზის გაზრდილი ვიყო, მაგისთვის ციხეში თუ არ ამოგალპო! რა, შავი გახდი და ჩვენთან ლაპარაკი გეგრეხება?!. ორი კვირაა, აქ ზიხარ და უკვე მაგარი ბიჭი გგონია თავი?!

– შემეშვით, – ფეხზე წამოვდექი. – ან ადვოკატთან ერთად, ან – უკან ამაბრუნეთ.

– ხარაშო, ძმაკაც. ეგეთი ბლატაობა არ გიშველის. სამი თვე ხომ მოგარჭეს უკვე?! კიდევ ორჯერ, სამთვიანსაც ზედ დაგიმატებენ. ამასობაში გატყდები ან ისედაც დაგიმტკიცდება და ოცწლიანიც ზედ გაქვს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მინა სუვარის ეგზოტიკური სახელი ზოგს რაღაცით მირა სორვინოს სახელის არცთუ ისე წარმატებულ მიბაძვად ეჩვენება. მაგრამ ამ მსგავსებამ მინას კარიერას ვერაფერი დააკლო. მსახიობი შესანიშნავი იუმორით გამოირჩევა და თავისი კინოგმირების ხასიათს მუდამ სახალისო დეტალებით ამდიდრებს.

მინა სუვარი

ამერიკული სილამაზის ეტალონი

მსახიობი 1979 წლის 2 სექტემბერს როდ-აილენდის შტატის ქალაქ ნიუპორტში დაიბადა. პატარა მინას მამისაგან ესტონური ფესვები აქვს, დედისგან – ინგლისური. ესტონური და ინგლისური სისხლის შეჯვარებამ გოგონა უჩვეულო, ბავშვური ხიბლის მქონე გარეგნობითა და წითური თმით დააჯილდოვა. მინას დაბადებამდე, ოჯახში 3 ბიჭი იზრდებოდა და ამიტომ მშობლები გოგონაზე ოცნებობდნენ. დიდი ხნის ნანატრ ქალიშვილს დედ-მამამ ეგვიპტური სახელი – მინა დაარქვა, რაც ძველეგვიპტურად ღვთისმშობელს ნიშნავს. სკოლაში სწავლისას თანაკლასელები, უჩვეულო სახელისა და წითური თმის გამო, ხშირად დასცინოდნენ. ალბათ ამიტომ იყო, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, მინამ პირველ რიგში, თმა ქერად შეიღება.

პატარა მინა ხან კოსმონავტობაზე ოცნებობდა, ხანაც – არქეოლოგობაზე. მშობლების პროფესია მას არასოდეს ხიბლავდა, რადგან დედა მედდა იყო, მამა კი – ფსიქიატრი და გოგონამ კარგად იცოდა, თუ რამხელა პასუხისმგებლობაა, ავადმყოფთა მკურნალობა. ის 10 წლის იყო, როდესაც ოჯახი ნიუპორტიდან ჩარლსტონში გადაბარგდა, რათა უფროს ძმებს სამხედრო კოლეჯში სწავლის გაგრძელების საშუალება ჰქონოდათ. ჩარლსტონში მინა გოგონათა პრესტიჟულ სკოლაში მოხვდა, რომელსაც საკუთარი სამოდელო სააგენტოც კი ჰქონდა. სკოლაში სწავლის პერიოდში, მინამ ნიუ-იორკის სამოდელო სააგენტოს მენეჯერთა ყურადღება მიიქცია და 12 წლის გოგონამ პირველ კონტრაქტს მოაწერა ხელი. მინა მოდელად მუშაობდა და პარალელურად სკოლაში სწავლობდა. მაგრამ საქმიანობა ხშირ მოგზაურობასთან იყო დაკავშირებული და მშობლებმა საცხოვრებლად კალიფორნიაში გადასვლა გადაწყვიტეს, რომ გოგონას მოდელის კარიერის გაგრძელების საშუალება ჰქონოდა. თუმცა, ამ დროს, მინა სუვარი უკვე კინოზე ოცნებობდა...



1997 წელს, სუვარიმ პატარა ქალაქ ბერბანკის სკოლა დაამთავრა და ლოს-ანჯელესს მიაშურა, სადაც მუდამ, კინოკარიერაზე მეოცნებე უამრავი გოგონაა თავმოყრილი. მინამ იოლად იშოვა სამუშაო ტელევიზიაში: მას პირველსავე კასტინგის შემდეგ, შესთავაზეს როლი ტელესერიალში. რამდენიმე თვის შემდეგ კი, უკვე პოპულარულ სერიალში – „სასწრაფო“ თამაშობდა.

ამ პერიოდში შედგა მისი კინოდებიუტიც: ამერიკაში კარგად ცნობილი რეჟისორის გრეგ არაკის ფილმში – „არსად“ – მინას ეპიზოდური როლი ერგო. დამწყები მსახიობი მაშინვე შეამჩნიეს და კიდევ რამდენიმე სურათში მიიწვიეს, რასაც სულ მალე, ფილმი – „გოგონების კოცნა“ მოჰყვა, სადაც მთავარ გმირს მორგან ფრიმენი ასახიერებდა. ფილმს წარმატება ხვდა წილად.

იღბლიანი დებიუტის შემდგომ, 1999 წელს, მინამ ახალგაზრდულ კომედიაში – „ამერიკული ღვეზელი“ – მომხიბვლელი ლამაზმანი, ჯაზით გატაცებული გოგონა განასახიერა. სურათი სეზონის კინოჰიტად იქცა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ფილმზე მუშაობის პარალელურად ახალგაზრდა მსახიობმა ინგლისელი რეჟისორის, სემ მენდესის დრამაში – „სილამაზე ამერიკულად“ – ანჯელა ჰეიზის როლიც ითამაშა. სუვარის პერსონაჟი – ლამაზი გოგონა – მთავარი გმირის, ლესტერ ბარნჰემის (კევინ სპეისი) ვნების ობიექტად ქცეულა. ლესტერი თავის ოცნებებში ანჯელას ვარდის ალისფერი ფურცლებით სავსე აბაზანაში წარმოიდგენს. დიდი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ცოლიანი, ზრდასრული, მაგრამ სუსტი ნებისყოფის მამაკაცი, ახალგაზრდა მოდელის კარიერაზე მეოცნებე, მაცდუნებელ გოგონაზე ოცნებობს... ანჯელამ მაყურებლისა და კრიტიკის სიმპათია დაიმსახურა. მინა წლის აღმოჩენად აღიარეს. სურათი „ოსკარის“ 8 ნომინაციაზე იყო წარდგენილი. საბოლოო

ჯამში კი, 5 „ოსკარითა“ და „ოქროს გლობუსით“ აღინიშნა. თავად მინა კი მრავალი ფესტივალის პრიზით დაჯილდოვდა და ნამდვილ ვარსკვლავად იქცა.

„სურათზე მუშაობისას, არაჩვეულებრივ ადამიანებთან მიწევდა ურთიერთობა. მე მათ საოცარი მოკრძალებით ვეპყრობოდი, მაგრამ ისინი, როგორც თანასწორს, ისე მექცეოდნენ“ – ასე იხსენებს მინა სუვარი სემ მენდესთან და კევინ სპეისისთან ერთობლივ მუშაობას.

მინა ვარსკვლავთა რიგს შეუერთდა, მაგრამ „მოზარდი გოგონას“ უკვე ჩამოყალიბებული ამპლუა დიდი ხნით მიეკერა და ამ სტერეოტიპს ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ მოიშორებს. სუვარი ბედს შეურიგდა და ფილმებში: „ბევერლი-ჰილზის ჯურღმულები“, „კერი-2“, „მძვინვარება“, „შაქარი და წიწაკა“, „დაკარგული“, „ამერიკელი ქალწული“ – თავის რეალურ ასაკზე ბევრად უმცროსი, სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტთა, ერთმანეთის მსგავს, გულუბრყვილო პერსონაჟთა გალერეა შექმნა.

„ხალხი ფიქრობს, რომ 14 წლის ვარ და მოსწავლეთა როლებს ამიტომ ვთამაშობ. ჩემს მენეჯერს თავიდანვე ვეუბნებოდი, რომ მხოლოდ „სკოლის ლამაზმანის“, დღეს გავრცელებული ტიპაჟისგან თავის დაღწევა მსურდა: ამ ამპლუაში ჩემი შესაძლებლობები უკვე ამოვწურე“, – ამბობს მსახიობი, რომელიც უკანასკნელ წლებში, აქტიურად მუშაობს. მაყურებლისთვის უკვე კარგად ნაცნობი სურათის – „ამერიკული ნამცხვარი-2“ – გარდა, მინა სუვარიმ ბოლო ხანებში კიდევ რამდენიმე პროექტში მიიღო მონაწილეობა. მათ შორის აღსანიშნავია: „ვაჟიშვილი“, „უმაღლესი პილოტაჟი“, „ტრავმა“, სერიალი – „ექვსი ფუტი მიწის ქვეშ“. კოლეგებისა და კინოკრიტიკოსების აზრით, მთავარი და ყველაზე საინტერესო როლები მინას ჯერ არ უთამაშია. ცოტა ხნის წინ, მისი მონაწილეობით გადაღებული, ზედიზედ 4 ფილმი გამოვიდა ეკრანებზე. სურათის – „ჩიხი“ – სიუჟეტს მთვრალი მსახიობის ნაამბობი დაედო საფუძვლად. ის მეგობრებს საკუთარი ქორწილის შესახებ მოუთხრობს. ფილმში – „რგოლი“ – მეორე მსოფლიო ომისდროინდელი სასიყვარულო ამბავია მოთხრობილი. ამ სურათში, მინა სუვარის გარდა, დენის ჰოპერი, შირლი მაკლეინი და პიტერ ო`ტული მონაწილეობენ. კიდევ ერთ ფილმში – „სილამაზის სალონი“ – მინა პარტნიორობას უწევს ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან: კევინ ბეიკონი, კვინ ლატიფა, ენდი მაკდაუელი და ალისია სილვერსტოუნი. 2004 წელს შესრულებულ ნამუშევართა სიას დრამა – „ცხოვრება და სუნთქვა“ – აგვირგვინებს, რომელშიც ტომ უილკინსონი, ანჯელიკა ჰიუსტონი და ლაიზა კუდროუ მონაწილეობენ.

...1999 წელს, „ოსკარების“ დაჯილდოების ცერემონიიდან ორი კვირის შემდეგ, 22 წლის მინა, ყველასაგან მალულად გათხოვდა. მისი რჩეული, ცოლთან გაყრილი, მასზე 16 წლით უფროსი კინოოპერატორი – რობერტ ბრინკმანი აღმოჩნდა. როდესაც ჟურნალისტებმა ჰკითხეს – ასაკობრივი სხვაობის გამო, ურთიერთობისას პრობლემები ხომ არ შეგექმნებათო? – 22 წლის პატარძალმა უპასუხა: „თუ ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, მათ ურთიერთობას ასაკობრივი სხვაობა ვერაფერს დააკლებს. წარმოუდგენელია, რომ ქორწინებამ ხელი შეუშალოს კარიერას. პირიქით კი ხშირად ხდება. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩემს შემთხვევაში, ასე არ მოხდება“.

მართლაც, 16-წლიანი სხვაობა რა სალაპარაკოა, როდესაც მინას მამა მეუღლეზე 25 წლით უფროსი გახლავთ, მაგრამ ამან მათ ოჯახურ ბედნიერებას ვერაფერი დააკლო.

■



ტომ ფორდი დიდ მოდას უმრუნდება

Gucci-სა და Yves Saint Laurent-ის ყოფილი ხელმძღვანელი, ცნობილი მოდელიერი ტომ ფორდი ერთწლიანი შესვენების შემდეგ, კვლავ დიდ მოდას

უბრუნდება. მან საკუთარი კომპანიის შექმნისა და ცნობილ ამერიკულ კოსმეტიკურ პარფიუმერულ კომპანია Estee Lauder-თან სტრატეგიული შეთანხმების შესახებ გააკეთა განცხადება. 2005 წლის ბოლოსათვის, „ესტი ლაუდერი“ Tom Ford-ის მარკის კოსმეტიკური ნაწარმის გაყიდვას დაიწყებს, 2006 წელს კი, ცნობილი ამერიკელი დიზაინერისა და მისი სახლის პირველი კოლექცია გამოვა.

Gucci-სა და Yves Saint Laurent-ის მარკის აღორძინება სწორედ ტომ ფორდის სახელს უკავშირდება. მან მოდის ნამდვილი იმპერია შექმნა, რომელიც რამდენიმე ცნობილ მარკას აერთიანებდა. მოდის ინდუსტრიაზე ტომ ფორდის არატრადიციულმა შეხედულებებმა მისდამი კოლეგების დიდი პატივისცემა განაპირობა. 1996 წელს, ამერიკის მოდის დიზაინერთა საბჭომ ფორდი წლის დიზაინერად დაასახელა. 1997 წელს, 35 წლის მოდელიერი ჟურნალმა – People – მსოფლიოს 50 ულამაზეს ადამიანს შორის დაასახელა. ჰოლივუდში მას აღმერთებენ, პრესა აღფრთოვანებას ვერ ფარავს, პოდიუმზე მისი მოხდენილი ფიგურის შემხედვარე ქალებს კი, ჩუმი ოხვრა აღმოხდებათ ხოლმე... 2001 წელს, ტომ ფორდი ქალის სამოსის საუკეთესო დიზაინერი გახდა, ხოლო ჟურნალმა – Time – საუკეთესო ამერიკელ დიზაინერად დაასახელა. 2004 წელს ფორდმა, კომპანიათა მფლობელებთან უთანხმოების გამო, Gucci და Yves Saint Laurent დატოვა. მაშინ თქვა, რომ კინემატოგრაფში აპირებდა მოღვაწეობის გაგრძელებას, მაგრამ როგორც ახლა ირკვევა, საბოლოოდ, მაინც გადაწყვიტა, რომ დიდ მოდას დაუბრუნდეს.

■

ქველმოქმედემა დის სსოვნის პატივსაცემად

ცნობილი ჰიპ-ჰოპერი – ნელი – ლეიკემიასთან აქტიურ ბრძოლას განაგრძობს. ამ ვერაგი დაავადებისგან მისი და დაიღუპა. მუსიკოსი აუქციონზე იმ ორი ავტომობილის გატანას აპირებს, რომლებიც უალკოჰოლო სასმლის – Pimp Juice-ის სარეკლამო კამპანიაში გამოიყენეს. შემოსული თანხა კი, ჯეკი დონაჰიუს სახელობის საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხება. Pimp Juice – ნელის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმღერის დასახელებაა. ასე ეწოდება ცნობილი რეპერის კუთვნილი

კომპანიის მიერ გამოშვებულ გამაგრილებელ სასმელსაც. შეგახსენებთ, რომ ჯეკი დონაჰიუ წლეულს 24 მარტს გარდაიცვალა. ერთი წლის წინ, როდესაც მას ექიმებმა ლეიკემიის დიაგნოზი დაუსვეს, ნელიმ საქველმოქმედო ფონდი – Jes Us 4 Jackie – დააარსა, რომლის მიზანია, ლეიკემიით დაავადებულთათვის დახმარების გაწევა. ავტომობილები, eBay-ს აუქციონზეა გატანილი. მყიდველი „ჯილდოდ“ 20 ყუთ Pimp Juice-სა და ნელის ავტოგრაფიან ფოტოსურათსაც მიიღებს. ■

Limp Bizkit–ის ფრონტმენი ტელეეკრანს იპყრობს

ჯგუფის – Limp Bizkit-ის ფრონტმენი ფრედ დარსტი ტელეეკრანის დაპყრობას ლამობს. მუსიკოსმა ერთ-ერთ ტელეკომპანიასთან საკუთარი შოუს შექმნის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო. შოუს სამუშაო დასახელება იქნება: „ჩემი ცხოვრება ფრედ დარსტთან“. ამ გადაცემაში დარსტი მაყურებლის სამსჯავროზე ცნობილ ადამიანთა ინტერვიუებისა და საკუთარი ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური კადრებისაგან შემდგარი „ვინეგრეტის“ წარდგენას აპირებს. შოუ ეკრანებზე კვირაში ერთხელ გავა. „სხვადასხვა ადამიანთან სპონტანური საუბრები ძალიან მიყვარს. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადამიანი უბრალოდ საინტერესო პიროვნება იყოს. აუცილებელი არ არის, რომ ის პოპულარული იყოს“, – ამბობს ფრედ დარსტი. მკითხველს შევახსენებთ, რომ Limp Bizkit ამჟამად, მეხუთე ალბომზე მუშაობს, ალბომს The Unquestionable Truth (Part 1) ეწოდება და მისი რელიზი სავარაუდოდ, 3 მაისს შედგება. ■

„გვისსენით თილ ჯოლინზისგან!“ მოუწოდემს ნოელ გალაჰერი

დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, ჯგუფ Oasis-ის წევრი ნოელ გალაჰერი პოლიტიკით დაინტერესდა. ნოელი ლეიბორისტულ პარტიას აძლევს ხმას. ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მას არ სურს, ფილ კოლინზი ბრიტანეთში იხილოს. „პოლიტიკით მხოლოდ 5 წლის წინ დავინტერესდი, – აღნიშნა ნოელ გალაჰერმა. – კონსერვატორები სასაცილონი არიან, ამიტომ ხმას ლეიბორისტებს ვაძლევ. ვფიქრობ, ეს მორალის თვალსაზრისით მართებულია. ასე იქნება მანამ, სანამ მათ (კონსერვატორებს) შორის, ტონი ბლერის დონის ლიდერი არ გამოჩნდება. გარდა ამისა, თუ კონსერვატორები ხელისუფლებაში მოვლენ, ფილ კოლინზი ქვეყანაში დაბრუნებას გვპირდება. მოდი, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ ეს არავის სურს“. ლეიბორისტული პარტიის მხარდაჭერას და სოციალისტური იდეალებისადმი ერთგულებას გალაჰერი პირველად როდი ამჟღავნებს. ის აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ისეთი გრანდები, როგორებიც არიან – U2 და Rolling Stones, – თავიანთ კონცერტებზე ბილეთებს ფანტასტიკურ ფასს ადებენ. „მათი ფასები ძალზე მაწუხებს, გეგონებათ, მათ ფული შემოაკლდათ“. საქმე ის გახლავთ, რომ Oasis-ის კონცერტებზე ბილეთის ფასი 35 გირვანქა სტერლინგს არასდროს აჭარბებს. ■

თანაკლასელმა ემინემთან სასამართლო პროცესი წააგო

მიჩიგანის სააპელაციო სასამართლომ ემინემის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ დააკმაყოფილა. ამ სასამართლო დავაში მოსარჩელე მხარე, ემინემის სიმღერის – Brain Damage – გმირი დეანჯელო ბეილია, რომელმაც ცნობილ რეპერს სასამართლოში უჩივლა, რადგან 1999 წელს გამოსული ალბომის – The S lim S hady სიმღერაში – Brain Damage – ემინემის მჩაგვრელ თანაკლასელადაა გამოყვანილი. სააპელაციო სასამართლომ მოსამართლის 2003 წელს გამოტანილი ვერდიქტი დაადასტურა, სადაც ემინემი უდანაშაულოდ ცნეს. იმ პროცესზე მოსამართლე დებრა სერვიტომ თავისი დასკვნაც რეპის სტილში დაწერა... ბეილი არ უარყოფს, რომ თავის დროზე, ემინემს მართლაც, ჩაგრავდა. მაშინ ისინი მიჩიგანის შტატის ქალაქ როუზვილის, დორტის სკოლაში სწავლობდნენ. ბეილი ირწმუნება, რომ ის ემინემს მხოლოდ მუჯლუგუნებს ურტყამდა და თავში წაუთაქებდა ხოლმე. ემინემმა კი თავის სიმღერაში აღწერა, თუ როგორ გაუტეხა მას დეანჯელომ ცხვირი, თავი პისუარზე არტყმევინა და შემდეგ ახრჩობდა... ბეილი, რომელიც ამჟამად დამლაგებლად მუშაობს, ირწმუნება, რომ რეპერი ამ სიმღერით მის პირად ცხოვრებაში შეიჭრა,

თავად კი უხერხული სახით წარდგა საზოგადოების წინაშე. ■

Toyota-ს მეავალმილიონიანი გეგმა

გრძელდება იაპონური ავტოგიგანტის ექსპანსია: კონცერნი, რომელიც წარმოების მოცულობით მსოფლიოში მეორე („ჯენერალ მოტორსის“ შემდეგ) ადგილზეა, აცხადებს, რომ წლევანდელ საფინანსო წელს (ის 31 მარტს დამთავრდა), 7,29 მლნ ავტომობილი გაყიდა, რამაც წინასწარ დასახულ გეგმას 70 ათასით გადააჭარბა. მსოფლიო სავალუტო ბაზრისთვის დამახასიათებელი რყევების მიუხედავად (ეს კი მნიშვნელოვანია „ტოიოტასთვის“, რომელიც ექსპორტზე ორიენტირებულ სტრუქტურას წარმოადგენს), 2004 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე, კორპორაციის სუფთა მოგებამ 296,5 მლრდ იენა (2,19 მლრდ ევრო) შეადგინა, ბრუნვა კი – 4,39-დან 4,64 ტრილიონ იენამდე გაიზარდა. უახლოეს მომავალში, „ტოიოტა“ ევროპაზე „მასირებული იერიშის“ განხორციელებას გეგმავს: 5 წელიწადში, რეალიზაციის მოცულობა 30%-ით უნდა გაიზარდოს. შარშანდელი მონაცემებით, ევროპაში „ტოიოტას“ მარკის 914 ათასი მანქანაა გაყიდული. 2010 წლისთვის, ამ ციფრმა 1,2 მლნ-ს უნდა მიაღწიოს. მხოლოდ გერმანიაში 5 წლის შემდეგ, რეალიზაციამ 200-ათასიანი ნიშნული უნდა გადალახოს; შარშან იქ იაპონელებმა 127 ათასი მანქანა გაყიდეს. ■

Opel Astra „დაიქოქა“

გერმანულმა კომპანიამ ჟენევის ავტოსალონზე თავისი კომპაქტური მოდელის – Astra-ს „დაქოქილი“ ვერსია წარმოადგინა. ამ მოდიფიკაციას Astra OPC (Opel Performance Center) დაარქვეს. ის აღჭურვილია 2-ლიტრიანი, ტურბოდაბერვიანი ბენზინის ძრავათი, რომლის სიმძლავრე 200 ცხ.ძ-იდან (სერიული მოდელი) 240 ცხ.ძ-მდეა გაზრდილი. ახალი „ასტრას“ მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ-ს აღემატება. მას თანდართული აქვს 18-დუიმიანი, ჩამოსხმული საბორბლე დისკები და მასიური წინა სპოილერი, რომელშიც ჩამონტაჟებულია ბურუსის საწინააღმდეგო მაშუქები. სალონს სპორტული სავარძლები – Recaro ამშვენებს, ხელსაწყოები ქრომირებული დეტალებით, ხოლო გადაცემათა გადასართავი ბერკეტი – ტყავითაა გაწყობილი. Opel Astra OPC-ის ფასები კომპანიას ჯერჯერობით არ გამოუცხადებია. ■

Nissan Almera-ს მემკვიდრე

იაპონურმა კომპანიამ გამოაცხადა, რომ 2006 წლის დეკემბრიდან, დიდი ბრიტანეთის ქალაქ სანდერლენდში მდებარე თავის ქარხანაში მოდელის – Qashqai-ს სერიულ წარმოებას დაიწყებს. ეს მანქანა კომპაქტური ვენისა და სრულამძრავიანი სპორტული ჰეჩბეკის ნაერთს წარმოადგენს. ის ფართო საზოგადოების სამსჯავროზე პირველად, ჟენევის შარშანდელ ავტოსალონზე გამოიტანეს. Nissan Qashqai, 3 მოდელის – Micra-ს, Z350-ისა და Primera-ს გარეგნულ ელემენტებს აერთიანებს. სერიულ ვერსიაში სრულ ამძრავს მომხმარებელს მხოლოდ ოპციის სახით შესთავაზებენ. მანქანის რეალიზაცია 2007 წლის დამდეგიდან დაიწყება. ბრიტანულ საწარმოო ბაზაში ინვესტიციის მოცულობა 322,3 მლნ ევროს მიაღწევს. Qashqai შეცვლის Nissan Primera-ს, რომელსაც კომპანია ამჟამად აწარმოებს. ■

ლელა ჭანკოტაძე

გოდერძი კაციტაძე იმ იშვიათ ადამიანთა რიგს განეკუთვნება, რომლებმაც საბჭოთა რეჟიმისგან თავის დაღწევა შეძლეს. მან 1988 წელს, ინდოეთის დედაქალაქ დელიში ამერიკის საელჩოს თხოვნით მიმართა, დახმარებოდნენ, აესრულებინა დიდი ხნის ოცნება. ამ ოცნებას, ნიუ-იორკი და ბროდვეი ერქვა... სასწაული მოხდა: კიდევ ერთმა საბჭოთა მოქალაქემ შეძლო აშშ-ში პოლიტიკური თავშესაფრის მიღება. მაგრამ შემდეგ, მას მეორე სასწაული მოჰყვა: გოდერძი კაციტაძემ ძალიან მალე, უკან დაბრუნება მოისურვა და ისევ შეძლო თავისი უცნაური გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა... ეს ორი ფაქტი ამ უცნაური კაცის ბობოქარი ბუნებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. წლების შემდეგ, მან გერმანიაში შეგნებულად ჩაიდინა უმნიშვნელო დანაშაული, რომელიც საკმარისი იქნებოდა ციხეში მოსახვედრად და სასჯელი ქალაქ ულმის საპატიმროში მოიხადა...

გოდერძი კაციტაძის ბიოგრაფია კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს შეიცავს. ერთ-ერთი, მისი ახალგაზრდობის დროინდელი სახელი და გვარია — მარიო მერონი. თუ საიდან გაჩნდა ის — ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობთ. ახლა კი, თავიდან მივყვეთ მისი ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებს.

ტვიბლისელი ბებიის „ეს იტალიელი დედა ჯობია...“

— 6 წლის ვიყავი, ცეკვა რომ დავიწყე. ჩემი პირველი მასწავლებელი ოთარ არჯევანიძე გახლდათ. მერე ბუხუტი დარახველიძის ანსამბლში გადავედი. სკოლას ვამთავრებდი, როცა ნინო რამიშვილმა მე და ჯანო ჯანიაშვილი სტაჟიორებად აგვიყვანა, მაშინ ძალიან რთული იყო სუხიშვილების ანსამბლში მოხვედრა, აგრეთვე — უმკაცრესი რეპეტიციების გაძლება. დღემდე მახსოვს, თუ ნინო რამიშვილის ჯოხი რა მწარედ მხვდებოდა ფეხებზე... სკოლა ვერცხლის მედალზე დავამთავრე და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავირიცხე. ეს იყო 1964 წელს. არჩევანის წინაშე დავდექი: ცეკვას და სწავლას ვერ ვუთავსებდი და ერთ-ერთი უნდა დამეთმო. მე სწავლა ვარჩიე.

— ალბათ, მაშინ არ გქონდათ საბჭოთა კავშირიდან გაქცევის დაუოკებელი სურვილი, თორემ, ანსამბლიდან, რომელსაც გასტროლები მთელ მსოფლიოში ჰქონდა, არ წამოხვიდოდით...

— მაშინ გაქცევაზე არ მიფიქრია. სწავლა და სტაბილური ცხოვრება მსურდა. 20 წლის რომ გავხდი, ჩემს დაბადების დღეზე, მამამ დიდი საიდუმლო გამანდო: მითხრა, რომ ჩემი ნამდვილი დედა, იტალიელი კლავდია მერონი იყო, რომელიც ბორჯომის სასაფლაოზე განისვენებდა... 1945 წლის 11 ნოემბერს მამა, 8 თვის ფეხმძიმე ცოლთან ერთად, მილანიდან სამშობლოსკენ გამოფრენილა. თვითმფრინავში დედას ნაადრევი მშობიარობა დასწყებია. მე დავბადებულვარ, დედა კი მშობიარობას გადაჰყოლია. ამ ამბის გაგებამ შემძრა. ისიც შევიტყვე, რომ იტალიაში ბებია კანჩეტინო, ბიძები და ბიძაშვილები მყავდნენ. სახელი და გვარი გადავიკეთე. მამისგან შევიტყვე, რომ ჩემს ნამდვილ დედას სურდა, ჩემთვის მარიო დაერქმია. ასე გავხდი მარიო მერონი. იტალიაშიც მოვახერხე ჩასვლა და დედის ნათესავების მონახულება. ცოლი რომ შევირთე, ისინიც ჩამოვიდნენ ჩემთან.

— როგორ შეხვდნენ ბებია კანჩეტინო და მამათქვენი ერთმანეთს?

— ცხადია, ძალიან ცუდად. მან ვერ აპატია მამას, ფეხმძიმე ქალი რომ წამოიყვანა იტალიიდან. ვერც მე ვაპატიე... საშინლად დავიბენი, თავდაყირა დადგა ჩემი ცხოვრება. პორტესტის გრძნობა გამიჩნდა. მამის მიმართ შურისძიების გრძნობაც მქონდა. ამიტომაც გადავიკეთე სახელი და გვარი მარიო მერონად. ამის შესახებ მაშინ მთელი თბილისი ალაპარაკდა. ბევრმა ვერ გამიგო. ჩემ მიმართ ხალხის დამოკიდებულება შეიცვალა. წვეულებებზე უსიამოვნება ბევრჯერ შემხვედრია. მე ვიცოდი, რომ ბოლომდე მარიო მერონად ვერ დავრჩებოდი და ისევ ქართულ სახელსა და გვარს დავიბრუნებდი. ასეც მოვიქეცი.

— წლების შემდეგ გაგიჩნდათ სურვილი, გაქცეულიყავით საბჭოთა კავშირიდან. რატომ?

— როცა იტალიაში წავედი, მეგონა, ჩემი ცხოვრება იქ გაგრძელდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა: მივხვდი, რომ მათთვის მაინც უცხო ვიყავი. არ მეუბნებოდნენ, მაგრამ ფიქრობდნენ: დედაშენი შენ გვერდით რომ იყოს, უფრო გვეყვარებოდიო. მე ეს ვიგრძენი. წლები რომ გავიდა და ცოლ-შვილთან ერთად მილანში ჩავედი, ვინანე. ვფიქრობდი — ნეტავ, არ ჩამოსულიყავით-მეთქი... როცა გავიგე, იტალიელი დედა მყავდა, წარმოვიდგინე, როგორი ძვირფასი ვიქნებოდი იქაური ნათესავებისთვის. ურთიერთობა რომ დავიწყეთ, იმედგაცრუებული დავრჩი (ახლა ბებია და ბიძები გარდაცვლილები არიან, ბოლო წერილი მილანიდან 1999 წელს მივიღე). შემდეგ მოხდა თვითმფრინავის ხმაურიანი გატაცება, რომელიც ახალგაზრდების ჯგუფმა ჩაიდინა. ამან ჩემზე საოცარი გავლენა მოახდინა. საბჭოთა რეჟიმიდან გაქცევის დაუოკებელი სურვილი გამიჩნდა. ეს სენივით იყო, ავადმყოფობასავით. შინაგანი პროტესტი ყოველთვის მქონდა, მაგრამ როცა ბიჭები, თავისუფლებისთვის ბრძოლის სანაცვლოდ, სიკვდილით დასჯეს, პროტესტის გრძნობა გამიასკეცდა. მოხდა ისე, რომ აქედან გაქცევა გამიადვილდა. ალბათ, ეს ჩემი ბედისწერაც იყო. მართლაც, საოცარი ფაქტია — საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში გავიქეცი და ისევ უკან დავბრუნდი, თანაც — საკუთარი ნებით. მოსაყოლი და გასახსენებელი ძალიან ბევრი მაქვს. უკვე 60 წლის ვხდები, მაგრამ მგონია, 160 წელია, რაც ამ სამყაროს მოვევლინე, სიკვდილის შიში დავკარგე. ეს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია.

— თქვენ წერთ, ნიუ-იორკი მსოფლიოს დედაქალაქია. მასთან ჩვენი დედაქალაქის შედარება თუ შეგიძლიათ?

— იქ მეტროში ხანში შესულ ქალს ადგილი დავუთმე და არ დაჯდა. გაოცებული დავრჩი. ქუჩაში ყველა გიღიმის, მაგრამ ეს შენ მიმართ კეთილგანწყობას სულაც არ გამოხატავს... იმ უზარმაზარ ქალაქში თითქოს დავიკარგე. თვე და 10

დღე ვიყავი ამერიკაში. ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „ამერიკული ოცნება“ დამმსხვრეოდა. მიუხედავად იმისა, რომ მეუბნებოდნენ – 6 თვეში შენს ცოლ-შვილსაც ჩამოვიყვანთო, მაინც დაბრუნება გადავწყვიტე, თითქოს შევეჩვიე ნიუ-იორკს, ბროდვეის, შავკანიანებსაც, ძვირად ღირებული შავი, სამხრეებიანი ლაბადაც შევიძინე და ჩავიცვი, მაგრამ ზედ არავინ მიყურებდა. თბილისურად არავინ მეკითხებოდა, – სად იყიდე? რამდენი მიეცი? – გიხდებაო. მე თუ ნახალოვკაში არ გავიარე, ვინმემ არ მკითხა: ეს „ჯექსონები“ საიდანო? – რა აზრი აქვს ცხოვრებას? ჩემნაირი ბუნების კაცი ვერსად გაძლებს, მით უმეტეს – ამერიკაში, სადაც მაღალსართულიანი შენობები და რკინის კონსტრუქციები ისეა გვერდიგვერდ მიწყობილი, რომ ცა არ ჩანს... ყველაფერი ქართული მომენატრა. როგორც ჩიტი გალიაში, ისეა ნაღდი ქართველი საზღვარგარეთ.

— აშშ-ში ჯეიმს ბეიკერს შეხვედრიხართ, თუმცა — მანამდე, სანამ ის სახელმწიფო მდივანი გახდებოდა. როგორ მოხდა ეს შეხვედრა?

– ზვიად გამსახურდია პრეზიდენტი რომ გახდა, გაზეთში გამოქვეყნდა მისი სურათი ჯეიმს ბეიკერთან და წვეროსან თარჯიმანთან ერთად. სწორედ ბეიკერი და ის წვეროსანი თარჯიმანი ისხდნენ ჩემ წინ სახელმწიფო დეპარტამენტში და არკვევდნენ, მოეცათ თუ არა ჩემთვის საბჭოთა კავშირში დაბრუნების უფლება... ბეიკერს იცით, როგორი გარეგნობა აქვს? – ხმაც რომ არ ამოიღოს, მაინც პატივისცემით განგაწყობს და შინაგანად აგაღელვებს... ბედნიერი ვარ, რომ შევხვდი. ისეთი მოწიწებით და რიდით შევყურებდი, მეგონა, უარს ვერ ვეტყოდი და ამერიკაში დარჩენაზე დავთანხმდებოდი. მაგრამ თავს მოვერიე. როცა ერთმანეთს დავემშვიდობეთ, ისეთი თვალებით მიყურებდა, მივხვდი – ვერ გამიგო, ვერ ჩასწვდა, თუ ამერიკაში ცხოვრებასა და სოლიდურ დახმარებაზე რატომ ვთქვი უარი. ცხადია, ვერც მიხვდებოდა. მხოლოდ ქართველს შეუძლია ჩემი გაგება. თან, ისეთ ქართველს რომელმაც საზღვარგარეთ იცხოვრა და იცის, რა არის სამშობლოს ნოსტალგია; ვინც ჩემსავით უცხო ცის ქვეშ ისწავლა თავისი ქვეყნის სიყვარული.

— იმაზე არ გიფიქრიათ, რომ შეიძლებოდა საბჭოთა უშიშროებას თქვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცია?

– მეგონა, დამაპატიმრებდნენ. ამისი მეშინოდა. მაგრამ ფორტუნა ჩემს მხარეზე იყო. საბჭოთა კავშირში გარდაქმნა – ე.წ. „პერესტროიკა“ ხორციელდებოდა. ამან მიშველა, თორემ, ცხადია, ჩემ მიმართ მკაცრი სანქციები გატარდებოდა. უშიშროებამ მხოლოდ სამდღიანი დაკითხვა მაკმარა. გაცილებით მკაცრი აღმოჩნდა საზოგადოებრივი აზრი: თბილისში რას აღარ ამბობდნენ?!. მე კი ერთი სურვილი მქონდა, უკან დავბრუნებულიყავი და ის 35.000 დოლარი დამებრუნებინა, რომელიც იქაურმა სპეცსამსახურმა დამახარჯა: მათ გადაიხადეს დელიდან ჩემი გამგზავრებისა და სხვა ხარჯები. 1991 წელს მივედი ამერიკის საელჩოში, მოსკოვში. ჯიბეში 35.000 დოლარი მედო. კონსულს ვუთხარი: ამერიკაში მინდა წასვლა და ვალის დაბრუნება-მეთქი. მცირე ხნით დამტოვა. რომ დაბრუნდა, მითხრა: თქვენ ჩვენი ვალი არ გაქვთო, – მაგრამ წასვლის უფლება მაინც მომცა. არავის ეგონა, თუ მეორედაც გამიშვებდნენ. ის ხალხი, ვინც ლაპარაკობდა – გოდერძი ამერიკიდან ხელბორკილებით ჩამოიყვანესო, – დარწმუნდა, რომ მართლა ჩემი ნებით დავბრუნდი საბჭოთა კავშირში. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკან აღარ გამიშვებდნენ.

ყველა ის ამბავი, რომელსაც ბატონი გოდერძი ამ ინტერვიუში მოკლედ შეეხო, ვრცლადაა მოთხრობილი მის წიგნში – „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს!“ – რომელიც მისი იტალიური სახელით – მარიო მერონი – სულ ახლახან გამოიცა. წიგნი 3 ნოველისგან შედგება და ამ, უჩვეულო ბიოგრაფიის მქონე კაცის თავგადასავლებს ასახავს. ამაში ჩვენი მკითხველიც უთუოდ დარწმუნდება, რომელიც „გზის“ ფურცლებზე დაბეჭდილ, მარიო მერონის (გოდერძი კაციტაძის) წიგნის ფრაგმენტებს გაეცნობა.

„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს!“

ფრაგმენტები წიგნიდან

იდგა 1965 წლის 11 ნოემბერი, შემოდგომისა და ზამთრის გასაყარი, როცა ხეებს ფოთლები გასცვენოდათ და თადარიგიდან გადამდგარ გენერლებს დამსგავსებოდნენ.

ქ. თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, ნაძალადევში, იმ სახლში, სადაც მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი, საღამოს ექვსი საათისათვის ჩემი დაბადების ოცი წლისთავის აღსანიშნავად თავი მოიყარა ათამდე ჩემმა მეგობარმა...

იქნებოდა დაახლოებით რვა საათი, დედაჩემი ოთახში შემოვიდა და მითხრა, მამაშენი გთხოვსო. მე მეგობრებს ბოდიში მოვუხადე, ღიმილით დავიბარე, ეტყობა, მამაჩემი საჩუქრის გადმოსაცემად მიბარებს-მეთქი და ოთახიდან გავედი. აბაზანაში სახეზე წყალი შევისხი, თავი მოვიწესრიგე და მამაჩემის ოთახის სახელური გადავწიე.

მამა ისევ საწერ მაგიდასთან იჯდა, რაღაცა საბუთების მაგვარი ქაღალდების დასტაში თავჩარგული. ვიფიქრე, ჩემი შესვლა ვერ შეამჩნია-მეთქი, უხმოდ ვიდექი და ველოდებოდი, ხოლო რას, თვითონაც არ ვიცოდი. როგორც იქნა, მამამ თავი აიღო, შემომხედა, მერე თითქოს თვალი ამარიდა და რაღაცნაირი მღელვარე ხმით მითხრა, მოდი აქ დაჯექიო და საწერი მაგიდის მეორე მხრიდან მიდგმულ სკამზე მიმითითა. მეც დავჯექი, ოღნავ ნასვამი ვიყავი.

უცებ მამამ თვალი თვალში გამიყარა და მკითხა, შენი ნამდვილი სახელი თუ იცი? გაკვირვებულმა შევხედე და ვიფიქრე, ალბათ რაღაცა საჩუქარი უნდა გადმომცეს და ზედ ჩემი სახელია ამოტვიფრული-მეთქი.

– ჩვენ ხომ მამაკაცები ვართ,

გოდერძი კაციტაძის მამა, 1945 წ.

მამაკაცებს კი გამძლეობა და მოთმინება გვმართებს, – მითხრა მამაჩემმა და დაიწყო.

ნელა, ფიქრიანად ჰყვებოდა იგი:

...1942 წლის შემოდგომა იდგა, მეორე მსოფლიო ომი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, გერმანელთა ჯარები ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ და ჩვენს ტერიტორიებს იპყრობდნენ. მე მეცხრე დივიზიის მეხუთე ასეულში ვმსახურობდი, ოცმეთაური ვიყავი. ჩვენი ოცეული არტილერიის ქვეგანყოფი იყო, გვევალებოდა ქვემეხების ტყვია-წამლით მომარაგება. ქალაქ უჟგოროდთან ვიყავით გამაგრებულები. გერმანელები მთელ ფრონტზე გვიტევდნენ. უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანება მივიღეთ, არც ერთი ნაბიჯით უკან არ უნდა დაგვეხია, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა გავმკლავებოდით მუხანათ მტერს. ნათქვამი რომ არის, „ძალა აღმართს ხნავსო“, ისე იყო მაშინაც. გერმანელებმა მთელი ქალაქი ალყაში მოაქციეს და ჩვენი ოცეულიდან რვა მებრძოლი ტყვედ აგვიყვანეს. ასე მოვხვდით რუმინეთის ერთ-ერთ საკოცენტრაციო ბანაკში, რომელიც ბუქარესტიდან ოც კილომეტრში მდებარეობდა. ბანაკში ექვსი თვე დავყავით, შემდეგ ერთ „მშვენიერ“ დღეს მოაყენეს ეშელონი სატვირთო ვაგონებით და ყველანი შიგ შეგვყარეს. ხმა გავარდა, იუგოსლავიაში გადავყავართო, სადაც ტყვია-წამლის დასამზადებელი სამხედრო ქარხანა ყოფილა და მუშახელი ჰკლებიათ.

მგზავრობის მეოთხე დღეს ადგილზე აღმოვჩნდით. სამხედრო ტყვეები დაგვახარისხეს, ზოგი სად წაიყვანეს და ზოგი სად. მე და რამდენიმე რუსი, ხეტყის სახერხ კომბინატში გაგვანაწილეს, სადაც ტყვია-წამლის ტრანსპორტირებისათვის საჭირო სხვადასხვა ზომის ხის ყუთები მზადდებოდა.

თავიდანვე ფხიზლად ვაკვირდებოდი ყველაფერს. თანდათან გამიმყარდა გადაწყვეტილება, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე გაქცევა მომეხერხებინა. ფრთხილად გავანდვე ჩემი განზრახვა ორ რუს ტყვეს, ისინიც ავიყოლიე და გაქცევისათვის მომენტს დაველოდეთ. გვაიმედებდა ისიც, რომ კომბინატი შედარებით ნაკლებად იყო გერმანელებისაგან დაცული.

ორი თვის თავზე, რომ იტყვიან, ბედმა გაგვიღიმა და ოცნება რეალობად ვაქციეთ, სამივემ მოვახერხეთ გაქცევა. შემდეგ კი მალულად, სავაჭრო გემით იტალიაში შევაღწიეთ. იქ იმ დროს მუსოლინის (დუჩეს) მხარდამჭერი სამხედრო შენაერთები „შავპერანგიანები“ იტალიის დიდ ნაწილს აკონტროლებდნენ. ეს ის პერიოდია, როცა ფაშიზმის წინააღმდეგ მთელ ევროპაში ძლიერდება პარტიზანული მოძრაობა. თითქმის ყველა ქვეყანაში ყალიბდებოდა პარტიზანული რაზმები, რომელთა მთავარი მიზანი ფაშისტების წინააღმდეგ დივერსიული მოქმედება იყო.

მთელ იტალიაში იყო ცნობილი პარტიზანული რაზმი, სადაც ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, კახელი კაცი – ფორე მოსულიშვილი იბრძოდა. მრავალი მასშტაბური ოპერაციის ჩატარებით გაითქვა სახელი ამ რაზმმა.

1944 წლის ზაფხულში მეც გამიღიმა ბედმა და გავხდი ამ სახელოვანი პარტიზანული რაზმის წევრი. რაზმში ექვსი ქართველი და ოთხმოცამდე სხვადასხვა ეროვნების მეომარი ირიცხებოდა. მოგვიანებით ფაშისტებმა ალყაში მოაქციეს ოპერაციაზე გასული რაზმის წევრები და სიცოცხლის შენარჩუნებას შეჰპირდნენ, თუ მეთაური ცოცხლად ჩაჰბარდებოდა. ფორემ არნახული გმირობა გამოიჩინა, ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია, მეთაურს ჩაენაცვლა და ფაშისტების წინ მოიკლა თავი. მადლიერმა იტალიელებმა ფორე მოსულიშვილი იტალიის სახალხო გმირად გამოაცხადეს და ოქროს მედლით დააჯილდოეს. რაზმში, სადაც მე ვმსახურობდი და რომელიც ქ. მილანიდან ოთხმოც კილომეტრში იყო დაბანაკებული, სანიტრად მუშაობდა ერთი კოპწია იტალიელი გოგონა კლავდია მერონი, რომელზეც თითქმის მთელი რაზმის მებრძოლები შეყვარებულები იყვნენ. არც მე ვიყავი გამონაკლისი. გოგონა ყველას „გაჭირვების ტალკვესი“ იყო. ერთ საღამოს, დავალების შესრულებისას, მე და კლავდიამ ახლოს გავიცანით ერთმანეთი. იმ დროს მე უკვე ვფლობდი ცოტა იტალიურს, ისე, არც შეხედულება მაკლდა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ჩვენს დაახლოებას. ადრე, ომის დაწყებამდე, ჩვენთან საქართველოშიც მომწონებია გოგონები, მაგრამ ვგრძნობდი, რომ კლავდიას მიმართ სულ სხვა, უფრო ძლიერი და ამაღლებული, ჭეშმარიტი სიყვარულის გრძნობა მაკავშირებდა.

დრო გადიოდა, მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა. შორს აღარ იყო ის ნანატრი დღე, როცა შვიდი წლის მანძილზე ომით გადაღლილი მსოფლიო შვებით ამოისუნთქავდა.

და აი, დადგა ნანატრი 1945 წლის 9 მაისი. გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა, ომი დამთავრდა.

მე და კლავდია საცხოვრებლად მილანში მის ერთ ნათესავთან გადავედით. მას დედა და ორი უფროსი ძმა ცოცხალი ჰყავდა, მამა კი ფაშისტებმა დაუხვრიტეს.

შემოდგომაზე იტალიაში ხმა დაირხა, ყოფილ პარტიზანებს, ვისაც სურვილი აქვთ, სამშობლოში აბრუნებენო. წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა. იქ, საქართველოში, ჩემს სამშობლოში დედა, მამა, ძმა და და მელოდებოდნენ. მე მათ დაკარგული ვეგონე, რადგან ჩემ შესახებ არაფერი იცოდნენ 1945 წლის აგვისტომდე, როცა მოვახერხე მათთვის ხმის მიწვდენა.

ჩემს ცხოვრებაში დადგა გადამწყვეტი მომენტი: ან იტალიაში უნდა დავრჩენილიყავი სამუდამოდ საცხოვრებლად, ანდა ფეხმძიმობის მერვე თვეში მყოფი, საყვარელი მეუღლე უნდა მიმეტოვებინა და სამშობლოში მარტო დავბრუნებულიყავი, რადგან კლავდია სასტიკი წინააღმდეგი იყო იტალიიდან წასვლისა.

როგორც იტყვიან, ორ წყალს შუა ვიდექი, არ ვიცოდი, რა მექნა. როგორ არ ვაწონებდი საყვარელ ქალს ჩემს პატარა ქვეყანას, მის დიდ წარსულს და აწმყოს, კულტურას, ტრადიციებს, მაგრამ... ბოლოს გაჭრა ჩემმა ავიტაციამ, ხვეწნა-მუდარამ და კლავდია დამეთანხმა ჩემთან ერთად საქართველოში გამომგზავრებაზე. მაშინღა გავაცნობიერე, რა დიდი საშიშროების წინაშე დავდექით. ამდენი ხნის ფეხმძიმე ქალის თვითმფრინავით მგზავრობა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მილანში ექიმებთან კონსულტაციების შემდეგ, მათი უმრავლესობის თანხმობით გადაწყდა ჩვენი ერთად გამოფრენა.

იმ დროს მთელ ევროპაში ქაოსი სუფევდა. ეს არ იყო დრო, როცა რეისები რეგულარულად სრულდება ერთი ქალაქიდან მეორეში. თვითმფრინავი, რომლითაც ჩვენ უნდა გამოვფრენილიყავით, საერთაშორისო „წითელ ჯვარს“ ეკუთვნოდა. მოჰყავდათ დაჭრილები და ავადმყოფები. ეს იყო ოცდაათკაციანი თვითმფრინავი.

მოსამზადებლად ცოტა დრო რჩებოდა, მოვინახულეთ კლავდიას დედა, ძმები, ნათესავები. მათ ექიმების კონსულტაციებისა და რჩევის გაგონებაც კი არ სურდათ, სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ ქალის ასეთ მდგომარეობაში თვითმფრინავით გამომგზავრებისა, მაგრამ კლავდიას მტკიცე და შეუდრეკელმა ხასიათმა ყველაფერი გადაწყვიტა.

და აი, 1945 წლის 11 ნოემბერს, კვირა დღეს, დღის თორმეტ საათზე თვითმფრინავმა მილანიდან გეზი კიევისაკენ აიღო. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, მაგრამ შიშის გრძნობა მაინც არ მშორდებოდა, თუმცა ამას როგორ გავუმხელდი კლავდიას, რომელსაც კმაყოფილება სახეზე ეხატა, მაგრამ მისი თვალებიდან მაინც გამოკრთოდა რაღაც შინაგანი დაძაბულობა.

და აი, აფრენიდან ერთი საათის შემდეგ მოხდა ის, რასაც ბედისწერა ჰქვია,

რაც ჩემი თავისათვის დღემდე ვერ მიპატიებია და რის გამოც აი, უკვე ოცი წელია, უთქმელობისაგან ვიტანჯები, ცოცხალ-მკვდარი დავდივარ.

კლავდიას მოუსვენრობა დაეტყო, წუხდა, შფოთავდა. თვითმფრინავის ბორტზე იყო ერთი ექიმი ქალი და სანიტარი, რომლებიც სასწრაფოდ დატრიალდნენ. აშკარა იყო, კლავდიას ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. ასე უძლურად თავი არასოდეს მიგრძნია, არ შემეძლო, რაიმეთი დავხმარებოდი საყვარელ ადამიანს. მშობიარობის პროცესი თანდათან გართულდა და მოხდა კიდეც ის უბედურება, რისი საშიშროებაც რამდენიმე ექიმმა ჯერ კიდევ მილანში გვიწინასწარმეტყველა – კლავდია მშობიარობის მსხვერპლი გახდა – გარდაიცვალა.

უცებ სამყარო ბნელმა დაფარა. თავში ვიღაც გამუდმებით მირახუნებდა რაღაც ბლაგვ საგანს, საშინლად მიწიოდა ყურები და ამ წივილში მკაფიოდ ჩამესმოდა კლავდიას დედის აცრემლებული ხმა: – შენ მკვლელი ხარ, შენ მოკალი ჩემი შვილი, შენ მკვლელი ხარ, შენ მოკალი ჩემი შვილი!

ვაგლახ, რომ მართალი იყო შვილმკვდარი დედა, კლავდია ხომ დღესაც ცოცხალი იქნებოდა, ისე ნაჩქარევად რომ არ დაგვეტოვებინა იტალია.

ბევრჯერ მივტრიალებივარ ამ აზრს, განკითხვის სამსჯავრო ბევრჯერ მომიწყვია ჩემი თავისთვის, მაგრამ ბრალი ვერაფერში წამიყენებია. ომგამოვლილ კაცს, ტყვედ ნამყოფს, გამარჯვებული ქვეყნის მოქალაქეს, მშობლებს, ახლობლებს მონატრებულს, სამშობლო მეძახდა, მიწა-წყალი მიხმობდა და განა შემეძლო, რამდენიმე თვე კიდევ დავრჩენილიყავი იტალიაში?

ჰო, შვილო, კლავდია, ჩემი უსაყვარლესი მეუღლე დაიღუპა. ბავშვი კი გადაარჩინეს და როგორც არ უნდა გაგიკვირდეს, ის ბავშვი შენ ხარ, – მითხრა მამაჩემმა და უმალვე თავი ჩაქინდრა.

ამის გაგონებაზე მე ლოდის ნატეხად გადავიქეცი, გავცივდი, თვალები გამიშტერდა, ვეღარაფერს ვხედავდი, სუნთქვა შემეკრა. არ ვიცოდი, ჩემს თავს რა უბედურება ტრიალებდა.

მამამ ჭიქით „ბორჯომი“ მომაწოდა და მთხოვა, ცოტა მომესვა. ვერ ვინძრეოდი, ჩემი სხეულის არც ერთი ნაწილი გონებას არ ემორჩილებოდა. უცებ რაღაც შინაგანმა ძალამ შემანჯღრია, ხელი „ბორჯომით“ სავსე ჭიქას მოვკიდე, ტუჩებთან მივიტანე და ცოტა მოვსვი. სადღაც უფსკრულში მივექანებოდი. მდგომარეობიდან ისევ მამაჩემის სიტყვებმა გამომიყვანა, გამაგრდიო, მითხრა, მერე ხელები მხრებზე მომკიდა და შემანჯღრია. ნელ-ნელა აზრზე მოვედი, დავიწყე გაცნობიერება, ვინ ვიყავი და სად ვიყავი.

ისევ მამაჩემის ხმა მესმის – აი, უკვე ოცი წელიწადია, ამ წერილებს გიმალავო, – და საწერ მაგიდაზე დაწყობილ კონვერტებზე მიმითითა. რა ვქნა, უნდა მაპატიო, ოდესმე სიმართლე ხომ უნდა გაგეგოო.

– იმ ავადგასახსენებელი და ამავე დროს „ბედნიერი“ დღის შემდეგ, ზუსტად 7300 დღე გავიდა და ყველაფერ ამის გულში ტარება ვეღარ შევძელი.

მამაჩემის ხმა თითქოს შორიდან მესმოდა.

– თვითმფრინავი ქ. კიევში დღის ოთხ საათზე დაეშვა, აეროპორტიდან „სასწრაფოს“ მანქანით ქალაქის ცენტრალურ კლინიკაში გადაგვიყვანეს, დედაშენის ცხედარი პროზექტურაში მოათავსეს, შენ კი პედიატრიულ განყოფილებაში წაგიყვანეს. მე კლინიკის მთავარ ექიმთან წარმადგინეს.

შენ უკვე კაცი ხარ, შვილო და შეგიძლია, მაშინდელი ჩემი უმწეო მდგომარეობა წარმოიდგინო, სიკვდილი მინდოდა. ჩემს ბედზე, კლინიკის მთავარი ექიმი, ებრაელი, გვარად რაზუმოვსკი, ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდა, თანაგრძნობით მომეკიდა, მკითხა, რას აპირებო? რა უნდა მეთქვა? მართლა არ ვიცოდი, რას ვაპირებდი ან რისი გაკეთება შემეძლო ასეთ მდგომარეობაში.

მან სადღაც ორ ადგილას გადარეკა, ვიღაცას დაუძახა და რაღაცა დავალება მისცა. მერე მე მომიბრუნდა და მეუბნება, სამშაბათს, 13 ნოემბერს, თბილისში დაჭრილები გადაჰყავთ თვითმფრინავით და თუ თანახმა ხართ, იქნებ, თქვენი გამგზავრებაც მოვახერხოო. ამის გაგონებაზე გონს მოვეგე და დაუფიქრებლად მივახალე, ან სამივენი ერთად წავალთ, ან არა და, მარტო აქედან ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი.

ამის თქმაზე ექიმს გაეღიმა და მითხრა, კარგად გიცნობთ ქართველებს, თქვენს ბუნებას და ხასიათს, ამიტომ სხვა ვარიანტს არც შემოგთავაზებდი; ისე, არ იქნებოდა ურიგო, თუ ახალშობილს რამდენიმე ხნით აქ დავტოვებდითო, რაზედაც სასტიკი უარი განვუცხადე. მოკლედ, 13 ნოემბერს მოხერხდა ჩვენი თბილისში გამომგზავრებაც და დედაშენის გადმოსვენებაც.

ჩემი მშობლები ბორჯომში ცხოვრობდნენ, აეროპორტიდან შენ თბილისის უდედმამო ახალშობილების პანსიონატში წაგიყვანეს, ხოლო მე მოვახერხე დედაშენის ბორჯომში გადასვენება და იქ დასაფლავება.

დრო გადიოდა, რამდენჯერმე შენც მოგინახულე. ექიმებმა მითხრეს, – კაჟივითაა, ყველაფერს უძლებსო. უკვე ათი თვის იყავი. ახლაც ვერ ვიგონებ, რა ძალამ შემაძლებინა და როგორ მოვახერხე წერილის დაწერა და მილანში გაგზავნა, სადაც ამ დიდი უბედურების შესახებ ვატყობინებდი კლავდიას დედას და ძმებს.

თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში მილანიდან არაფერი ისმოდა, შემდეგ წერილი მივიღე, მთხოვდნენ, შენი სურათი მაინც გამეგზავნა. დაუყოვნებლივ ავუსრულე თხოვნა. შემდეგ მიმოწერა ჩემსა და კლვდიას ძმას ალბერტოს შორის გაგრძელდა. წელიწადში დაახლოებით ორჯერ ვეხმიანებოდით ერთმანეთს. შენი ყველაფერი აინტერესებდათ...

აი, ის წერილები და სურათები, – თქვა მამაჩემმა, ხელი მაგიდაზე დახვავებულ ქაღალდებს დაადო და ჩემკენ გამოსწია.

– შენ წლისა და სამი თვის იყავი, როცა იძულებული გავხდი დავოჯახებულიყავი, რადგან შენს გაზრდას მარტო ვერ შევძლებდი. იქ, პანსიონატში დატოვება კი გამორიცხული იყო. ჰოდა, ყველაფერი ბედისწერაა, შენს გამზრდელ დედასაც კლავდია ჰქვია და ეს შენ ჩემზე კარგად იცი.

მეხი დამცა ამ შემზარავი ისტორიის მოსმენამ, ადგილიდან ვერ ვიძროდი. ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა. კუკურიმ შემოიხედა და დამიძახა, სადა ხარ აქამდე, გელოდებითო. ახლავე გამოვალ-მეთქი, ვუთხარი და ავდექი, ოთახიდან უსიტყვოდ გავედი. მამაჩემისათვის არაფერი მითქვამს. აბაზანისკენ მიმავალმა, უცებ თვალი მოვკარი დედაჩემს, რომელიც სამზარეულოში თავდახრილი იჯდა, როგორც დამნაშავე საბრალდებო სკამზე. ეტყობა, დედამ წინასწარ იცოდა, რა საუბარიც უნდა გამართულიყო ჩემს და მამას შორის. აბაზანაში წელმოწყვეტილი შევედი, პირზე წყალი შევისხი, ცოტა გონზე მოვედი. გამოსვლისას დედა ისევ იმ მდგომარეობაში იჯდა სკამზე, სამზარეულოში.

ყველა-ყველა და ამ ქალმა რა დააშავა, რა ბრალი მიუძღვის-მეთქი, – გავიფიქრე ოდნავ მოგონიერებულმა. სამზარეულოში შევედი, დედაჩემს მივუახლოვდი და მხარზე ხელი მოვუთათუნე. დედამ თავი ასწია, თვალებში შემომხედა, წამოდგა და გულში ჩამიკრა. მისი გულის ძგერა მესმოდა, ისიც ვიგრძენი, როგორ ჩამივარდა კისერში რამდენიმე წვეთი. ეს დედაჩემის ცრემლები იყო. მეც მოვეფერე, ცოტა ხანს ორივენი ასე ვიდექით, ისე რომ, ერთმანეთისათვის არაფერი გვითქვამს, ლოყაზე ვაკოცე და იმ ოთახისაკენ წავედი, სადაც ჩემი მეგობრები ქეიფს განაგრძობდნენ.

■

პირველი ჯინსშოუ საქართველოში

25 აპრილს 7 club-ში საქართველოში მოსკოვიდან დაბრუნებულმა 19 წლის დიზაინერმა, თაკო ესიავამ პირველად მოაწყო ჯინსშოუ. სტუმრების, განსაკუთრებით კი მამაკაცების მოწონება, ნახევრად შიშველი რუსი მოდელების ეროტიკულ ცეკვებს ხვდა წილად. ჯინსების მრავალფეროვან სამყაროში კი მეგზურობა შოუს ორგანიზატორმა, რეგინა ღონღაძემ გაგვიწია. პოდიუმზე გამოდიოდნენ მუქი ლურჯი და ცისფერი „დახეული" ჯინსებით შემოსილი მანეკენები. ძირითადად, ეს გახლდათ შარვლების კოლექცია, მაგრამ აქვე წარმოდგენილი იყო ჯინსის ორი მინიქვედაბოლო, რომლებიც ალბათ, მოდის განსაკუთრებით თამამი მიმდევრებისთვის იქნება უპრიანი. დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურეს 4-5 წლის მანეკენმა გოგობიჭებმა, რომლებსაც სულაც არ აფრთხობდათ მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე წარდგომა. ისინი დებიუტანტი პატარა მოდელები გახლდნენ, მაგრამ გამოცდილი მანეკენებივით დააბიჯებდნენ პოდიუმზე, რაშიც უთუოდ ეხმარებოდათ ბავშვური უშუალობა.

ჩვენების დასრულების შემდეგ, რამდენიმე კითხვით მივმართეთ დიზაინერ **თაკო ესიავას.**

დიზაინერი თაკო

სოფო ყარალაშვილი

— თაკო, რატომ გადაწყვიტე მოსკოვში დაწყებული საქმიანობის საქართველოში გაგრძელება?

— მოსკოვში ორი ჩვენება მოვაწყვე. ვინაიდან ქართველი ვარ, მინდა, მოღვაწეობა საქართველოში განვაგრძო. საინტერესოა, როგორ მიიღებენ ქართველები ჩემს სტილს.

— საქართველოში ეს ბიზნესი მაინცდამაინც აქტუალური არ არის და გარკვეულ რისკის ფაქტორს შეიცავს. ამ პირობებში როგორ აპირებ შენი ადგილის დამკვიდრებას?

— გავრისკე იმიტომ, რომ მყავს მშობლები, რომლებიც მეხმარებიან და ისეთი მეგობარი, როგორიცაა რეგინა ღონღაძე. მგონი, შამპანურსაც მივირთმევ, იმიტომ, რომ კმაყოფილ სახეებს ვხედავ.

— რატომ მოაწყვე მაინცდამაინც ჯინსის კოლექციის ჩვენება?

— იმიტომ, რომ ჯინსომანია მჭირს. მაგრამ ჩემგან არ უნდა ელოდეთ მხოლოდ ამას. მაისში ბიკინების ჩვენების მოწყობას ვგეგმავ, ეს საკურორტო ქალაქებში მოეწყობა. აუცილებლად შევქმნი საღამოს კაბების კოლექციასაც. ძალიან კმაყოფილი ვარ სტუდია „ლიკა ყაზბეგის" მანეკენებით, საკმაოდ კარგად წარმოაჩინეს ჩემი კოლექცია.

— აქ ვერ ვხედავ სხვა ქართველ დიზაინერებს. მათთან კონკურენციის ხომ არ შეგეშინდა?

— რატომ უნდა შემშინებოდა? უბრალოდ ჯერ არ ვიცნობ.

ამ თემაზე ჩვენების ორგანიზატორმა **რეგინა ღონღაძემაც** ისაუბრა.

— მე მქონდა სააგენტო „მაქსმარა". შარშან თაკო ჩამოვიდა და ჩემთან მუშაობდა მოდელად. წელს უფრო სერიოზულად მოეკიდა დიზაინერობას. ალბათ, ნახეთ, რომ ეს არ იყო მხოლოდ დეფილე, ეს იყო ჯინსშოუ. აქ მანეკენები ცეკვავდნენ კიდეც. ვფიქრობ, რომ ამ იდეამ გაამართლა.

ლიკა ყაზბეგი:

— საერთოდ, სანამ ჩემს მანეკენებს რომელიმე ჩვენებაში მივაღებინებ მონაწილეობას, აუცილებლად ვნახულობ კოლექციას. დამაკმაყოფილა შარვლების ხარისხმა, თანაც, ჯინსშოუში არასდროს მიგვიღია მონაწილეობა. დღეს ჩემი რამდენიმე მანეკენის დებიუტი



შედგა — მაგალითად, მაგდა მამაცაშვილის, რომელიც ტელეკომპანია „202"-ის ერთ-ერთი წამყვანი სახეა, ირაკლი მამულაშვილისა და კიდევ პატარა მოდელების, რომლებმაც ყვე-

ინტიმური ტელეფონი

822-009-008
822-009-088
822-009-108



18 წლიდან
მომსახურება ფასიანია

ლაზე დიდი ტაში დაიმსახურეს.

მომავალში თაკო თბილისში ისეთი მაღაზიის გახსნას გეგმავს, რომელიც, როგორც თავად ამბობს, საქართველოში ჯერ არ არსებობს. სხვათა შორის, კოლექციიდან რამდენიმე ჯინსის მოდელი დეფილეს დამთავრებისთანავე გაიყიდა; შოუს დამთავრებისთანავე გაუჩინარდა ლექს-სენიც, რომელიც აღფრთოვანებული დარჩა წარმოდგენილი კოლექციით. ასე რომ, გამორიცხული არ არის, მაყურებელმა სცენაზე ივი ახალ და უჩვეულო ჯინსში გამოწყობილი იხილოს. ■

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ ᲠᲔᲒᲘᲜᲐ

„ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲔᲠᲗ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲓᲦᲔᲡ"...

„ერთხელ, ერთ მშვენიერ დღეს" — ასე უწოდა თავისი ნამუშევრების გამოფენას მხატვარმა ნანა მანჯგალაძემ, რომელიც ხელოვნებათმცოდნეთა თუ უბრალოდ, სახვითი ხელოვნების მოყვარულთა აზრით, ბევრ სიახლეს სთავაზობს მნახველს. ეს არ გახლდათ ფერწერა ან გრაფიკა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით: ნანა მანჯგალაძე ცდილობს, სხვადასხვა ხერხის შერწყმით მიაღწიოს ორიგინალურ სინთეზს. მისი ნამუშევრები ერთმანეთთან საუცხოოდ შეხამებული ფერებით გამოირჩევა, ამასთანავე ყურადღებას იპყრობს სხვადასხვაგვარი მასალით: დაკვირვებული ადამიანი სურათებში კვერცხის ნაჭუჭს, გამხმარ ყვავილებს, ფოთლებს და საერთოდ, ყველაფერ იმას აღმოაჩენს, რასაც მხოლოდ ბუნება გვაძლევს. ალბათ ამიტომ არის, რომ მისი სურათების თვალიერებისას გეუფლება რაღაც განსაკუთრებული, ბუნებრივი სითბოს შეგრძნება.

ᲚᲘᲙᲐ ᲥᲐᲧᲐᲘᲐ

ორიგინალურია სურათების დასახელებაც. ნამუშევრების თვალიერებისას, გექმნება შთაბეჭდილება, რომ მათ ჩვეულებრივი, ტრივიალური სახელები მოუხდებოდა. მაგრამ მხატვარი სხვა გადაწყვეტის გვთავაზობს... სურათს, რომელიც შემოდგომას,

წელიწადის ამ ყვითელ, ნაცრისფერ დროს ასახავს, მაგრამ მას რაღაც სხვა ფერიც ერთვის, რომლის აღმოჩენა ცოტა არ იყოს ძნელია, თურმე, „დაკარგული სიყვარული“ ჰქვია... პატარა ქოხი, რომლის უკან ზღვა ღელავს, ცა კი ისეთი ფერისაა, რომ სიტყვებით ვერ აღვწერ... „დროებით დაკარგული სამოთხე“ — ვკითხულობ წარწერას და უცებ ვხვდები — ეს ხომ აფხაზეთია!..

გამოფენის დახურვის დღეს, ქალბატონ ნანას რამდენიმე კითხვით მივმართე:

— როდის და სად მოეწყო თქვენი სურათების პირველი გამოფენა?

— 2002 წლის 3 თებერვალს, მოსკოვის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

— როგორ ფიქრობთ — სად უფრო კარგი შემფასებელი ჰყავს თქვენს ხელოვნებას — რუსეთში თუ საქართველოში?

— როცა ჩემი ნამუშევრების გამოფენები მოსკოვში იმართება, აღფრთოვანებული ვარ ხოლმე, იმდენად კარგი დამთვალიერებელია... მაგრამ ერთხელ რამაზ ჩხიკვაძემ თქვა: თუ სპექტაკლი საქართველოში კარგად ჩაივლის, მისთვის გზა ხსნილია ყველა ქვეყანაშიო. ამიტომ, ძალიან ვღელავდი იმის გამო, თუ როგორ მიმიღებდა ქართველი საზოგადოება, მაგრამ დღეს ბედნიერი ვარ — ჩემი ნამუშევრები აქაც მოეწონათ. შთაბეჭდილებების წიგნში ჩაწერილი სიტყვები ამას მოწმობს. დამთვალიერებლები თავიანთ გრძნობებს მიზიარებენ, ზოგი აღნიშნავს — თითქოს ამ სურათებში ჩემი ცხოვრება დავინახეო... ეს ჩემთვის დიდი გამარჯვებაა...

— როგორც ვიცი, თქვენი ნამუშევრები ისრაელში მიგაქვთ. რატომ მაიცნდამაინც ისრაელში?

— ვერ გეტყვით. არ ვიცი, უბრალოდ, „ერთხელ, ერთ მშვენიერ დღეს“, მომინდა გამოფენის მოწყობა ისრაელში... შემდეგ, მოსკოვში წავალ. ■

როდესაც ტელევიზორში ქართულ, გასართობ, იუმორისტულ შოუს ვუყურებ, სიცილით ვკვდები ხოლმე. მივალ ინტერვიუზე გადაცემის წამყვანთან ან მონაწილესთან და — ისეთი სერიოზული ინტერვიუ გამოდის, თითქოს საინფორმაციო გადაცემის წამყვანთან ვსაუბრობდე. რამდენადაც ისინი ეკრანზე სასაცილონი არიან, ცხოვრებაში მით უფრო სერიოზულ იმიჯს „აწვებიან“. თუმცა, ამას ვერ ვიტყვი ჩემს დღევანდელ რესპონდენტზე. ეს გახლავთ, „შაბათის შოუს“ „კოლწევრი“, 135-კილოგრამიანი კობა ბარათელი — იგივე ჩაინიკა. ჩვენმა საუბარმა ისეთსავე სიცილ-ხარხარში ჩაიარა, როგორიც მათი ზოგიერთი ხუმრობისა თუ სკეტჩის ყურებისას წაგსკდება ხოლმე. რატომ შეარქვეს მას ჩაინიკა, ვინ არიან კრუშკა და მინუტკა და რაზე იჯდება კობა, ვიდრე ძალით არ წამოაყენებენ, ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ესე ამბავი ჩაინიჯასი, და მოძალადე ლეჩხუმელი გოგოსი, რომელმაც საქმრო წიხლებით ჩატენა მანქანაში

მარი ჯაფარიძე

— უკვე საკმაოდ სოლიდურ ასაკში ვარ — 36 წლის გახლავართ. ჯერჯერობით, მყავს ერთი ცოლი და ორი შვილი — ნიკოლოზი და მარიამი.

— შენს შვილებს მოსწონთ, ცნობილი და პოპულარული მამიკო რომ ჰყავთ?

— კი, მოსწონთ. ჩემი საქმიანობით განსაკუთრებით კმაყოფილია ჩემი სიდედრი. დედიკო გენაცვალოსო! — იტყვის ხოლმე, როცა ეკრანზე მხედავს. საერთო ჯამში, მთელი ოჯახი ჩემი საქმიანობით ამაყობს.

— მხოლოდ „საზოგადოებრივი“ საქმიანობით ამაყობენ თუ შინაც საამაყო ქმარი და სიძე ხარ?

— კი, კი, ნამდვილად ასეა. ოჯახში ფუსფუსი მიყვარს. განსაკუთრებით — სამზარეულოში. მეხერხება გემრიელი კერძების მომზადება და მერე — ჭამა, რა თქმა უნდა. წინათ ლურსმნის მიჭედებაც არ მეხერხებოდა, მაგრამ მერე მასწავლეს, რომ თურმე, ჩაქუჩით უნდა მივაჭედო და ახლა ძალზე მეიოლება. თითქმის ყველაფრით მიცდია ლურსმნის მიჭედება — ჭიქის ძირით, მუშტით...

— თავით?

— არა, თავით სხვები ცდილობდნენ ხოლმე და რომ არაფერი გამოსდიოდათ, მეც აღარ მომისინჯავს.

— ჩაინიკა რატომ შეგარქვეს?

— რა ვიცი. კობას რომ მეძახდნენ, არ მესმოდა. მერე ჩაინიკა დამიძახეს, გავიგონე და შემომრჩა ეს სახელი. ბიჭი რომ შემეძინა, ჩემმა მეგობრებმა თქვეს — მინუტკა დაიბადაო. ჩემს ძმას კი, კრუშკას ეძახიან. ერთხელ შინ სტუმრები გვყავდა. ერთ-ერთმა თქვა — ჩაინიკამ გვითამადოს, კრუშკამ კი ღვინო ჩამოასხასო. მამაჩემმა თავი გადააქნია — მე მეგონა, ბიჭებს „ვაკეთებდი“ და თურმე, ჭურჭელი მიკეთებიაო.

— ქეიფი და დროს ტარება გეყვარება...

— ხომ გაგიგონია — „მე ვარ ქართველი, მაშასადმე, ვარ ევროპელი“. მე კიდევ, ვამბობ — მე ვარ ქართველი, მაშასადმე, მიყვარს ქეიფი. წინათ მართლაც, ბევრს ვსვამდი, ასე 5-6 ლიტრს და მშვენივრად ვირგებდი კიდეც. მერე გულმა „ენა შემომიტლიკინა“ და სმას მოვეშვი. არც თამადობაზე ვგიჟდები. მირჩევნია, სუფრასთან ვიმაიმუნო და სხვებზე ვიკაიფო, ვიდრე ვითამადო. ერთ ამბავსაც გავიხსენებ. მე და „ღამის შოუს“ ერთ-ერთი სცენარისტი, ავთო მარგველაშვილი, ბავშვობიდან ვმეგობრობთ. ერთხელ ვანში ვიყავით წასულები საქეიფოდ. კარგად მოვილხინეთ, თან ერთმანეთს არ ვუმხელდით, რომ მთვრალები ვიყავით. წყალივით ღვინოა, არ დაგვათრო-თქო, — ვამბობდით. მასპინძელმა თავის ოჯახში მოგვასვენა და მეორე სართულზე დაგვიგო ლოგინები. ავთო აივანზე გავიდა

სიგარეტის მოსაწევად. რომ შეაგვიანდა, აივანზე გამოვედი. ავთო არ ჩანდა, მაგრამ სიბნელეში ძლივს გავარჩიე მოზრდილი კურდღელი. თვალები დავხუჭე და თავი გავაქნიე და გავიფიქრე – რა არის, კაცო, კურდღლები მელანდება თუ რა ჯანდაბაა-მეთქი?.. ამასობაში, ქვევიდან კიბეს ავთო მოადგა და მითხრა – ბიჭო, რაღაცა უნდა გითხრა და არ დამცინოო. – რა იყო, ვინ არ დამთვრალა, დასაცინი რა გაქვს, არ გრცხვენია-მეთქი?!. – ბიჭო, თავი სად გამოვყო სირცხვილით, არ ვიცი: ისე დავთვერი, რომ კურდღელი მომელანდაო... დილით მასპინძელს ვკითხეთ და გვითხრა – ეგ მეზობლის მამრი კურდღელია, ჩემს მდედრ კურდღელთან დაძვრება ღამღამობითო...

— როგორც ვიცი, წარმოშობით ქუთაისელი ხარ, მაგრამ ბარათელი იმერული გვარი არ უნდა იყოს...

– წარმოშობით ზესტაფონის რაიონიდან, სოფელ მეორე სვირიდან ვარ. ერთი მეზობელი მყავდა, ცოტა „უბერავდა“ და ის კაცი მეუბნებოდა ხოლმე – თქვენი გვარი მარტვილის რაიონიდან, სოფელ აბედათიდან არის წამოსულიო. რა თქმა უნდა, არ ვუჯერებდი, მაგრამ ამას წინათ წიგნში წავიკითხე, რომ თურმე, მართალი ყოფილა. ასე რომ, მეგრელ-ქუთაისელი ვარ...

— აუჰ, ასეთი წარმოშობის კაცს გოგო როგორ გენდო, ცოლად რომ გამოგყვა?..

– ჩემი ცოლი ლეჩხუმელია. მე ამ კუთხის წარმომადგენლებს „დაღლილი სვანების ნაკეთებ ხალხს“ ვეძახი... ჰოდა, ამ ლეჩხუმელმა გოგომ მომატყუა, თავისი დაქალების დახმარებით სულ წიხლით ჩამტენა მანქანაში და მომიტაცა. მშობლებმა მეორე დღეს მომაკითხეს, მაგრამ აღარ ღირდა ჩემი შინ დაბრუნება და დავრჩი...

— მაშინ გამხდარი იქნებოდი — აბა, ისე როგორ მოგერეოდნენ?

– კი, მაშინ მართლაც, გამხდარი ვიყავი. მერე, ჩემი სიდედრის ხათრით გავსუქდი. ის გვარად ასათიანი გახლავთ და შევპირდი – შენს პატივსაცემად 110 კილოგრამი გავხდები-მეთქი. ახლა მსაყვედურობს – ვინ გყავს ნათესავებში ასორმოცდაათიანი, ვის პატივსაცემად გახდი 150 კილოო? ახლა დიეტაზე ვზივარ და თუ ვინმე ძალით არ წამომაყენებს, ამ დიეტაზე მაგრად ვიჯდები. კვების რაციონიდან პური და ცხიმიანი საკვები ამოვშალე. გასახდომად ცურვაც კარგი ყოფილა. გადავწყვიტე, აუზზე მევლო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთ აუზზე კახა ბენდუქიძე დადის, მეორეზე – გურამ აბსანძე, მესამეზე – მამუკა ონაშვილი. ხომ იცი, ყველაფერი დასწრებაზეა. ჰოდა, ისინი რომ აუზში ჩავლენ, მე იქ როგორღა ჩავეტევი?! თანაც, ზედმეტად გახდომაც არ მინდა – შესაძლოა, მაყურებლისთვის საინტერესო აღარ იყოს გამხდარი ჩაინიკა.

— პროფესიით ვინ ხარ?

– ინჟინერ-მშენებელი, მაგრამ არასდროს არაფერი ამიშენებია. ერთხელ, როცა ჯარში ვმსახურობდი, „ნაჩალნიკმა“ იკითხა – ვის გეხერხებათ სამშენებლო საქმეო? – მე-მეთქი, – გამოვიდე თავი. მაგრამ მაშინ II კურსის სტუდენტი ვიყავი და რა ჭირი ვიცოდი?!. დაგვავალეს ბიბლიოთეკის აშენება. პიზის კოშკი გინახავს? ხომ ცალ მხარეს არის გადახრილი? ჩემი აშენებული შენობა ორივე მხარეს გახლდათ გადახრილი. რაღაცნაირი, ტრაპეციის ფორმის გამოვიდა... ვოცნებობდი, ჩემს წამოსვლამდე არ დანგრეულიყო. გაუძლო. ახლა თურმე, შემოუღობავთ და სამუზეუმო ექსპონატად გამოუცხადებიათ. თურმე, იმასაც კითხულობენ – ამის ამშენებელი ვინ არისო? მაგრამ მე თავმდაბალი კაცი ვარ და არ ვამხელ.

— „შაბათის შოუში“ მუშაობა მოგწონს? ხელფასით კმაყოფილი ხარ?

– კი, კმაყოფილი ვარ. პრემიასაც ხშირად ვიღებ. სტალინის „კოლექტივმა“ არ გაამართლა. სამაგიეროდ, ჩვენმა გაამართლა.

— როგორც ჩანს, კარგი „კოლმეურნეობის თავმჯდომარე“ გყავთ.

– კი, ასეა ნამდვილად. ჩვენს „კოლექტივს“ დათო გოგიჩაიშვილი „თავმჯდომარეობს“ და მშვენივრად ახერხებს, რომ ხალხის გული მოიგოს. მიმაჩნია, რომ დღესდღეობით საქართველოში ყველაზე კარგად ჩვენ ვხუმრობთ. ერთხელ, ქუთაისში ბაზრობაზე ვიყავი. მოვაჭრეებმა დამიჭირეს და სახელდახელოდ ჩემთვის იმ სკეტჩის სცენა გაითამაშეს, რომელიც

როცა ჯარში ემსახურობდი, „ნაჩალნიკმა“ იკითხა – ვის გეხერხებათ სამშენებლო საქმეო? – მე-მეთქი, – გამოვიდე თავი...

მათ საქმიანობას ეხებოდა. თან დასძინეს – ყველაზე მეტად ეს მოგვეწონაო. თქვენ, ჟურნალისტებს რედაქციის სიტუაციაზე მორგებული სკეტჩი მოგწონთ, „პირველყოფილებს“ – შესაბამისად, მათზე გაკეთებული ხუმრობა მოსწონებიათ. მოკლედ, ტყვიას ტყვიაში ვაჯენთ, რა! ხშირად პოლიტიკოსებზეც ვხუმრობთ, მაგრამ მათ სულაც არ სწყინთ. საბედნიეროდ, იუმორის გრძნობა მშვენივრად აქვთ განვითარებული.

— რომელიმე მათგანს სცენარისტად ხომ არ მოიწვევდით?

– მგონია, რომ ედუარდ შევარდნაძისგან დადგებოდა შესანიშნავი სცენარისტი. მაინც წერს მემუარებს და ბარემ ჩვენთვის სცენარებიც მიაყოლოს.

— საკმაოდ უხვად გაქვთ სცენა, სადაც ცისფრები ფიგურირებენ. რატომ აკეთებთ აქცენტს მათზე?

– ჩვენ მათ ვაკრიტიკებთ. არ მოგვწონს და იმიტომ. ბიჭები ისე მიეჩვივნენ „ცისფერ“ როლებს, რომ ხანდახან საუბრის დროსაც კი იყენებენ ხოლმე მათ ჟესტებს. ამას წინათ, ვასო ფხაკაძეს ვუთხარი – მიჩვევა იცის მაგან, ბიჭო-მეთქი... დამამშვიდა – ნუ გეშინია, არ მივეჩვევიო. მე გამიფრთხილებია და... ■

თამუნა ლეკვეიშვილი: სახლში მხიარული საერთოდ არა ვარ...

საკომპოზიციო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი თამუნა ლეკვეიშვილი ერთადერთი ქალბატონია „მხიარულთა და საზრიანთა კლუბსა“ და „შაბათის შოუში“. მიუხედავად ამისა, ის მშვენივრად გრძნობს თავს გარშემო მყოფი მამაკაცების გვერდით. უფრო მეტიც — მიაჩნია, რომ ამის გამო ის უფრო მეტ ყურადღებას და დაფასებას გრძნობს.

ეკა მინდაძე

— თამუნა, მოდი, თავდაპირველად გაგვეცანი, ვინ ხარ და რა პროფესიის ადამიანი ხარ?

— დავიბადე ზესტაფონში, სკოლაც იქ დავამთავრე. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე კონსერვატორიაში ჩავაბარე, მაგრამ გარკვეული დროით სწავლის შეწყვეტა გადავწყვიტე. წლეულს კი, კვლავ განვაგრძე სწავლა საკომპოზიციო ფაკულტეტზე. ამჟამად მესამე კურსზე ვარ და მეამაყება, რომ ჩემი პედაგოგი ბიძინა კვერნაძეა.

— როგორ მოხვდი „მხიარულთა და საზრიანთა კლუბში“?

— თავდაპირველად, იქ ნიკა ქავთარაძის მეშვეობით მოვხვდი. ორივენი ზესტაფონიდან ვართ და ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობთ. ის სამუსიკო სკოლაში გავიცანი.

— არ გიჭირს, ერთადერთ გოგოს ამდენ მამაკაცთან მუშაობა?

— რა თქმა უნდა, თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მალე ყველას ისე შევეწყვე, რომ მათ ჩემი ოჯახის წევრებად ვთვლი. სხვათა შორის, ერთადერთი გოგო რომ ვარ, უკეთესიცაა, რადგანაც ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვარ და მანებივრებენ კიდეც.

— ბიჭები ხომ არ გაბრაზებენ?

— კი, როგორ არა. ცოტ-ცოტას ყველა მაბრაზებს. გამორჩეულად გადაკიდებული არავინ არის *(იცინის)*.

— კმაყოფილი ხარ ახლანდელი ხელფასით?

— ადამიანს რაც არ უნდა ბევრი ჰქონდეს, უფრო მეტი უნდა. საერთო ჯამში, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ.

— თამუნა, გვიამბე შენს ოჯახზე.

— მყავს დედა, მამა, ძმა, რძალი და პატარა ძმისშვილი.

— შეყვარებული გყავს?

— მყავს.

— გადაცემაში არაერთხელ გაგათხოვეს. კვლავაც თუ გიპირებენ გათხოვებას?

— კი. ჩემი „ქმარი“ უფრო ხშირად, ვასოა, რატომღაც ასე ემთხვევა ხოლმე. რას ვიზამ, ერთი გოგო ვარ და მომავალშიც ბევრჯერ მომიწევს „გათხოვება“.

— შენი შეყვარებული, რომელსაც შეგნებულად არ გვისახელებ, არ ეჭვიანობს?

— არა. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ის ყოველთვის სასიკეთო რჩევას მაძლევს და მეც მის აზრს ვითვალისწინებ.

— ბიჭები თუ იცნობენ შენს შეყვარებულს?

— კი, როგორ არა. ყველა იცნობს და სხვათა შორის, ყველას მოსწონს.

— სახლში თუ ხარ მხიარული?

— არა, უნდა ვაღიარო, რომ სახლში მხიარული საერთოდ არა ვარ. ამის გამო დედაჩემი ყოველთვის მსაყვედურობს: შენი მეგობრების წრეში რომ ხარ მხიარული, ჩვენ რა დაგიშავეთო?! მაგრამ ზოგჯერ თუ წამომიარა, შეიძლება გიჟიც გავხდე. თუმცა, ეს ძალიან იშვიათად ხდება.

— შენმა მომავალმა მეუღლემ არჩევანის წინაშე რომ დაგაყენოს — ან ოჯახი, ან სამსახურიო — რომელს აირჩევდი?

— რა თქმა უნდა, ოჯახს დავაყენებდი პირველ ადგილზე. მაგრამ ჯერჯერობით ამის საშიშროების წინაშე არ ვდგავარ.

— გადაცემაში თუ გაჟღერებულა შენი შექმნილი მუსიკა?

— არა. მომავალში შეიძლება, ასეც მოხდეს.

— რა სტილის მუსიკა მოგწონს და ვინ არის შენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მე ყველანაირი მუსიკა მომწონს. ჩემი საყვარელი კომპოზიტორია ბახი.

— ქართველი მომღერლებიდან ვის დაუწერდი სიმღერას?

— არც ერთს არ დავუწერდი *(იცინის)*, რადგანაც ბოლომდე ვერავინ მაკმაყოფილებს.

— ოჯახის წევრები როგორ აფასებენ შენს საქმიანობას?

— რა ვიცი, ჩვეულებრივად. ჩემი შემოქმედების ყველაზე მკაცრი შემფასებელი მამაჩემია. თუ მას მოვეწონები, ე.ი. არა მიშავს რა. სერიოზული შენიშვნა ჯერ არ მოუცია ჩემთვის. ალბათ, მოსწონს.

— მომავალში რას აპირებ?

— რა თქმა უნდა, მუსიკას გავყვები. ეს სამსახური მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ჰობია. მინდა, ვიყო კარგი კომპოზიტორი, მქონდეს საკუთარი სტუდია და ვაკეთო ის, რაც მსურს.

■

კვირის რომელ დღეს რომელი მინერალი უნდა ვაჭაროთ

დღეს ადამიანს აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს ძვირფასი მეტალისა თუ ქვისგან დამზადებული თილისმა — არჩევანი ნამდვილად დიდია. ცხადია, თუ მან არ იცის, კონკრეტულად რომელი ქვა ან მეტალია მისთვის სიკეთის მომტანი, ამ არჩევანის გაკეთება გაუჭირდება (მხოლოდ ძვირფასი თუ ნახევრად ძვირფასი ქვები რამდენიმე ათეულს აღწევს).

მეტაფიზიკაში „ჩახედულმა“ ადამიანმა იცის, რომ ნებისმიერ საგანს, მით უმეტეს — ძვირფას ქვას, „მეტაფიზიკური მეხსიერება“ აქვს და ეს ყოველთვის ჰარმონიაში უნდა იყოს ადამიანთან: თუ რომელიმე მინერალს ერთი ადამიანისთვის ბედნიერება მოაქვს, მეორისთვის უბედურების მოტანა შეუძლია (აქ საკმარისია გავიხსენოთ, „ცნობილ“ ალმასებსა თუ ბრილიანტებთან დაკავშირებული ამბები, რომელთა მოპოვებასა თუ შენარჩუნებას უამრავი ადამიანი შეეწირა).

ასტროლოგიაში ნებისმიერი ქვა თუ მეტალი კონკრეტულ ზოდიაქოს ნიშანს და ასევე კვირის დღეს შეესაბამება. ამჯერად გავეცნობით, თუ კვირის რომელ დღეს, ენერგეტიკულად რომელი მეტალი ან მინერალი შეესაბამება.

კვირის თილისმა

კვირის მმართველი მზეა (ლომის მმართველი), ამიტომ მას ოქრო შეესაბამება. ამ დღეს, ოქროს სამკაულების ტარება ორმაგად გაზრდის თქვენს შარმს. სასარგებლოა ნებისმიერი წითელი, ყვითელი და ფორთოხლისფერი ქვის ტარება, განსაკუთრებით კარგი იქნება — გულსაბნევის სახით, რადგან მზე გულს მართავს და გულთან ახლოს, ოქროს ბუდეში ჩასმული ლალისა ან ქარვის ტარებას, თერაპიული მნიშვნელობაც კი ენიჭება.

ორშაბათის თილისმა

ორშაბათი მთვარის ენერგიას შეესაბამება, ამიტომ რეკომენდებულია, ვერცხლის სამკაულები. მთვარე კირჩხიბის მმართველია და წყლის სტიქიას განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ამ დღეს, ნებისმიერი გამჭვირვალე და უფერო ქვა ბედნიერების მომტანად ითვლება. ასევე წარმატების მომტანია ლურჯი და ცისფერი ქვები (მაგალითად, საფირონი).

სამშაბათის თილისმა

ამ დღეს, პლანეტა მარსი შეესაბამება, რაც მაღალ ოქტავაში პლუტონს ნიშნავს (ეს ვერძი და მორიელია). ამიტომ რეკომენდებულია, ფოლადისგან დამზადებული აქსესუარები და სამკაულები (მაგალითად, სამაჯური). რაც შეეხება ძვირფას ქვებს — „მეომარ“ მარსს უპირველესად, იასპი და ოპალი შეესაბამება. რადგან ვერძი თავს მართავს, კარგი იქნება, თუკი ამ ქვებს თმის სამაგრის ან საყურეების სახით გამოიყენებთ.

ოთხშაბათის თილისმა

ოთხშაბათს პლანეტა მერკური „მეფობს“ (ტყუპისა და ქალწულის მმართველი). მისი მეტალი ვერცხლისწყალია. აქედან გამომდინარე, მისი ტარება უბრალოდ, შეუძლებელია, ამიტომ კარგი იქნება, თუკი საერთოდ უარს იტყვით რაიმე მეტალის ტარებაზე, უკიდურეს შემთხვევაში — მარჯნის და ხის სამკაულებით შემოიფარგლეთ. ძვირფასი ქვები კი, აუცილებლად მუქი ფერის უნდა იყოს (მაგალითად, ნაცრისფერი ქალცედონი ან სარდიონი). ისინი გრძელ ძეწკვზე დაკიდეთ, რათა მზის წნულის მიდამოებში იყოს განთავსებული — ეს დადებითად იმოქმედებს კუჭზე.



ხუთშაბათის თილისმა

ხუთშაბათის მმართველი პლანეტის — იუპიტერის (მშვილდოსანი და თევზები) მეტალი ტყვიაა. ბუნებრივია, ტყვიის სამკაულებს ძნელად თუ მოიძიებთ სადმე. შესაძლოა, ტყვიისგან რომელიმე აქსესუარის დეტალი იყოს დამზადებული (თუნდაც, ტყვიის ბალთიანი ქამარი), რაც საკმარისი იქნება. ასე რომ, ამ დღეს მხოლოდ დიდი და ფართო სამკაულების შერჩევა მოგიწევთ (რაც იუპიტერისთვისაა დამახასიათებელი). ძვირფასი ქვებიდან შეიძლება გამოვყოთ ყვითელი ტოპაზი და იისფერი ამეთვისტო. ამ დღეს, მათი ტარება სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს.

პარასკევის თილისმა

პარასკევს, პლანეტა ვენერა მართავს (კუროსა და სასწორს შეესაბამება), ამიტომ ძალიან კარგი იქნება, თუ უძველესი ტრადიციების თანახმად, ამ დღეს, სპილენძის სამკაულებს იკმარებთ (შესაძლოა, ბებიის ნაქონმა სპილენძის სამაჯურმა სიხარული და ბედნიერება მოგიტანოთ). ძვირფასი ქვებიდან რეკომენდებულია ყველა ნათელი და ღია ფერის ქვა (განსაკუთრებით, მწვანე ფერის ქრიზოლითი ან გამჭვირვალე აქატი). სამკურნალოდ, მოკლე გულსაკიდით, ყელის მიდამოში მათი ტარება გამოდგება (ეს გააქტიურებს მეხუთე ჩაკრას — ვიშუდხას).

შაბათის თილისმა

ამ დღეს, ყველაზე „მძიმე“ და „პირქუში“ პლანეტა — სატურნი მართავს (თხის რქა და მერწყული) და მისი მეტალი, კალა გახლავთ (ყველაზე იაფი, თუმცა — გამოსადეგი). კალის სამკაულებს ალბათ ვერსად მოიძიებთ (ისევე, როგორც ვერცხლისწყლისას და ტყვიისას). შესაძლებელია, ამ მეტალისგან რაიმე უბრალო დეტალი დაამზადებინოთ და ამ დღეს, თილისმად გამოიყენოთ. აი, ძვირფასი ქვებიდან კი, მწვანე ქრისოპრაზი და მუქი წითელი იაგუნდი ატარეთ — ეს გაამაგრებს თქვენს ძვლოვან სისტემას, განსაკუთრებით — ხერხემალს.

■

მოამზადა რამაზ გიგაურმა

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(28 აპრილი - 4 მაისი)

ვერძი – 21/III-20/IV

პირად ცხოვრებაში გარკვეული პრობლემებია მოსალოდნელი. ადრე თუ გეგონათ, რომ გარშემო მყოფებს სჭირდებოდით და თქვენგან ძალზე ბევრს ითხოვდენ, ახლა თქვენ მიმართ ყოველგვარი ყურადღება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. შესაძლოა, ხანმოკლე მოგზაურობამაც მოგიწიოთ და ამ დროს, გამორიცხული არ არის, ახალი ნაცნობი გაიჩინოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და მერწყულთან, ნეგატიური – სასწორსა და თხის რქასთან. **პოზიტ. დღეები:** 28, 30, 2. **ნეგატ. დღეები:** 1, 4.

კურო – 21/IV-21/V

ახალი შემოსავლები და სამსახურებრივი წინსვლა გელით. ახლობლები მოულოდნელი სითბოთი და საჩუქრებით გაგანებივრებენ. კარგი პერიოდია ოჯახური შენაძენისთვის, ასევე საკუთარი საქმიანობის დასახვეწად და ურთიერთობების განსამტკიცებლად. გაისარჯეთ და კარგად დაიმახსოვრეთ: თქვენი გარჯა აუცილებლად დაფასდება. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და მერწყულთან, ნეგატიური – ვერძსა და თევზებთან. **პოზიტ. დღეები:** 1, 3, 4. **ნეგატ. დღეები:** 30, 2.

მარჩხვეი – 22/V-21/VI

ეს პერიოდი თქვენთვის საკმაოდ დაძაბული იქნება, როგორც ახლობლებთან ურთიერთობისას, ასევე ფინანსური თვალსაზრისითაც. კიდევ ერთხელ მოგიწევთ, დაუმტკიცოთ გარშემო მყოფებს, თუ რაოდენ საჭირო ადამიანი ხართ და რომ უთქვენოდ განხორციელებული ნებისმიერი წამოწყება წარუმატებელი იქნება. აღნიშნული პერიოდი, ფინანსური კრიზისის დასაძლევად გამოიყენეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური – მშვილდოსანსა და თევზებთან. **პოზიტ. დღეები:** 29, 2, 3. **ნეგატ. დღეები:** 28, 4.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

გირჩევთ, დრო რაციონალურად გამოიყენთო, ფუჭ საუბრებსა და ქმედებებში დროს ნუ დაკარგავთ. მიხედეთ საკუთარ ჯანმრთელობას, შეეცადეთ, ფიზიკურად არ გადაიტვირთოთ, ხშირად მიეცით თავს დასვენების უფლება. შეხვდით ნაცნობ-მეგობრებს, შესაძლოა, სწორედ ამ დროს მოხდეს სასიკეთო ცვლილება თქვენს ცხოვრებაში. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და თევზებთან, ნეგატიური – მშვილდოსანსა და თხის რქასთან. **პოზიტ. დღეები:** 30, 2, 3. **ნეგატ. დღეები:** 28, 29.

ლომი – 23/VII-23/VIII

ახლობლების გულწრფელი დახმარება პოზიტიურად იმოქმედებს, როგორც თქვენი ცხოვრების სულიერ, ისე მატერიალურ მხარეზე. მოახერხებთ შინაგანი წონასწორობის მიღწევას, ეს კი დაგეხმარებათ მთელი რიგი პრობლემების სასიკეთოდ გადაჭრაში. თუმცა, თქვენი წინსვლა ბევრს გააღიზიანებს და მოსალოდნელია, მოშურნეებიც მოგიმრავლდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და სასწორთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და მერწყულთან. **პოზიტ. დღეები:** 28, 1, 4. **ნეგატ. დღეები:** 30, 3.

ქალწული – 24/VIII-23/IX

გირჩევთ, გაორმაგებული ყურადღება გამოიჩინოთ, რათა მომრავლებულმა პრობლემებმა შეცდომები არ დაგაშვებინოთ. მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის გამყარება, თუმცა, ეს უფრო ძველ, უკვე შესრულებულ საქმეებთან იქნება დაკავშირებული. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – მარჩხიბსა და მერწყულთან. **პოზიტ. დღეები:** 29, 2, 4. **ნეგატ. დღეები:** 1, 3.

სასწორი – 24/IX-23/X

შეეცადეთ, რომ მხოლოდ იმ პრობლემებზე იფიქროთ, რომლებიც მოსვენებას არ გაძლევთ და გადაუდებლად მოგვარებას საჭიროებს. ეს პერიოდი ხელსაყრელია ცვლილებებისთვის და ნებისმიერი სიახლე სასიკეთო იქნება თქვენთვის (სულერთია – ახალი ურთიერთობების დაწყება იქნება ეს, თუ ძველის გაწყვეტა). ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და ლომთან, ნეგატიური – ვერძსა და კუროსთან. **პოზიტ. დღეები:** 30, 1, 2. **ნეგატ. დღეები:** 18, 3.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ამ პერიოდში თქვენი ცხოვრების რიტმი საკმაოდ დატვირთული იქნება, მოქმედებისას, საკუთარ ალღოს ენდეთ, გახსოვდეთ, რომ „კეთილისმსურველთა“ რჩევები ბევრს ვერაფერს შეგმატებთ. ნუ იჩქარებთ და ნუ იქნებით იმპულსური, ეს სასურველ მიზანს უფრო დაგაშორებთ, მით უმეტეს, რომ ეს პერიოდი შესაძლოა, არც კი იყოს თქვენი საქმიანობისთვის საუკეთესო. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და სასწორთან, ნეგატიური – კუროსა და ლომთან. **პოზიტ. დღეები:** 2, 3, 4. **ნეგატ. დღეები:** 28, 1.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ეს პერიოდი საკმაოდ „დახუნძლული“ იქნება მრავალი ახალი ინფორმაციით, რომელიც ძირითადად უცხოეთთან და უცხოელებთან კავშირში გამოიხატება. შესაძლოა, მიიღოთ რაღაც შემოთავაზებები, რომლებიც სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას გაიძულებთ. ეცადეთ, მოვლენები ზედმიწევნით რეალისტურად შეაფასოთ და ისე იმოქმედოთ. დახმარება სთხოვეთ მეგობრებს, უარს ნამდვილად არ მიიღებთ. ურთიერთობები პოზიტიურია ტყუპებსა და თევზებთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და ქალწულთან. **პოზიტ. დღეები:** 29, 2, 3. **ნეგატ. დღეები:** 1, 4.

თხის რქა – 22/XII-20/I

მოგიწევთ უამრავი შეხვედრა, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ეს შეხვედრები არა საქმიანი, არამედ უფრო, გასართობი იქნება. შესაძლოა, სტუმრად წახვიდეთ ანდა პირიქით, თქვენთან იყოს დიდი სტუმრიანობა. ეს ძალიან კარგი საშუალება იქნება საიმისოდ, რომ დროებით მაინც მოსწყდეთ თქვენს ძირითად საქმიანობას და დაისვენოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – მშვილდოსანსა და მერწყულთან. **პოზიტ. დღეები:** 28, 2, 4. **ნეგატ. დღეები:** 30, 3.

მერწყული – 21/I-19/II

თქვენთვის ეს პერიოდი კარმული იქნება. თუ ამ დღეებში რაიმე პრობლემა გაგიჩნდებათ, მაშინ მათი სათავე აუცილებლად საკუთარ წარსულში უნდა ეძებოთ. ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რამდენად უშეცდომოდ იცხოვრებთ ბოლო ერთი თვე. შესაძლოა, მოგიხდეთ ძველი შეცდომების გამოსწორება, ვალების გადახდა და ა. შ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და სასწორთან, ნეგატიური – ვერძსა და ლომთან. **პოზიტ. დღეები:** 30, 1, 2. **ნეგატ. დღეები:** 28, 4.

თევზები – 20/II-20/III

ეს პერიოდი ძველი პრობლემების გადაჭრისა და მთელი რიგი საკითხების მოგვარების შანსებს მოგცემთ. თუმცა, შესაძლოა, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაც კი დაგჭირდეთ. თუ თქვენ ხელოვნების სფეროს წარმომადგენელი ხართ, მოსალოდნელია, რომ პროფესიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გარიგება გააფორმოთ, ოღონდ, ნუ იმოქმედებთ იმპულსურად. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თხის რქასთან, ნეგატიური – სასწორსა და მშვილდოსანთან. **პოზიტ. დღეები:** 29, 3, 4. **ნეგატ. დღეები:** 28, 2.

ევერესტი
გადაჭარ-ბებული თავმოყ-ვარეობა
აღმოსავ-ლური ჩასაბერი საკრავი
გვარის, ტომის ისტორია
ჩეხი კომპოზი-ტორი
ოფიცრის წოდება
მეფის სასახლე ესპანეთში
ქოქოსის კაკლის გული
კორიდის ცხენოსანი მონაწილე
სამხრეთ კორეის დედაქა-ლაქი
ჰომეროსის პოემა
შიგნითა პატარა ეზო
ანტილოპას სახეობა
ვეფხვის ან ლომის ოჯახი
ხის ვარჯი
გარეული ვირი
კაკლის საბერტყი ჯოხი
ნოხი
ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში
ისრის წვერი
ფაშისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვა
ალბანეთის დედა-ქალაქი
ლიტ. ნაწარმოების მითვისება
ინდისნ-ურმა
მდინარე შვეიცარიაში
სპირტიანი სასმელი
წყლის ფრინველი
ჭუნების ბელადი
არაბული ქვეყანა
სილამაზის ქალღმერთი ინდუიზმში
საცალური სათხილამურო ფეხსაცმელი
აშშ-ის შტატი
კედლის სანათი
ბროწეულის საწებელი
მდინარე საქართველოში
მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძ. მით.
მუსლიმანთა ღმერთი



25-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ბ.
30-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ა; 4-გ.

ანეკდოტები

***

— ნახე ის კაცი, დახრჩობას რომ გადამარჩინა? — ეკითხება სიდედრი სიძეს.

— კი... მოსული იყო ბოდიშის მოსახდელად...

***

მიტო და მიხო ერთმანეთს ხვდებიან ორღობეში:

— რათ გასცილდი შენს მაროსა? — ეკითხება მიტო მიხოს.

— ჯოო, მაგ ქალთანა ბავშვების კეთების მეტი სხვა საერთო აღარაფერი მქონდა, — მოკლედ პასუხობს მიხო.

***

— ოფიციანტ, წვნიანში ბუზია!

— დიდი და ცისფერი ხომ არა... „პერლამუტრი“?

— ხო, ეგ!

— შენ გეიხარე, ძლივს არ დევიჭირეთ?!

***

ბიოლოგიის გაკვეთილზე მიხო ცელქობს. მასწავლებელი შენიშვნას აძლევს:

— მიხო, ყურადღებით მისმინე, თორემ მაიმუნზე წარმოდგენა არ გექნება!..

***

— ვასიკო, სკოლაში რომელი საგანი გიყვარს ყველაზე მეტად?

— ზარი!..

***

— ექიმო, არ ვიცი, პირდაპირ, მადლობა რითი გადაგიხადოთ?!

— ფულით...

***

რაჭველმა იმდენი უძახა ექიმს — ქვე შენი ჭირიმეო, რომ ექიმმა დიაგნოზში „ჰომოსექსუალისტი“ ჩაუწერა...

***

— როგორც იქნა, დღეს მაღვიძარამ გამაღვიძა.

— რანაირად?

— ცოლმა მთხლიშა თავში.

***

ორი დაქალის საუბრიდან:

— ჩემი ქმრისგან მე სრულიად ახალი ადამიანი შევქმენი.

— ...და რა ჰქვია მას ახლა?

***

მესტიიდან ჩამოსული სვანი დგას 9-სართულიანი სახლის წინ და იძახის:

— მასპინძელო, მასპინძელოო!..

***

ცოლი ეუბნება ქმარს:

— ძვირფასო, რა იქნება, როგორც ძაღლს, ისე მომექცე?! მაჭამე, მასვი და „საგულაოდ“ გამიშვი.

***

მილიონერი საცოლეს ეკითხება:

— ჩემი სურვილია, მთელი ჩემი ქონება მე და შენ ერთად ვხარჯოთ. თანახმა ხარ?

— რა თქმა უნდა, ძვირფასო.

— ...და ეს მთელი ცხოვრება უნდა გაგრძელდეს.

— ჯერ მგონია, მგდენი დრო დაგვჭირდეს.



***

— როგორ ფიქრობ, ვინ უფრო ჭკვიანია, ქალი თუ მამაკაცი?

— რა თქმა უნდა, ქალი. გინახავს ოდესმე ქალი, რომელიც მხოლოდ იმიტომ გათხოვილიყო, რომ მამაკაცს ლამაზი ფეხები აქვს?!

***

ორი ძმაკაცი რესტორანში ზის. ერთი ეუბნება მეორეს:

— მიყვარს, როცა მაგიდაზე ყვავილები დგას.

— ვაა!.. ვეგეტარიანელი ხარ?

***

პატრული ავტომობილს აჩერებს და ვალოდას ეკითხება:

— აფთიაქი გაქვთ?

— არა, მარა მანქანაში მედდა მიზის, სენი წილიმე.

***

პატარა ძუკუ მამას ეუბნება:

— სკოლაში გიბარებენ!

— რატომ, წიე? — ეკითხება მამა.

— ფანჯარა გავტეხე.

მამა მიდის, მაგრამ მეორე დღეს ისევ იბარებენ.

— ახლა რატომღა მიბარებენ?

— ისევ გავტეხე ფანჯარა... აღარ წავალ მე იმ სკოლაში.

— მართალია, — ეთანხმება ძუკუ, — რა გინდა, იმ ნამსხვრევებში, რამეს გაიჭრი, მაგალითად.

***

ექიმთან:

— რა გაწუხებთ?

— არაფერი, ექიმო...

— აბა რაღას მოდიოდით ჩემთან?

— მაინტერესებს, რატომ არ მაწუხებს რამე.

***

პოლიციელი:

— ქალბატონო, ამ მდინარეში ბანაობა აკრძალულია.

— კი, მაგრამ სანამ გავიხდიდი, ვერ მითხარით?

— გახდა შეიძლება...

როგორი საქმიანი პერსპექტივა გელით?

პასუხების შემოთავაზებული ვარიანტებიდან ამოარჩიეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი და დაადგენთ, ხართ თუ არა ბიზნესის ნიჭით დაჯილდოებული.



1. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს თქვენი შესაძლო წარმატების საწინდარი?

ა) ვინც უკვე გამდიდრდა, იმათზე უგუნურად სულაც არ მიმაჩნია თავი;

ბ) შემიძლია, დიდ დატვირთვას გავუძლო და სიძნელეების წინაშე უკან არ დავიხიო;

გ) მე ხომ რასაც არ უნდა მოვკიდო ხელი, თითქმის ყოველთვის ყველაფერში მიმართლებს.

2. საკუთარი ბიზნესკარიერის დაგეგმვის დროს, ვინ მიგაჩნდათ თქვენთვის სამაგალითო პიროვნებად?

ა) რამდენიმე ინვესტორი, ვინც საკუთარი თანხების წარმატებით დაბანდება მოახერხა;

ბ) ესა თუ ის ადამიანი ჩემი ნაცნობ-მეგობრების წრიდან, ვინც წარმატებით გაართვა თავი საკუთარ საქმეს;

გ) როკფელერის ან ბილ გეიტსის მსგავსი ადამიანი.

3. თქვენი აზრით, რა არის მეტოქეობა თქვენთვის?

ა) განსაცდელი;

ბ) თავის გამოვლენის საშუალება;

გ) გამარჯვებისაკენ სწრაფვა, სულერთია, რის ფასად.

4. ცნობილი ადამიანების (ფულთან დაკავშირებული) გამონათქვამებიდან, რომელია თქვენთვის ყველაზე მისაღები?

ა) ყველაზე კარგად ის ფულია დაბანდებული, რომელიც ჩვენ ოდესღაც მოგვპარეს. ამის სანაცვლოდ ხომ ჩვენ კეთილგონიერება შევიძინეთ (ა. შოპენჰაუერი);

ბ) ჭკვიანი ადამიანისთვის ფული საშუალებაა, სულელისთვის — მიზანი (პ. დეკურსელი);

გ) არსებობისათვის ბრძოლის დღემდე გამოგონებული იარაღიდან, ფული ყველაზე ეფექტური იარაღია (ვ. შვებელი).

5. როგორ იქცევით, როდესაც სერიოზულ წინაღმდეგობასთან გიწევთ შეჯახება?

ა) მირჩევნია მოვიცადო: იქნებ თავისთავად მოგვარდეს ყოველივე ან მოულოდნელად ვინმემ დახმარების ხელი გამიმწოდოს;

ბ) მთელ ჩემს ძალას, ნებისყოფასა და ყურადღებას პრობლემის მოსაგვარებლად მივმართავ;

გ) წინააღმდეგობა ჩემში მხოლოდ აზარტს აღვივებს.

6. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული წარმატება ბიზნესში?

ა) წინდახედულებასა და გონივრულ, სწორ გათვლაზე;

ბ) მიზანდასახულობასა და შემოქმედებითი სახის ინიციატივაზე;

გ) იღბალზე.

7. როგორ იქცევით, როცა მარცხს განიცდით ან მატერიალური ზარალი მოგადგებათ ხოლმე?

ა) ცუდ ხასიათზე ვდგები, ახლობელ-მეგობრებთან წუწუნით გულს ვიოხებ და ვცდილობ, რაიმე გამოვნახო ისეთი, რასაც გულს გადავაყოლებ;

ბ) მსგავს სიტუაციაშიც კი რაღაც უპირატესობის მოპოვებას ვცდილობ;

გ) ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ — ეს ხომ სამწუხარო შემთხვევითობათა დამთხვევითაა გამოწვეული.

8. გჯერათ თუ არა, რომ ბიზნესის სამყაროში მაღალი მდგომარეობის მოპოვებას შეძლებთ?

ა) მსგავსი რამ, ნაკლებად სარწმუნოდ მეჩვენება;

ბ) მსგავს რამეს არ გამოვრიცხავ;

გ) უეჭველად ასე მოხდება.

9. გაქვთ თუ არა კონკრეტული საქმიანი პროექტები?

ა) ჯერჯერობით ამაზე არ მიფიქრია;

ბ) დიახ, ორიოდე საინტერესო იდეა მაქვს;

გ) უამრავი იდეა და არაერთი პროექტი მაქვს;

10. თქვენი აზრით, მაინც რა არის ის, რისთვისაც ბიზნესისთვის ხელის მოკიდება ღირს?

ა) საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესება;

ბ) დამოუკიდებლობის მოპოვება;

გ) ეს ხომ დაწინაურებისა და ლიდერთა შორის აღმოჩენის შანსს მომცემს.

დაანგარიშეთ ქულები: ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 1 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2 ქულა, „გ“ ვარიანტში — 3 ქულა.

ტესტის შედეგები

15 ქულაზე ნაკლები: შეიძლება ითქვას, რომ სამეწარმეო ასპარეზზე წარმატებულად მოღვაწეობისათვის გამოსადეგ ნიჭსა და უნარს თქვენ არ ხართ მოკლებული, მაგრამ ვინაიდან ჯერჯერობით პრაქტიკაში ამ უნარის გამოვლენის საშუალება არ მოგცემიათ, საკუთარ შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ აფასებთ. წინდახედული და ფრთხილი ხართ და სრული უფლება გაქვთ, პრეტენზია იქონიოთ ზომიერების მქონე, გაწონასწორებული ადამიანის რეპუტაციაზე. ეს თვისება თქვენ გიცავთ გაუმართლებელ რისკზე წასვლისაგან, მაგრამ ზოგჯერ შესაძლოა, ამ თვისებამ ორიგინალურ წამოწყებაზეც უარი გათქმევინოთ. წარმატების მისაღწევად კი აუცილებელია, უფრო ენერგიულად იმოქმედოთ და უფრო მეტი ინიციატივა გამოიჩინოთ.

15-20 ქულა: როგორც წესი, ქულათა ამ კატეგორიაში მოხვედრილი ადამიანები საქმიანი თვისებების ოპტიმალური შეხამებით გამოირჩევიან. სრული უფლება გაქვთ, თქვენი საქმიანი წამოწყებების წარმატებით დაგვირგვინების იმედი იქონიოთ, ვინაიდან მზად ხართ, მაქსიმალურად დაიხარჯოთ. ოღონდ ერთი რამის გათვალისწინებას გირჩევთ — მოპოვებულმა წარმატებამ თავბრუ არ უნდა დაგახვიოთ!

20 ქულაზე უფრო მეტი: საოცრად თავდაჯერებული ადამიანი ბრძანდებით. შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულადაც კი ხართ დარწმუნებული საკუთარ ძალებში. მანამ, სანამ გარემოება ხელს გიწყობთ (ანუ ფორტუნა გწყალობთ), თქვენ გაქვთ იმის უნარი, რომ შექმნილი მდგომარეობა თქვენს სასარგებლოდ გამოიყენოთ. მაგრამ გაითვალისწინეთ, წარუმატებლობისგან არავინაა დაზღვეული, ამ სიტუაციაში კი თქვენ შესაძლოა, მეტისმეტად დაუცველი აღმოჩნდეთ. ვიდრე ბიზნესს მოჰკიდებდეთ ხელს, უმჯობესი იქნება, თუ ამბიციებს დაიოკებთ და საკუთარი თავის ობიექტურად შეფასებას ისწავლით. მაშინ თქვენ წარმატების მოპოვების სერიოზული შანსი გაგიჩნდებათ.

ფეშენებელური სუპერლაინერი ეკიპაჟმა დაზარალა

„ლუქსის“ კლასის ცნობილ საკრუიზო სუპერლაინერს – Queen Elizabeth 2-ს გრანდიოზული ზარალი მიადგა. ფეშენებელური გემი ეკიპაჟის მიერ მოწყობილი საღამოს შედეგად დაზარალდა.

რამდენიმე დღის წინ, გემზე Queen Elizabeth-ზე, სამთვიანი კრუიზის დასრულების აღსანიშნავად, მეზღვაურებმა ხმაურიანი წვეულება მოაწყვეს, რომელიც ნამდვილ ღრეობაში გადაიზარდა. მატროსებმა დააზიანეს რამდენიმე ფასდაუდებელი გობელენი სამეფო პირების გამოსახულებით. არც დედოფლისგამოსახულებიან გობელენს დაადგა კარგი დღე. ერთ-ერთი მათგანი კი სულაც „შორეულ ნაოსნობაში“ გაგზავნეს.

გარდა ამისა, დაზიანდა სასცენო მოედანი, მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი ტუალეტი და ლაინერის მაშველი კანჯოები. მატროსები მხოლოდ მაშინ დაშოშმინდნენ, როცა გემი ბრიტანეთის პორტ საუტჰემპტონს მიადგა. პორტში გემს პოლიციელები ელოდნენ, რომლებმაც მეზღვაურები დაუყოვნებლივ დააპატიმრეს. ამჟამად მატროსები განაჩენის მოლოდინში არიან და იმედოვნებენ, რომ მათ ძალზე მკაცრ სასჯელს არ მიუყენებენ.

პოლიციელები პარალელურად Queen Elizabeth-ის მგზავრების დაკითხვასაც აწარმოებენ, რათა სკანდალური ინციდენტის სურათი მთლიანობაში აღადგინონ. ისინი ამასთანავე, იმედს არ კარგავენ, რომ დაკარგული გობელენი გამოჩნდება – მას ან მეთევზეები იპოვიან, ან ზღვის ტალღები სადმე ნაპირზე გარიყავსო. ■

ახალი პაპის საიტი მის არჩევამდე ორი დღით ადრე დარეგისტრირდა

საიტი Papst-Benediqt.de (პაპი ბენედიქტე) უკვე დარეგისტრირებულია, მაგრამ არა ვატიკანში, არამედ 35 წლის გერმანელის, შტეფან ახაცის საიტზე, რომელმაც გასულ კვირას საკუთარი ვებ-გვერდი შექმნა და წინასწარ გათვალა, რომ ახალი პაპი აუცილებლად ბენედიქტე იქნებოდა. ორი დღის შემდეგ გაირკვა, რომ ეს საკმაოდ წარმატებული სვლა იყო.

საიტზე პოპულარულ ენაზეა ახსნილი, თუ რატომ უნდა ერქვას ახალ პაპს ბენედიქტ XVI. „მე ბევრი ვიფიქრე ამ საკითხზე და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ პაპს აუცილებლად ბენედიქტე ერქმეოდა“, – ამბობს მიუნხენში მცხოვრები შტეფან ახაცი, რომელსაც თეოლოგიური განათლება არა აქვს, ორი ფიტნეს-კლუბის მფლობელია და ამავე დროს, საზოგადოებას – Aerobic-Community ხელმძღვანელობს. „ჩემი ინტერესი პაპთან დაკაშირებით, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ ხასიათს ატარებს“, – განაცხადა მან. მისი წინასწარი დასკვნები, რომელიც სწორი აღმოჩნდა, ამგვარია: „სახელი იოანე-პავლე III გამორიცხულია მის წინამორბედთან გარდაუვალი მსგავსების გამო. იგივე შეიძლება ითქვას სახელებზე – „იოანე XXVI“ ან „პავლე VII“. სახელი „პია XIII“ კი არცთუ ისე კარგი არჩევანი იქნება, რადგან ნაცისტური რეჟიმის დროს პია XII-ეს არაერთგვაროვანი პოზიცია ეკავა. თუ ჩვენ კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით პაპობის ისტორიას, აუცილებლად მივალთ ბენედიქტ XV-მდე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ისტორიაში შევიდა, როგორც „პაპი-მშვიდობისმყოფელი“. ჩვენს დროში კი, როცა ასე გახშირებულია ტერაქტები, ტერორისტული თავდასხმები, მკვლელობები და რელიგიური ომები, რა შეიძლება იყოს იმაზე ბუნებრივი, რომ ქვეყნიერებას „პაპი-მშვიდობისმყოფელის“ სახით მოევლინო?!“, – სვამს კითხვას ავტორი.

NEWSru.com-ის ინფორმაციით, უკვე დარეგისტრირებულია საიტები BenediqtXVI.com და Benediqt16.com, თუმცა ამ მისამართებზე ჯერჯერობით საინტერესო არაფერია. აღსანიშნავია, რომ ამ სახელწოდებებს საერთო არაფერი აქვთ რომის პაპის ოფიციალურ საიტთან, რომელიც 1995 წლიდან განთავსებულია მისამართზე Vatican.va.

ამის გარდა, ინტერნეტში უკვე გაჩნდა ახალი პაპის ფან-კლუბი. მორწმუნეებს სთავაზობენ შეიძინონ მაისურები, ფინჯნები და სამკერდე ნიშნები, იოზეფ რატცინგერის გამოსახულებით. 100 ცალი სამკერდე ნიშანი 75 დოლარი ეღირება, ფინჯნები პაპის ფოტოსურათით კი – მხოლოდ 15 დოლარი. ■

ოთხი ჯოვზი ჩაი – 25.000 დოლარად

რეკორდულ ფასად გაიყიდა 4 კოვზი ჩაი ჩინეთში. რამდენიმე დღის წინ, აღმოსავლეთის პროვინციის ფუცზიანის აუქციონზე „დახუნპაოს“ ჯიშის 20 გ ჩაიში ერთ-ერთმა მისმა ჯერეონად შემფასებელმა 208 ათასი იუანი (დაახლოებით $25.000) გადაიხადა. ერთი კვირით ადრე კი, შანხაის ჩაის მე-12 საერთაშორისო ბაზრობაზე, ამავე ჯიშის ჩაის ამდენივე რაოდენობა, 198 იუანად (დაახლოებით $24.000) გაიყიდა.

„დახუნპაოს“ ჯიში, სახელგანთქმული ულუნის ჩაის („შავი დრაკონი“ – რომელიც უიშანის მთებში იზრდება) ყველაზე ძვირად ღირებულ სახესხვაობად ითვლება.

როგორც ვარაუდობენ, სახელწოდება „დახუნპაო“ – რაც ჩინურად სიტყვასიტყვით „ალისფერ მანტიას“ ნიშნავს, ამ ჯიშს მისი შეფერილობის გამო ეწოდა. ადრეულ გაზაფხულზე, ჩაის ბუჩქები ისე ალისფრად ღვივის, შორიდან გეგონება, წითელ მოსასხამში გახვეულაო. მისი ზღაპრული ფასი კი იმით აიხსნება, რომ ჩინეთში „დახუნპაოს“ მხოლოდ 4 ბუჩქიღაა შემორჩენილი. წლიური მოსავალი, რომელსაც მაისში აიღებენ, მხოლოდ 500 გ იქნება. ■

ფოტოკუიიოზები

-55
b 20/6

№9(95) 28.IV.-11.V.2005

ოჯახის მეუნიკალური

საოჯახო ჟურნალი
ფასი 70 თეთრი

ახალშობილთა სეფსისი

თუკი კუჭმა მუშაობაზე უარი განაცხადა

ლი პოსაქცია. მკერდის კორექცია. თმის გადანერგვა

როცა მშობლებს ბავშვებისთვის არ სცალიათ

თბილისში სასმელი წყალი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა

მთავარი თემა: სასქესო ინფექციები

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის